

კონსტანტინე პორპელია (რედ.)

აღამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები

სტატიათა პრეპული

თებერვალი, 2007

Konstantin Korkelia (Red.)

**EUROPÄISCHE UND NATIONALE SYSTEME DES
MENSCHENRECHTSSCHUTZES**

Aufsatzzammlung

Tbilissi, 2007

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) 1975 წელს დაფუძნდა და და დღესდღეობით მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყნაში მოღვაწეობს. GTZ-ი არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ შექმნილი ორგანიზაცია, რომლის მიზანიც განვითარების სფეროში თანამშრომლობა და მხარდაჭერაა.

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დავალებით, GTZ საქართველოში სამართლისა და სასამართლო სისტემის მხარდასაჭერად ახორციელებს პროექტს, რომლის ძირითადი საქმიანობაა კანონმდებლობის ექსპერტიზა, იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ჩატარება და ახალი იურიდიული ლიტერატურის შექმნა.

© გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), 2007

© სტატიათა ავტორები, 2007

ISBN

Hrsg.:

gtz

Projekt:

Unterstützung des Rechts- und
Gerichtssystems in Georgien

Rustaveli Allee 30

0140 Tbilissi, Georgien

Tel.: +995 (32) 933712

Fax: +995 (32) 997764

E-Mail: gtz_law@caucasus.net

www.gtz-law-caucasus.net

გამომცემელი:

gtz

პროექტი:

საქართველოს სამართლისა და
სასამართლო სისტემის ხელშეწყობა

რესტავრაციის გამზ. 30

0140 თბილისი

ტელ.: +995 (32) 933712

ფაქსი: +995 (32) 997764

E-Mail: gtz_law@caucasus.net

www.gtz-law-caucasus.net

სარჩევი

კონსტანტინე კორკელია

წინასიტყვაობა 5

მაია ბითაძე

ეკოლოგიური უფლებების დაცვის სტანდარტები ევროპის
გაერთიანების სამართლის მიხედვით 7

ბესარიონ ბოხაშვილი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი
სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა
დაცვის სფეროში..... 23

გაგა გაბრიჩიძე

ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების
მე-13 მუხლი - ევროპის გაერთიანების ანტიდისკრიმინაციული
პოლიტიკის სამართლებრივი საფუძველი 39

ევა გოცირიძე

სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა
და ევთანაზის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის
იურისპრუდენციის მიხედვით 47

შალვა კვინიხიძე

ღია ზღვა და ადამიანის უფლებათა დაცვა 78

იქნე მაიერ-ლადევიგი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს
გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა 94

თინათინ უფლისაშვილი	
რასისტული დამოკიდებულების გამოხატვა ინტერნეტში - საერთაშორისო და ევროპული გამოცდილება	114
სიმონ პაპუაშვილი	
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლიდან გამომდინარე პიზიტიური ვალდებულებების ბუნება	127
ლაშა ჭელიძე	
საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა	140
ავტორთა შესახებ.....	224

კონსტანტინე კორპელია

ცინასიტყვაობა

სახელმწიფოსათვის, რომელიც მიიღო დამკვიდროს დემოკრატიული ფასეულობები, ადამიანის უფლებათა დაცვა, უდავოდ, პრიორიტეტული საკითხია. საქართველოსათვის, სადაც ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა არ-სებობს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება იმ სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარებას, რომლებ-შიც დემოკრატიული პრინციპები მყარად არის დამკვიდრებული. ამიტომ ყურადღებას იპყრობენ ის სახელმწიფოები, რომელთა კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაცნობა ქართველ მყითხველს მისცემს შესაძლებლობას, იმსჯელოს ამ ქვეყნებში მოქმედი ადამიანის უფლებათა სისტემების საქარ-თველოში დამკვიდრებაზე.

წინამდებარე სტატიათა კრებული მიზნად ისახავს, გააცნოს ქართველ მყითხველს სხვა სახელმწიფოების, განსაკუთრებით, ევროპული სახელ-მწიფოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ამ პრაქტიკის გაცნობა შეიძლება გახდეს გარკვეული ორიენტირი ქვეყანაში ადამიანის უფლებათა შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყო-ფის თვალსაზრისით.

სტატიათა ავტორები, რომლებიც როგორც პრაქტიკოსი, ისე მეცნიერი იურისტების არიან, თავისუფალნი იყვნენ სტატიების თემატიკის შერჩევაში. ამიტომ სტატიების თემატიკა ბუნებრივად ასახავს იმ საკითხებს, რომლებიც, ავტორთა აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა დღევანდელი სა-ქართველოსათვის. კრებულში განხილულია მრავალი საინტერესო თემა, როგორებიცა: ეკოლოგიური უფლებების დაცვის სტანდარტები ევროპის გაერთიანების სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა დაცვის სფეროში, ევროპის გაერთიანების ანტიდისკრიმინაციული პოლი-ტიკის სამართლებრივი საფუძველი, ფეტუსისა და ევთანაზის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, ლია ზღვა და ადა-

მიანის უფლებათა დაცვა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა, რასისტული დამოკიდებულების გამოხატვა ინტერნეტში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გამომდინარე პიზიტიური ვალდებულებების ბუნება.

ნიშანდობლივია, რომ ამ კრებულის გამოცემა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას შორის ამ სახით თანამშრომლობის კიდევ ერთი გამოვლენაა. შარშან ერთობლივად გამოიცა მსგავსი კრებული, რომელმაც დადებითი შეფასება დაიმსახურა ფართო საზოგადოებაში. სწორედ ასეთმა შეფასებამ განაპირობა კიდევ ერთი კრებულის გამოცემა.

გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების „საქართველოს სამართლისა და სასამართლო სისტემის ხელშეწყობის“ პროექტს და, განსაკუთრებით, ბატონ შალვა პაპუამშილს, რომელმაც არა მხოლოდ მხარი დაუჭირა ამ კრებულის გამოცემას, არამედ დიდი წვლილი შეიტანა პროექტის წარმატებით განხორციელებაში.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ნიკო თათულაშვილს, რომელმაც მნიშვნელოვანი დახმარება აღმოგვიჩინა ამ კრებულის მომზადებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.

მინდა გამოვთქვა იმედი, რომ კრებული ხელს შეუწყობს საქართველოში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების, ასევე სხვა დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარებას, რაც საბოლოოდ განამტკიცებს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემას ქვეყანაში.

სტატიებში გამოხატულია ავტორთა შეხედულებანი, რომლებიც შეიძლება არ ემთხვეოდეს იმ ორგანიზაციათა პოზიციებს, სადაც ავტორები მოღვაწეობენ. კრებული განკუთვნილია როგორც იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისათვის, ისე ადამიანის უფლებათა საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

2007 წლის თებერვალი

მარა პითაძე

ეკოლოგიური უფლებების დაცვის სტანდარტები ევროპის გაერთიანების სამართლის მიხედვით

1. შესავალი

ევროპის გაერთიანების შექმნის დასაწყისად მოიაზრება პარიზის 1951 წლის ხელშეკრულება, რომელმაც ევროპის ქვემახშირისა და ფოლადის გაერთიანება დააფუძნა და 1957 წლის რომის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ექვსმა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ევრატომის დამფუძნებელ დოკუმენტებს.¹ მათი შექმნის მიზანი იყო თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვა. რომის ხელშეკრულების დადებიდან ორმოცდაათამდე წლის განმავლობაში ევროპის კავშირმა თავი დაიმკვიდრა როგორც მსოფლიოს წამყვანმა ძალამ და მისი ამჟამინდელი საქმიანობა სულ უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს წევრი ქვეყნების მოქალაქეთა ცხოვრებაზე. ევროპის გაერთიანების წევრ სახელმწიფოთათვის სამართლებრივ დონეზე დადგენილია გარკვეული მოთხოვნები, რომელთა სათანადო აღსრულებასა და პატივისცემაზეა დაფუძნებული მთელი გაერთიანების სამართლებრივი სისტემა. ევროპის კავშირი, როგორც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მსგავსი წარმონაქმნის სანიმუშო მაგალითი, წევრ სახელმწიფოებს, პირველ რიგში, ადამიანის უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობის პრინციპის პატივისცემას უსახავს მიზნად, რისი უგულებელყოფა მკაცრად კონტროლდება და ისჯება ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედი სამართლით.

რომის ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული არანაირი იურიდიული ნორმა გარემოს დაცვისა და, მით უმეტეს, ეკოლოგიური უფლებების დაცვის ერთიანი პოლიტიკის შესახებ. თუმცა ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია

1. იმ დროისთვის წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ: ბელგია, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და დასავლეთ გერმანია.

ევროპის ერთიანი პოლიტიკის განვითარებისათვის გარემოსა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მიმართულებით.² გარდა პოლიტიკის განვითარებისა, აქტიურად დაიწყო ევროპული ეკოლოგიური სამართლის განვითარებაც, რაც მეტწილად ევროპული პრეცედენტული სამართლის ზეგავლენით იყო განპირობებული. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციები ხშირ შემთხვევაში მოიცავს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს³, მაშინ, როცა ევროგაერთიანების არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი ამგვარ სამართლებრივ საფუძვლებს არ ადგენს. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მასტრიხტის ხელშეკრულებით, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, პატივი სცენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას⁴ და ერთმანეთის კონსტიტუციებს.⁵ თუმცა, სამწუხაროდ, ევროპული კონვენცია არ შეიცავს ეკოლოგიური უფლებების დაცვის პირდაპირ გარანტიებს და არც წევრ სახლემწიფოთა კონსტიტუციების შესაბამისი მუხლები გამოირჩევიან შეუვალი სიმკაცრით.

მიუხედავად არსებული სამართლებრივი ხარვეზებისა, დღევანდელი საერთოევროპული სამართლი მაინც რჩება ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად, რამეთუ ადგენს იმგვარ პირობებს მათ დასაცავად, რომელთა განუხორციელებლობის შემთხვევაში თვით ევროკავშირის დემოკრატიული და სამართლებრივი განვითარების პერსპექტივები დადგება ეჭვევეშ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ დღეისათვის საქართველო, მთელი თავისი საკანონმდებლო სივრცით, მიისწრაფვის ევროკავშირისაკენ, მეტად საინტერესოა მიმოვიხილოთ ის ევროპული სტანდარტები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვა საერთოევროპულ სივრცეში.

2. ევროგაერთიანების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით

ადამიანის უფლებების დაცვა ევროკავშირის სამართლისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ზოგადად ადამიანის უფლებების კონცეფცია საკმაოდ დინამიკურია. ის მუდმივად იცვლება და ფართოვდება, რაც ევროპის გაერთიანების სახელმწიფოების კონსტიტუციური განვითარების ისტორიამაც დაადასტურა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ურყოვევია იდეა, რომ ყოველ ადამიანს აქვს განუყოფელი და სამართლებრივად დაცული უფლებები.

2. S.Douglas-Scott. Environmental Rights In the European Union - Participatory Democracy Or Democratic Deficit? Human Rights Approaches to Environmental Protection. Edited by Alan Boyle and Michael Anderson. 1996. p.109.

3. მაგალითად, ესპანეთისა და პორტუგალიის კონსტიტუციები.

4. ECHR. Rome - 1950.

5. Treaty of European Union. Official Journal C 191, 29 July 1992. Article F(2).

დღესდღეობით მეცნიერთა შორის საქმაოდ აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა უფლებების სხვადასხვა „თაობისადმი“ მიკუთვნების შესახებ. განსხვავება ამ უფლებებს შორის მართლაც შესამჩნევია. პირველ თაობას მიეკუთვნება ადამიანის დაცვა სახელმწიფო ჩარევისაგან; მეორე თაობას ეკუთვნის სოციალური უფლებები, მაგალითად, შრომისა და განათლების უფლება; არსებობს მესამე თაობის უფლებებიც, რომელთა შორისაა: მშვიდობის უფლება, თვითგამორკვევის უფლება, განვითარების უფლება, უმცირესობათა უფლებები და ეკოლოგიური, იგივე ჯანსაღ გარემოში არსებობის უფლება.

„ევროპელებს აქვთ უფლება, იცხოვრონ სუფთა და ჯანსაღ გარემოში“ - აცხადებენ ევროპელი გარემოსდამცველები და ამ უფლებას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს შორის მოიაზრებენ.⁶ თუმცა ევროპელების წინაშე დღესდღეობით აქტიურად დგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ბუნებრივი რესურსების იმგვარი გამოყენება, რომ ადამიანის ეკოლოგიური უფლებები სათანადო იქნეს დაცული. ამ აზრამდე ევროპელები სწორედ ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული გამოყენებით და გარემოს დაბინძურებით გამოწვეულმა ბუნებრივმა კატაკლიზმებმა მიიყვანეს, რამაც ევროპულ გარემოს და ევროპელების ჯანმრთელობას საქმაოდ სერიოზული საფრთხე შეუქმნა.

ეკოლოგიური უფლებების დაცვისადმი მიძლვნილ შეხვედრაზე ცნობილ-მა მეცნიერმა მაქვილონ დეჟან-პონმა განაცხადა, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აკეთებს ყველაფერს და კიდევ უფრო მეტს, რათა მაქსიმალურად მოახდინოს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების სასამართლო წესით დაცვა იმ საშუალებებით, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ადგენს“. ამის ნათელი მაგალითია საქმეები ნარჩენების გაფრქვევის შესახებ ესპანეთში, მეთანის აფეთქება თურქეთში, ხმაური ლონდონის საპარაკო ტერიტორიაზე.⁷ თუმცა, სამწუხაროდ, მრავალი საქმე, მხოლოდ იმის გამო, რომ კონვენცია პირდაპირ არაფერს ადგენს ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ევროპული სასამართლოს განხილვის მიღმა დარჩა, მაგრამ ერთი საკითხი უდავოა - ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ევროპელისთვის,⁸ „უფლება - იცოდე არსებობს, თუმცა მისი სათანადო აღსრულება ვერ ხერხდება“ - აცხადებს ევროკომისიის წევრი ლუდვიგ კლარკი.⁹

ეკოლოგიური უფლებების დასაცავად ევროკავშირის ტერიტორიაზე ბერი რამ კეთდება, მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომლებიც სამარ-

6. Harper, C.L. Environment and Society: Human Perspectives on Environmental Issues. 1996, 39.

7. Green Week Session: Your Environmental Rights. Environment for Europeans - Magazine of the Directorate-General for the Environment. issue - 17. 2006.

8. Council Directive 90/313 on Freedom of Access to information on the Environment (OJ L158, 23 June 1990); Resolution of 19 October 1987 on the continuation and implementation of a European Community policy and action programme on the environment (1987 to 1992).

9. ოქვე.

თლებრივ დონეზე მაინც არსებობს აღმოუფხვრელი. ამ მიმართულებით ევროკავშირის ინსტიტუტების საქმიანობაში სამი მიმართულება იკვეთება: გარემოს თვისებრივი შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება; ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა; ბუნებრივი რესურსების გონივრული და რაციონალური გამოყენება.

ამ სფეროში ევროგაერთიანების კომპეტენციის სათავეებიდან დაუდგენლობის გამო გაერთიანების პოლიტიკა ვითარდებოდა ნაკლებად შესამჩნევი, თავისებური სახით. 1973 წლიდან მოყოლებული მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა ხუთწლიანი სამოქმედო პროგრამების სერია, რომლებმაც დაბინძურების სერიოზული პრობლემებისადმი მიმართულ სასწრაფო საპასუხო ქმედებებს საბოლოოდ გარემოსა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის საერთო სტრატეგიის ფორმა მისცა. ძირითად სფეროებში, რომელთა ხელყოფა განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და რომლებზეც ევროკავშირმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება, შედის:

წყლის დაბინძურება - ამ მხრივ ევროკომისიის მიერ დამტკიცებულ იქნა მრავალი დირექტივა, რომლებიც ეხება ზედაპირული, მინისქვეშა, მტკნარი თუ მღაშე წყლების დაცვას დაბინძურებისაგან, რაც ხშირად ადამიანების დაავადებას იწვევს. შემოღებულ იქნა ხარისხის სტანდარტები საბანაო, სასამელ წყალზე. მკაცრად კონტროლდება წყალში ტოქსიკური ნივთიერებების ჩაღვრა;¹⁰

ატმოსფეროს დაბინძურება - გარემოს დაბინძურების პირველწყარო, რაც ძირითადად ევროპის ინდუსტრიული პროგრესით არის გამოწვეული. გამონაბოლექვი ქარხნებიდან, მანქანებიდან იწვევს ტყეების მასშტაბურ განადგურებას მუავე წვიმებით და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. მხოლოდ 1987 წლის ივლისში საგანგებო ევროპული აქტის მიერ გათვალისწინებული ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა დირექტივების სერია ავტომობილების გამონაბოლქვის შემცირების შესახებ;¹¹

ხმაური - ევროკომისიის მიერ მიღებულ იქნა დირექტივები, რომლებიც ახდენენ მსუბუქი და სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების, თვითმფრინავების, გაზონების საკრეჭი მანქანებისა და სამშენებლო ტექნიკის

10. Council Decision of 7 October 1997 on the conclusion of the Convention for the protection of the marine environment of the north-east Atlantic Convention for the protection of the marine environment of the north-east Atlantic; Directive 2000/60/EC of the European Parliament and of the Council of 23 October 2000 establishing a framework for Community action in the field of water policy; The Council in its resolution of 28 June 1988(5) asked the Commission to submit proposals to improve ecological quality in Community surface waters; Council Directive 80/68/EEC of 17 December 1979 on the protection of groundwater against pollution caused by certain dangerous substances.

11. 2001/379/EC: Council Decision of 4 April 2001 on the approval, on behalf of the European Community, of the Protocol to the 1979 Convention on Long-range Transboundary Air Pollution on Heavy Metals.

ხმაურის მაქსიმალური დონის დადგენას;¹²

ქიმიური პროდუქტები და ნარჩენები - 1977 წელს ჩრდილოეთ იტალიაში სევეზოს კატასტროფის შემდეგ, რამაც მაღალი ტოქსიკური დიოქსინით დიდი ტერიტორიის დაბინძურება გამოიწვია, გადადგმულ იქნა უკიდურესი ნაბიჯები ქიმიური ნივთიერებების ნარმოებით და გავრცელებით ნარმოქმნილი რისკის შესამცირებლად.¹³ ამ მიზნით 1982 წლიდან მიღებულ იქნა მთელი რიგი დირექტივებისა. 1975 წლიდან ძალაში შევიდა გაერთიანების წესები ნარჩენების შეგროვების, განთავსების, გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების შესახებ^{14, 15}.

1990-იანი წლების დასაწყისში ნათელი გახდა ევროგაერთიანების მიერ გარემოს მართვისა და, შესაბამისად, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვისადმი უფრო განსაზღვრული და სისტემური მიღვომის შემოღების აუცილებლობა. 1991 წელს მასატრინეტის სამიტზე მიღწეული ევროკავშირის ხელშეკრულებით რომის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა ახალი ნაწილი გარემოს დაცვის შესახებ, როთაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროგაერთიანების კომპეტენცია. 1997 წლის ივნისის ამსტერდამის ხელშეკრულებაში „გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა“ გაერთიანების მიზნის დონეზე აამაღლა და ევროპარლამენტის ძალაუფლება განავრცო გარემოს დაცვის, მათ შორის ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის, სფეროში.¹⁶ ხელშეკრულება 35-ე და 37-ე მუხლებში ადგენს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოს დაცვის სტანდარტებს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გაერთიანების პოლიტიკისა

12. Corrigendum to Directive 2004/40/EC of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 on the minimum health and safety requirements regarding the exposure of workers to the risks arising from physical agents (electromagnetic fields) (18th individual Directive within the meaning of Article 16(1) of Directive 89/391/EEC) (Official Journal of the European Union L 159 of 30 April 2004); Directive 2003/10/EC of the European Parliament and of the Council of 6 February 2003 on the minimum health and safety requirements regarding the exposure of workers to the risks arising from physical agents (noise) (Seventeenth individual Directive within the meaning of Article 16(1) of Directive 89/391/EEC).

13. Corrigendum to Directive 2004/26/EC of the European Parliament and of the Council of 21 April 2004 amending Directive 97/68/EC on the approximation of the laws of the Member States relating to measures against the emission of gaseous and particulate pollutants from internal combustion engines to be installed in non-road mobile machinery (OJ L 146, 30.4.2004).

14. დიკ ლეონარდი, ევროკავშირის სახელმძღვანელო, 2002, გვ. 267-269.

15. Regulation (EC) No 850/2004 of the European Parliament and of the Council of 29 April 2004 on persistent organic pollutants and amending Directive 79/117/EEC; Commission Decision 2000/532/EC of 3 May 2000 replacing Decision 94/3/EC establishing a list of wastes pursuant to Article 1(a) of Council Directive 75/442/EEC on waste and Council Decision 94/904/EC establishing a list of hazardous waste pursuant to Article 1(4) of Council Directive 91/689/EEC on hazardous waste (OJ L 226, 6.9.2000, 3). Decision as last amended by Council Decision 2001/573/EC (OJ L 203, 28.7.2001, 18).

16. იქვე.

და შესაბამისი საქმიანობების განხორციელების შესაბამისად. ხელშეკრულებაში აგრეთვე ხაზგასმულია გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მინიჭებულობა და პრიორიტეტი.

ადამიანის ეკოლოგიური უფლებების განვითარებაში ევროგაერთიანების ოლოზე საუბრისას არ შეიძლება სათანადო ყურადღება არ დაეთმოს ადამიანის უფლებათა ეკოლოგიულ კონვენციისა და სასამართლო პრაქტიკის. ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ევროპულმა პრეცედენტულმა სამართალმა დაადასტურა, რომ კონვენციის ზოგიერთი მუხლის სხვადასხვა ინტერპრეტაციის შედეგად შესაძლებელია ამ უფლებების დაცვა, მაგრამ, სამწუხაროდ, არა ყოველთვის.¹⁷ ამგვარი იყო საქმეები: ლოპე ი სატრა ესპანეთის წინააღმდეგ (*López Ostra v. Spain*)¹⁸, ფაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Powell and Rayner v. the United Kingdom*)¹⁹. ამ საქმეებში, მოსარჩეულეთა მტკიცებით, გარემოს მდგომარეობის გაუარესება (ხმაური ლონდონის ჰისროუს აეროპორტიდან, სუნითა და კვამლით ჰაერის დაბინძურება) მათ ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახებოდა²⁰. მოსარჩეულები თვლიდნენ, რომ გარემოს გაუარესებული მდგომარეობა უარყოფით ზეგავლენას ახდენდა მათ პირად ცხოვრებაზე და აფერხებდა ზემოაღნიშნული ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობას. საინტერესოა საქმე ფრედინი შევდეთის წინააღმდეგ (*Fredin v. Sweden*)²¹. მოსარჩეულ მხარის განცხადებით, სახელმწიფომ დაარღვია მისი საკუთრების უფლება და გაუუქმა კერძო საკუთრებაში მყოფი მიწიდან წიალისულის მოპოვების ნებართვა. ამ საქმეზე სასამართლომ სახელმწიფოს პოზიცია გაამართლა და მისი ქმედება გარემოს, როგორც საზოგადოების ჯანმრთელობის უმთავრესი გარანტის, დაცვით ახსნა. ამ საქმიდან ნათლად ჩანს, რომ საერთო ევროპული მიდგომა ეკოლოგიური უფლებებისადმი არაერთგვაროვანია და ხშირად, დემოკრატიული და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ზღუდავს ინდივიდუალურ ინტერესებს.

3. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება ევროგაერთიანების სამართლის მიხედვით

ზოგადად, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ევროგაერთიანების სამართალზე დაკვირვებისას თვალნათლივ ჩანს, რომ გაერთიანება სამართლებრივ და ინსტიტუციურ დონეზე ქმნის მაქსიმალურ ბერკეტებს, რათა მოხდეს ამ უფლებების რეალიზება და სამართლებრივი

17. ევროპული კონვენციის მე-2, მე-8, მე-10 მუხლები, დამატებითი პირველი ოქმის პირველი მუხლი.

18. *López Ostra v. Spain*, Case 41/1993, judgment of 9 December 1994.

19. *Powell and Rayner v. the United Kingdom*, Application # 9310/81.

20. D.Garcia San Jose, Environmental protection and the European Convention on Human Rights, 2005, 11.

21. ECHR, Ser.A, No.192, (1991), at 6; ასევე: Desgagne, *Environmental Values and Human Rights In Europe*, 89 AJIL. 1995, 263.

გარანტირება. ამასვე ადასტურებს ევროპული პრეცედენტული სამართალიც, რომელიც ისეთივე ახალგაზრდაა, როგორც თვითონ ეკოლოგიური სამართალი და, მით უმეტეს, ეკოლოგიური უფლებების დაცვის ინსტიტუტი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა, ევროგაერთიანებაში შექმნილი და მოქმედი ადამიანის ეკოლოგიურ უფლებათა დაცვის სტანდარტები სხვა სახელმწიფობმაც, მათ შორის საქართველომაც, გაითავისონ და შექმნან მათი დანერგვისა და აღსრულების რეალური საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო მექანიზმები.

პარადოქსულია, მაგრამ ადამიანის საკეთილდღეოდ ბიოსფეროსა და ზოგადად ბუნების შენარჩუნების ცნობიერება კაცობრიობის განვითარებას მუდამ თან სდევდა, თუმცა ცოტა რამ თუ კეთდებოდა ამ მიმართულებით. დღეს, როდესაც განვითარებულმა ევროკავშირმა ადამიანის უფლებების, მათ შორის ეკოლოგიური უფლებების, დაცვის უმაღლეს დონეებს მიაღწია, დანარჩენმა სამყარომაც უნდა გაითავისოს ეს გამოცდილება და ისე როგორც არასდროს, ერთად უნდა დადგეს გარემოს დასაცავად ამჟამინდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.

ევროკავშირის გამოცდილებაზე საუბრისას არ შეიძლება, სათანადო ყურადღება არ დაეთმოს იმის გარკვევას, თუ კონკრეტულად რა ადგილი უკავია ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას ევროპულ სამართალში. ამ მიზნის მისაღწევად, პირველ რიგში, იდენტიფიცირებულ უნდა იქნეს ის ძირითადი მიმართულებები და სამართლებრივი დოკუმენტები, რომელთა გამოყენებითაც გაერთიანება მართავს ამ მეტად დელიკატურ და სათუთ სფეროს. ძირითად მიმართულებებში იგულისხმება ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების გამიჯვნა იმ ძირითადი ასპექტების მიხედვით, რომელიც საბოლოოდ ერთ მთლიანობას ქმნის. რომელია ეს ასპექტები? რა უდევს მათ საფუძვლად? - სავარაუდოდ, ეს ასპექტებია:

- უფლება - მიიღო სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია შენი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ;
- უფლება სამართლიან და ეფექტურ მართლმსაჯულებაზე;
- უფლება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესახებ.

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების ამგვარი დიფერენციაცია იმის დასტურია, რომ ეს უფლება, ევროკავშირის სამართლის მიხედვით, აღიარებულია როგორც არსებითი უფლება, რომელიც ინდივიდის აქტიური და პოზიტიური უფლებების რეალიზაციით გამოიხატება. ამგვარი მიღვომა ნათლად ადასტურებს ევროგაერთიანების დემოკრატიულ მიზნებს, რომელთა შორის უმთავრესია ადამიანის უფლებების დაცვა.

როგორც აღინიშნა, თავისთავად ევროგაერთიანების ეკოლოგიური სამართალი ახალი და სწრაფად განვითარებადი სფეროა. 1960 წლის შემდეგ დაიწყო პირველი დირექტივების გამოცემა ამ მიმართულებით. ისინი

ძირითადად 1957 წლის რომის ევროპული ეკონომიკური გაერთიანების შექმნის შესახებ ხელშეკრულებას ეყრდნობოდნენ, რამეთუ მაშინ არ არსებობდა სპეციალური სამართლებრივი აქტები ამ მიმართულებით. მხოლოდ 1972 წლის გაეროს ეგიდით ჩატარებული სტოკოლმის კონფერენციის შემდეგ (კონფერენცია - გარემო ადამიანისათვის) ევროგაერთიანების წევრმა სახელმწიფოებმა პარიზის კონფერენციაზე მიიღეს დეკლარაცია, რომელიც სპეციფიკურ ევროპულ ეკოლოგიურ სამართალს ქმნიდა. „ევროპული ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გარემოს დაცვას, რაც მიზნად კაცობრიობის საერთო ინტრესების დაცვას ისახავს“.²² ამის შემდგომ საერთოევროპული მიდგომა გარემოს დაცვის სფეროსადმი დაფიქსირდა 5 სამოქმედო გეგმაში.²³

უფრო მეტიც, 1986 წლის ცვლილებებმა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების 1957 წლის ხელშეკრულებაში დაამატა სპეციალური VII თავი, რომელმაც ევროპული საზოგადოების ეკოლოგიური მიზნები განსაზღვრა. მასატრიხტის 1992 წლის ხელშეკრულებაში 130(რ)-ე მუხლმა კი, რომელმაც ამ უკანასკნელშიც ცვლილებები შეიტანა, ჩამოაყალიბა გაერთიანების ეკოლოგიური პოლიტიკის შემდეგი მიმართულებები:

- გარემოს მდგომარეობის შენარჩუნება, დაცვა და გაუმჯობესება;
- ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა;
- ბუნებრივი რესურსების რაციონალური და გონივრული გამოყენება;
- საერთაშორისო დონეზე გარემოსდაცვითი საქმიანობების ხელშეწყობა.

ამასთანავე, ზემოაღნიშნული მუხლი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ უსაფრთხოების უმაღლესი დონის შენარჩუნება, რაც პრევენციულ პრინციპებზე იქნება დაფუძნებული და აამოქმედონ საერთაშორისო გარემოსდაცვითი უმნიშვნელოვანესი „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპი. ამასთანავე, ხელშეკრულება არ ზღუდავს მხარეებს, ეროვნულ დონეზე კიდევ უფრო მკაფრად დაარეგულირონ აღნიშნული საკითხები, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ გარემოსდაცვითი საკითხები ხშირად სცილდება სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებს, მათი დარეგულირება უკეთ ხერხდება საერთო ევროპული პილიტიკისა და სამოქმედო გეგმების ფარგლებში. ამდენად, ევროგაერთიანების სამოქმედო არეალი ამ მიმართულებით საკმაოდ ფართოა, თუმცა, როგორც ბევრი მეცნიერი თვლის, საქმიანობა ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისით ჯერ კიდევ არასაკმარისად მკაფიოა.²⁴

გარდა ევროგაერთიანების ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტე-

22. EC Commission, 6th General Report (1972), 8.

23. First Action Programm, OJ C 112/1; Second Action Programm, OJ C 139/1; Third Action Programm, OJ C 46/1; Fourth Action Programm, OJ C 328/1; Fifth Action Programm, OJ C 138/5.

24. S.Douglas-Scott. Environmental Rights In the European Union - Participatory Democracy Or Democratic Deficit? *Human Rights Approaches to Environmental Protection*. Edited by Alan Boyle and Michael Anderson. 1996, 115.

ბისა, ევროკავშირის ფარგლებში შემუშავებულ იქნა და მოქმედებს უამრავი რეგულაცია თუ დირექტივა, რომელიც თითოეულ კონკრეტულ სფეროში ადგენენ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებს.²⁵

აღნიშნული დოკუმენტები ადგენენ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ელემენტარულ და, ამასთანავე, უმნიშვნელოვანეს გარანტიებს, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მათი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს დასაცავად. ისინი განსაზღვრავენ მშრომელთა ეკოლოგიურ უფლებებს და იმ რისკფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნან მათ ან მათი შთამომავლების ჯანმრთელობას, განსაზღვრავენ ხმაურისა და ვიბრაციის დონის დასაშვებ ინდექსებს, ადგენენ გარემოს-დაცვითი ინფორმაციის მიღების გარანტიებს, განსაზღვრავენ ოფიციალური სტრუქტურების ვალდებულებას ამ მხრივ. დოკუმენტებში მკაცრად კონტროლდება ევროგაერთიანებაში მრეწველობის ის მიმართულებები, რომლებმაც შესაძლოა, საფრთხე ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს შეუქმნან, დადგენილია გარემოს დაბინძურების ნორმები, მავნე ნივთიერებათა გამოყენების სტანდარტები; განსაზღვრულია ეკომარკინების, ეკოაუდიტისა და დაბინძურების აღკვეთის სქემები. ერთი სიტყვით, შექმნილია ყველანაირი პირობა, რათა მაქსიმალურად მოხდეს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვა ისე, როგორც ეს დემოკრატიისა და თანამედროვეობის უნიკალურ სიმბოლოს - ევროპის გაერთიანებას შეეფერება.²⁶

25. Council Directive 76/160/EEC of 8 December 1975 concerning the quality of bathing water; 82/501/EEC: Council Directive of 24 June 1982 on the major-accident hazards of certain industrial activities; 83/477/EEC: Council Directive of 19 September 1983 on the protection of workers from the risks related to exposure to asbestos at work (second individual Directive within the meaning of Article 8 of Directive 80/1107/EEC); Council Directive 84/360/EEC of 28 June 1984 on the combating of air pollution from industrial plants; Council Directive 89/391/EEC of 12 June 1989 on the introduction of measures to encourage improvements in the safety and health of workers at work; Council Directive 89/618/Euratom of 27 November 1989 on informing the general public about health protection measures to be applied and steps to be taken in the event of a radiological emergency; Council Directive 90/219/EEC of 23 April 1990 on the contained use of genetically modified micro-organisms; Council Directive 90/313/EEC of 7 June 1990 on the freedom of access to information on the environment.

26. Council Directive 90/394/EEC of 28 June 1990 on the protection of workers from the risks related to exposure to carcinogens at work ; Council Directive 90/394/EEC of 28 June 1990 on the protection of workers from the risks related to exposure to carcinogens at work (Sixth individual Directive within the meaning of Article 16 (1) of Directive 89/391/EEC); Council Regulation (EEC) No 1210/90 of 7 May 1990 on the establishment of the European Environment Agency and the European Environment Information and Observation Network; Council Regulation (EEC) No 880/92 of 23 March 1992 on a Community eco-label award scheme; COUNCIL REGULATION (EEC) No 1836/93 of 29 June 1993 allowing voluntary participation by companies in the industrial sector in a Community eco-management and audit scheme.

3.1. უფლება - მიღებო სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია საზუთარი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ

თითოეულ სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების გზაზე სხვადასხვა ეტაპის გავლა უნდეს, რომელთა შორის უმთავრესია ადამიანის უფლებების დაცვა. მაგრამ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს, თუ მისი ყველა მოქალაქე სათანადოდ არ იქნა ინფორმირებული. ინფორმაციის ფლობა და მისი ხელმისაწვდომობა ფაქტობრივად ადამიანის უფლებების ამოსავალი წერტილია. ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე საუბრისას გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაც თავისთავად იგულისხმება, რამეთუ სწორედ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე არსებული ინფორმაცია ქმნის იმ რეალურ ბერკეტს, რომელიც მოქალაქეს საკუთარი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს ჯანსაღი სახით შენარჩუნებაში უწყობს ხელს. როგორ ხდება ამ ინფორმაციის გავრცელება? - რა თქმა უნდა, ისევ და ისევ სახელმწიფო ორგანოების დახმარებით, რომლებიც ავრცელებენ და უნდა გაავრცელონ თავიანთ ხელთ არსებული ინფორმაცია გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ. თუმცა არსებობს პრობლემა, რაც კერძო სექტორს ეხება და რომელიც გარემოს რეალური დამაბინძურებელია, წარმოების გათვალისწინებით. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს უფლება არა აქვს, უხეშად ჩაერიოს კერძო სექტორის ბიზნეს-საქმიანობაში, თუმცა აქაც არსებობს ოქროს შუალედი, რაც გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ექსპერტით, გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასებითა და გარემოსდაცვითი საქმიანობის ლიცენზირებით გამოიხატება. ყველა ეს პირობა ქმნის იმის საფუძველს, რომ სახელმწიფომ, როგორც კონტროლისა და მონიტორინგის განმახორციელებელმა უმთავრესმა გარანტმა, სათანადო დონეზე მოახდინოს მოსახლეობის ეკოლოგიური თვალსაზრისით ინფორმირება და, ამასთანავე, სადაც ამას სამართლის ნორმა მოითხოვს, ჩართოს დაინტერესებული პირები გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ეკოლოგიური დოკუმენტით გარემოსდაცვითი ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებას სამართლებრივად ადგენს 1990 წლის დირექტივა²⁷, რომლის დებულებების გამკაცრების ინიციატივით არაერთხელ გამოსულან ევროპარლამენტისა და ევროკომისის წევრები. ევროკავშირის გარემოსდაცვითი მოქმედებების მე-5 პროგრამამ დაადგინა, რომ არსებული გარემოსდაცვითი ღონისძიებები სათანადო და ადეკვატური არ არის იმ ეკოლოგიური დეგრადაციისა, რომელიც გარემოში არსებობს და რომ საჭიროა უფრო მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა.²⁸ აღნიშნული დირექტივა ადგენს უამრავ პირობას, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, მიი-

27. Council Directive 90/313 on Freedom of Access to information on the Environment (OJ L158, 23 June 1990).

28. Kramer, *Focus on European Environmental Law*. London, 1992, 291.

ღონ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მათთვის საინტერესო ეკოლოგიური ინფორმაცია. დირექტივის სავალდებულო ძალის მიუხედავად, წევრი სახელმწიფოებისათვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა მისი ადაპტირება და ჰარმონიზება ეროვნულ კანონმდებლობასთან, რამეთუ ეს საკმაოდ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვდა. ამ მხრივ თავი პორტუგალიამ და ესპანეთმა გამოიჩინეს, რომლებმაც ეროვნული კონსტიტუციების დონეზე აღიარეს უფლება გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების თავისუფლებასა და ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოზე.²⁹

3.2. უფლება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით

გადაცყვეტილებების მიღების პროცესში მონაცილეობის შესახებ

მართალია, გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობის უფლება საკვანძო უფლებაა, მაგრამ ფუჭია მხოლოდ ინფორმაციის ფლობა, თუ დაინტერესებულ პირებს უფლება არა აქვთ, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მიიღონ მონაცილეობა. ამ საკითხისადმი ევროგაერთიანების ოფიციალურ სტრუქტურებს არაერთგვაროვანი მიდგომა ჰქონდათ. ამასთანავე, მძლავრობდა კერძო სექტორის გავლენა იმ ოფიციალურ სტრუქტურებზე, რომლებიც ცდილობდნენ, ნაკლებად მომხდარიყო ფართო ფენების ჩართვა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში. უფრო მეტიც, შეირად ევროკომისია გადაწყვეტილებებს სრულიად საიდუმლოდ იღებდა და მოქალაქეები მხოლოდ ფაქტის წინაშე დგებოდნენ. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, არასწორია და ნაკლებად ემსახურება დემოკრატიულ მიზნებს.

ამ საკითხის გამოსასწორებლად მიღებულ იქნა დირექტივა გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ³⁰, რომელიც პირდაპირ ავალდებულებს შესაბამის სტრუქტურებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების ჩართვას, აგრეთვე ადგენს კერძო სექტორის ვალდებულებას, საჯარო გახადოს ყველა ის პროექტი, რომლებიც გარემოზე ზემოქმედებას მოახდენენ.

ამასთანავე, ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფომ ეროვნული კანონმდებლობის დონეზე გახადა სავალდებულო დაინტერესებული პირების თუ ჯგუფების ჩართვა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. დანიამ, უნგრეთმა, ჰოლანდიამ დაადგინეს იმგვარი სამართლებრივი ბერკეტები, რომლებიც დაინტერესებულ ჯგუფებს უფლებას აძლევენ, მონაცილეობა მიიღონ უმნიშვნელოვანესი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, უფრო მეტიც, მათ გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელებასა და ბუნებრივი რე-

29. Shelton, *Environmental Rights in the European Community*, 16 Hastings ICLR, 573.

30. EC Directive 85/337 on Environmental Impact Assessment.

სურსებით სარგებლობის ლიცენზირებაზეც მიუწვდებათ ხელი, რა თქმა უნდა, საკუთარი კომიტეტის ფარგლებში.³¹

3.3. სამართლიანი და ეფექტური მართლადასჭულების უფლება

უფლება, მიღლო სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია შენი საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შესახებ, უფლება გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების შესახებ - არის ის უფლებები, რომლებიც დემოკრატიულ საზოგადოებაში ინდივიდისა და ინდივიდთა ჯგუფის ეკოლოგიურ ინტერესებსა და უფლებებს იცავს, მაგრამ ამ ორი უფლების რეალიზება ვერანაირად სრულყოფილი ვერ იქნება, თუ იმავე ამ სუბიექტებს სამართლიან და ეფექტურ მართლმსაჯულებაზე ხელი არ მიუწვდებათ. ზოგადად, უფლება სამართლიან და ეფექტურ მართლმსაჯულებაზე ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა და თანაბრად ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებას, მათ შორის გარემოსდაცვითს.

ევროკავშირის სამართლებრივი სისტემის ფარგლებში არსებობს ერთი „დაბრკოლება“ გაერთიანების მოქალაქეებისათვის, რასაც ევროკავშირის დირექტივები ჰქვია. როგორც ცნობილია, დირექტივები ადგენს ქცევის წესებს თვით წევრი სახელმწიფოებისათვის და არა უშუალოდ ინდივიდებისათვის და, ამდენად, დაინტერესებული პირებისა თუ პირთა ჯგუფისათვის გარკვეულწილად პრობლემაა საჩივრის წარდგენა ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე, რომელიც ლუქსემბურგში მდებარეობს.

თუმცა, ამასთანავე, სასამართლოს დებულების 37-ე (2) მუხლი ადგენს, რომ დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ, დაიკავონ ნებისმიერი პოზიცია იმ საქმეებში, რომლებიც წარედგინება სასამართლოს, თუ მათ ეს აინტერესებთ, მაგრამ დღემდე აღნიშნული დებულება თითქმის არასდროს ყოფილა გამოყენებული იმ სუბიექტების მიერ, რომლებსაც გარემოსდაცვითი საკითხები აინტერესებთ.³² ევროგაერთიანების სამართალი ინდივიდებს საშუალებას აძლევს, წარადგინონ საჩივრები ევროკომისიაში იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლიან, რომ გარემოსდაცვითი ნორმები იქნა დარღვეული და ეკოლოგიური უფლებები არ იქნა სათანადოდ დაცული. ამ შემთხვევაში კომისია ვალდებულია, სათანადო რეაგირება მოახდინოს და შეისწავლოს საჩივარში აღნერილი ფაქტები და მათი დადასტურების შემთხვევაში აამოქმედოს

31. S.Douglas-Scott. Environmental Rights In the European Union - Participatory Democracy Or Democratic Deficit? *Human Rights Approaches to Environmental Protection*. Edited by Alan Boyle and Michael Anderson. 1996, 120.

32. S.Douglas-Scott. Environmental Rights In the European Union - Participatory Democracy Or Democratic Deficit? *Human Rights Approaches to Environmental Protection*. Edited by Alan Boyle and Michael Anderson. 1996, 121.

მაასტრიხტის ხელშეკრულებით დადგენილი ნორმები.³³ თუმცა დაიწყებს თუ არა აღნიშნულ კვლევას კომისია, ეს მისი დისკრეციაა, ისევე, როგორც მისთვის არასავალდებულო საკუთარი დასაბუთებული გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნება.

მაასტრიხტის ხელშეკრულება ადგენს კიდევ სხვა საშუალებას, რომელიც დაინტერესებულ სუბიექტებს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე უხსნის გზას, მართალია, გრძელს, მაგრამ მაინც არსებულს. ხელშეკრულების თანახმად, წევრი სახელმწიფოები ვალდებულინი არიან, იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სასამართლო შტო ვერ წყვეტს საკითხს, წარადგინოს ეს საქმე ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე. აგრეთვე, ხელშეკურლება საშუალებას აძლევს წევრი სახელმწიფოების სუბიექტებს, ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე წინასწარი განხილვი-სათვის წარადგინონ ის საჩივრებიც, რომლებიც წევრი სახელმწიფოების ინსტიტუციური წარმონაქმნების არამართლზომიერ ქმედებებს შეეხება.³⁴

ევროგაერთიანების ფარგლებში ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული უმთავრესი პრობლემა არის ის გარემოება, რომ ხშირად ეროვნულ დონეზე არ ხდება დირექტივებით დადგენილი დებულებების დროული იმპლემენტაცია, რაც ინდივიდებს უზლუდავს უფლებებს ან მათი განხორციელების გზაზე გარკვეულ პრობლემებს უქმნის. ამ საკითხმა განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი ეკოლოგიური უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, რამეთუ ეს უფლებები უფრო „ახალგაზრდა“ უფლებებია და ხშირად დგანან გზაჯვარედინზე სამრეწველო და ეკონომიკური ინტერესების პირისპირ. მაგრამ ამგვარი პრობლემების არსებობის მიუხედავად, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დაადგინა, რომ დირექტივებს, მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა ეროვნულ დონეზე, მაინც აქვთ იმის უპირატესი იურიდიული ძალა, რომ მათ შესაბამისად მოხდეს ადამიანის უფლებების დაცვა.³⁵ ამდენად, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი უფლებების დასაცავად ინდივიდები უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ დირექტივებით დადგენილი ნორმების ამოქმედება დამრღვევი სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაგრამ არა სხვა ინდივიდებისა და კერძო სექტორის წინააღმდეგ.³⁶

ზოგადად, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც მეტად მრავალფეროვან ინტერპრეტაციას უკეთებენ ევრო-დირექტივებით დადგენილ მოთხოვნებს. საინტერესოა გადაწყვეტილება

33. Treaty of Amsterdam amending the treaty on European Union, the treaties establishing the European Communities and related acts. Official Journal C 340, 10 November 1997. Article 226 (ex Article 169).

34. იქვე. Article 234 (ex Article 177).

35. Marshall v. Southampton A.H.A., Case 152/84, ECR (1986).

36. Marshall v. Southampton A.H.A., Case 152/84, ECR (1986); Faccini Dori v. RECREB Srl., Case 91/92.

ფრანკოვიჩის საქმეზე (*Francovich and Bonifacci v. Italy*),³⁷ სადაც პრობლემას იტალიის მიერ დირექტივის შეუსრულებლობა ქმნიდა. ამ საქმეზე სასამართლომ განსაზღვრა ზოგადი პრინციპი, რომლის თანახმადაც, წევრი სახელმწიფო ვალდებულია, აუნაზღაუროს ინდივიდებს მისი ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული ზიანი. აღნიშნული გადაწყვეტილება გაამყარა და უფრო მკაფიო გახადა სხვა გადაწყვეტილებებმაც.³⁸

4. ევროგაერთიანების სახალხო დამცველის როლი ეკოლოგიური უფლებების დაცვის სფეროში

ადამიანის ეკოლოგიური უფლებების ევროპული სტანდარტების განხილვისას არ შეიძლება სათანადო ყურადღება არ დაეთმოს ევროგაერთიანების სახალხო დამცველის საქმიანობას ამ მიმართულებით. ევროგაერთიანების სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაარსებისას ბევრს მიაჩნდა, რომ იგი განუსაზღვრელი უფლებებით იქნებოდა აღჭურვილი და ექნებოდა სრული მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების ნებისმიერ ოფიციალურ სტრუქტურაზე. თუმცა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო და ევროპის სახალხო დამცველის ინსტიტუტის დებულებამ დაამტკიცა, რომ მისი კომპეტენცია საკმაოდ ვიწროა და შემოიფარგლება ევროპული ინსტიტუტების მონიტორინგით ადამიანის უფლებების, მათ შორის ეკოლოგიური უფლებების, დაცვის სფეროში. სახალხო დამცველის ოფისი მდებარეობს სტრასბურგში (საფრანგეთი) და აქვს კიდევ ერთი განყოფილება ბრიუსელში (ბელგია).

საკმაოდ ვიწრო კომპეტენციის მიუხედავად, ევროპის გაერთიანების სახალხო დამცველს უფლება აქვს, მონიტორინგი ჩაუტაროს ევროკომისიის საქმიანობას ევროგაერთიანების ხელშეკრულების დაცვის მოტივით, რითაც თავისთავად იგი დგას ევროგაერთიანების პოლიტიკის და სამართლის დაცვის სადარაჯოზე, მათ შორის ეკოლოგიური უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც, თუ ხდება მათი დარღვევა წევრი სახელმწიფოების მიერ.

ეკოლოგიური უფლებების დაცვა თავისი შინაარსით ძალიან სპეციფიკური სფეროა და მეტ ყურადღებას მოითხოვს. ეკოლოგიური უფლებები ენიჭებათ როგორც ინდივიდებს, ასევე ინდივიდთა ჯგუფებს ერთობლივად, რამეთუ თვით გარემო არ შეიძლება იყოს ვინმეს საკუთრება და მასზე მიყენებული ზიანი უარყოფითად აისახება ძირითადად ადამიანთა ჯგუფებსა და არა კონკრეტულად ინდივიდებზე. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების სასამართლო სისტემის სუსტი მხარის შესახებ, რაც ეკოლოგიური უფლებების დარღვევის მოტივით წარდ-

37. *Francovich and Bonifacci v. Italy.*, Case 679/90, 1993.

38. *R. v. Secretary of State for Transport ex parte Factortame; Brasserie du Pecheur S.A v. Federal Republic of Germany Joined Cases 4678/93.*

გენილი საჩივრების მიმართ გულგრილი დამოკიდებულებით გამოიხატება. სწორედ აქ ვლინდება სახალხო დამცველის საქმიანობის ძირითადი არსი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელობას ანიჭებს ამ პრობლემებს. ამის ნათელი დადასტურებაა ის ყოველწლიური და სპეციალური ანგარიშები, რომლებიც წლების განმავლობაში (1998 წლიდან დღემდე) სისტემატურად ქვეყნდება სახალხო დამცველის ოფისის მიერ.³⁹ თუმცა, როგორც სტატიის წინა ნაწილებში აღინიშნა, მხოლოდ ეროვნული სასამართლოების კომპეტენციაში შედის ამგვარი საკითხების (ინდივიდუალური სარჩელების) განხილვა. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის დამოუკიდებელი ინსტიტუტის არსებობა, რომელიც მუდმივ კონტროლს და მონიტორინგს უწევს ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების ინსტიტუტებს.

მაინც რას საქმიანობს ევროგაერთიანების სახალხო დამცველი გაერთიანების ფარგლებში ევროპის ეკოლოგიური სამართლის ნორმების უკეთ აღსრულების მიზნით?

ერთი მხრივ, მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია იმ ნაკლიოვანებათა მონიტორინგები, რომლებიც ტარდება წევრი სახელმწიფოებისა და გაერთიანების სამართალს შორის; მეორე მხრივ, სახალხო დამცველი იხილავს იმგვარ საჩივრებს, რომლებიც გაერთიანების ინსტიტუტების გაუმართავ საქმიანობას ეხება. ამ მხრივ, სახალხო დამცველი აკონტროლებს, თუ რამდენად გამჭვირვალედ ახორციელებენ საკუთარ საქმიანობას ეს ინსტიტუტები, მათ შორის ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის მხრივ. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის ოფისი განსაკუთრებულ ყურადღებას გამჭვირვალე საქმიანობასა და ოფიციალური სტრუქტურების ანგარიშვალდებულებას აქცევს, რაც მეტად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური უფლებების დაცვის მხრივ, რამეთუ ადეკვატური და ობიექტური ინფორმაციის ფლობა თავისთავად ეკოლოგიური უფლებების დაცვას ნიშნავს. ამასთანავე, სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იმის დადგენაა, თუ რამდენად ადეკვატურ ზომებს იღებენ შესაბამისი ინსტიტუტები საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

საინტერესოა, რომ ევროგაერთიანების სახალხო დამცველის ოფისს საჩივრით შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა ფიზიკურმა (მოქალაქე ან მუდმივად მცხოვრები პირი) და იურიდიულმა პირმა, ხოლო საჩივრის წარდგენა შესაძლებელია ევროგაერთიანების ნებისმიერი ინსტიტუტის წინააღმდეგ. ამასთანავე, თუ საქმე შეეხება ეროვნულ ინსტიტუტებს, სახალხო დამცველი საქმეს შესაბამის ეროვნულ სტრუქტურებს გადაუგზავნის.

39. Reports on the activities of the European Ombudsman - Committee on Petitions. <http://www.ombudsman.europa.eu>.

5. დასკვნა

წინამდებარე სტატიაში განხილული საკითხების ანალიზიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის გაერთიანების ერთერთი უმთავრესი მიზანი ადამიანის უფლებების დაცვაა, შესაძლებელია, გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ ევროპის გაერთიანების ჩამოყალიბების სათავეებთან ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა, ეს საკითხი თანამედროვე ევროგაერთიანების სამართლის უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილია. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დღევანდელი ევროგაერთიანების სამართალსა და საერთოდ პოლიტიკაში ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალიზებულია. ამაზე მიუთითებს თვით ევროგაერთიანების ინსტიტუტების საქმიანობა და თითოეული მოქალაქეს სამართლებრივ-მორალური მიდგომაც. სამრეწველო პროგრესის მიუხედავად, რაც ადამიანის ეკოლოგიური უფლებების მნიშვნელოვან დარღვევას იწვევდა, დღეს ევროგაერთიანების ფარგლებში შექმნილია იმგვარი სამართლებრივი ბაზა, რომელიც რეალურ ბერკეტებს ქმნის ამ უფლებების დარღვევის წინააღმდეგ. ევროგაერთიანების ქვეყნებში ძალიან აქტუალურია გარემოსდაცვითი სამართლის ურთიერთპარმონიზაციის საკითხიც, რაც უმნიშვნელო, მაგრამ მაინც არსებული ნაკლოვანებებისა და სამართლებრივი კოლიზიების აღმოფხვრას შეუწყობს ხელს. ძალზე საინტერესოა ევროპული მართლმსაჯულების სასამართლოს საქმიანობაც, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად ცდილობს მოახდინოს იმგვარი პრეცედენტული სამართლის ჩამოყალიბება, რომელიც რეალურ გავლენას მოახდენს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის ინსტიტუტის შემდგომ განვითარებაზე, რამეთუ მხოლოდ საერთო ძალისხმევითა და ერთობლივი მონდომებით არის შესაძლებელი გარემოს ჯანსაღი სახით შენარჩუნება ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გაფალისწინებით.

პესარიონ პოსაშვილი

ადამიანის უფლებათა ევროკული სასამართლოს როლი სრციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა დაცვის სფეროში

„ადამიანის უფლებები არ გახდავთ უტოპიური იდეალები. უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მოითხოვს ... ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე სამართლებრივი სისტემების ჩამოყალიბებას, რომელთა საშუალებითაც ინდივიდუალურ პირებს ექნებათ შესაძლებლობა, გაასაჩივრონ და იდავონ თავიანთი დარღვეული უფლებების თაობაზე“.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უნივერსალური ხასიათი, ურთიერთდამოკიდებულობა და განუყოფლობა ცალსახად იქნა დადასტურებული ვენის დეკლარაციითა და სამოქმედო გეგმით². თუმცა ხსენებულმა დეკლარაციამ წერტილი დაუსვა უფლებების დაყოფას თაობებად და გაცხადებულ იქნა, რომ სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური ხასიათის უფლებები და სახელმწიფოები ვალდებული არიან, მაქსიმალურად უზრუნველყონ ყველა სახის უფლებები, ამავე დროს, ვენის დეკლარაციამ და სამოქმედო გეგმამ დასაბამი დაუდო აზრთა სხვადასხვაობისა და პოლემიკის წამოჭრას ყველა სახის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორი ხასიათის, ურთიერთდამოკიდებულობისა და განუყოფლობის განმარტებასთან დაკავშირებით.

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისარ ქ-ნ არბოს განცხადება სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე, რომლის მიზანიც არის წინადადებების შემუშავება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტის დამატებითი ოქმის შემუშავებასთან დაკავშირებით, 2005 წლის 14 იანვარი.

2. ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენცია, ვენა, 1993 წლის 14-25 ივნისი, A/CONF.157/23, პუნქტი 5.

ზემოხსენებული პოლემიკა და აზრთა სხვადასხვაობა ძირითადად ეხება უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორ განხორციელებასა და დაცვას პრაქტიკულ დონეზე. მაშინ როდესაც რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედებს სახელმწიფოების მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური ხასიათის უფლებების დაცვასა და უზრუნველყოფაზე ზედამხედველი ორგანოები, რომლებიც იხილავენ სახელმწიფოების მხრივ უშუალოდ სამოქალაქო და პოლიტიკური ხასიათის უფლებების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ განაცხადებს, ფიზიკური პირები მოკლებული არიან ანალოგიურ შესაძლებლობას ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან მიმართებით. იმ ფონზე, როდესაც არ არსებობს საზედამხედველო ორგანოები, რომლებიც პირდაპირ და უშუალოდ განიხილავენ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ხასიათის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ პრეტენზიებს, ისმის რამდენიმე კითხვა: შესაძლებელია თუ არა საერთოდ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელება პრაქტიკულ დონეზე? შესაძლებელია თუ არა, დაინტერესებულმა პირმა წარადგინოს სარჩევი, თუნდაც ირიბი ფორმით, საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოში ამ სახის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით?

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე განვითარებული სამართლებრივი და სასამართლო პრაქტიკა ნათლად მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების გასაჩივრება შესაძლებელია, მაგრამ არა პირდაპირი, არამედ ირიბი გზით, ანუ სამოქალაქო და პოლიტიკური ხასიათის უფლებების მოქმედების ფარგლების გაფართოების მეშვეობით. რეგიონალურ საზედამხედველო ორგანოების, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, უახლესი სამართლებრივი პრაქტიკა ნათლად მიგვანიშნებს, რომ, მართალია, ევროპული სასამართლოს ძირითადი და უნინარესი დანიშნულება სახელმწიფოების მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ეფექტური დაცვის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობაა, მაგრამ სულ უფრო და უფრო ხშირად სტრასბურგის სასამართლო აფართოებს სამოქალაქო და პოლიტიკური ხასიათის ცალკეული უფლებების ფარგლებს იმგვარად, რომ ურთიერთობები, რომლებიც ერთი შეხედვით ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ხასიათის უფლებების რეგულირების საგნად წარმოჩნდებიან, ექცევიან სამოქალაქო და პოლიტიკური ხასიათის უფლებების რეგულირების სფეროში და, შესაბამისად, სასამართლოც კომპეტენტურია, რომ განიხილოს ისინი.

ხსენებული პრაქტიკით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ცდილობს, აღმოფხვრას ის ხარვეზი, რომელიც უკავშირდება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პრაქტიკულ განხორციელებასა და ეფექტურ დაცვაზე ზედამხედველი ორგანოების არარსებობას. მართა-

ლია, არაპირდაპირ, მაგრამ სტრასბურგის სასამართლო, სამოქალაქო და პოლიტიკური ხასიათის უფლებების მოქმედების სფეროს გაფართოებით, მაინც ეფექტურად იცავს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ხასიათის უფლებებს.

ხსენებული პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრეცედენტული სამართლი ნათლად მიგვანიშნებს, რომ თითქმის ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლება შეიძლება მოხვდეს ფალკეული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კონკრეტული დებულებების მოქმედების ფარგლებში, მაგალითად: ჯანმრთელობისა და ჯანმრთელი გარემოს უფლება ინკორპორირებულ იქნა სიცოცხლის უფლებაში, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვაში და მოიცავს ისეთ უმნიშვნელოვანეს ასპექტებს, როგორებიცაა; ჯანმრთელი გარემოს უზრუნველყოფა, სიცოცხლისათვის საშიში გარემოს შესახებ მოსახლეობის დაუყოვნებლივ ინფორმირება და ქმედითი ღონისძიებების მიღება პრობლემების აღმოსაფხვრელად, სამედიცინო მომსახურების აღმოჩენასთან დაკავშირებით დისკრიმინაციის აკრძალვა, თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებითა და მეურნალობით; შრომის უფლება, თავის მხრივ, ყოველთვის მჭიდროდაა გადაჯაჭვული მონიბისა და იძულებითი შრომის აკრძალვასთან, პროფესიურების დაარსებასთან, მათ წევრობასა და მათ საქმიანობაში მონაწილეობასთან, რაც გარანტირებულია შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით; საცხოვრებლის უფლება და ის ურთიერთობები, რომლებიც ხდება ამ სოციალური უფლების სფეროში, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების განუყოფელი ნაწილია.

ყოველივე ზემოხსენებული ნათლად მიუთითებს, რომ მაშინ, როდესაც პირდაპირი გზით შეუძლებელია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელება და დაცვა რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე, ამ უფლებების დაცვა მაინც ხდება ირიბი გზით და ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი.

სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ქვემოთ მოცემული ანალიზი ნათელი დასტურია, რომ შესაძლებელია სასამართლო ზედამხედველობის განხორციელება ჯანმრთელობის უფლების, საცხოვრებლის უფლების, შრომის უფლების დაცვასთან დაკავშირებით. ხსენებული უფლებები წმინდა ეკონომიკური და სოციალური ხასიათისაა და, ამავე დროს, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ თითოეული ადამიანისათვის ყოველდღიურ ცხოვრებაში. შესაბამისად, სასამართლოს გზით მათი დაცვა არის წინაპირობა ამ უფლებების ეფექტური განხორციელებისათვის.

1. ჯანმრთელობის უფლება და ევროპული სასამართლო

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებიდან ჯანმრთელობის უფლების განხორციელება და ეფექტურად დაცვა ყველაზე უფრო გავრცელებულია და ხშირად გვხვდება პრაქტიკაში. ჯანმრთელობა - ესაა ადამიანის სრული ფიზიკური, სულიერი და სოციალური სიჯანსაღე და არა მხოლოდ გარკვეული დაავადებების არქონა³. მაშინ როდესაც არ მოიპოვება „სიჯანსაღეს“ ზუსტი განმარტება თვით მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კონსტიტუციის მოსამზადებელ მასალებშიც⁴ კი (*travaux préparatoires*), ჯანმრთელობის ცნება ეკონომიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებების გაეროს ექსპერტთა კომიტეტმა განმარტა, როგორც უფლება, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ დროულ და შესაფერის მკურნალობაზე, არამედ ასევე ჯანმრთელობის ისეთ ბაზისურ ასპექტებზე, როგორებიცაა: ხელმისაწვდომობა სუფთა სასმელ წყალსა და სანიტარიაზე, შესაფერისი საკვებისა და სტანდარტების არსებობაზე, საჭირო ვიტამინებით უზრუნველყოფაზე, ჯანმრთელ გარემოსა და სამუშაო პირობებზე, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განათლებით უზრუნველყოფაზე, მათ შორის სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებითაც.⁵

ჯანმრთელობის უფლება არ ნიშნავს უფლებას, იყო ჯანმრთელი, არამედ იგი მოიაზრებს ინდივიდის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და სახელმწიფოს ხელთ არსებულ რესურსებსა და შესაძლებლობას, უზრუნველყოს პირის ჯანმრთელობა.

ჯანმრთელობის უფლების მოქმედების ფარგლები მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბოლო ათწლეულში და მოიცვა ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორებიცაა: უფლების პატივისცემა, დაცვა და განხორციელება.

ჯანმრთელობის უფლების პატივისცემა გულისხმობს მკურნალობასა და სამედიცინო მომსახურებაზე გარკვეული ჯგუფებისათვის უარის თქმის ან შეზღუდვის აკრძალვას. ასეთ ჯგუფებში მოიაზრებიან პატიმრები, უმცირესობები, თავშესაფრის მაძიებლები და არალეგალური მიგრანტები. ჯანმრთელობის უფლების პატივისცემა მოითხოვს დისკრიმინაციული პოლიტიკის კატეგორიულ აკრძალვას მკურნალობაზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით და აკისრებს ვალდებულებას სახელმწიფოებს, გაატარონ ეფექტური

3. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კონსტიტუციის პრეამბულა, რომელიც მიღებულ იქნა ჯანმრთელობის საერთაშორისო კონფერენციაზე, ნუუ-იორკი, 1946 წლის 19-22 ივნისი; ხელმოწერილია 1946 წლის 22 ივნისს 61 სახელმწიფოს წარმომადგენლოთა მიერ (Official Records of the World Health Organization, no. 2, გვ. 100) და ძალაში შევიდა 1948 წლის 7 აპრილს.

4. Katarina Tomasevski, Health Rights, Economic, Social and Cultural Rights, Absjorn Eide, Catarina Krause and Allan Rosas, 1995.

5. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი მოხსენება: უფლება ჯანმრთელობის მაქსიმალურად ეფექტურად დაცვასთან დაკავშირებით, 11/08/2000.

ღონისძიებები ამ მხრივ;

ჯანმრთელობის უფლების **დაცვა** ხორციელდება სახელმწიფოს მიერ შესაბამისი კანონმდებლობის მიღებით ან ისეთი ღონისძიებების განხორციელებით, რომლებიც უზრუნველყოფენ თანაბარ ხელმისაწვდომობას მკურნალობაზე, რომელსაც უზრუნველყოფს არა სახელმწიფო, არამედ მე-3 მხარე, ანუ კერძო სექტორი. ხსენებული ასპექტი ასევე გულისხმობს იმ გარანტის არსებობას, რომ ჯანდაცვის სექტორის პრივატიზაციამ საფრთხე არ შეუქმნას სამედიცინო მომსახურებისა და მკურნალობის, აგრეთვე სამედიცინო პრეპარატების ხელმისაწვდომობას, ხარისხიანობას, ვარგისიანობასა და მათ გასაღებას. ჯანმრთელობის უფლების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი სამედიცინო პერსონალის სათანადო დონეზე მომზადება და მათი პრაქტიკის კონტროლის უზრუნველყოფაა;

ჯანმრთელობის უფლების **განხორციელება** მოიცავს სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო ბაზისა და ეროვნული ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებას, მათ შორის უმთავრეს ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებით იმუნიზაციის პროგრამების განხორციელებას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ვიტამინებით მდიდარ საკვებსა და სასმელ წყალზე, სანიტარიასა და ჯანმრთელ გარემოზე, საკმარისი საავადმყოფოების, კლინიკებისა და სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობასა და მათ ფუნქციონირებას, ყოველივე ზემოხსენებულის თანაბარ გადანაწილებას სახელმწიფოს შიგნით იმგვარად, რომ ყველა კუთხის მცხოვრებთ და უმცირესობებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი ჯანმრთელობის დაცვასა და მკურნალობაზე.

ჯანმრთელობის უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებით აქტიურია ზემოსენებული უფლების დაცვასა და პრაქტიკულ დონეზე განხორციელებაში. როგორც აღინიშნა, ევროპული სასამართლო ჯანმრთელობის უფლებასთან დაკავშირებულ ასპექტებს განიხილავს რამდენიმე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლების დებულებათა ფარგლებში, როგორებიც არის: სიცოცხლის უფლება, წამების, არაადამიანური და ლირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება და სხვ.

სიცოცხლის უფლების, წამების აკრძალვისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის კონტექსტში სტრასტურგის სასამართლომ რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი საქმე განიხილა, რომლებიც მოიცავდნენ ჯანმრთელობის უფლების ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა: მძიმე ავადმყოფობით დაავადებული პირის დეპორტაცია ქვეყანაში, სადაც შეუძლებელი იყო ჯეროვნად მკურნალობა, სიცოცხლისათვის საშიშ გარემოში ცხოვრება, პატიმრების უზრუნველყოფა სათანადო მკურნალობით, სამედიცინო პერსონალის სათანადო დონეზე მომზადება, ექიმის მიერ დაშვებული შეცდომები და სხვ.

დაკავშირებით აშკარად დისკრიმინაციული პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად იქნა დაგმობილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ცნობილ სახელმწიფოთაშორის საქმეში - *Cyprus v. Turkey*⁶ (კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ). სასამართლოს განმარტებით: „მაშინ, როდესაც ნათელი ხდება, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ხელისუფლების ორგანოები საფრთხეს უქმნიან ინდივიდის სიცოცხლეს მისთვის იმ სახის სამედიცინო მომსახურებაზე უარის გაცხადებით, რომელიც ხელმისაწვდომია ზოგადად მოსახლეობისათვის, დღის წესრიგში შესაძლოა დადგეს სიცოცხლის უფლების სავარაუდო დარღვევის საკითხი“.

პრეცედენტული სამართალი ნათლად წარმოაჩენს ხელშემკვრელი სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ხსენებულის ნათელი წარმოჩენაა სასამართლოს განჩინება საქმეზე - *Calvelli and Cagli v. Italy*⁷ (კალველი და ციგლიო იტალიის წინააღმდეგ). სასამართლოს თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, შეიმუშაონ ისეთი სამართლებრივი სისტემა, საკანონმდებლო და პრაქტიკული კუთხით, რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული პაციენტთა სიცოცხლე, ხოლო საავადმყოფოში, პაციენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, წარმოებულ იქნეს სწრაფი, ყოვლისმომცველი და ეფექტური გამოძიება, შედეგად კი შესაძლებელი უნდა იყოს პასუხისმგებელი პირის მოძიება და დასჯა. რაც შეეხება ეფექტურ საშუალებებს ჯანმრთელობის არასათანადო დაცვასთან დაკავშირებით სამედიცინო პერსონალის მიერ პაციენტის მიმართ დაშვებულ შეცდომებთან მიმართებით, სასამართლომ განმარტა, რომ აუცილებელი არ არის სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. ასეთ შემთხვევებში სამოქალაქო სამართალნარმოება სრულად აკმაყოფილებს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების მოთხოვნებს.

ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა მხოლოდ ფორმალურად არ არის საქმარისი იმისათვის, რათა სახელმწიფოებმა ჯეროვნად შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები. საქმეში — *D. v. the United Kingdom*⁸ (დ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), განმცხადებელი დაავადებული იყო შიდასის ვირუსით და მას ემუქრებოდა დეპორტაცია სენტ-კიტსში. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დეპორტაციის შემთხვევაში იგი მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას, მიეღო სათანადო სამედიცინო დახმარება სენტ-კიტსში, სადაც არ არსებობდა შესაბამისი მკურნალობის ცენტრები თუ საჭირო მედიკამენტები. მას შემდგომ, რაც გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება განმცხადე-

6. განაცხადი №25781/94, 2001 წლის 10 მაისის განჩინება.

7. 2002 წლის 17 იანვრის განჩინება, განაცხადი №32967/96; P. Leach, *Taking a Case to the European Court of Human Rights*, 2005.

8. 1997 წლის 2 მაისის განჩინება (განაცხადი №30240/96).

ბლის დეპორტაციასთან დაკავშირებით, ბ-ნმა დ-მ განაცხადით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და ამტკიცებდა, რომ მისი, როგორც შიდსით დაავადებული ავადმყოფის, დეპორტაცია ქვეყანაში, სა-დაც შეუძლებელი იქნებოდა შესაბამისი და ჯეროვანი მკურნალობის ჩა-ტარება, ეწინააღმდეგებოდა სიცოცხლის უფლებისა და წამების აკრძალ-ვის დებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად გაერთიანებული სამეცო არ იყო ვალდებული, თავშესაფარი მიეცა შიდსით დაავადებული პირისათვის და აღმოჩენისას შესაბამისი მკურნალობა, ევროპულმა სასამარ-თლომ შეაფასა მის წინაშე წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განმცხადებლის დეპორტაცია სენტ-კიტსში და არაჯეროვანი სამედიცინო მკურნალობის რისკი, წინააღმდეგობაში მო-ვიდოდა კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებულ წამების, არაადამიანუ-რი და ლირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვასთან და, შესაბამისად, ხელყოფდა ჯანმრთელობის დაცვის ეფექტურ გარანტიებს.

ბოლო დროს განვითარებული ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დებულებების შესაბამისად, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აკისრიათ თითქმის აბსოლუტური ვალდებულება, უზრუნველყონ პატიმრე-ბი სათანადო და ჯეროვანი სამედიცინო მომსახურებითა და მკურნალობით. აღნიშნული მიდგომა კიდევ უფრო გაამყარა წამების საწინააღმდეგო კო-მიტეტმა, რომელმაც მე-3 ზოგად მოხსენებაში აღნიშნა, რომ: „არაადეკვა-ტური მკურნალობა და ჯანმრთელობის დაცვა შესაძლო ძალიან სწრაფად გადაიზარდოს არაადამიანურ და ლირსების შემლახველ მოპყრობაში“. ხსე-ნებულის ნათელი დასტურია ევროპული სასამართლოს (ევროპული კომი-სიის) მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე - *Hurtado v. Switzerland*⁹ (პურტადო შვედეთის წინააღმდეგ). აღნიშნული საქმე მოგვიანებით მეგო-ბრული მორიგებით დამთავრდა, მაგრამ მორიგების მიღწევამდე ევროპულ-მა კომისიამ დაადგინა, რომ დაირღვა მე-3 მუხლი, რადგან განმცხადებელი დაპატიმრების შემდგომ არ უზრუნველყევეს სათანადო სამედიცინო შემოწ-მებით, იგი არ გააშუქეს რენტგენზე 7 დღე-ლამის განმავლობაში. მოგვია-ნებით განხორციელებულმა შემოწმებამ კი ცხადყო, რომ განმცხადებელს გატეხილი ჰქონდა ნეკნი, რაც ძალიან მტკიცნეულია და, შესაბამისად, ხე-ლისუფლების ორგანოების მხრიდან განმცხადებლის ჯანმრთელობისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ გამოიწვია არაადამიანური და ლირსების შემლახველი მოპყრობა.

ანალოგიური მიდგომა განახორციელა სასამართლომ საქმეში - *Popov v. Russia*,¹⁰ სადაც განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა მოსკოვის წინასწარ საგამოძიებო იზოლატორში №77/1. სამედიცინო შემოწმების შე-

9. განაცხადი №17549/90.

10. განაცხადი №26853/04, 2006 წლის 13 ივლისის განჩინება.

დეგად გაცემულ იქნა რეკომენდაცია, რომ განმცხადებელს გაევლო ურო-ონკოლოგიური გამოკვლევა და ცისტოსკოპია. ხსენებული გამოკვლევა რამდენიმეჯერ იქნა დანიშნული, მაგრამ ვერ განხორციელდა, რადგანაც განმცხადებელს უწევდა სასამართლო სამართალწარმოების სხდომებზე დასწრება, დანიშნული გამოკვლევა კი ყოველთვის ემთხვეოდა იმ დროს, როდესაც განმცხადებელი უნდა ყოფილიყო სასამართლო სხდომებზე. ვინაიდან წლისა და ცხრა თვის განმავლობაში განმცხადებელი არ ყოფილა გასინჯული უროონკოლოგის მიერ და არ ჩატარებულა ციტოსკოპია (თუნდაც არ ყოფილიყო ზემოხსენებული სამედიცინო რეკომენდაცია გამოკვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით, რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, ხსენებული შემოწმება უნდა განხორციელებულიყო წელიწადში ერთხელ მაინც), სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი არ ყოფილა უზრუნველყოფილი სათანადო სამედიცინო დახმარებით.

ამასთანავე, სასამართლომ ყურადღება გააძახვილა იმ ფაქტზე, რომ სიმსივნის ზუსტი დიაგნოზის დასმის შემდგომ გაჭიანურებას შესაძლოა უკვე მოჰყოლოდა სავალალო შედეგები, როდესაც ქირურგიული ჩარევაც კი შეუძლებელი გახდებოდა. აღნიშნულის გაანალიზება და აღქმა კი, სავარაუდოდ, აუტანელ ტანჯვასა და დაუკველობა-უსუსურობის შეგრძნებას ბადებდა განმცხადებელში, განსაკუთრებით კი იმ ფაქტორის მხედველობაში მიღებით, რომ მან იცოდა თავის პროსტატაში ნეოპლაზმის არსებობის შესახებ, რაც გამოაშკარავებულ იქნა პირველადი ულტრაბგერითი შემოწმებით და ამიტომაც საჭიროებდა კვალიფიცირებული სპეციალისტის მიერ შემოწმების განხორციელებასა და საბოლოო დიაგნოზის დასმას.

ციხის ადმინისტრაციის მხრიდან განმცხადებლის ჯანმრთელობაზე არა-საკმარისი ზრუნვა იქნა დადგენილი ასევე საქმეში - *Keenan v. the United Kingdom*¹¹. აღნიშნული საქმე ეხებოდა ფსიქიკურად გაუწონასწორებელ პატიმარს, რომელსაც მიდრეკილება ჰქონდა თვითმკვლელობისაკენ. ასეთ პირობებში პატიმრის დასჯა და მისი კარცერში მოთავსება, სადაც განმარტოებით ყოფნის დროსაც მან თავი ჩამოიხრჩო, ასევე მისთვის 28 დღით პატიმრობის გაგრძელება და განმცხადებლის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაგზავნაზე თავის შეკავება ციხის ადმინისტრაციის მხრიდან იყო ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დებულებების დარღვევა.

რა თქმა უნდა, ზემოხსენებული არ ნიშნავს, თითქოს სახელმწიფოს ინდივიდების ჯანმრთელობაზე ზრუნვის ვალდებულება ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი პატიმრობაში იმყოფებიან. საქმეში - *L.C.B v. the United Kingdom*¹² - განმცხადებელი ცდილობდა, დაერწმუნებინა ევროპული სასამართლო სახელმწიფოს პასუხისმგებლობაში მის ლეიკემიით დაავადებასთან დაკავშირებით, რომელიც მას, სავარაუდოდ, განუვითარდა

11. 2001 წლის 3 აპრილის განჩინება, განაცხადი N27229/95.

12. 1998 წლის 9 ივნისის განჩინება, განაცხადი N23413/94.

მისი მამის ყოფნით ქრისტეშობის კუნძულზე 1957-1958 წლებში, სადაც, იმ დროს გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ განახორციელა რამდენიმე საცდელი ატომური აფეთქება. სახელდობრ: განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ ვერ შეძლო, სათანადო ღონებზე უზრუნველეყო, მისი მამა განრიდებოდა სიცოცხლისათვის საშიშ რადიაციას. თუმცა სასამართლომ ვერ დაადგინა მიზეზობრივი კავშირის არსებობა 50-იან წლებში განხორციელებულ საცდელ ატომურ აფეთქებასა და განმცხადებლის ლეიკემიას შორის და, შესაბამისად, არ ცნო კონვენციის დებულებების (სიცოცხლის უფლების) დარღვევა, განჩინებაში აღნიშნა, რომ „მიზეზობრივი კავშირის არსებობის შემთხვევაში, თუკი მამის რადიაციით დასხივება საფრთხეს შეუქმნიდა განმცხადებლის ჯანმრთელობას, სახელმწიფო ვალდებული იქნებოდა, გაეფრთხილებინა განმცხადებლის მშობლები და მუდმივად ეწარმოებინა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი“.

ჯანმრთელი და ცხოვრებისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულებას ეხებოდა საქმე - *Fadeyeva v. Russia*¹³, რომელშიც განმცხადებელი ქალბატონი ამტკიცებდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა მეტალურგიული ქარხნის გვერდით ცხოვრებით. მართალია, განმცხადებელს არ გააჩნდა რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ დაადასტურებდა, რომ მისი ავადმყოფობა გამოწვეული იყო გარემოს დაბინძურებით, განმცხადებელმა მაინც შეძლო, სასამართლოსათვის წარედგინა სხვადასხვა სახის ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც, თავის მხრივ, ადასტურებდნენ გარემოს უხეში დაბინძურების ფაქტს. განმცხადებლის თანახმად, წარდგნილი დოკუმენტები ამტკიცებდნენ, რომ გარემოს ასეთ დაბინძურებას დაქვემდებარებული პირი აუცილებლად განიცდიდა ჯანმრთელობის გაუარესებას და სერიოზული ზიანი მიადგებოდა. წინამდებარე საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები საქმის კურსში იყვნენ გარემოს გადაჭარბებულ დაბინძურებასთან დაკავშირებით და შეეძლოთ შეეფასებინათ, თუ რაოდენ დიდი ზიანი შეიძლებოდა მიყენებოდა ადგილობრივ მაცხოვრებლებს. ხელისუფლების ორგანოებს ასევე უნდა შეეფასებინათ დაბინძურებით წარმოქმნილი საფრთხე და განეხორციელებინათ ღონისძიებები გარემოს დაბინძურების შემცირებასთან დაკავშირებით. ზემოხსენებული გარემოებების ერთობლიობამ წათლად წარმოაჩინა კავშირი გარემოს დაბინძურებასა და სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას შორის - უზრუნველყოფილ იქნეს ჯანმრთელი და უსაფრთხო გარემო. შედეგად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სევერსტალის მეტალურგიული ქარხნის მიერ გარემოს დაბინძურების შედეგად გამოწვეული შედეგები არ შეესაბამებოდა ჯანმრთელობისათვის აუცილებელ სტანდარტებს, რომლებიც დადგენილი იყო რუ-

13. 2005 წლის 9 ივნისის განჩინება, განაცხადი №55723/00.

სეთის შესაბამისი კანონმდებლობით. აღნიშნულის საფუძველზე რუსეთის ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების უმოქმედობა გარემოს დაბინძურების შედეგების გამოსწორებასა და დაბინძურების დონის რუსეთის კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის სტანდარტებთან მოყვანასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია სახელმწიფოზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების დარღვევად მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების კუთხით.

არა მხოლოდ საცხოვრებლად ჯანმრთელი გარემო და სამედიცინო დახმარება ხვდება ევროპული კონვენციის არეალში, არამედ ასევე ამ სამედიცინო დახმარების აღმოჩენა კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ. თუმცა რამდენად შესაძლებლია, სამედიცინო პერსონალის მიერ დაშვებულმა შეცდომამ გამოწვიოს ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, ეს დამოკიდებულია კონკრეტული საქმის ყველა ფაქტობრივ გარემოებაზე. საქმეში - *Powell v. the United Kingdom*¹⁴ - სასამართლომ დაადგინა: „არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედი ხელისუფლების ორგანოების მოქმედებამ ან უმოქმედობამ კონკრეტულ გარემოებებში დღის წესრიგში დააყენოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის კუთხით. თუმცა მაშინ, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფო უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა მაღლალი სტანდარტებით მომზადებასა და პაციენტთა სიცოცხლის დაცვას, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ექიმის ან ჯანდაცვის მუშაკის ცალკეული შეცდომისათვის ან პაციენტის მიმართ გაუფრთხილებელი ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობა დაეკისროს ხელშემკვრელ მოპასუხე სახელმწიფოს, რაც საკმარისი იქნება ... სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევისათვის“. ანალოგიური მიდგომა განახორციელა სასამართლომ მოგვიანებით განვითარებულ პრეცედენტულ სამართალში საქმეზე - *Vo. v. France*.¹⁵ აღნიშნულ საქმეში საუბარია იშვიათ ფატალურ დამთხვევზე - შეცდომა დაუშვა ფრანგმა გინეკოლოგმა, რომელმაც ვერ გაარკვია პაციენტთან საუბრისას (პაციენტის მიერ ფრანგულის არცოდნის გამო), თუ რა სურდა ამ უკანასკნელს და სამედიცინო ისტორიის გაცნობის შემდგომ შეუდგა კონტრაცეპტივის (სპირალის) ამოლებას. იმავე დღეს იმავე გვარის ორსული ქალბატონი ვუ იყო ჩანაწერილი მიღებაზე. ექიმი გვიან მიხვდა შეცდომას, სამწუხაროდ, უკვე დაზიანებული იყო საწყლე ბუშტი და საჭირო გახდა ნაყოფის მოცილება. მიუხედავად გაუფრთხილებლად დაშვებული შეცდომისა, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ გინეკოლოგის მიერ დაშვებული შეცდომის გამო სახელმწიფო არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო პასუხისმგებლად. ამასთანავე, სასამართლომ განსაკუთრებული

14. 2000 წლის 4 მაისის განჩინება, განაცხადი №45305/99.

15. 2004 წლის 8 აგვისტოს განჩინება, განაცხადი №53924/00.

ყურადღება დაუთმო იმ ფაქტს, რომ ევროპულ სახელმწიფოებს შორის არ იყო მიღწეული კონსენსუსი იმ საკითხთან დაკავშირებით, სარგებლობდა თუ არა ნაყოფი სიცოცხლის უფლებით.

ჯანმრთელობის არა მხოლოდ არსებითი ხასიათის უფლება, არამედ ასევე პროცედურული საკითხები აისახა ევროპულ კონვენციაში. საქმეში - *Feldbrugge v. the Netherlands*¹⁶ (ფელდბრუჟი ნიდერლანდების წინააღმდეგ) - „სასამართლომ პირველად განიხილა სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებული ასპექტები, კერძოდ კი ავადმყოფობის დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხი“. სასამართლომ გადაწყვიტა, გაეფართოებინა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში არსებული სამოქალაქო უფლებათა ავტონომიური კონცეფცია იმგვარად, რომ ამ უკანასკნელს მოეცვა ავადმყოფობასთან დაკავშირებული დაზღვევა და, შესაბამისად, სახელმწიფოს დაკისრებოდა ვალდებულება, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ინდივიდები უზრუნველეყო სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებით.

2. საცხოვრებლის უფლება და ევროპული სასამართლო

„ამჟამად მსოფლიოში 100 მილიონზე მეტ ადამიანს არ აქვს სახლი, 1 მილიარდ ადამიანს კი არ გააჩნია ადეკვატური საცხოვრებელი“.¹⁷ ხსენებული შემაშფოთებელი სტატისტიკა ნათლად მეტყველებს საცხოვრებლის უფლების მნიშვნელობასა და მისი ეფექტურად დაცვის საჭიროებაზე. მართალია, საცხოვრებლის უფლება არ გულისხმობს კეთილმოწყობილი და სრული კომფორტის მქონე საცხოვრებლის, ისევე როგორც საცხოვრებლის გარშემო დიდებული ბალებისა და პარკების ქონის უფლებას,¹⁸ მე-4 ზოგად მოხსენებაში¹⁹ ექსპერტთა კომიტეტმა განაცხადა, რომ საცხოვრებლის უფლება არ უნდა იქნეს განმარტებული ვიწროდ და შეზღუდულად.

სხვა სიტყვებით, საცხოვრებლის უფლება არ ნიშნავს მხოლოდ ისეთი თავშესაფრის ქონას, რომელსაც მხოლოდ თავზე სახურავი აქვს. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები ხომ სწორედ „ინდივიდუალური ლირსებებიდან“ გამომდინარეობს, ამდენად, საცხოვრებლის უფლებაც უნდა შეესაბამებოდეს და განიმარტოს სხვადასხვა ფაქტორისა და ასპექტის გათვალისწინებით. უმთავრესად კი მაინც ის უნდა გავი-

16. 1986 წლის 29 მაისის განჩინება, განაცხადი №8562/79.

17. ადეკვატური საცხოვრებლის უფლება (მუხლი 11 (1)), 1991 წლის 13 დეკემბერი, ზოგადი კომენტარი №4 ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტზე. (ზოგადი კომენტარები).

18. S. Leckie, *The Right to Housing, Economic, Social and Cultural Rights*, Absjorn Eide, Catarina Krause and Allan Rosas, 1995.

19. ადეკვატური საცხოვრებლის უფლება (მუხლი 11 (1)), 1991 წლის 13 დეკემბერი, ზოგადი კომენტარი №4 ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტზე. (ზოგადი კომენტარები).

თვალისწინოთ, რომ ყველა პირს უნდა ჰქონდეს საცხოვრებლის უფლება, მიუხედავად მისი შემოსავლისა თუ ეკონომიკური კეთილდღეობისა.

მეორე რიგში, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, უფლება ეხება არა მხოლოდ საცხოვრებლს, არამედ ადეკვატურ საცხოვრებლს. ადამიანთა პრობლემების გადაჭრის კომისიისა და 2000 წელს თავშესაფრის გლობალური სტრატეგიის თანახმად: „ადეკვატური თავშესაფარი ნიშნავს ... ადეკვატურ პირად ცხოვრებას, ადეკვატურ ფართს, ადეკვატურ უსაფრთხოებას, ადეკვატურ დღის სინათლესა და ვენტილაციას, ადეკვატურ ბაზისურ ინფრასტრუქტურასა და ადეკვატურ ადგილმდებარეობას სამუშაოსთან მიმართებით — ეს ყველაფერი კი გონივრულ ფასად. მიუხედავად სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონისა, მაინც არსებობს დაუყოვნებლივ შესასრულებელი ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც არამც და არამც არ არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებასა და შესაძლებლობებზე“.

პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებით მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, შემუშავდეს საცხოვრებლის ეროვნული სტრატეგია, რომელიც, თავშესაფრის გლობალური სტრატეგიის 32-ე პუნქტის მიხედვით, „უნდა განსაზღვრავდეს თავშესაფრის მიზანსა და თავშესაფრის პირობების განვითარებას, მოიძიებს შესაბამის რესურსებს ზემოხსენებული ამოცანების განსახორციელებლად და შეიმუშავებს ამ რესურსების ეფექტურად და მაქსიმალურად მიზანმიმართულად ხარჯვის მეთოდებს“. ხსენებული სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ თავშესაფრის არმქონე და არაა დეკვატური თავშესაფრის მქონე პირები. ექსპერტთა კომიტეტმა განმარტა, რომ სახელმწიფოების დაუყოვნებლად შესასრულებელი ვალდებულება პირებისათვის საცხოვრებლის წარმევის ან დაზიანების აკრძალვა, ეფექტური ლონისძიებების გატარება საცხოვრებლის დაცვასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, კომიტეტმა მე-7 ზოგად მოხსენებაში²⁰ განმარტა და საკუთარი დეფინიციით განსაზღვრა ტერმინი „იძულებით გამოსახლება“.

ხსენებული განმარტების თანახმად, გამოსახლება ნიშნავს „საცხოვრებელში მცხოვრები ან გარკვეულ მიწაზე დასახლებული პირების მუდმივ ან დროებით გამოყრას მათი ნების საწინააღმდეგოდ სამართლებრივი გარანტიების მინიჭებისა და დაცვის გარეშე. აღნიშნული ძირითადად მიუთითებს თვითნებურ და კანონის გვერდის ავლით განხორციელებულ გამოსახლებაზე და აკრძალვა არ ვრცელდება გამოსახლებაზე, რომელიც განხორციელებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლების მიერ. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევა-

20. ადეკვატური საცხოვრებლის უფლება (მუხლი 11 (1)),: იძულებითი გამოძევება, 1997 წლის 20 მაისი.

ში ეროვნული კანონმდებლობა სრულად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედ საერთაშორისო კანონმდებლობას.

პრაქტიკულ დონეზე ადეკვატური საცხოვრებლის უფლების განხორციელებისა და დაცვის სფეროში მეტად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადეკვატური საცხოვრებლის უფლება მეტად მჭიდროდაა გადაჯაჭვული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი და ოჯახური და ასევე საცხოვრებლის პატივისცემის უფლებასთან. საქმეში – *Marzari v. Italy*²¹ სასამართლო კიდევ უფრო შორს წავიდა და გარდა საცხოვრებლის დაცვისა, აშკარა გახადა, რომ კონკრეტულ შემთხვევებში სახელმწიფოებს შესაძლოა დაეკისროთ ვალდებულება, უზრუნველყონ ავადმყოფი პირები თავშესაფრით და მოუგვარონ მათ საცხოვრებლის პრობლემა. სასამართლოს თანახმად:

„მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ზოგადად არ მოიცავს სახელმწიფოსა და მისი ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებას, გადაჭრას ინდივიდუების საცხოვრებლის პრობლემები, ხელისუფლების ორგანოების მხრიდან უარის გაცხადებამ მძიმე ავადმყოფი პირისათვის საცხოვრებელი პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით, კონკრეტულ სიტუაციებში შესაძლოა წარმოშვას საკითხი მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით“.

საქმეში – *Chapman v. The United Kingdom*²² – ევროპულმა სასამართლომ განიხილა ქ-ნი სალი ჩეპმენის განაცხადი, რომელმაც 1985 წელს შეიძინა მიწის ნაკვეთი და სურდა იქ ეცხოვრა „ქარავნის ტიპის“ ცხოვრებით, მას შემდგომ, რაც იგი გამოაგდეს სხვადასხვა მიწის ნაკვეთიდან. ამ შემთხვევაშიც ქ-ნს უარი განუცხადეს მიწის ნაკვეთზე ცხოვრებასთან დაკავშირებით და მას მისცეს 15-თვიანი ვადა მიწის ნაკვეთის დასატოვებლად. განმცხადებელმა განაცხადი შეიტანა ევროპულ სასამართლოში და იგი ამტკიცებდა მე-8 მუხლის დებულებების დარღვევას. 1996 წელს საქმეზე - *Buckley v. UK (1996)* - მიღებული გადაწყვეტილების მსგავსად, მართალია, სასამართლომ აღიარა, რომ მოხდა განმცხადებლის მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებაში ჩარევა, მაგრამ აღნიშნული განხორციელდა კანონის მოთხოვნების სრული დაცვით და გამოსახლება აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლო დაეთანხმა მთავრობას, რომ, მომთაბარე ცხოვრებასთან დაკავშირებით, რასაც გეგმავდა განმცხადებლი მიწის ნაკვეთზე ბოშური, „ქარავნის ტიპის“, ცხოვრებით, საჭირო იყო შეზღუდვის გამოყენება გარემოს დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე და სახელმწიფოს ჰქონდა შეფასების ფართო ზღვარი.

21. 1999 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, განაცხადი №36448/97.

22. 2001 წლის 18 იანვრის განჩინება, განაცხადი № 27238/95.

საქმეში – *Loizidou v. Turkey*²³ – სასამართლომ განიხილა განმცხადებლის საჩივარი იმ მიწასა და საცხოვრებელ სახლზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობდა თურქეთის მიერ ოკუპირებულ კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში. განმცხადებლის მტკიცებით, მიწის №5390 ნაკვეთზე მან დაინყო ბინების მშენებლობა, რომელთაგან ერთ-ერთი განკუთვნილი იყო მისი და მისი ოჯახის საცხოვრებლად. მართალია, სასამართლომ არ გაავრცელა მე-8 მუხლის დებულება – „საცხოვრებლის“ ფარგლები იმ მიწაზე, რომელზეც დაგეგმილია ბინის აშენება ან ისეთ ტერიტორიაზე, სადაც პირი გაიზარდა ოჯახთან ერთად, მაგრამ აღარ ცხოვრობს ამჟამად, სასამართლომ მაინც დაადგინა კონვენციის დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლების დარღვევა.

განსხვავებული სიტუაცია იყო საქმეში – *Selcuk and Asker v. Turkey*²⁴, სადაც ევროპულმა სასამართლომ *Loizidou*-ს საქმისაგან განსხვავებით და-ადგინა, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დებულებები. სსენებული საქმის მიხედვით, ქ-ნი სელჩუკი და ბ-ნი ასკერი ცხოვრობდნენ სოფელ ისლამკოში (თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი) მთელი ცხოვრების განმავლობაში. თურქეთის უშიშროების ძალებმა დაწვეს მათი სახლები და გაანადგურეს საკუთრების უმეტესი ნაწილი. აღნიშნულის შედეგად განმცხადებლები იძულებული შეიქნენ, დაეტოვებინათ სოფელი. ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო საქმის ფაქტობრივი გარემოებები, განსაკუთრებით კი ის ფაქტი, რომ განმცხადებლებმა საკუთარი თვალით იხილეს, თუ როგორ იწვოდა მათი საცხოვრებელი და ნადგურდებოდა მათი საყოფაცხოვრებო ნივთები, გაითვალისწინა, თუ რაოდენ ტანჯვასა და უსუსურობის გრძნობას განიცდიდნენ ისინი და დაადგინა არაადამიანური და ლირსების შემლახველი მოპყრობის განხორციელება უშიშროების ძალების ჯარისკაცების მხრიდან.

3. მუშაობის უფლება და ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

მუშაობის უფლება მნიშვნელოვანი წინაპირობაა ადამიანის სხვა უფლებების განხორციელებისათვის და პიროვნული ღირსების განუყოფელი ნაწილია²⁵. თავის ბოლო ზოგად მოხსენებაში, რომელიც მიღებულ იქნა 2005 წლის 24 ნოემბერს, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა დაადგინა სახელმწიფოს ვალდებულებების ცალკეული ასპექტები შრომის უფლების უზრუნველყოფასთან მიმართებით. კომიტეტის თანახმად, შრომის უფლების პატივისცემის ვალდებულება ხორციელდება იძულებითი და სავალ-

23. 1996 წლის 18 დეკემბრის განჩინება, განაცხადი №15318/89.

24. 1998 წლის 24 აპრილის განჩინება, განაცხადები: № 23184/94 და №23185/94.

25. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, 35-ე სხდომა, ქენევა, 2005 წლის 7-25 ნოემბერი, პუნქტი 1.

დებულო მუშაობის აკრძალვით ისევე, როგორც სამუშაოზე ყველა პირისათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით. დაცვის ვალდებულება მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, მიღებულ იქნეს კანონმდებლობა ან სხვა ლონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ თანაბარ სამუშაოზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და ასევე დაადგენენ იმის გარანტიას, რომ პრივატიზაციის პროცესში არ შელახოს მუშათა უფლებები. მუშაობის უფლება უზრუნველყოფს არა პირის უფლებას, იქნეს დასაქმებული, არამედ იგი იცავს დასაქმებული პირის უფლებას, არ იქნეს გათავისუფლებული მნიშვნელოვანი მიზეზის გარეშე და არასამართლიანად²⁶. შრომის უფლების განხორციელების ვალდებულება გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან დასაქმების პოლიტიკის შემუშავებასა და შესაბამისი ტრენინგების განხორციელებას, სახელმწიფოს ზრუნვას უმუშევრობის წინააღმდეგ ეფუძნებული პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით.

შრომის უფლება მჭიდრო კავშირშია ევროპული კონვენციის მე-4 მუხლით უზრუნველყოფილ მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვასთან. როგორც სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გვიჩვენებს, მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა გულისხმობს არა მხოლოდ მონობისა და ყმობის, კლასიკური გაგებით, აკრძალვას, არამედ ასევე აშკარად შეუსაბამო გასამრჯელოს გადახდასაც. საქმეში – *Siliadin v. France*²⁷ – ევროპულმა სასამართლომ განიხილა ტოგოლი გოგონას საჩივარი, რომლიც საფრანგეთში ჩაიყვანა, დაპირდა ამ უკანასკნელს პასპორტთან და სამუშაოსთან დაკავშირებული ფორმალობების მოგვარებას. განმცხადებელი ვალდებული იყო, ემუშავა ქ-ნ დასთან მანამ, სანამ არ გამოიმუშავებდა იმდენს, რომ აენაზღაურებინა მისთვის თვითმფრინავის ბილეთი.

განმცხადებელი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობდა. ე.ნ. დამეტირავებლებმა მოახდინეს მისი პასპორტის კონფისკაცია. მოგვიანებით დების ოჯახმა განმცხადებელი „გაანათხოვრა“ მეგობარ ოჯახში. ტოგოლი გოგონა დილის 7 საათიდან საღამოს 10 საათამდე მუშაობდა ყოველდღე, დასვენების დღეების გარეშე, მხოლოდ სპეციალური ნებართვით შეეძლო წასულიყო და დასწრებოდა საკვირაო წირვას. განმცხადებელს ეძინა ბავშვების ოთახში დაგებულ ლეიბზე და ეცვა ძველმანები. მისთვის არასოდეს გადაუხდიათ გასამრჯელო განეული სამუშაოსათვის, მხოლოდ რამდენიმეჯერ მისცეს საჩუქრის სახით 20-30 ევრო. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა

26. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია № 158 სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

27. უფრო ადრე კ. დრზევიცკიმ განსაზღვრა მსგავსი ნორმატიული მიმართულებები და სახელმწიფო ვალდებულებები: თავისუფლება მონობისა და იძულებითი შრომისაგან, შემაობის თავისუფლება, დასაქმების თავისუფლება, დასაქმების დაცვის თავისუფლება, უმუშევრობისაგან დაცვის თავისუფლება; *Economic, Social and Cultural Rights, Absjorn Eide, Catarina Krause and Allan Rosas, 1995*.

28. 2005 წლის 26 ივლისის განჩინება, განცხადი № 73316/01.

კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევა ზემოხსენებულ საქმეში და განაცხადა, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა არაადეკვატურად კრძალავდა მონობასა და იძულებით შრომას, საფრანგეთის სამართლებრივი სისტემა არაადეკვატურად უზრუნველყოფდა განეული შრომისათვის აშეარად შეუსაბამო გასამრჯელოს გადახდისაგან ეფექტურ დაცვას.

ევროპული სასამართლო არა მხოლოდ არსებითად იცავს შრომის უფლებასთან დაკავშირებულ ცალკეულ ასპექტებს, არამედ ასევე უზრუნველყოფს, რომ აიკრძალოს დისკრიმინაციის გამოვლინებები შრომით ურთიერთობებში. საქმე – *Schmidt v. Germany*²⁹ – ეხებოდა მამაკაცებისა და ქალებისათვის სხვადასხვა ტიპის ვალდებულებებს სახანძრო სამსახურთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც სახანძრო სამსახურის სასარგებლოდ მამაკაცები ვალდებული იყვნენ, ემსახურათ ან შეეტანათ გარკვეული გადასახადები, ქალებს ეს ვალდებულება არ ეკისრებოდათ. ასეთი ტვირთის დაკისრება მხოლოდ მამაკაცებისათვის დაუშვა ევროპულმა სასამართლომ.

დასკვნა

ეკონომიკური, სოციალური, და კულტურული უფლებების პრაქტიკულად განხორციელება მეტად მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მართალია, დღესდღეობით ფიზიკური პირები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, პირდაპირ წარადგინონ სარჩელები ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოებში და ამ მხრივ სახეზეა ხარვეზები, მაგრამ ამ უფლებებთან დაკავშირებული უმთავრესი ასპექტების პრაქტიკულ დონეზე განხორციელება და მათი დაცვა, სულ მცირე, რეგიონალურ დონეზე მაინც შესაძლებელია, თუმცა არა მხოლოდ არაპირდაპირი გზით. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი მეტად მნიშვნელოვანია ზემოხსენებული ხარვეზების შევსების პროცესში. განხილული პრეცედენტები უდავოდ მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ევროპული სასამართლოს მხრიდან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის მხრივ.

განხილული საქმეები ბიძგის მიმცემის იურისტებისათვის, რათა მათ სულ უფრო და უფრო აქტიურად მიმართონ ევროპულ სასამართლოს ამ სახის უფლებების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით. სულ უფრო და უფრო ადვილად ევროპული სასამართლო აფართოებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მოქმედების ფარგლებს, მოიცავს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ასპექტებს და აღნიშნულით თავიდან ვიცილებთ ამ სახის უფლებების ეფექტურ დაცვასთან დაკავშირებით წარმოშობილ სამართლებრივ ვაკუუმს.

29. 1994 წლის 18 ივლისის განჩინება, განაცხადი № 13580/88.

გაგა გაპრიჩიძე

**ევროპის გაერთიანების დაგფუძნებელი
ხელშეკრულების მე-13 მუხლი - ევროპის გაერთიანების
ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის სამართლებრივი
საფუძველი**

1. შესავალი

ინდივიდის უფლება, არ იქნეს დისკრიმინირებული, მრავალი საერთაშორისოსამართლებრივი აქტით არის აღიარებული. მათ შორისაა: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ და იუნესკოს კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციას, მასში ჩადებული ანტიდისკრიმინაციული დებულებები კიდევ უფრო გამყარდა 2005 წლის 1 აპრილს მე-12 ოქმის ძალაში შესვლით. აღნიშნული ოქმი ინდივიდს ანიჭებს დამოუკიდებელ უფლებას თანასწორ მოპყრობაზე.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ევროპის გაერთიანების ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში თვითმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების არჩევნებში მემარჯვენე ექსტრემისტული პარტიების წარმატებებმა ნათელი გახადეს, რომ ევროპის გაერთიანებას უფრო მეტი აქტიურობა მართებდა რასიზმისა და ქსენოფობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით. თუმცა იმის გამო, რომ ევროპის გაერთიანების სამართალში არ არსებობდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, თავდაპირველი რეაგირება ევროპის გაერთიანების მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ არა-

სავალდებულო ძალის მქონე რეკომენდაციებითა და განცხადებებით შემოიფარგლა.¹

1997 წელს ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მიერ ხელმოწერილ იქნა ამსტერდამის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს. აღნიშნული ხელშეკრულებით მრავალრიცხოვანი ცვლილება შევიდა ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასა და ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულებაში. მათ შორის იყო ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-13 მუხლი, რომელიც ევროპის გაერთიანებას კომპეტენციას ანიჭებს, გაატაროს ღონისძიებები ისეთი სახის დისკრიმინაციის წინააღმდეგ, როგორებიცაა: სქესობრივი, რასობრივი, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის, მსოფლმხედველობის, ასაკის, უნარშეზღუდულობის ან კიდევ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაცია.²

შემდგომ ამ მუხლმა კვლავ განიცადა ცვლილება ნიცის ხელშეკრულების საფუძველზე, რათა ევროპის გაერთიანებას საშუალება მისცემოდა გარკვეული ღონისძიებების გატარების გადაწყვეტილება მიეღო კვალიფიციური უმრავლესობით.³

ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ადრე არსებული დისკრიმინაციის ამკრძალავი სხვა დებულებებისგან განსხვავებით⁴, მე-13 მუხლი ეხება დისკრიმინაციის არა ერთ კონკრეტულ საფუძველს, არა-

1. იხ.: ევროპის პარლამენტის, საბჭოსა და კომისიის 1986 წლის 25 ივნისის ერთობლივი განცხადება ქსენოფობიისა და რასიზმის წინააღმდეგ (Abl. 1986 C 158/1); საბჭოს 1990 წლის 29 მაისის განცხადება (Abl. 1990, C 157/1); საბჭოს განცხადება დასაქმებისა და სოციალურ სფეროში რასიზმისა და ქსენოფობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (Abl. 1995, C 296/13); საბჭოს განცხადება საგანმნიანთლებლო სფეროში რასიზმისა და ქსენოფობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (Abl. 1995, C 312/1).

2. ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-13 მუხლის წარმოშობის შესახებ იხ. დეტალურად: Bell, Mark, *The New Article 13 EC Treaty: A Sound Basis for European Anti-Discrimination Law?*, MJ 1 (1999), გვ. 6.

3. ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-13 მუხლის აქტუალური რედაქციის მიხედვით: 1. საბჭოს, მოცმეული ხელშეკრულების სხვა დებულებების ხელყოფის გარეშე, გაერთიანებისათვის მიზნისული კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის წინადადების საფუძველზე და პარლამენტთან კონსულტაციების შემდეგ, შეუძლია, ერთხმად მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი ღონისძიების გატარების თაობაზე, რათა შეებრძოლოს დისკრიმინაციას სქესის, რასობრივი, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის ან მსოფლმხედველობის, უნარშეზღუდულობის, ასაკისა ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე; 2. პირველი აბზაციებან განსხვავებით, საბჭო, 251-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით, — ანუ კვალიფიციური უმრავლესობით, - იღებს გადაწყვეტილებას, თუკი საქმე ეხება მასტიმულებელ ღონისძიებებს, რომლებიც გამორიცხავს წევრი სახელმწიფოების კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების რაიმე სახით ჰარმონიზაციას, და მიზნად ისახავს იმ ღონისძიებების მხარდაჭერას, რომლებიც სახელმწიფოების მიერ არს მიღებული, და ემსახურება პირველ აბზაციში მიღების მიღწევას.

4. მაგალითად სქესობრივი დისკრიმინაციის აკრძალვა, მოქალაქეობის საფუძველზე დისკრიმინაციის ამკრძალვა, ასევე გარკვეულწილად ანტიდისკრიმინაციული შინაარსის დებულებები მნარმოებელსა და მომხმარებელთან მიმართებით (ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულების მე-12, 34-ე, 39-ე, 43-ე, 49-ე და 141-ე მუხლები).

მედ მასში მოცემულია დისკრიმინაციის ერთბაშად რვა სახის საფუძველი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შეუძლია ევროპის გაერთიანებას გადაწყვეტილების მიღება.

2. ნორმის დახასიათება

მე-13 მუხლის პირველი აბზაცს მიხედვით, ანტიდისკრიმინაციული ღონისძიებების გატარების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება უნდა განხორციელდეს ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების სხვა დებულებების ხელყოფის გარეშე. მოცემული ფორმულირება შეიძლება ორგვარად იქნეს გაგებული: მე-13 მუხლში მოცემული კომპეტენცია მოქმედებს დამფუძნებელ ხელშეკრულებაში მოცემული სხვა ნორმების პარალელურად⁵, ან კიდევ, მე-13 მუხლში მოცემული კომპეტენცია დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია დამფუძნებელ ხელშეკრულებაში მოცემულ სხვა ნორმებთან.⁶ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ ავტორთა უმრავლესობა მე-13 მუხლის სუბსიდიურ ხასიათს აღიარებს.⁷ კერძოდ, აღნინიშნება, რომ მე-13 მუხლით დადგენილი კომპეტენცია ევროპის გაერთიანების მხრიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუკი ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების სხვა მუხლებით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების მიღება არ არის შესაძლებელი.⁸

აღნიშნული ნორმის მიხედვით, საბჭოს ანტიდისკრიმინაციული ხასიათის აქტების მიღება შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ევროპის გაერთიანებისათვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში. მოცემული ფორმულირება მიუთითებს, რომ მე-13 მუხლით დადგენილი კომპეტენციის გამოყენება გაერთიანებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი მას შესაბამის სფეროში დამფუძნებელი ხელშეკრულებით დადგენილი კომპეტენცია აქვს. შეიძლება ითქვას, რომ მე-13 მუხლს დამფუძნებელი ხელშეკრულებით დადგენილ სხვა კომპეტენციებთან მიმართებით აქცესორული ხასიათი აქვს და

5. შეად.: Holoubek, Michael, Kommentar zum Art. 13, in: Schwarze, Jürgen (Hrsg.), EU-Kommentar, 2000.

6. შეად.: Epiney, Astrid, Kommentar zum Art. 13, in: Calliess, Christian, Ruffert, Matthias (Hrsg.), Kommentar zum EU-Vertrag und EG-Vertrag, 2002; Bell, Mark, The New Article 13 EC Treaty: A Sound Basis for European Anti-Discrimination Law?, MJ 1 (1999), gg. 5; Bouchouaf, Ssoufian, Richter, Tobias, Reichweite und Grenzen des Art. 13 EGV – unmittelbar anwendbares Diskriminierungsverbot oder lediglich Kompetenznorm?, Jura 9 (2006), gg. 651.

7. შეად.: Bouchouaf, Ssoufian, Richter, Tobias, Reichweite und Grenzen des Art. 13 EGV – unmittelbar anwendbares Diskriminierungsverbot oder lediglich Kompetenznorm?, Jura 9 (2006), gg. 652; Epiney, Astrid, Kommentar zum Art. 13, in: Calliess, Christian, Ruffert, Matthias (Hrsg.), Kommentar zum EU-Vertrag und EG-Vertrag, 2002; Bell, Mark, The New Article 13 EC Treaty: A Sound Basis for European Anti-Discrimination Law?, MJ 1 (1999), gg. 5.

8. შეად.: Epiney, Astrid, Kommentar zum Art. 13, in: Calliess, Christian, Ruffert, Matthias (Hrsg.), Kommentar zum EU-Vertrag und EG-Vertrag, 2002.

ის არ არის ჩამოთვლილ დისკრიმინაციის საფუძვლებთან ბრძოლის მიზნით ევროპის გაერთიანებისათვის მინიჭებული ზოგადი კომპეტენცია.⁹ უფრო კონკრეტულად შეიძლება ითქვას, რომ დასაქმების ან განათლების სფეროში დისკრიმინაციასთან საბრძოლველად ევროპის გაერთიანებისათვის არ იქნებოდა საკმარისი მხოლოდ მე-13 მუხლის არსებობა, მას რომ არ გააჩნდეს ამ სფეროებში კანონშემოქმედებითი კომპეტენცია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული შეზღუდვა ეხება მხოლოდ და მხოლოდ ზემოაღნიშნული კომპეტენციის მატერიალურ ფარგლებს და არა ამ სფეროში გაერთიანებისათვის დადგენილ სამართლებრივი აქტების ფორმებს. შესაბამისად, თუკი რომელიმე სფეროში ევროპის გაერთიანებას არ გააჩნია ჰარმონიზაციის ხასიათის მქონე აქტის მიღების კომპეტენცია, ეს არ გამორიცხავს ევროპის გაერთიანების მიერ მოცემულ სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ჰარმონიზაციული ხასიათის ანტიდისკრიმინაციული სამართლებრივი აქტის მიღების შესაძლებლობას.¹⁰ მე-13 მუხლის მიხედვით, საბჭოს შეუძლია, ერთხმად მიიღოს შესაბამისი ღონისძიებები. შესაბამისად, სხვა შეზღუდვებისგან განსხვავებით, საბჭოს სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებით დადგენილი სამართლებრივი აქტების ფორმის არჩევასთან მიახრთებით.

მე-13 მუხლით დადგენილი კომპეტენცია გულისხმობს არა მარტო ფორმალურ, არამედ ასევე მატერიალურ დისკრიმინაციასთან ბრძოლას.¹¹ ბუნებრივია, რომ თანამედროვე ევროპისათვის გაცილებით აქტუალურია ფაქტობრივი დისკრიმინაციის პრობლემატიკა, ვიდრე ფორმალური დისკრიმინაცია.

რაც შეეხება ნორმით გათვალისწინებულ დასაცავ პირთა წრეს, იგი მოიცავს ფიზიკურ პირებს, მოქალაქეობის მიუხედავად. რაც შეეხება იურიდიულ პირებს, ისინი ამ წრეში არ მოიაზრებიან, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ დისკრიმინაციის ჩამოთვლილი საფუძველები ადამიანებთან დაკავშირებულ ნიშან-თვისებებს მოიცავს.

3. გადაწყვეტილების მიღების პროცედურები

მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საბჭო ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას კომისიის წინადადების საფუძველზე და ჰარლამენტთან

9. განსხვავებული შეხედულებისათვის იხ.: Chopin, Isabelle, Niessen, Jan, Proposals for Legislative Measures to Combat Racism and to Promote Equal Rights in the European Union, 2002, ვ3. 21.

10. შეად.: Epiney, Astrid, Kommentar zum Art. 13, in: Calliess, Christian, Ruffert, Matthias (Hrsg.), Kommentar zum EU-Vertrag und EG-Vertrag, 2002.

11. შეად.: Bouchouaf, Ssoufian, Richter, Tobias, Reichweite und Grenzen des Art. 13 EGV – unmittelbar anwendbares Diskriminierungsverbot oder lediglich Kompetenznorm?, Jura 9 (2006), ვ3. 652: Epiney, Astrid, Kommentar zum Art. 13, in: Calliess, Christian, Ruffert, Matthias (Hrsg.), Kommentar zum EU-Vertrag und EG-Vertrag, 2002.

კონსულტაციის შემდეგ. მართალია, ნიცის ხელშეკრულებით მოცემულ მუხლს მეორე პუნქტი დაემატა, რომლის მიხედვითაც, მასტიმულებელი ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილების მიღება საბჭოს ხმათა კვალიფიციური უმრავლესობითაც შეუძლია,¹² მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, ჰარმონიზაციული ხასიათის გადაწყვეტილებებთან მიმართებით პირველ პუნქტში მოცემული პროცედურის მოქმედების შენარჩუნება ხაზს უსვამს იმ გარემობას, რომ მოცემულ სფეროში გაერთიანების კანონშემოქმედებითი აქტიურობა ერთმნიშვნელოვნად დაუკავშირდა წევრი სახელმწიფოების ერთგვაროვანი წების აუცილებელ არსებობას, რითაც აღიარებულ იქნა ანტიდისკრიმინაციულ სფეროში ამ უკანასკნელთა გადამწყვეტი როლი. რაც შეეხება დამატებულ მე-2 პუნქტს, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული დებულება იმ ინტერესის შედეგია, რომლის მიხედვითაც ნიცის ხელშეკრულების შემუშავებისას ხელმძღვანელობდნენ სამთავრობო კონფერენციის მონაწილეები, კერძოდ, სურვილი, რომ დამფუძნებელი ხელშეკრულების რევიზიის ფარგლებში განხორციელებულიყო რაც შეიძლება მეტი კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე განსახორციელებელი კომპეტენციის შექმნა და ამავდროულად გაძლიერებულიყო ევროპის პარლამენტის როლი ევროპულ კანონშემოქმედებით პროცესში.

4. მე-13 მუხლი — კომპეტენციის თუ დისკრიმინაციის აკრძალვის ნორმა?

უაღრესად მნიშვნელოვანია საკითხი, არის თუ არა ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-13 მუხლი მხოლოდ და მხოლოდ კომპეტენციის დამდგენი დებულება, თუ იგი იმავდროულად უშუალო მოქმედების მქონე დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმადაც გვევლინება. თუკი მე-13 მუხლი უშუალოდ მოქმედ ამკრძალავ დებულებად მიიჩნევა, ცალკეულ ინდივიდს საშუალება მიეცემა, თავისი უფლების დაცვის მიზნით დაეყრდნოს მას ევროპის გაერთიანების ორგანოებსა და წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ისე, რომ ამისათვის აუცილებელი არ იქნება ევროპის გაერთიანების მეორადი სამართლის აქტებითა და წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით მოცემული უფლების კონკრეტიზება. თუმცა მე-13 მუხლის ტექსტი თავისი შინაარსობრივი სტრუქტურით და ფორმულირებით ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს მოცემული მუხლის მიზანზე - დაადგინოს კომპეტენცია. მართალია, ასევე ფორმულირებიდან გამომდინარე, შესაძლებელია არგუმენტირება იმ შეხედულების სასარგებლოდაც, რომლის მიხედვითაც საბჭოსთვის კომპეტენციის მინიჭება გარკვეული ნიშნების საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების გატარებისათვის

12. თუმცა მოცემული პროცედურის მიხედვით, აღარ არის საკმარისი პარლამენტთან მხოლოდ და მხოლოდ კონსულტაცია. ამ შემთხვევაში საბჭო გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტთან ერთად.

თავისთავად გულისხმობს ნორმის მხრიდან ამ სახის დისკრიმინაციისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. და, შესაბამისად, შესაძლებელია ამ არგუ-მენტზე დაყრდნობით მე-13 მუხლის დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმად გამოცხადება.¹³ თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაშიც კი რთული იქნება მოცემული ნორმის სუბიექტური უფლე-ბების წყაროდ განხილვა. მე-13 მუხლი ვერ აკმაყოფილებს ნორმის უშუა-ლოდ მოქმედების კრიტერიუმებს. თვით კომპეტენციის მინიჭების არჩეული ფორმულირება, კერძოდ ის, რომ საბჭოს შეუძლია შესაბამისი ღონისძიე-ბების გატარება, ერთმნიშვნელოვნად ევროპის გაერთიანების აღნიშნული ორგანოსათვის შესაძლებლობის მიცემაა და სწორედ მისი შეხედულების მიხედვით უნდა მოხდეს მოცემული კომპეტენციის გამოყენება. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, ნათელია, რომ ნორმის ავტორები — ასევე იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილების მისაღებად ყველა წევრი სახელ-მწიფოს თანხმობა არის საჭირო — არ განიხილავდნენ მე-13 მუხლს სუბიე-ქტურ უფლებების მინიჭებელ ნორმად და მას მხოლოდ კომპეტენციის მინიჭების ფუნქცია აქვს.

5. მეორადი სამართალი

ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-13 მუხლი ორი მნიშვნელოვანი დირექტივის საფუძველია, რომელიც საბჭოს მიერ 2000 წელს იქნა მიღებული. ესენია: დირექტივა დასაქმებასა და პროფესიულ სა-კითხებთან მიმართებით დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ¹⁴ და დი-რექტივა რასობრივი და ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე დისკრიმინა-ციასთან ბრძოლის შესახებ.¹⁵

პირველი დირექტივის მიზანია წევრ სახელმწიფოებში, დასაქმებისა და პროფესიულ საკითხებთან მიმართებით, პროფესიული განათლების, სამუ-შაო პირობებისა და პროფესიულ ორგანიზაციებში წევრობის ჩათვლით, თა-ნასწორობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფა. ამისათვის უნდა მოხდეს სქესობრივი, რასობრივი, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის, მსოფლმხედ-ველობის, ასაკის, უნარშეზღუდულობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვა. დირექტივა სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები იმი-სათვის, რომ ყველა ინდივიდს ჰქონდეს სავარაუდო დისკრიმინაციისგან სამართლებრივი გზებით თავის დაცვის საშუალება, მათ შორის დასაქმების პერიოდის დამთავრების შემდეგაც.

13. შეად.: Holoubek, Michael, Kommentar zum Art. 13, in: Schwarze, Juergen (Hrsg.), EU-Kommentar, 2000.

14. RL 2000/78/EG, Amtsblatt EG 2000 L 303/16.

15. RL 2000/43/EG, Amtsblatt EG 2000 L 180/22.

რასობრივი და ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე დისკრიმინაციას-თან ბრძოლის შესახებ დირექტივის მიხედვით, ყველა წევრ სახელმწიფოში დისკრიმინაციისგან დაცვის მაღალი დონე უნდა მიღწეულ იქნეს სხვადა-სხვა ღონისძიების განხორციელების საშუალებით. კერძოდ, წევრმა სახელ-მწიფოებმა უნდა უზრუნველყონ განათლების, პროფესიული ორიენტაციისა და სხვა სოციალური შეღავათების თანაბარი ხელმისაწვდომობა, რასობრივი და ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად. მოცემული დირექტივა ასევე ითვა-ლისწინებს ფიზიკური პირების გარკვეული გაერთიანებებისათვის და ასევე ცალკეული ფიზიკური პირებისათვის ვალდებულებების დაკისრებას. ასე მაგალითად, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებებმა ამ გაერ-თიანებებში განევრიანებისა თუ მონაწილეობისათვის არ უნდა დაადგინონ რასისტული კრიტერიუმები. ფიზიკური პირები გარკვეული წინაპირობების არსებობისას ვალდებული არიან, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებ-ში უარი თქვან დისკრიმინაციული წინაპირობების დადგენაზე.¹⁶ მართალია, დირექტივა ფიზიკურ პირებს შორის ურთიერთობებში, ამ ურთიერთობე-ბის ჰორიზონტალური ხასიათის გამო, უშუალოდ არ მოქმედებს, მაგრამ წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, გაითვალისწინონ შესაბამი-სი დებულებები შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. გარდა ამისა, დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევისათვის ისეთი სანქცია უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომელიც სათანადოდ ეფექტური, თანაზომიერი და პრევენციული ხასიათის იქნება.

მოცემული დირექტივები მნიშვნელოვანი დოკუმენტებია ევროპის გაერ-თიანების ფარგლებში დისკრიმინაციისგან დაცვის უზრუნველყოფის კუ-თხით. მათ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიეს ყველა წევრი სახელ-მწიფოს კანონმდებლობაში, იმ სახელმწიფოებშიც კი, სადაც უკვე არსებობ-და და მოქმედებდა მრავალრიცხოვანი ანტიდისკრიმინაციული დებულება.

საბჭოს მიერ აღნიშნული დირექტივების მიღების პარალელურად კომი-სიამ მიიღო გაერთიანების მოქმედების გეგმა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლასთან მიმართებით. ამით ხაზი გაესვა იმას, რომ დისკრიმინაციის გამოვლინებებთან ბრძოლა პოზიტური ღონისძიებების გატარებას მოი-თხოვს. სამოქმედო გეგმის მიზნებია: დისკრიმინაციის პრობლემატიკის უკე-თესად აღქმისაკენ მიმართული ღონისძიებების მხარდაჭერა; ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება; იმ ღირებულებების გავრცელება, რომლებიც მიმართულია დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ევროპის გაერთიანების ვალდებულება, დაიცვას დისკრიმინაციის აკრ-ძალვის პრინციპი, აისახა ასევე 2000 წლის დეკემბერში მიღებულ ძირითა-

16. ასეთი წინაპირობაა, მაგალითად, საცხოვრებელი ბინის გაქირავების განცხადებაში მითითება იმის შესახებ, რომ ბინა უცხოელებზე არ ქირავდება.

დი უფლებების ქარტიაში.¹⁷ ამ დოკუმენტის 21-ე მუხლი მოიცავს ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-13 მუხლში მოცემული დისკრიმინაციის სახეების გარდა ასევე ისეთ საფუძვლებს, როგორებიცაა: სოციალური წარმოშობა, გენეტიკური ნიშნები, ენობრივი კუთვნილება, პოლიტიკური და სხვა სახის შეხედულება, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონებრივი და დაბადებასთან დაკავშირებული ნიშნები. უნდა აღინიშნოს, რომ ქარტიას არა აქვს იურიდიულად სავალდებულო ძალა და იგი რეალურად ორიენტირის ფუნქციას ასრულებს. თუმცა მისი მნიშვნელობა უდავოა, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ქარტიის დებულებები ევროპული კონსტიტუციის პროექტის შემადგენელი ნაწილია და კონსტიტუციის რატიფიცირებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების გადალახვის შემთხვევაში ევროპის გაერთიანების კონსტიტუციურ წორმებად მოგვევლინებიან.

6. დასკვნა

ამსტერდამის ხელშეკრულებით, ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაში მე-13 მუხლის დამატებით ევროპის გაერთიანებას საერთოევროპული ანგიდისკრიმინაციული პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების საფუძველი შეექმნა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მე-13 მუხლის დებულებაში არ არის მოცემული ინდივიდუალური ძირითადი უფლება. იგი ევროპის გაერთიანებისათვის მიცემული შესაძლებლობაა, კონკრეტული ღონისძიებებით უზრუნველყოს დისკრიმინაციისაგან დაცვა. მოცემული შესაძლებლობა, და არა ვალდებულება, მნიშვნელოვანი არგუმენტია იმისათვის, რომ გამოირიცხოს მე-13 მუხლის უშუალო მოქმედება. აღნიშნული მუხლი ცალკეულ პირებს არ ანიჭებს უფლებას, დისკრიმინაციის შემთხვევაში ამ მუხლზე დაყრდნობით დაიცვან თავიანთი უფლებები.

დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-13 მუხლის საფუძველზე საბჭომ მიიღო ორი მნიშვნელოვანი დირექტივა, რომლებიც დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და რასობრივი და ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს ადგენენ. სწორედ მოცემული დირექტივების საშუალებით ბევრ წევრ სახელმწიფოში პირველად იქნა შემოღებული რომელიმე კონკრეტულ საფუძველზე დისკრიმინაციისგან დაცვის მექანიზმები.

17. იხ.: ABI. C 364/1, 18.12.2000.

ევა გოცირიძე

სიცოცხლის დასაცყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზის უფლებრივი საკითხები სტრასტურგის იურისპრუდენციის მიხედვით

1. შესავალი

ადამიანის უფლებების აღიარების საკითხში საყოველთაო კონსენსუსის არსებობა შეიძლება „პირობითი“ აღმოჩნდეს, თუ ადამიანის უფლებებს, ერთი მხრივ, ადამიანის მიერ მათი აღქმისა და გათავისების,¹ ხოლო მეორე მხრივ, მათი სამართლებრივი რეგლამენტაციის კონტექსტში გავიაზრებთ.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო აღიარება და გაცხადება ადამიანური ცივილიზაციის უდიდესი კულტურული მონაპოვარია, მით უფრო — აღიარება ადამიანის უფლებების ბუნებითი წარმოშობისა. იდეა ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებითი უფლებების შესახებ ადამიანის ღირსების აღიარებას გულისხმობს უნინარესად და თავად ამ იდეის წარმოშობაც ადამიანის ღირსებამ განაპირობა. ადამიანს რომ ღირსება აქვს, იმიტომაც აქვს შინაგანი პროტესტი თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობის დარღვევისადმი და მასთან შეუგუებლობა. სწორედ ადამიანის ღირსებაში ძევს უფლებათა ლეგიტიმურობის საფუძველი; ადამიანს რომ ღირსების განცდა აქვს, იმიტომაც იგულვა მან თავისად უფლებები, ადამიანად ყოფნას რომ უკავშირდება. მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ადამიანის ბუნებითი უფლებები, დღეს რომ საყოველთაოდ არის აღიარებული, ის უფლებებია, რომლებიც ადამიანმა სავსებით მართლზომიერად თავისად იგულვა. ამდე-

1. თავად ადამიანის უფლებათა „საყოველთაობა“ არაერთხელ დაუყონებიათ ეჭვქვეშ. როგორც შ.თარური აღნიშნავს, ფილოსოფიური გაგებით არაფეროა უნივერსალური, საყოველთაო. ადამიანის უფლებები და ღირებულებანიც განსაზღვრული და შემოზღუდულია კულტურული აღქმითა და გაგებით. შესაბამისად, იგი მიიჩნევს, რომ, რადგან არ არსებობს საყოველთაო კულტურა, არ არსებობს არც საყოველთაო „ადამიანის უფლებები“ (იხ. Shashi Tharor, *Are Human Rights Universal? World Policy Journal, Volume XVI, no.4, Winter 1999/2000*).

ნად, „ბუნებით უფლებებს“ თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ადამიანის მიერ „მართლზომიერად ნაგულვები უფლებები“.

მეორე მხრივ, ამ „ნაგულვები უფლებების“ სამართლის ნორმად გადაქცევას, მათ სამართლებრივ რეგლამენტაციას ეროვნულ კონსტიტუციებსა და კანონებში თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებში (რაც სახელმწიფოთა შესაბამის ვალდებულებათა განსაზღვრას გულისხმობს), შეეძლო შეექმნა გარკვეული ცდომილებანი „ნაგულვებ უფლებებსა“ და კანონებით, კონსტიტუციებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით „დადგენილ უფლებებს“ შორის; „ნაგულვებ უფლებებსა“ და იმ ვალდებულებათა რეალურ შინაარსსა და მოცულობას შორის, რომელთა შესრულება სახელმწიფოებმა უფლებათა დასაცავად იკისრეს.

უფლებათა სამართლებრივი რეგლამენტაცია უთუოდ გულისხმობს ორ მნიშვნელოვან კომპეტენტს — უფლებათა შინაარსობრივი ფარგლების დაზუსტებას, ზოგჯერ კი — მათი შეზღუდვის შესაძლებლობის დაშვებას სხვა, მათ შორის საერთოსაზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად, რა დროსაც ღირებულებათა კონფლიქტის საკითხია წარმმართველი და დაპირისპირებულ ღირებულებათა მნიშვნელობის გარდა, სხვა არაერთი პოლიტიკური თუ სხვა ფაქტორი მიიღება მხედველობაში. ერთი სიტყვით, „ნაგულვები უფლებები“ „გონივრულ ჩარჩოების“ იქნა მოქცეული. ამასთანავე, ასეთი რეგლამენტაცია უფლებებისა განხორციელდა ორ განსხვავებულ სიბრტყეში — ერთი მხრივ, ეროვნული და, მეორე მხრივ, საერთაშორისოსამართლებრივი სისტემებით, რომლებიც ეროვნული სამართლებრივი ტრადიციებისა და კულტურის გათვალისწინებითა თუ გაუთვალისწინებლად ადგენენ და ამკვიდრებენ უფლებებს, მათ შინაარსობრივ ფარგლებს და ღირებულებათა პრეფერენციებს კონფლიქტების არსებობისას. ამგვარად, ზემოაღნიშნული ცდომილების რისკი, ფაქტობრივად, ორმაგია; ამ რისკის ხარისხი კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ემთხვევა ადამიანის მიერ „ნაგულვებ უფლებებს“, მათ „ნაგულვებ შინაარსსა და მოცულობას“ ეროვნული თუ საერთაშორისო კონსენსუსი. მართალია, უთუოდ უნდა ვალიაროთ ერთგვარი პრეზუმაცია იმისა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში (სახელმწიფოსა თუ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში) — იქ, სადაც ადამიანის უფლებები უმთავრეს ღირებულებადა მიჩნეული, მათი რეგლამენტაცია მართლაც გონივრულ საფუძველს ემყარება და მოწოდებულია, ამა თუ იმ უფლების განხორციელება პარმონიულად შეუხამოს სხვა კანონიერ, მათ შორის საერთოსაზოგადოებრივ ინტერესებს, მაგრამ ეს პრეზუმაცია, თავისთავად, არ ხსნის ცდომილების რისკს; *a fortiori* ვერ დააბრკოლებს იმის კრიტიკულად შეფასებას, თუ რამდენად ადეკვატურია უფლებათა ესა თუ ის რეგლამენტაცია იმისა, რაც ბუნებითი სამართლის ლოგიკით შეიძლებოდა გამართლებული ყოფილიყო. ჩვენი შეხედულებით, არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ უფლებათა სამართლებრივი რეგლამენტაცია განსაზღ-

ვრულ დროსა თუ სივრცეში შეიძლება დაუცველს ტოვებდეს რომელიმე „მართლზომიერად ნაგულვებ უფლებას“, ან მის რომელიმე ასპექტს, ანდა ადგენდეს ღირებულებათა იმგვარ პრეფერენციებს, რომელებიც, საკმარისი საფუძვლის გარეშე, ამ „მართლზომიერად ნაგულვები უფლების“ სრულ ან ნაწილობრივ იგნორირებას ახდენდეს.

ამა თუ იმ უფლების მიმართ ეროვნული თუ საერთაშორისო კონსენსუსის აღიარება ყოველთვის მეორეულია, რამდენადაც იგი ყოველთვის ჩამორჩება ადამიანის მიერ უფლებათა აღმოჩენის, აღქმის, გათავისების, დაგულვებისა თუ დაბევების შინაგან პროცესს. სწორედ ამით გამოიხატება ადამიანის უფლებების ბუნებითი ნარმოშობის აღიარების კულტურული და სამართლებრივი ფენომენი; საყოველთაო კონსენსუსის არარსებობა კი არ არის და ვერ იქნება საკმარისი დადასტურება ადამიანის ამა თუ იმ უფლების არარსებობისა საზოგადოდ. ასე რომ არ იყოს, ადამიანის უფლებათა სამართლი დახმული, წინასწარშემოზღუდული, განუვითარებადი მოცემულობა აღმოჩედებოდა და არა უფლებათა შემდგომი აღიარებისა და გაფართოებისაკენ ორიენტირებული; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ შემუშავებული „კონვენციის ცოცხალი ინსტრუმენტის დოქტრინა“ შესანიშნავი დამოწმება ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ.

წინამდებარე გამოკვლევა ორ ასეთ, ჩვენი აზრით, „მართლზომიერად ნაგულვებ უფლებას“ შეეხება, რომლებზეც ჯერ არ არის მიღწეული ეროვნული (იშვიათი გამონაკლისის გარდა) თუ საერთაშორისო კონსენსუსი, კერძოდ — ევთანაზიის უფლებას და ფეტუსის სიცოცხლის უფლებას. სიმბოლურია, რომ ორივე მათგანი „სიცოცხლეს“ უკავშირდება: პირველი — სიცოცხლის დასასრულს, მეორე — სიცოცხლის დასაწყისს.

საკითხი ასეა დაყენებული: არსებობს თუ არა „ევთანაზიის უფლება“ და არსებობს თუ არა „ფეტუსის სიცოცხლის უფლება“ როგორც ბუნებითი უფლებები; იცავს თუ არა (ან უნდა იცავდეს თუ არა) მათ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; რა მიმართებაშია ისინი „ადამიანის ღირსებასთან“ საზოგადოდ და ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით ნაგულისხმებ „სიცოცხლის უფლებასთან“; რამდენად მართლზომიერია მოლოდინი და მოთხოვნა იმისა, რომ თუნდაც გარკვეულ ფარგლებში და გარკვეული პირობების დაცვით, მოხდეს მათი აღიარება კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე „სიცოცხლის უფლების“ ფართო ინტერპრეტაციის გზით თუ სხვაგვარად.

მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს არა მარტო ის, თუ როგორია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციები ამ „უფლებებთან“ მიმართებით ცალ-ცალკე, არამედ ისიც, თუ რამდენად ლიგიკურად შეესატყვისებიან ეს პოზიციები ერთმანეთს იმ არგუმენტაციის მხედველობაში მიღებით, რომლებსაც ისინი ემყარებიან. ასეთი შეპირაპირება, ვფიქრობთ, უფრო ნათლად წარმოაჩენს საკვლევი თემის კომპლექსურობასა და

მრავალპლასტიკანობას და ამ გზით მის ყოველმხრივ სიღრმისეულ გააზრებას შეუწყობს ხელს.

2. ევთანაზია

2.1. არსი, შეხედულებები, ისტორიულ-სამართლებრივი ფონი

ევთანაზია არის ავადმყოფობის ბოლო ფაზაში მყოფი, სასიკვდილოდ განწირული ადამიანის მოკვდინება სიბრალულის მოტივით, გაუსაძლისი ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვისაგან მისი გათავისუფლების მიზნით. „ევთანაზიად“ განიხილება ზემოაღნიშნული მოტივითა და მიზნით განხორციელებული სიკვდილის დაჩქარების ყველა შემთხვევა, როდესაც არსებობდა ავადმყოფის მოთხოვნა ან თანხმობა ევთანაზიის განხორციელებაზე, ანდა როდესაც ასეთი თანხმობის მიღება შეუძლებელი იყო მისი უგონო მდგომარეობაში ყოფნის გამო. თუმცა შესაბამის გარემოებებში ზემოაღნიშნულ ფაქტორს შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს „მოკვდინების“ მართლზომიერების შეფასებისათვის.

ტერმინი „ევთანაზია“ ძველი საბერძნეთიდან მოდის; ნიშნავს „უმტკივნეულო, უშფოთველ, ბედნიერ სიკვდილს“. „ევთანაზიასთან“ ერთად, დღეს ასევე ხშირად გამოიყენება ტერმინი „*mercy killing*“ („სამადლო მკვლელობა“ ან „მკვლელობა სიბრალულით“).

ევთანაზიის საკითხი კაცობრიობის ცივილიზაციის დასაწყისიდანვე იყო მსჯელობის საგანი და პრაქტიკაშიც გამოიყენებოდა, იმის მიუხედავად, იყო თუ არა იგი აკრძალული. ერთიანი საზოგადოებრივი აზრი მასზე არასდროს არსებობდა. მას მომხრეც ბევრი ჰყავს და მოწინააღმდეგეც. ცნობილია, რომ პლატონი მხარს უჭერდა მას, მაგრამ ქრისტიანობამ იგი უარყო. ევთანაზიის ოპონენტების აზრით, მცნება „არა კაც ჰკლა“ საკმარისი საფუძველია იმისათვის, რათა იგი ამორალურ და უკანონო აქტად იქნეს მიჩნეული. მათი აზრით, ავადმყოფის მიერ ევთანაზიის მოთხოვნა ნაკარნახევია სურვილით, რომ თავისი ოჯახი და საზოგადოება გაათავისუფლოს ფინანსური და მორალური ტვირთისაგან; მიუთითებენ, რომ ექიმის მიერ ევთანაზიის განხორციელება ენინააღმდეგება ჰიპოკრატეს ფიცს და ძირს უთხრის ექიმის პროფესიისადმი ხალხის ნდობას საზოგადოდ; ყურადღებას ამახვილებენ ევთანაზიის დაშვების წესის ბოროტად გამოყენების საშიშროებაზე. ევთანაზიის პროპონენტები მას „თანაგრძნობის აქტად“ განიხილავენ და ამიტომ სრულიადაც არ მიაჩნიათ, რომ იგი ქრისტიანულ მორალს ენინააღმდეგება. გარდა ამისა, მათი აზრით, ევთანაზიის აკრძალვა ეწინააღმდეგება ადამიანის თავისუფლებას, მის ავტონომიურობასა და ლირსებას, არღვევს ექიმისა და პაციენტის პირადი ურთიერთობის ინტიმურობას. ისინი მიიჩნევენ, რომ ადამიანის დაბადება და გარდაცვალება პრივატული, პერსონალური, ინტიმური მოვლენაა და არა საჯარო (საზოგადო-

ებრივი) და, რომ სიკვდილის უფლება არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს. ისინი ევთანაზიის პრობლემას განიხილავენ ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესების დაპირისპირების ჭრილში და მიაჩინათ, რომ საკითხი ინდივიდის რეალური ინტერესების მიხედვით უნდა გადაწყდეს.²

განასხვავებრივ პასიურ და აქტიურ ევთანაზიას:

პასიური ევთანაზია გულისიხმობს სიკვდილის დაჩქარებას ავადმყოფი-სათვის სამედიცინო დახმარების შეწყვეტის გზით. ასეთ დროს „ჩარევა“ მხოლოდ მკურნალობის გაგრძელების შეწყვეტით ამოიწურება, რაც ავადმყოფს საშუალებას აძლევს, ბუნებრივად დაასრულოს თავისი სიცოცხლე.

აქტიური ევთანაზიის დროს სიკვდილის დაჩქარება ხორციელდება მოვლენების ბუნებრივ განვითარებაში აქტიური ჩარევით, მაგალითად, ავადმყოფისათვის წამლის ჭარბი დოზის მიცემით ან სხვაგვარად.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში ჩარევა სიბრალულის მოტივით ხორციელდება და მიზნად სიკვდილის დაჩქარებას ისახავს, განსხვავებული ობიექტური მხარისა და სიკვდილის, ან საკუთრივ მისი დაჩქარების ფაქტთან განსხვავებული ინტენსიურობის მქონე მიზეზობრივი კავშირის გამო, მათი მართლზომიერება განსხვავებულად ფასდება. პასიური ევთანაზია, ძირითადად, არ განიხილება არამართლზომიერ აქტად, მაშინ, როდესაც აქტიური ევთანაზია მთელ მსოფლიოში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, კანონით არის აკრძალული.

აქტიური ევთანაზია განსაზღვრულ ფარგლებში და მკაცრად დადგენილი პირობებით დაშვებულია ჰოლანდიაში, ორეგონის შტატში (აშშ), ჩრდილოეთის ტერიტორიების შტატში (ავსტრალია), არგენტინაში, კოლუმბიაში (მისი ლეგალიზება მოახდინა საკონსტიტუციო სასამართლომ 1977 წელს), იაპონიაში (უაკაპამას სამხარეო სასამართლომ 1995 წელს დაადგინა, თუ რა პირობებში იქნებოდა დაშვებული „mercy killing“). 1997 წელს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ შტატის კანონი ექიმის დახმარებით თვითმკვლელობის აკრძალვის შესახებ, არ ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის კონსტიტუციას, თუმცა იმავე გადაწყვეტილებიდან

2. იხ. 1. Battin, Margaret P. *The least Worst Death: Essays in Bioethics on the End of Life*. New York: Oxford University Press, 1994. 2. Cohen, Cynthia B. *Casebook on the Termination of Life-Sustaining Treatment and the Care of the Dying*. Indiana University Press. 1998. 3. Horan, Dennis J. and Mall, David. *Death, Dying and Euthanasia*. Washington D.C.: University Publications of America, 1977. 4. May, William F. *Testing the Medical Covenant: Active Euthanasia and Health Care Reform*. 1996. 5. Commission for the Study of Ethical Problems in Medicine and Biomedical and Behavioral Research. *Deciding to Forego Life – Sustaining Treatment: Ethical, Medical and Legal Issues in Treatment Decisions*, 1983. 6. Robinson B.A. *Euthanasia and Physician Assisted Suicide: All Sides of the Issue*. ხელმისაწვდომია: <http://www.religioustolerance.org/euthanas.htm> (2000). 7. Weir, Robert F. *Ethical Issues in Death and Dying*. New York: Columbia University Press, 1977). 8. Remmelink J. *The Legal position on Euthanasia in the Netherlands in the light of article 2 of the ECHR*. კრებულში: Protecting Human Rights: The European Perspective, studies in memory of Rolv Ryssdal, 2000, გვ.1157-71. ო. წერეთელი, ევთანაზია, როგორც ზნეობრივი და სამართლებრივი პრობლემა, ჟ. „საბჭოთა სამართალი“, №6, 1976.

გამომდინარეობს, რომ არც მისი დაშვებაა კონსტიტუციის საწინააღმდეგო. კალიფორნიისა და ნიუ-იუორკის შტატებში, აგრეთვე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მომზადებულია (1997-1999) და დღესაც განხილვის პროცესშია კანონპროექტები ევთანაზის დაშვების შესახებ. სულ ახლახან, 2006 წლის 12 მაისს ინგლისის ლორდთა პალატამ 148 ხმით 100-ის წინააღმდეგ უარყო კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სხვისი დახმარებით თვითმკვლელობის შესაძლებლობას.³ ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია ევთანაზის მხარდამჭერი ჯგუფები და ასოციაციები, მაგალითად, შოტლანდიაში (*Voluntary Euthanasia Society of Scotland*), კანადაში (*the Right to Die Society*) და სხვ.

იმ ქვეყნებში, სადაც ევთანაზია დაშვებულია, იგი ექვემდებარება მკაცრ საზოგადოებრივ და სასამართლო კონტროლს. როგორც წესი, მკაცრად არის განსაზღვრული ექიმის მიერ ევთანაზის განხორციელების პირობები. მაგალითად, ჰოლანდიაში ექიმი, რომელმაც განახორციელა ევთანაზია, არ დაექვემდებარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლიბას, თუ:

(a) – დარწმუნდა, რომ პაციენტის გადაწყვეტილება იყო ნებაყოფლობითი, კარგად გააზრებული და საბოლოო;

(b) – დარწმუნდა, რომ პაციენტის სატანჯველი იყო აუტანელი (გაუსაძლისი) და უსაშველი (*unremitting*);

(c) – მან აუხსნა პაციენტს მისი მდგომარეობა და პერსპექტივა;

(d) – პაციენტთან ერთად გამოიტანა მკაცრი დასკვნა, რომ მის მდგომარეობაში არ არსებობდა სხვა გონივრული ალტერნატიული გადაწყვეტა (გამოსავალი);

(e) – კონსულტაცია მიიღო, სულ მცირე, ერთი სხვა დამოუკიდებელი ექიმისაგან, რომელმაც გამოიკვლია პაციენტის მდგომარეობა და შეადგინა თავისი დასკვნა, რომელშიც დადასტურებულია ზემოთ მითითებული „ა“-„დ“ პირობების დაცულობა;

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (110-ე მუხლი) მიხედვით, მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით არის დანაშაული და ისჯება 5 წლამდე თავისუფლების აღავთით. გარდა ამისა, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის (10.10.1997) 191-ე მუხლში პირდაპირა მითითებული, რომ სამედიცინო პერსონალს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს ეკრძალება ევთანაზის განხორციელება ან მასში მონაწილეობა. როგორც კ. ყალიჩავა მართებულად აღნიშნავს, ეს დებულება ერთგვარად ეწინააღმდეგება ამავე კანონის 148-ე მუხლს, რომლის მიხედვით, ტერმინალურ სტადიაზე მყოფ ქმედუნარიან ავადმყოფს უფლება აქვს, უარი განცხადოს სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელ ან პალიატიურ მკურნალობაზე; მისივე აზრით, ზემოაღნიშნული დებულება არ შეესაბამება არც „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის (05.05.2000) 22-ე-26-ე მუხლებს, რომელთა შესაბამისად: а) ქმედუნარიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღების უნარან პაციენტს უფლება აქვს, მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე უარ განცხადოს სამედიცინო მომსახურებაზე (სიცოცხლის გამსანერილოვებელი აპარატის გამორთვის ჩათვლით); б) თუ პაციენტი იმყოფებოდა უგონო მდგომარეობის, აღნიშნულ უფლებას ახორციელებს ავადმყოფი ნათესავი ან მისა კანონიერი წარმომადგენელი (ხს. კ. ყალიჩავა, ევთანაზის სამართლებრივი რეგულირების პრობლემა (საქართველოს მაგალითზე), ქ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(11)06, გვ.52.

f) — პაციენტის სიცოცხლის შეწყვეტა განახორციელა შესატყვისი სამედიცინო მეთოდით.⁴

2.2. ადამიანის უფლებათა ეპროცესი კომისიისა და ადამიანის უფლებათა ეპროცესი სასამართლოს პოზიციები, PRETTY-ს საქმე

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ საქმეში - *Widmer v. Switzerland* - დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი არ მოითხოვდა, პასიური ევთანაზია ეროვნული კანონით დანაშაულად ყოფილიყო გამოცხადებული. ამ საქმეში საკმარისად იქნა მიჩნეული, რომ შეეცარიის კანონმდებლობა ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სამედიცინო დაუდევრობისათვის, რომელმაც სიკვდილი გამოიწვია.⁵

ამ გადაწყვეტილებიდან არაპირდაპირ გამომდინარეობს, რომ აქტიური ევთანაზიის მიმართ დამოკიდებულება განსხვავებული იქნება. თუმცა ცხადი მაინც არ არის, მოითხოვს თუ არა კონვენციის მე-2 მუხლი, რომ აქტიური ევთანაზია ავადმყოფის თხოვნით აკრძალული იყოს; ან სამართლებრივი პასუხისმგებლობის რომელი სახე იქნება მისთვის შესატყვისი პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე; ანდა, ხომ არა გვაქვს საქმე ისეთ ვითარებასთან, როდესაც არც ევთანაზიის აკრძალვა იქნება მიჩნეული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნად და არც მისი აუკრძალველობა — ამ მუხლის დარღვევად. 2004 წელს განხილულმა მეტად გახმაურებულმა საქმემ - *Pretty v. the United Kingdom*⁶ - მეტი გარკვეულობა შემოიტანა ამ თვალსაზრისით.

მომჩივანს, 43 წლის ქალბატონს, სჭირდა სამოძრაო ნეირონების დაავადება, რაც განუკურნებელი იყო და იწვევდა ხელ-ფეხის უკიდურესად დაძაბუნებას, სასუნთქი კუნთების სისტემის მოშლას და, საბოლოო ჯამში, — სიკვდილს. მისი ავადმყოფობა სულ უფრო პროგრესირდებოდა, ორგანიზმი მთლიანად პარალიზებული გახდა, მაგრამ იგი სრულად ინარჩუნებდა გონების სიცხადესა და გადაწყვეტილების მიღების უნარს. იმის გამო, რომ ავადმყოფობის ბოლო ეტაპები დაკავშირებული იყო ტანჯვასთან და ავადმყოფის დამამცირებელ მდგომარეობაში ყოფნასთან, მომჩივანმა გამოთქვა სურვილი, თვითონვე გადაეწყვიტა, თუ რა გზით აღესრულებოდა და თვითონვე დაეთქვა სიცოცხლესთან განშორების დრო. ვინაიდან თვითმკვლელობის განხორციელება დამოუკიდებლად არ შეეძლო, ხოლო თვითმკვლელობაში დახმარების გაწევა სისხლისსამართლებრივად ისჯებოდა, მომჩივნის ადვოკატმა თხოვნით მიმართა საჯარო დევნის დირექტორს,⁷ აეღო

4. იხ. ჰოლანდიის სისხლის სამართლის კოდექსის 293-ე და 294-ე მუხლები.

5. *Widmer v. Switzerland*, app. N20527/92 (1993).

6. *Pretty v. the United Kingdom*, judgment of 29.04.2002.

7. დიდ ბრიტანეთში ასე იწოდება სახელმწიფო ბრალდების სამსახურის უფროსი.

ვალდებულება, არ აღეძრა დევნა მომჩივნის მეულლის მიმართ, თუ იგი დაეხმარებოდა თვითმკვლელობის განხორციელებაში. აღნიშნული თხოვნა არ დაკმაყოფილდა. მომჩივნის აზრით, სახელმწიფომ დაარღვია მისი სიცოცხლის უფლება. მანვე დააყენა კონვენციის მე-3, მე-8, მე-9 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საკითხი.

ევროპულმა სასამართლომ ასე დასვა საკითხი — „შეიძლებოდა თუ არა, „სიცოცხლის უფლება“ განმარტებულიყო იმგვარად, რომ მასში ნაგულისხმები ყოფილიყო სიცოცხლეზე უარის თქმის უფლებაც. მან აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი არ შეეხებოდა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ადამიანს თავისი სიცოცხლის მიმართ შეიძლებოდა მიეღო. მისი აზრით, შეუძლებელი იყო კონვენციის მე-2 მუხლის ინტერპრეტაცია, როგორც ადამიანისათვის სიკვდილის უფლების მინიჭება. ამ მუხლით დაცული „სიცოცხლის უფლებიდან“ არ გამომდინარეობდა ადამიანის თვითგამორკვევის უფლება, მისთვის იმ უფლების მინიჭება, რომ სიცოცხლეს ამჯობინოს სიკვდილი. ევროპულმა სასამართლოს განმარტებით, „სიცოცხლის უფლები-საგან“ დიამეტრულად განსხვავებული „სიკვდილის უფლება“ შეუძლებელია ნაგულისხმები ყოფილიყო კონვენციის მე-2 მუხლში. ამიტომ ამ მუხლის საფუძველზე არ შეიძლება გაკეთებულიყო დასკვნა, რომ ადამიანებს ჰქონდათ სიკვდილის უფლება სხვა პირის ან სახელმწიფო ორგანოს დახმარებით. შესაბამისად, მომჩივნის არგუმენტი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ორგანომ, რომელმაც არ მისცა მას სხვისი დახმარებით თვითმკვლელობის უფლება, ამით თითქოს დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით ნაგულისხმები ვალდებულება, მართებული არ იყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ არ ცნო კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. მანვე უარყო კონვენციის მე-3, მე-8, მე-9 და მე-14 მუხლების დარღვევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ევთანაზიის შესაბამისობის საკითხზე გამოთქმული შეხედულებები განსხვავებულია, თუმცა უმეტესი მათგანი იქითკენ იხრება, რომ ევთანაზიის უფლება არ ენინააღმდეგება კონვენციას. მაგალითად, **ვან დეიკი** და **ვან ჰოი** მიიჩნევენ, რომ ევთანაზია არ ენინააღმდეგება კონვენციას. მათი აზრით, სიცოცხლის ლირებულება უნდა აიწონოს პიროვნების სხვა უფლებებთან მიმართებით, განსაკუთრებით კი, კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ უფლებასთან მიმართებით — იყოს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან დაცული⁸, **რობერტსონისა და მერილსის** აზრით, ევთანაზია ინდივიდის თანხმობით არ არღვევს სიცოცხლის უფლებას, ხოლო როდესაც ასეთი თანხმობის მიღება შეუძლებელია, სიცოცხლის უფლების მნიშვნელობა შესაბამის გარემოებებში უნდა შეფასდეს ინდივიდის სხვა უფლებე-

8. იხ. P. van Dijk G.J.H. van Hoof, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 3rd edition, 1998. გვ.302,303.

ბის დაცვის საჭიროების გათვალისწინებით; ⁹ **ს.ტრეხსელი** იზიარებს ევთა-ნაზიას და ფიქრობს, რომ მას არ გააჩნია „განზრახი მკვლელობისათვის“ დამახასიათებელი არამართლზომიერება, ვინაიდან ამ დროს მოკვდინების განზრახვა არ ემყარება ეგოისტურ საწყისებს;¹⁰ **ჯ.რემელინკის** აზრით, ევთა-ნაზიას განხორციელება ფორსმაჟორული აქტია, რომელიც არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან იმუნიტეტის საფუძველი. მისი შეხე-დულებით, ზოგიერთ შემთხვევაში ექიმის მიერ ავადმყოფის მკურნალობის გაგრძელება შეიძლება ჰგავდეს „ცუდად მოპყრობას“ (*ill treatment*), რომე-ლიც უთანაბრდება „არაადამიანურ მოპყრობას“ კონვენციის მე-3 მუხლის გაგებით. მას მიაჩნია, რომ ევთანაზია, რა პირობებშიც იგი არის დაშვე-ბული ჰოლანდიაში, არ ენინააღმდეგება ევროპულ კონვენციას;¹¹ მათგან განსხვავებით, **დ.ფელდმანი** მიუთითებს, რომ, ვინაიდან ევთანაზია ადამია-ნის განზრახ მოკვდინებაა და იგი არ არის მითითებული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ გამონაკლისებში, ამიტომ იგი ენინააღ-მდეგება მას.¹²

2.3. ანალიზი და შეფასება

Pretty-ს საქმეში სრულად გამოვლინდა ევთანაზიის მართლზომიერების შეფასების მთელი სირთულე.

ერთი მხრივ, მართლაც გაუმართლებელი იქნებოდა „კანონით სიცო-ცხლის დაცვის ვალდებულების დარღვევად“ მიგვეჩნია შეერთებული სამე-ფოს ხელისუფლების უარი, თავისი გადაწყვეტილებით ხელი შეეწყო თვით-მკვლელობისათვის. ნაკლებ სავარაუდოა, რომ კონვენციის ხელმოწერისას ხელშემკვრელ სახელმწიფოებს „კანონით სიცოცხლის უფლების დაცვაში“ ასეთი რამ ეგულისხმათ და შესაბამისი ვალდებულება ეკისრათ, მაგრამ, მეორე მხრივ, არც იმ ფაქტის გაუთვალისწინებლობა შეიძლება, რომ ქ-ნ პრეტის, რომელმაც ვერ მიიღო ევთანაზიის უფლება და რომელსაც თავისი მდგომარეობის გამო თვითმკვლელობის დამოუკიდებლად განხორციელება არ შეეძლო, ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილების შედეგად, პირ-დაპირ თუ არაპირდაპირ, ფაქტობრივად, „ფიზიკური და სულიერი ტანჯვის ატანის მოვალეობა“ დაეკისრა.

უეჭველია, რომ **Pretty**-ს საქმე ღირებულებათა მწვავე კონფლიქტის გამო-ვლინებაა, მაგრამ ამ კონფლიქტის სწორად შეფასება და გადაჭრა ვერაფრით

9. იბ. A.H.Robertson\J.G.Merrils, *Human Rights in Europe*, Manchester\New York (Manchester University Press), 3rd ed. 1993. გვ.34.

10. იბ. Trechsel Stefan, *Spotlights on Article 2 ECHR, The Right to Life*, Development and Developing International and European Law, 1999, გვ.677.

11. იბ. J.Remmeliink, მითითებული ნაშრომი, გვ.1169.

12. იბ. D.Feldman, *Civil Liberties and Human Rights in England and Wales*, Oxford, UK (Oxford University Press), 1993, გვ.122.

მოხერხდება, თუ საკუთრივ ღირებულებათა კონფლიქტის ფორმულა არ იქნება სწორად ჩამოყალიბებული. აშენავა, რომ კონფლიქტის ერთ მხარესაა პიროვნების თავისუფლება, ავტონომიურობა, პირადი ცხოვრების განკარგვის უფლება, უფლება, იყოს დამამცირებელი, ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან დაცული და სხვა, მაგრამ რომელია მათთან დაპირისპირებული ღირებულება — სიცოცხლის უფლება? თუ მოცემულ საქმეში ღირებულებათა კონფლიქტის ასეთ ფორმულას ვაღიარებთ, *prima facie*, არ უნდა გაგვივირდეს, თუ რატომ უნდა გადაწყდეს საკითხი სიცოცხლის უფლების სასარგებლოდ, რომელიც სამართლიანადა მიჩნეული ადამიანის სხვა უფლებების უზრუნველყოფის წინაპირობად. მაგრამ საქმეც ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში ქ-ნი პრეტის სიცოცხლის უფლებისათვის ზრუნვა სრულიად არაადეკვატურია იმისა, რისთვისაც სიცოცხლის უფლება უმაღლეს ადამიანურ ღირებულებად მიიჩნევა. ქ-ნი პრეტისათვის მისი დარჩენილი სიცოცხლე არათუ აღარ იყო არავითარი ღირებულება, არამედ, უფრო მეტიც: იგი მისი ტანჯვისა და წამების, მის დამამცირებელ მდგომარეობაში ყოფნის გახანგრძლივებას წინავდა და, შესაბამისად, იგი მისი სხვა უფლებების უზრუნველყოფის საშუალებად კი არა, პირიქით, მათ დამაბრკოლებლად იყო ქცეული. ამიტომ ღირებულებათა მოცემულ კონფლიქტში „სიცოცხლის უფლება“ არ მონაწილეობს როგორც ინდივიდის რეალური ინტერესი. იგი მონაწილეობს მხოლოდ როგორც ერთგვარი აბსტრაქტული საჯარო ინტერესი იმისა, რომ ადამიანთა სიცოცხლე დაცული უნდა იქნეს. სწორედ ამას დაეფუძნა „სიცოცხლის უფლების“ სასარგებლო ბალანსის ჩამოყალიბება.

ევთანაზიის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება ერთდროულად სამართლებრივ, სოციალურ, მორალურ, ბიოეთიკურ, სამედიცინო, რელიგიურ და ფილოსოფიურ საკითხებს,¹³ ამიტომ იგი კომპლექსურ ხედვას მოითხოვს და მხოლოდ იმის მიხედვით არ უნდა გადაწყდეს, თუ რომელი უფლებაა საზოგადოდ უფრო მნიშვნელოვანი. მათ შორის, ალბათ, ყველაზე უფრო გადამწყვეტი იმის გააზრებაა, გულისხმობს თუ არა სიცოცხლის უფლება თვითგამორკვევის, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის არჩევანის უფლებას (საგულისხმოა, რომ ქ-ნმა პრეტიმ, რომელმაც „სიკვდილის უფლება“ ვერ მიიღო, სწორედ მისი „სიცოცხლის უფლების“ დარღვევის საკითხი დააყენა სტრასბურგის სასამართლოში). როგორც აღნიშნეთ, ევროპულმა სასამართლომ ეს უარყო.

ქვემოთ ჩვენ შევეცადეთ, წამოგვენია რამდენიმე სამართლებრივი საკითხი ევთანაზიასთან მიმართებით, რომლებზეც დაბეჯითებითი პასუხის გაცემა თავად არ მიგვაჩნია იოლ საქმედ. თუმცა თავად საკითხთა ასეთი

13. განსაკუთრებულად აქტუალურია ზემოაღნიშნული პრობლემის გააზრება „პაციენტის უფლებების“ კონტექსტში. იმზე, აქვს ან უნდა ჰქონდეს თუ არა ავადმყოფს „თვითგანსაზღვრის უფლება“, რომელიც მისი ჯანმრთელობისა და სამედიცინო მომსახურების სფეროში წესისმიერ გადაწყვეტილებაზე მის მონაპოლიურ უფლებას გულისხმობს, დამოკიდებულია იმის განსაზღვრაც, აქვს თუ არა ადამიანს საზოგადოდ სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ან ამ მიზნით ამა თუ იმ საშუალების გამოყენებაზე უარის თქმის უფლება.

დაყენება, ვფიქრობთ, მიგვაახლოვებს იმის გარკვევასთან, თუ რამდენად მართლზომიერია უიმედო ავადმყოფების მხრიდან ევთანაზის მოთხოვნის უფლება, რა სამართლებრივი დასაყრდენი აქვს „სიკვდილის უფლებას“ „სიცოცხლის უფლებაში“ და როგორ უნდა გადაწყდეს ღირებულებათა კონფლიქტი, როდესაც „სიცოცხლის უფლება“ რეალურ შინაარსს მოკლებულია და, იმავდროულად, სხვა უფლებების დამაბრკოლებელიც:

1. „სიცოცხლის უფლება“ ბუნებითი უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არც მინიჭება შეუძლია მისი და არც ჩამორთმევა;

– მაგრამ რამდენად შეესაბამება ზემოაღნიშნული დებულების ლოგიკას სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ჯგუფის) უფლება, დაადგინოს „სიცოცხლის უფლების“ შინაარსობრივი ფარგლები და ამ გზით თავად განსაზღვროს, თუ რა არის ის, რომლის არც მინიჭება შეუძლია მას და არც ჩამორთმევა?

– არსებობს თუ არა საერთოდ „სიცოცხლის უფლების“ განმარტების ექსკლუზიური კომპეტენცია ვინმესათვის?

2. „სიცოცხლის უფლება“, „თავისუფლების უფლებათა“ კატეგორიას მიეკუთვნება. მას „ნეგატიური სტატუსი“ აქვს. იგი ინდივიდის თავისუფლების განსაზღვრული სივრცეა, რომელიც ბოჭავს ყველა გარეშეს (სახელმწიფო-საც და სხვა ადამიანებსაც);

– მაგრამ არის თუ არა „სიცოცხლის უფლება“ შემბოჭველი იმ ადამიანისთვისაც, ვისაც ეს სიცოცხლე ეკუთვნის?

3. ევროპული კონვენციით გათვალისწინებული თავისუფლების სხვა უფლებების (მხედველობაშია მე-8, მე-9, მე-10, მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები) განხორციელებაში ნებისმიერი ინტერვენცია, თავისუფლების შესაბამისი სივრცის ნებისმიერი დარღვევა ამ უფლებათა განხორციელებაში „ჩარევად“ განიხილება („ჩარევის“ გამართლებულობის შეფასება ცალკე საკითხია);

– მაგრამ რას გულისხმობს „სიცოცხლის უფლების განხორციელება“?

– რას შეიძლება ნიშნავდეს „სიცოცხლის უფლების განხორციელებაში ჩარევა“, - მხოლოდ სიცოცხლის წარმევას ან ხელყოფას?

4. „თავისუფლების უფლებებისათვის“ დამახასიათებელია ნეგატიური ასპექტი („ნეგატიური თავისუფლება“): მაგალითად, ადამიანის უფლება, არ გამოხატოს თავისი აზრი, არ გაერთიანდეს სხვასთან ერთად და ა.შ.

– მაგრამ აქვს თუ არა „სიცოცხლის უფლებას“ ნეგატიური ასპექტი?

– შეიძლება თუ არა „სიცოცხლეზე უარის თქმის უფლება“ (ანუ „სიკვდილის უფლება“) მივიჩნიოთ „სიცოცხლის უფლების“ ნეგატიურ ასპექტად?

- თუ არა, რას ემყარება იგი – „სიცოცხლის უფლების“ ონტოლოგიურ თავისებურებებს თუ სხვა მოსაზრებებს?

- თუ „სიკვდილის უფლება“ არ არის „სიცოცხლის უფლებისაგან“ განუ-
ყოფელი, არსებობს თუ არა იგი დამოუკიდებლად და ეწინააღმდეგება თუ
არა იგი „სიცოცხლის უფლებას“?

5. „თავისუფლების უფლებები“ ბუნებრივად გულისხმობს შესაბამის „მოვა-
ლეობებსა და პასუხისმგებლობას“. თავისუფლებათა განხორციელების დროს
ინდივიდუალური მოვალეა, საფრთხე არ შეუქმნას სხვა კანონიერ ინტერესებს (საერთო
საჯარო ინტერესსა თუ სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს);

- მაგრამ შეიძლება თუ არა, სიცოცხლის უფლების განხორციელებამ
(თავად იმ ფაქტმა, რომ ადამიანი ცოცხალია) რაიმე ფორმით საფრთხე შეუქმნას ამ ინტერესებს?

- აქვს თუ არა სიცოცხლის უფლებას მისგან განუყოფელი, მისთვის თა-
ნაარსი „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა?“ - თუ ჰო, რა არის იგი?

6. თუკი მართებულია მოსაზრება, რომ ის, რასაც კონვენციის მე-2
მუხლი იცავს, არის „სიცოცხლის უფლება“ და არა თავად „სიცოცხლე“
ინდივიდისა,¹⁴

- მაშინ, რამდენად შეესაბამება ეს დებულება ინდივიდის სიცოცხლის
(და არა ამ უფლების) დაცვას მისივე სურვილის საწინააღმდეგოდ?

7. „სიცოცხლე“ უზენაესი ღირებულებაა,

- მაგრამ შეიძლება თუ არა „სიცოცხლის“, როგორც ღირებულების, ხა-
რისხმობრივი დიფერენციაცია? არსებობს თუ არა განსხვავება, ობიექტური
თუ სუბიექტური თვალსაზრისით, ადამიანურ (სრულფასოვან) სიცოცხლესა
და ვეგეტატურ სიცოცხლეს შორის? არის თუ არა „არასრულფასოვანი
სიცოცხლე“ მაინც უზენაესი ღირებულება?

8. „სიცოცხლე“ მხოლოდ განყენებული ცნება არ არის. მის უზენაეს ღი-
რებულებად მიჩნევა ემყარება თითოეული სიცოცხლის განუმეორებლობას
და ამის გამო, იგი, უნინარესად, იმ ინდივიდისთვისაა ყველაზე დიდი ღირე-
ბულება, ვისაც ის ეკუთვნის.

- მაგრამ ყოველთვის, ყველა გარემოებაში აღემატება თუ არა „სიცო-
ცხლის უფლება“ ინდივიდის სხვა უფლებებს, მაგალითად: ღირსებას, პირო-
ვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, პირად ცხოვრებას?

14. ასეთი შეხედულება არაერთმა მეცნიერმა გამოთქვა, მაგალითისათვის იხ. : J.E.S.FAWCETT, *The Application of the European Convention on Human Rights*, Oxford, 2nd ed., 1987. გვ.37; P.VAN DIJK/G.J.H VAN HOOF, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, The Hague, 3rd ed., 1998, გვ.297.

– აქვს თუ არა ინდივიდს უფლება, როდესაც შეუძლებელია მისი სხვა-დასხვა უფლების ერთდროულად განხორციელება, გააკეთოს არჩევანი იმის მიხედვით, თუ რა არის მისთვის უფრო ძვირფასი და თავად გადაწყვიტოს თავის უფლებებს შორის არსებული ღირებულებათა კონფლიქტი?

– შეუძლია თუ არა მას სიცოცხლის უფლების განხორციელებაზე უარის თქმა სხვა უფლებათა განსახორციელებლად მაშინ მაინც, როდესაც სიცო-ცხლე ობიექტურად გაუფასურებულია, ხოლო სუბიექტურად დამთრგუნვე-ლი, გამტანჯველი და ღირსების დამამცირებელი?

– ხოლო თუ ასეთი უფლება არ არსებობს, მაშინ არსებობს თუ არა „სი-ცოცხლის მოვალეობა“ (ან „სიცოცხლის ვალდებულება“)? თუ „სიცოცხლის უფლება“ არ მოიცავს მისგან „დიამეტრულად განსხვავებულ“ „სიკვდილის უფლებას“, მაშინ, შეიძლება თუ არა იგი მოიცავდეს ასევე დიამეტრულად განსხვავებულ „სიცოცხლის მოვალეობას“? და, საერთოდ, რა ღირებულება აქვს „მისჯილ სიცოცხლეს“?

9. თუკი „ადამიანის მოკვდინება“ საზოგადოდ შეიძლება იყოს მართლ-ზომიერი აქტი სხვა კანონიერი ინტერესების დასაცავად (მაგალითად: აჯან-ყების ან ამბოხების ჩასახშობად, კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიე-რად დაკავებული პირის გაქცევის აღსაკვეთად, საკუთარი თავის ან სხვათა დასაცავად „აუცილებელი მოგერიების“ მდგომარეობაში), რატომ არ შეი-ძლება „ადამიანის მოკვდინება“ მისივე სხვა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად იყოს „მართლზომიერი აქტი“, თუნდაც როგორც „უკიდურესი აუცილებლობა?“ განა არ აღემატება ასეთ დროს „გადარჩენილი სიკეთე“ გაუფასურებულ და გაუსაძლის სიცოცხლეს?¹⁵

და ბოლოს: ადამიანის ღირსება ილახება მისი გამოუვალ, უიმედო მდგო-მარეობაში ჩაყენებითაც.¹⁶ ქ-ნმა პრეტიმ თავისი სავალალო მდგომარეობი-დან გამოსავალი მოქებნა - მან არჩევანი ღირსების, ფაქტობრივად, ღირ-სეული სიცოცხლის სასარგებლოდ გააკეთა. სამწუხაროდ, ასეთი არჩევანი სიცოცხლის დათმობას გულისხმობდა; სამწუხაროდ, მისთვის ეს მართლაც ერთადერთი გამოსავალი იყო; სამწუხაროდ, მას ეს ერთადერთი გამოსავა-ლიც აღეკვეთა.

ყოველივე ზემოაღნიშნული გადამეტებულ ჩაძიებად შეიძლება მოგვე-ჩვენოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ასეთი კუთხით ხედვაც აუცილებელია იმი-

15. ავადმყოფი და სასიკვდილოდ განწირული ადამიანების უფლებების შესახებ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისათვის 1976 წელს წარდგენილ მოხსენებაში (*Hubinek-Voogd report*), რომელშიც გადმოცემულია სტანდარტული რეგულირების საერთო პრინციპები, მითითებულია, რომ „სიცოცხლის გახანგრძლივება, თავისთავად, არ უნდა იყოს ყველაფრის წამლებავი თვით-მიზანი სამედიცინო პრაქტიკისათვის და, რომ თანაბრადვე მნიშვნელოვანია, მას აშვილობრივი ავადმყოფის სატანჯველის სიმძიმე“ (ციტირებულია ქ.რემელინკის მითითებული სტატიიდან, გვ.1169).

16. იხ. კ.კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ., 2003, გვ.91.

სათვის, რათა „სიცოცხლის უფლების“ ონტოლოგიური ბუნება და მისი საშუალებით ევთანაზიის დაშვებისა და დაუშვებლობის საფუძვლები ღრმად იქნეს გააზრებული.¹⁷

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი მაინც იმის სწორად შეფასებაა, არის თუ არა ევთანაზიის მოთხოვნა ბუნებითი, „ადამიანის მიერ მართლზომიერად ნაგულვები“ უფლება. ქ-ნი პრეტის, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვდა ევთანაზიის განხორციელებას და რომელმაც მთელი დარჩენილი სიცოცხლე ამ უფლებისათვის ბრძოლას შეალია,¹⁸ უეჭველია, ნაგულვები ჰქონდა, რომ იგი ფლობდა სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის არჩევანის გაკეთების უფლებას. თავისთავად ის ფაქტიც, რომ ევთანაზია ყოველთვის გამოიყენებოდა, იმის მიუხედავად, იყო თუ არა იგი აკრძალული, იმაზე მეტყველებს, რომ ევთანაზიის განხორციელება შესაბამის გარემოებებში არაერთხელ იქნა ადამიანების მიერ მიჩნეული „ერთადერთ და სამწეხაო გამოსავლად“. ასეთ ვითარებას მართლაც შეიძლებოდა გამოეწვია „ევთანაზიის უფლების“ თვითდამკვიდრება.¹⁹

იქნება თუ არა მიღწეული საყოველთაო კონსენსუსი ევთანაზიის, როგორც ბუნებითი უფლების, აღიარების საკითხში, ეს მომავლის საქმეა. ის, თუ რა უფრო ჰუმანურია, სასიკვდილოდ განწირული ადამიანის ხსნა გაუსაძლისი სიცოცხლისაგან, თუ, დაუინებითი მოთხოვნის მიუხედავად, მისი ბედის ანაბარა მიტოვება, სიცოცხლის ღირებულების უზენაესობის კეთილშობილური, მაგრამ მიზანსაცდენილი არგუმენტით, როგორც ჩანს, კიდევ დიდ ხანს იქნება ფიქრისა და განსჯის საგანი, ისევე როგორც „ყოფნა-არყოფნის“ ფილოსოფიური საკითხი, საზოგადოდ.

3. ფეტუსის სიცოცხლის უფლება

3.1. საერთო კონტექსტი

კითხვაზე — იცავს თუ არა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი ფეტუსის სიცოცხლის უფლებას - ჯერ კიდევ არ არსებობს ცხადი პასუხი. ევროპული სასამართლო თავს იკავებს იმის აღიარებისაგან, რომ კონვენციის მე-2 მუხლი ფეტუსის, ანუ დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლესაც იცავს, მაგრამ იმავდროულად, არც კატეგორიულად გამორიცხავს ამას. იგი ცდილობს,

17. კ-ყალიჩავა მიჩნევს, რომ ევთანაზიის აკრძალვა, რომელიც არის ადამიანის პირად ცხოვრება-ში უხეში ჩარჩვა, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც „პიროვნების თავისუფალი განვითარების ლიმიტირება“ ან კიდევ — როგორც „მისი ღრსების „კანონიერი უსამართლობით“ შებდალვა“. (იხ. კ-ყალიჩავა, მთიათებული ნაშრომი, გვ.57).

18. ქ-ნი პრეტი ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვიდან სამი კვირის შემდეგ გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით.

19. აღსანიშვავია, რომ ისტორიულად ადამიანის სიკვდილის დაჩქარება სიბრალულის მოტივით ყოველთვის როდი უკავშირდებოდა მის ავადმყოფობას. მაგალითად, ცნობილია, რომ ამ გზას ხშირად მიმართავდნენ ჯვარცმულთა ტანჯვის დასასრულებლად.

ცალკეული კონკრეტული საქმეები, რომლებიც ამ პრობლემას უკავშირდება, ისე გადაწყვიტოს, რომ გვერდი აუაროს მასზე პრინციპული პასუხის გაცემას. ცხადია, ეს შემთხვევითი არ არის.

არსებითად, საკითხი იმის შესახებ, იცავს თუ არა კონვენციის მე-2 მუხლი ფეტუსის სიცოცხლის უფლებას, იმასთანაა დაკავშირებული, თუ როდის იწყება „სიცოცხლე“, არის თუ არა ემბრიონი/ფეტუსი²⁰ „ადამიანი“ და საერთოდ, როგორია მისი მორალური და სამართლებრივი სტატუსი; მეორე მხრივ, იმის მიუხედავად, თუ რა სტატუსი აქვს მას, უეჭველია, რომ იგი იმსახურებს სამართლებრივ დაცვას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლის პირველი წინადადება კი, რომელიც „ყველას“ სიცოცხლის უფლებას იცავს, ტექსტუალურად სრულიადაც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მასში ფეტუსის სიცოცხლის უფლებაც იგულისხმებოდეს, და არა მხოლოდ დაბადებული ადამიანებისა.

პრობლემის სირთულეს ის განაპირობებს, რომ ფეტუსის მორალური და სამართლებრივი სტატუსის საკითხი, ევთანაზისა არ იყოს, ერთდროულად უკავშირდება ბიოლოგიურ, სამედიცინო, ეთიკურ, რელიგიურ და ფილოსოფიურ საკითხებს. იგი მჭიდროდაა გადაჯაჭვული აბორტის თემასთან. ძნელი მისახველი არ არის, რომ ფეტუსის/ემბრიონის სიცოცხლის აბსოლუტური უფლების აღიარება აბორტის სრულ აკრძალვას მოითხოვს და ამიტომ ზოგჯერ უპირისპირდება დედის უფლებებს, მათ შორის — მის სიცოცხლის უფლებასაც.²¹ ცნობილია, რომ ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულებები არსებობს მთელ მსოფლიოში და არც ევროპული მასშტაბით მოიძებნა კონსენსუსი.²² ევროპული სასამართლოს ერთგვარი „გაუბედაობაც“ ფეტუსის სიცოცხლის უფლების როგორც აღიარების, ისე მისი კატეგორიული უარყოფის საკითხში, ეტყობა, სწორედ ამითაა გამოწვეული.

20. ჩასახვიდან პირველი რვა კვირის განმავლობაში დაუბადებელ ბავშვს უწოდებენ „ემბრიონს“, შემდგომი პერიოდის განმავლობაში კი – „ფეტუსს“. სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფა განსაკუთრებით აქტუალურია ფეტუსისათვის.

21. აბორტის დასაშეგბობის საფუძვლები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ყველაზე უფრო ხშირად ორსულობის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველია სამედიცინო და სოციალური ჩვენებები (გულისხმობის შემთხვევებს, როდესაც ორსულობა საშიშია ქალის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, ანდა როდესაც ორსულობის შეწყვეტის სურვილი განპირობებულია ნაყოფის მშობლების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით. ზოგიერთ ქვეყანაში ორსულობის შეწყვეტის დამატებითი საფუძვლებია ეთიკური (როდესაც ორსულობა ნარმოშობილია დანაშაულებრივი ჩარევის (გაუპატიურების) შედეგად, და ევგენიკური (როდესაც არსებობს ავადმყოფი, ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვის დაბადების საშმროება) ჩვენებები. იხ. კუბლაშვილი კონსტანტინე, ძირითადი უფლებები, 2003, თბ., გვ.127-128.

22. Trechsel Stefan, *Spotlights on Article 2 ECHR, The Right to Life*. კრებულში: Development and Developing International and European Law, 1999. გვ.672-3. Frowein J.A. PEUKERT W. Europäische Menschenrechtskonvention, 2nd ed. 1996. ECHR. Art.2. N3. P. van Dijk/G.J.H van Hoof, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 1998, გვ.300-1.

3.2. საერთაშორისოსამართლებრივი ინტერიერი

დავიწყოთ იმით, რომ „ფეტუსის“ საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი დეფინიცია არ არსებობს.²³ უმრავლესი ევროპული ქვეყანა ასეთ დეფინიციას საერთოდ არ იცნობს (ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, შვედეთი), ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს (ავსტრია, გერმანია, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო), მაგრამ ეს დეფინიციები განსხვავებულია.

ადამიანის უფლებათა სფეროში უნივერსალური საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, რომლებსაც რეგიონული აქტები ემყარება, ფეტუსის სიცოცხლის უფლება უზრუნველყოფილი არ არის. **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948) მე-3 მუხლის** თანახმად, „ყველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“, მაგრამ მასში ფეტუსის სიცოცხლის უფლება არ იგულისხმება. ამ გარემოებას ისიც ადასტურებს, რომ დეკლარაციის მომზადების დროს უარყოფილ იქნა მე-3 მუხლის ისეთი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სიცოცხლის უფლებას ჩასახვის მომენტიდან. **სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტზე (1996)** მუშაობის დროს ასევე უარყოფილ იქნა იდეა, რომ პაქტს სიცოცხლის უფლება ჩასახვის მომენტიდან დაეცვა. იმის გამო, რომ ამ საკითხზე შეხედულებები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული იყო, შეუძლებელი გახდა მისი გადაწყვეტა პაქტის საფუძველზე. ამიტომ ამ საკითხის დარეგულირება სახელმწიფოებს მიენდო.²⁴ მათგან განსხვავებით, ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციებსა და სხვა აქტებში ფეტუსის სიცოცხლის უფლებას სერიოზული დასაყრდენი აქვს.

ბავშვთა უფლებების (გაროს) კონვენციაში²⁵ დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლებაზე კონკრეტული მითითება არ არის, მაგრამ მისი დებულებების მიხედვით, ბავშვთა დაცვის საკითხები მოიცავს როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდგომ პერიოდს.²⁶ **ადამიანის უფლებებისა და**

23. იხ. „ბავშვთა უფლებების შესახებ ევროპული ქარტიის“ შესახებ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1046 (1986), რომელიც შექმნა ადამიანის ემპრიონისა და ფეტუსის გამოყენებას დიაგნოსტიკური, თერაპიული, სამეცნიერო, ინდუსტრიული და კომერციული მიზნებით. მასში მითითებულია, რომ ადამიანის ემპრიონისა და ფეტუსის სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა არამყარი სამართლებრივი მდგომარეობა შეუქმნა და ამიტომ განსაკუთრებით აუცილებელი იყო მათი ბიოლოგიური და სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა.

24. იხ. ლაშა ჭელიძე, სიცოცხლის უფლება ფეტუსისათვის, კრებულში: „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართლში“, (კორკელიას რედაქტორობით), თბ., 2002, გვ.257-8.

25. მიღებულია 1989 წელს, ძალაში შევიდა 1990 წელს.

26. მაგალითად, იხ. კონვენციის პრემბულის მე-9 აბზაცი: „...ბავშვი, ფიზიკური და გონებრივი მოუმნითებლობის გამო, საჭიროებს სპეციალურ დაცვასა და ზრუნვას, შესაბამისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდგომ პერიოდში“. პირველი მუხლის მიხედვით, „ბავშვი“ კონვენციის მიზნებისათვის გულისხმობს თვრამეტ წელს მიულწვევლ პირს, ხოლო სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს, რომ ბავშვობის პერიოდი იწყება არა დაბადების, არამედ ჩასახვის მომენტიდან.

ბიომედიცინის შესახებ (ოვიედოს) კონვენცია,²⁷ რომელიც შეეხება ადამიანის ღირსების დაცვას ბიოლოგიისა და მედიცინის გამოყენების დროს, შეიცავს ადამიანის ემბრიონის დაცვის შესახებ დებულებებსაც. ამ კონვენციის განმარტებების მიხედვით, კონვენციის პირველ მუხლში მითითებული სიტყვა „ადამიანი“ („*human being*“) ამ მუხლის შინაარსში გულისხმობდა იმას, რომ ადამიანის ღირსება და თვითმყოფადობა (*identity*) დაცული უნდა ყოფილოყო სიცოცხლის ჩასახვისთანავე.

ფეტუსის სიცოცხლის უფლებას გამოკვეთილად იცავენ **ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია**²⁸ (მე-4 მ.), და **ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია**²⁹ (მე-4 მ.), ამ აქტებით სიცოცხლის უფლება დაცულია ჩასახვის მომენტიდან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერამერიკული რეგიონული სისტემის სასამართლო პრაქტიკა არ უზრუნველყოფს ფეტუსის სიცოცხლის აბსოლუტურ დაცვას. 1987 წელს ინტერამერიკულმა კომისიამ საქმეში - *Baby-boy* - დაადგინა, რომ კონვენციის მე-4 მუხლს არ ეწინააღმდეგებოდა აბორტის დაშვება დედის სიცოცხლის დასაცავად და გაუპატიურების დროს. კანადისა და აშშ-ის უზენაესმა სასამართლოებმა უარი თქვეს ფეტუსისადმი პიროვნების თანაბარ მოპყრობაზე (*Winnipeg Child Family Services v. G.* (1997); *Roe v. Wade* (1973)). აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა ეს პიზიცია 2000 წელს საქმეში - *Stenberg v. Garhart* და არაკონსტიტუციურად ცნო შტატის კანონი, რომელიც კრძალავდა აბორტის ზოგიერთ მეთოდს და არ უზრუნველყოფდა ქალთა ჯანმრთელობას. სამხრეთ აფრიკაში უმაღლესმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ფეტუსი არ იყო სამართლის სუბიექტი (*Christian Lawyers Association of South Africa and Others v. Ministry of Health and Others*, 1998).

რაც შეეხება ევროპული ქვეყნების შიდა სამართალს, უმრავლეს შემთხვევაში განზრახი მკვლელობის დანაშაული არ მოიცავს ემბრიონის/ფეტუსის სიცოცხლის ხელყოფას, მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სპეციალურ დანაშაულს. მაგალითად, იტალიაში პირი, რომელიც გაუფრთხილებლობით გამოიწვევს ორსულობის შეწყვეტას, ისჯება პატიმრობით 3 თვიდან 2 წლამდე ვადით. ესპანეთში სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულადა გამოცხადებული მოქმედება, რომელმაც გამოიწვია ფეტუსის დაზიანება (157-ე მ.) ან ორსულობის მოშლა უხეში დაუდევრობით (146-ე მ.). თურქეთში სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილია გამკაცრებული პასუხისმგებლობა სხეულის დაზიანებისათვის, თუ დაზიარალებული ორსული ქალია და დაზიანებამ გამოიწვია ორსულობის შეწყვეტა (456-ე მ.).

27. მიღებულია 1997 წელს, ძალაში შევიდა 1999 წელს, ხელმომწერები არიან ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის წევრი ქვეყნები.

28. მიღებულია 1969 წელს, ძალაში შევიდა 1978 წელს.

29. მიღებულია 1981 წელს, ძალაში შევიდა 1986 წელს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი, რომელიც სიცოცხლეს ადა-მიანის ხელშეუვალ უფლებად აცხადებს, არ შეიცავს მითითებას ფეტუ-სის სიცოცხლის უფლების შესახებ და არც საქართველოს სასამართლო-ებს მოუხდენიათ მისი იმგვარი ინტერპრეტაცია, რომ სიცოცხლის უფლე-ბა დაუბადებელ სიცოცხლეზეც ვრცელდება. თუმცა სისხლის სამართლი ფეტუსის/ემბრიონის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არაპირდაპირ იცავს ორსული ქალის სიცოცხლის ხელყოფისა თუ ჯანმრთელობის დაზიანე-ბისათვის გამკაცრებული პასუხისმგებლობის დაწესებით.³⁰ გარდა ამისა, დადგენილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უკანონო აბორტი-სათვის (სსკ-ის 132-ე მუხლი).

3.3. ევროპული კონვენციისა და მისი ორგანოების პრინციპი, VO-ს საქმე

იმის თაობაზე, იგულისხმება თუ არა ფეტუსი/ემბრიონი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლ-ში, რომელიც „ყველას“ სიცოცხლის უფლებას იცავს, კონვენციის *travaux préparatoires*-ში არაფერია ნათქვამი. ამასთან დაკავშირებით, მხედველო-ბაში მისაღებია ის ფაქტი, რომ კონვენციის ხელმოწერისას, 1950 წელს, პრაქტიკულად ყველა ხელმოწერი ქვეყნის შიდა კანონმდებლობა უშვებდა აბორტს განსაზღვრულ გარემოებებში. ეს იმის მაუწყებელია, რომ ფეტუ-სის/ემბრიონის სიცოცხლის (მით უფრო — აბსოლუტური) უფლების და-ცვის ვალდებულება კონვენციის ხელმოწერისას, შეუძლებელია ნაგულისხ-მები ყოფილიყო.

ევროპის ქვეყნებში აბორტის შედარებით უფრო ფართო შესაძლებლო-ბიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებითაც, რომ საერთო ტენდენ-ცია ევროპაში აბორტის კანონმდებლობის ლიბერალიზაციაა, სხვადასხვა ორგანიზაცია, მაგალითად რეპროდუქციული უფლების ცენტრი (CRR) და ოჯახის დაგეგმვის ასოციაცია (FPA) ასევე მიიჩნევენ, რომ დაუბადებელი ბავშვი არ შეიძლებოდა, თავიდანვე ნაგულისხმები ყოფილიყო კონვენციის მე-2 მუხლში.³¹ საყურადღებოა, ავსტრიისა და ჰოლანდიის საკონსტიტუციო სასამართლოებმა პირდაპირ მიუთითეს, რომ ევროპული კონვენციის მე-2

30. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, „დაზარალებულის ორსუ-ლობა“, თუ იგი წინასწარ იყო ცნობილი დამნაშავისათვის, ითვლება დამამძიმებელ გარემოებად განზრას მცვლელობისას (სსკ-ის 109-ე მუხლის „ბ“ პუნქტი), ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისას (სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილი), აგრეთვე, ადამიანის ნამებისას (სსკ-ის 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი). ორსულობის შენ-ყვეტა კი, იმის მიუხედვად, იცოდა თუ არა დაზარაშვებ დაზარალებულის ორსულობის შესახებ, არს ერთ-ერთი (საკმარისი) საფუძველი სხეულის განზრას დაზიანების „ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანებად“ კვალიფიციისათვის.

31. იხ. ევროპული სასამართლოს დიდი პალატის განჩინება საქმეზე - Vo v. France (app. N53924/10) judgment of 8 July 2004, რომელშიც CCR და FPA მესამე მხარედ იყვნენ ჩართული, გვ.28-32.

მუხლი არ იყო გამოყენებადი ფეტუსის მიმართ.

საკითხი, იცავდა თუ არა კონვენციის მე-2 მუხლი ფეტუსის სიცოცხლის უფლებას, კონვენციის ორგანოების წინაშე პირველად სწორედ აბორტის კანონმდებლობასთან მიმართებით წამოიქრა (*X v. Norway*,³² *X v. Austria*³³), მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ უარი თქვა, შეეფასებინა *in abstracto* აბორტის კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციის მე-2 მუხლთან. საქმეში - *Bruggemann and Scheuten v. FRG* - მომჩივანი მიუთითებდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც შეზღუდა აბორტის შესაძლებლობა, იყო მის პირად ცხოვრებაში ჩარევა. კომისიამ უარი თქვა მე-8 მუხლის დარღვეულად ცნობაზე და მიუთითა, რომ არასასურველი ორსულობის შეწყვეტის ნებისმიერი დარეგულირება როდი იყო დედის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა,³⁴ მაგრამ საკუთრივ ის, ჩაითვლებოდა თუ არა დაუბადებელი ბავშვი „სიცოცხლედ“, კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით, ანდა, იყო თუ არა იგი ისეთი მოცემულობა, რომელსაც შეეძლო გაემართლებინა პირად ცხოვრებაში ჩარევა „სხვათა უფლებების დასაცავად“, მან არ გადაწყვიტა.

საქმეში - *X v. the United Kingdom* - კომისიამ ჩამოაყალიბა სამი შესაძლებელი მიდგომა კონვენციის მე-2 მუხლის ინტერპრეტაციისა ფეტუსის სიცოცხლესთან მიმართებით. ერთი მხრივ, მან მიუთითა, რომ სიტყვა „ყველას“ („everyone“, „toute personne“) საერთო გაგება და კონტექსტი, რომელშიც იგი იყო გამოყენებული კონვენციის მე-2 მუხლის პირველ წინადადებაში, არ მოიცავდა დაუბადებელ ადამიანებს. რაც შეეხება სიტყვა „სიცოცხლეს“, მის თაობაზე განსხვავებული შეხედულებები არსებობდა — ზოგიერთი მიიჩნევდა, რომ სიცოცხლე ჩასახვისთანავე იწყებოდა, სხვები სიცოცხლის დაწყებას ნაყოფის განვითარების სხვადასხვა პერიოდს უკავშირებდნენ, ზოგიერთის აზრით კი, სიცოცხლე დაბადებიდან იწყებოდა. ამის გამო კონვენციის მე-2 მუხლი სამგვარად შეიძლებოდა განმარტებულიყო, კერძოდ:

- რომ ის არ მოიცავდა ფეტუს საერთოდ;
 - რომ ის აღიარებდა ფეტუსის სიცოცხლის უფლებას განსაზღვრული შეზღუდვებით;
 - რომ ის აღიარებდა სიცოცხლის აბსოლუტურ უფლებას ფეტუსისათვის.
- საგულისხმოა, რომ კომისიამ პირველი ორი მიდგომა ღიად დატოვა, მაგრამ კატეგორიულად გამორიცხა მესამე. მან მიუთითა, რომ თუ აღიარებული იქნებოდა ფეტუსის სიცოცხლის აბსოლუტური უფლება, შეზღუდვების გარეშე, ეს გამოიწვევდა აბორტების სრულ აკრძალვას, მაშინაც კი, როდესაც ორსულობა სერიოზულ რისკთან იყო დაკავშირებული ქალისათვის.

32. Com. dec. of 29 May, 1961.

33. Com. dec. of 10 December, 1976.

34. Com. dec. of 12 July, 1977.

გარდა ამისა, ეს იქნებოდა იმის აღიარება, რომ ფეტუსის „დაუბადებელი სიცოცხლე“ („unborn life“) უფრო მაღალი ღირებულება იყო, ვიდრე ორსული ქალის სიცოცხლე.³⁵

საქმეში - *H v. Norway*, რომელიც შეეხებოდა არასამედიცინო მოსაზრებებით განხორციელებულ აბორტს მამის სურვილის წინააღმდეგ, კომისიამ მიუთითა, რომ მას არ უნდა გადაეწყვიტა საკითხი, შეიძლებოდა თუ არა, ფეტუს ესარგებლა განსაზღვრული დაცვით კონვენციის მე-2 მუხლის პირველი წინადადების საფუძველზე. მაგრამ აღნიშნა, რომ იგი „არ გამორიცხავდა ასეთ შესაძლებლობას განსაზღვრულ გარემოებებში.“ მანვე მიუთითა, რომ ასეთ დელიკატურ სფეროში ხელშემყვრელ სახელმწიფოს შეფასების ფართო თავისუფლება უნდა ჰქონოდა. მან დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში დედის გადაწყვეტილება, ნორვეგიის კანონმდებლობის მხედველობაში მიღებით, არ არღვევდა ამ თავისუფლების ფარგლებს.³⁶

პრინციპულ კითხვებს არც ევროპულმა სასამართლომ გასცა პასუხი. საქმე - *Open Door and Dublin Well Woman v. Ireland* - შეეხებოდა ხელისუფლების მიერ დაუბადებელი ბავშვების სიცოცხლის დასაცავად იმ სასაგენტოების აკრძალვას, რომლებიც ავრცელებდნენ ინფორმაციას საზღვარგარეთ აბორტის გაკეთების შესაძლებლობის შესახებ. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლი დარღვეულად ცნო და უარყო ასეთი ინფორმაციის გავრცელების აკრძალვის აუცილებლობა. თუმცა მას პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ იმ მოტივაციაში, რომელიც მან გამოიყენა (მიუთითა, რომ აბორტის სრული აკრძალვა საფრთხეში აგდებდა ქალთა ჯანმრთელობას), იმპლიციტურად იგულისხმება, რომ მან არ გაიზიარა ფეტუსის სიცოცხლის დაცვის აბსოლუტური უფლება.³⁷ ფაქტია, რომ კონფლიქტში ჩართული ღირებულებებიდან მან უპირატესობა მიანიჭა აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და ქალთა ჯანმრთელობის დაცვის საერთო ინტერესს და არ ფეტუსის სიცოცხლის უფლებას.

განსხვავებული საკითხები წამოიჭრა 2004 წელს განხილულ საქმეში - *Vo v. France*. ამ საქმემ გამოავლინა კონვენციის საფუძველზე ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვის ახალი ასპექტები. იგი შეეხებოდა სასურველ ბავშვს (21-24 კვირის სიცოცხლისუნარიან, ჯანმრთელ ფეტუსს), რომლის სიცოცხლეც შეწყდა თერაპიული აბორტის შედეგად, ექიმის შეცდომის გამო. ვიეტნამელი წარმოშობის ქალბატონი ქ.ლიონის საავადმყოფოში აერიათ სხვა ვიეტნამელ ქალბატონში და მის მიმართ განახორციელეს ისეთი სამედიცინო ჩარევა, რომელიც გამიზნული იყო ამ უკანასკნელისათვის. ჩარევის შედეგად ფეტუსი დაიღუპა. ექიმის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე გაუფრთხილებელი მკვლელობისა და გაუფრთხილე-

35. Com. dec. of 29 May, 1980. §19.

36. Com. dec. of 29 May, 1992.

37. *Open Door and Dublin Well Woman v. Ireland*, judgment of 29 October 1992.

ბლობით ფიზიკური ზიანის მიყენებისათვის. ქ.ლიონის კრიმინალურმა სასამართლომ ფიზიკური ზიანის მიყენების ბრალდებასთან მიმართებით შეწყვიტა საქმე ამნისტიის საფუძველზე; რაც შეეხება გაუფრთხილებელი მკვლელობის ბრალდებას, მან გადაწყვიტა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი არ გამოიყენებოდა ფეტუსის მიმართ, ვინაიდან იგი არ იყო „ადამიანი“. სააპელაციო სასამართლომ გაუფრთხილებელი მკვლელობის ბრალდების ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გააუქმა ორსულობის შეწყვეტის შესახებ 1975 წლის კანონის საფუძველზე. მისი დასკვნით, აღნიშნული კანონი ადამიანის სიცოცხლეს იცავდა ჩასახვის მომენტიდან და ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი ფეტუსის მიმართ გამოყენებადი იყო. საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა ამგვარ ინტერპრეტაციას და მიიჩნია, რომ არ არსებობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმების საფუძველი. დაზარალებულმა უარი თქვა დაცვის სხვა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული) სამართლებრივი საშუალებების გამოყენებაზე. მან მოითხოვა, რომ საქმე განხილული ყოფილიყო კონვენციის მე-2 მუხლის ჭრილში. ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მან მიუთითა, რომ სახელმწიფომ დაარღვია ფეტუსის სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება, რამდენადაც არ არსებობდა კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც ექიმს დაეკისრებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაუდევრობით ფეტუსის სიკვდილის გამოწვევისათვის. მომჩივნის აზრით, მხოლოდ სისხლის სამართლებრივი ღონისძიებების გამოყენება იქნებოდა ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი იმ ზიანისათვის, რომელიც მან განიცადა.

ევროპულმა სასამართლომ საჩივარი კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით მისაგებად ცნო, მაგრამ უარყო ამ მუხლის დარღვევა.

მან აღიარა, რომ სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება ვრცელდებოდა ჯანმრთელობის დაცვის სფეროზეც, რომ ეს ვალდებულება სახელმწიფოსაგან მოითხოვდა მარეგულირებელი წესების შემუშავებას, რომელიც სავალდებულო იქნებოდა როგორც კერძო, ისე სახელმწიფო კლინიკებისათვის; აგრეთვე, შესატყვისი ღონისძიებების გატარებას პაციენტთა სიცოცხლის დასაცავად და ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უზრუნველყოფას პაციენტთა სიკვდილის გამო პასუხისმგებლისათვის. მაგრამ მიიჩნია, რომ ისეთ სპეციფიკურ სფეროში, როგორიც იყო სამედიცინო დაუდევრობა, საქმარისად შეიძლებოდა მიჩნეულიყო ვითარება, თუ მსხვერპლს უზრუნველყოფილი ექნებოდა დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი საშუალებანი და ზიანის ანაზღაურება. ზოგჯერ დისციპლინური ღონისძიებებიც შეიძლებოდა საკმარისად მიჩნეულიყო.

რაც შეეხება ძირითად საკითხს — იცავდა თუ არა კონვენციის მე-2 მუხლი ფეტუსის სიცოცხლის უფლებას, სასამართლომ ღიად დატოვა. მან მიუთი-

თა, რომ „არ მიაჩნდა აუცილებლად, გადაეწყვიტა, იყო თუ არა მომჩივნის ორსულობის მოშლა კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების ფარგლებში“. ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ თავის განჩინებაში აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული საკითხის გადაჭრა მოითხოვდა იმის წინასწარ გადაწყვეტას, თუ ვინ იყო „**everyone**“ („*toute personne*“ - ფრანგულ ტექსტში) კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით, როდის იწყებოდა „სიცოცხლე“, რომელსაც ეს მუხლი იცავდა (§81). მან განმარტა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა მოითხოვდა სამართლებრივ, სამედიცინო, ფილოსოფიურ, ეთიკურ და რელიგიურ განზომილებებს „ადამიანის“ განსაზღვრისას და მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული სხვადასხვა მიდგომა ეროვნულ დონეზე (§82); ამ საკითხზე სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა შეფასების დიდი თავისუფლება. სასამართლომ დამიმოწმა ევროპის გაერთიანების ეთიკის ჯგუფის აზრი, რომლის მიხედვით, სამართლებრივად შეუძლებელი იყო ეროვნულ კანონმდებლობათა ჰარმონიზაცია გაერთიანების დონეზე, რამდენადაც ამ საკითხში კონსენსუსი არ არსებობდა. ამიტომ, სწორი არ იქნებოდა, შემოღებული ყოფილიყო ერთი ექსკლუზიური მორალური კოდექსი ევროპისათვის (§82). ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ, რამდენადაც არ არსებობდა კონსენსუსი ადამიანის ემბრიონის/ფეტუსის ბუნებისა და სტატუსის შესახებ, ამიტომ „არც სასურველი იყო და არც შესაძლებელი, სასამართლოს გაეცა ზოგადი პასუხი იმაზე, იყო თუ არა დაუბადებელი ბავშვი „ადამიანი“ კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით“ (§85); შესაბამისად, მან არც ის მიიჩნია აუცილებლად, გადაეწყვიტა, იყო თუ არა მე-3 მხარის დაუდევრობის შედეგად ფეტუსის სიკვდილი კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების ფარგლებში და იყო თუ არა ეს მუხლი საერთოდ გამოყენებადი მოცემულ შემთხვევაში. სასამართლომ საბოლოოდ დაასკვნა, რომ „მაშინაც კი, თუ კონვენციის მე-2 მუხლი გამოყენებადი იყო მოცემულ საქმეში, მისი დარღვევა მაინც არ არსებობდა, რამდენადაც პოზიტიური ვალდებულებანი სახელმწიფოს არ ჰქონდა დარღვეული“ (§95).³⁸

3.4. ანალიზი და შეფასება

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები მოწმობენ, რომ:

ა) კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე ფეტუსის სიცოცხლის დაცვის საკითხი კონვენციის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართლით პრინციპულად გადაწყვეტილი არ არის;

ბ) არსებითად, ფეტუსის სიცოცხლის დაცვის აპსოლუტური უფლება და მისი გათანაბრება დაბადებულ სიცოცხლესთან, მართალია, აღიარებული არ არის, მაგრამ არც მისი შეზღუდული დაცვა არის კატეგორიულად გამორიცხული კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე;

38. n.b. Vo v. France, app. N53924/00, judgment of 8 July 2004.

გ) ძირითადი არგუმენტი ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაცვის საზიანოდ, უკავშირდება სამედიცინო ან სოციალური მიზეზებით არასასურველი ორსულობის დროს ღირებულებათა კონფლიქტების წარმოშობას. ფეტუსის სიცოცხლის უფლება განსაზღვრულ გარემოებებში უპირისპირდება მშობლების პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას, ზოგჯერ კი — დედის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლებას, რომლებსაც პრიორიტეტი ენიჭება ფეტუსის სიცოცხლესთან მიმართებით.

ჩვენი შეხედულებით, რაც არ უნდა გონივრულ საფუძველს ემყარებოდეს სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებებისათვის პრიორიტეტის მინიჭება ფეტუსის სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაუცველობა და მისი სრული გამორიცხვა მე-2 მუხლით დაცული სფეროდან გაუმართლებელია და ალოგიკური; ამ საკითხის ღიად დატოვებას კი, რაც, პრაქტიკულად, დაუცველობის ვითარების შენარჩუნებას გულისხმობს, ისეთ ჩიხში შევყავართ, საიდან გამოსვლაც, მწყობრი არგუმენტაციით, თითქმის შეუძლებელია.

გაუმართლებელია იმიტომ, რომ სიცოცხლე, რომელიც ადამიანის ღირსებასთან ერთად უმთავრესი ადამიანური ღირებულებაა, სწორედ ემბრიონიდან/ფეტუსიდან იწყება. ფეტუსი, რომც არ იყოს ჯერ „ადამიანი“ ამ სიტყვის ბიოლოგიური, ფილოსოფიური, სამართლებრივი თუ ნებისმიერი სხვა გაგებით, სიცოცხლის დასაწყისია; თუ ფეტუსი ჯერ კიდევ არ არის „ადამიანი“, იმის უარყოფა ხომ მაინც არ შეიძლება, რომ იგი ცოცხალი არსებაა, რომელიც ადამიანურ მოდგმას, ადამიანურ რასას განეკუთვნება; მას ადამიანის სული აქვს³⁹ და „ადამიანის ღირსება“.⁴⁰ ამიტომ მას ისეთივე უფლება აქვს არსებობისა, როგორიც დაბადებულ ადამიანს; მისი სიცოცხლის უფლება ისეთივე ბუნებითი უფლებაა, როგორიც დაბადებული ადამიანის სიცოცხლისა. გარდა ამისა, ფეტუსის სიცოცხლის დაცვის გარეშე ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვა ვერასოდეს იქნება სრული. „ფეტუსის სიცოცხლის უფლება“, ფაქტობრივად, „ადამიანის დაბადების უფლებაა“. ამიტომ, თუკი „სიცოცხლე“ მხოლოდ დაბადებიდან იწყება, მაშინ ფეტუსის სიცოცხლის დაცვა აუცილებელი პირობა ყოფილა ადამიანის სიცოცხლის გაჩენისა და, მაშასადამე, სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფისა საზოგადოდ, და თუნდაც ამიტომ იმსახურებს სამართლებრივ დაცვას. ამრიგად, მიგვაჩინია, რომ ფეტუსის სიცოცხლის უფლება ადამიანის სიცოცხლის უფლებისაგან განუყოფელია.

ალოგიკურია იმიტომ, რომ წარმოიქმნება მეტისმეტი არათანაზომიერება კონვენციის საფუძველზე დაბადებული და დაუბადებელი სიცოცხლისადმი

39. ეს თვალსაზრისი შესანიშნავად არის გამოხატული ქართული სიტყვით - „ორსული“.

40. იხ. კონსტანტინე კუბლაშვილი, მითითებული ნაშრომი, გვ.86.

სამართლებრივ მოპყრობას, მათ სტატუსს, მათი სამართლებრივი დაცვის ხარისხებს შორის.

ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები „სიცოცხლეს“ განიხილავენ როგორც „ძირითად ღირებულებას დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და „მოსურნენი არიან, კიდევ უფრო გააძლიერონ სიცოცხლის უფლების დაცვა (იხ. კონვენციის მე-13 ოქმის პრეამბულა). ამ კონტექსტში ალოგიკურად გვესახება, რომ, ერთი მხრივ, ევროპული კონვენცია და მის საფუძველზე შექმნილი იურისპრუდენცია იღვნოდეს, რაც შეიძლება ეფექტიანი გახადოს (დაბადებული) სიცოცხლის უფლების დაცვა, ხოლო ფეტუსის სიცოცხლე კონვენციით უზრუნველყოფილი საერთაშორისოსამართლებრივი დაცვის გარეშე იქნეს დატოვებული და ყველაფერი ეროვნულ ხელისუფლებას მიენდოს.

ყოველივე ეს ალოგიკურად გვესახება, აგრეთვე, ევთანაზისადმი ევროპული სასამართლოს მიდგომასთან მიმართებით. არა გვეონია, რომ სიცოცხლის დასაწყისში უფრო ნაკლებად აქტუალური იყოს სიცოცხლისათვის ზრუნვა, ვიდრე სიცოცხლის დასასრულად; უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს სრულიად უმნეო არსების (ვისაც ჯერ საჟუთარი ნებაც არ გააჩნია) სიცოცხლის დაცვა, ვიდრე მომაკვდავი ადამიანის დარჩენილი გაუსაძლისი სიცოცხლისა, მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. ერთგვარ ალოგიკურობას იმაშიც ვხედავთ, რომ ფეტუსთან მიმართებით, პირადი და ოჯახური ცხოვრების (თანაც სხვათა პირადი და ოჯახური ცხოვრების) უფლებას პრიორიტეტი ენიჭებოდეს სიცოცხლის უფლებასთან შედარებით, ხოლო ევთანაზის დროს კი პირიქით, ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვა მისი პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში უხეში ჩარევის ხარჯზე ხორციელდებოდეს და ამით კიდევ უფრო აძლიერებდეს უმწეობის, საკუთარი ბედის განკარგვის უუნარობის შეგრძნებას.

ჩხში შევყავართ იმიტომ, რომ ევროპული სასამართლოს მხრიდან ტრადიციული თავშეკავება პრინციპულ საკითხებზე ცხადი პასუხების გაცემისაგან, რაც, როგორც აღვნიშნეთ, კონვენციის საფუძველზე ფეტუსის დაუცველობის ვითარების შენარჩუნებას გულისხმობს, სრულიადაც არ არის მარტივი გამოსავალი დილემიდან; იგი აძლიერებს სამართლებრივი გაურკვევლობის ხარისხს ამ პრობლემის ირგვლივ წარმოშობილ სხვადასხვა საკითხსა და ასპექტთან მიმართებით, წინააღმდეგობრივს ხდის დასაბუთებას, დამაჯერებლობას აკლებს მიღებულ გადაწყვეტილებებს და, საბოლოო ჯამში, აშკარას ხდის ახლებური მიდგომებისა თუ ინტერპრეტაციების აუცილებლობას.

ყოველივე ეს ნათლად გამოვლინდა **No-ს** ზემოაღნიშნულ საქმეში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპულმა სასამართლომ ჯერ საჩივარი მისაღებად ცნო და არ უარყო კონვენციის მე-2 მუხლთან საჩივრის საგნობრივი შეთავსებადობა (*ratione materiae*), შემდეგ კი ეჭვქვეშ დააყენა

კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენებადობა და არც შემდგომ გასცა ცხადი პასუხი ამაზე; ბოლოს უარყო კონვენციის დარღვევა და მიუთითა, რომ მაშინაც კი, თუ მე-2 მუხლი გამოყენებადი იყო, იგი მაინც ვერ ჩაითვლებოდა დარღვეულად.

ზემოაღნიშვნული სამი პოზიცია ერთმანეთს ეწინააღმდეგება და თითოეული მათგანი დანარჩენი ორის კონტექსტში თუ დამოუკიდებლად, სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული.

ცნობილია, რომ „საგნობრივი შეთავსებადობის“ საფუძვლით სასამართლო საჩივარს მისაღებად არ ცნობს მაშინ, როდესაც მიიჩნევს, რომ შესაბამის უფლებას, რომელიც მომჩივანს დარღვეულად აქვს ნაგულვები, კონვენცია საერთოდ არ იცავს. მაშასადამე, ასეთ დროს საქმე გვაქვს **ნაგულვები უფლების ნაგულვებ დარღვევასთან** (სხვა საქმეა, მართლზომიერად აქვს თუ არა იგი ნაგულვები). ასეთი საჩივრის მიღებას აზრი არა აქვს, ვინაიდან ამ ნაგულვებ უფლებაზე სახელმწიფოს არა აქვს ნაკისრი მისი დაცულობის ვალდებულება. ამის საპირისპიროდ, კონვენციასთან საჩივრის საგნობრივი შეთავსებადობის აღიარება და მისაღებად ცნობა იმის დადასტურებაა, რომ კონვენცია შესაბამის უფლებას იცავს და საქმე შეეხება **კონვენციით დაცული უფლების ნაგულვებ დარღვევას**. საჩივრის მიღებასაც ის აზრი აქვს, რომ შემოწმდეს, მართლაც დაარღვია თუ არა სახელმწიფომ ნაკისრი ვალდებულება. შესაბამისად, ქ-ნი ვოს საჩივრის მისაღებად ცნობა და კონვენციის მე-2 მუხლთან მისი საგნობრივი შეთავსებადობის აღიარება არსებითად იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ „დაადასტურა“ (სულ მცირე, „არ უარყო“) ფეტუსის სიცოცხლის უფლებას რომ კონვენცია იცავდა. უფრო მეტიც, თვით მე-2 მუხლის დარღვევის უარყოფაც კი, ლოგიკურად იმავეს „აღიარებაა“. კონვენციის ნებისმიერი მუხლის დარღვევის აღიარება თუ უარყოფა იმის დადასტურება ან უარყოფაა, რომ შესაბამისმა სახელმწიფომ დაარღვია ან არ დაარღვია კონვენციით ნაკისრი ვალდებულება. შეუძლებელია სახელმწიფომ დაარღვიოს ან არ დაარღვიოს ის, რაც მის ვალდებულებას არ შეადგენს. ამიტომ თავისთავად კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის უარყოფის ფაქტი ლოგიკურად იმას გულისხმობს, რომ კონვენციის მე-2 მუხლი იცავს ფეტუსის სიცოცხლის უფლებას, რომელიც სახელმწიფოს არ დაურღვევია.

არადა, დასკვნა, თითქოს სასამართლომ აღიარა ფეტუსის სიცოცხლის უფლების კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების ფარგლებში არსებობა, არ შეესაბამება სინამდვილეს. ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს განჩინების დებულებებიდან. პირიქით, ეწინააღმდეგება მთელ განჩინებას, უნინარესად — კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენებადობის ეჭვქვეშ დაყენებას და საკითხის ლიად დატოვებას ისეთი განცხადებით, რომ არც სასურველი იყო და არც შესაძლებელი, სასამართლოს გაეცა ზოგადი პასუხი იმაზე, იყო თუ არა დაუბადებელი სიცოცხლე დაცული კონვენციის მე-2 მუხლით.

ეს წინააღმდეგობა, ცხადია, აისახა სხვა, მასთან დაკავშირებულ, საკითხთა დასაბუთებაშიც. სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება ყოველთვის არ მოითხოვდა სისხლისამართლებრივ მისაგებელს და რომ თუ სიცოცხლის უფლების დარღვევა გამოწვეული იყო სამედიცინო დაუდევრობით, დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი საშუალებები საკმარისად იქნებოდა მიჩნეული.

თავისთვად ცხადია, დაცვის საშუალებების საკმარისობაზე საუბარს სიცოცხლის უფლების დარღვევასთან მიმართებით მაშინ აქვს აზრი, თუ საქმე მართლაც სიცოცხლის უფლების დარღვევას შეეხება. მოცემულ სა-ქმეში კი ფეტუსის სიცოცხლის უფლება (და მით უფრო, მისი დარღვევა) სამართლებრივი თვალსაზრისით (და არა, როგორც ფაქტი) საერთოდ არ ყოფილა აღიარებული.

სწორი იქნებოდა, სასამართლოს, თუკი მიაჩნდა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი ფეტუსის მიმართ არ ვრცელდებოდა, საჩივარი კონვენციასთან საგნობრივად შეუთავსებადად გამოეცხადებინა და იქ დაემთავრებინა საქმე.

ასეთი უნებლიერი წარმოშობილი წინააღმდეგობების საფუძველი ძალზე სერიოზულია. თავისთვად ის ფაქტი, რომ სასამართლოს „გაუჭირდა“, საჩივარი კონვენციასთან საგნობრივად შეუთავსებადად გამოეცხადებინა, იმის მიმანიშნებელია, რომ ფეტუსის სიცოცხლის უფლება იმანენტურად იგულისხმება „სიცოცხლის უფლებაში“ და ამიტომაც მისგან ხელოვნურად მოწყვეტა უთუოდ გამოიწვევს (და გამოიწვია კიდევაც) ლოგიკურ და სხვა-გვარ წინააღმდეგობებს პრაქტიკაში.

ისიც საეჭვოა, რამდენად გამართლებულია საერთოდ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გამუდმებით ლიად დატოვება ან რატომ არის შეუძლებელი ფეტუსის სიცოცხლის თუნდაც შეზღუდული უფლების აღიარება კონვენციის მეორე მუხლის საფუძველზე. ძალზე საგულისხმოა, რომ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ და ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ფართო შინაარსი მიანიჭეს „სიცოცხლის უფლებას“ და დაადგინეს, რომ „სიცოცხლის უფლება“, რომელიც დაცული იყო კონვენციის მე-2 მუხლით და შიდა კონსტიტუციური პრინ-ციპებით, გამოიყენებოდა ფეტუსის მიმართ, თუმცა იმ დათქმით, რომ ეს უფლება აბსოლუტური არ იყო. ამ ფაქტთან მიმართებით ევროპული სასამართლოს მოსამართლე უან პოლ კოსტამ Vö-ს საქმის განჩინებაზე შედგენილ თავის „ცალკე აზრში“ სავსებით სამართლიანად ასე დასვა კითხვა – „განა არსებობს სერიოზული მიზეზები იმისა, რომ ევროპული სასამართლო, როგორც კონსტიტუციური სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული წესრიგის ფარგლებში, იყოს უფრო ნაკლებად გა-ბედული, ვიდრე ეროვნული საკონსტიტუციო სასამართლოები?“⁴¹

41. nб: Separate opinion of Judge Costa, საქმეზე Vö v. France, judgment of 8 July 2004. გვ.46. §12.

მართლაც, ევროპული კონვენციის ინტერპრეტაცია, პირველ რიგში, ევროპული სასამართლოს საქმეა. გონივრული არ არის, კონვენციის ამა თუ იმ მუხლის შინაარსობრივი ფარგლების დადგენა ევროპულმა სასამართლომ მთლიანად გადააბაროს ეროვნული შეფასების თავისუფლებას. სავსებით ვეთანხმებით ევროპული სასამართლოს მოსამართლე გეორგ რესს, რომელმაც *Vo*-ს საქმეზე დართულ „განსხვავებულ აზრში“ მიუთითა, რომ ეროვნული შეფასების თავისუფლება არ შეიძლებოდა გავრცელებულიყო იმაზე, იყო თუ არა კონვენციის მე-2 მუხლი გამოყენებადი ფეტუსის სიცოცხლის მიმართ. შეფასების თავისუფლება არსებობდა მხოლოდ იმ საკითხში, თუ რა ღონისძიებები უნდა ყოფილიყო გატარებული იმ პოზიტიურ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც წარმოიშობოდა სწორედ იმიტომ, რომ მე-2 მუხლი გამოყენებადი იყო.⁴²

ყოველივე ზემოაღნიშნული, ვფიქრობთ, დამაჯერებელი დასაბუთებაა იმისა, რომ ფეტუსის სიცოცხლის დაცულობის საკითხის ღიად დატოვება არათუ მხოლოდ გონივრული არ არის, არამედ იმ მიზანსაც ვერ ეშსახურება, რასაც ისახავს. როგორც გეორგ რესმა აღნიშნა, ამ საკითხზე პასუხის კვლავ ცხადად გაუცემლობა მეტად აღარ შეიძლება იყოს გამართლებული.

რაც შეეხება არსებოთად — უნდა იცავდეს თუ არა კონვენციის მე-2 მუხლი დაუბადებელ სიცოცხლეს ფეტუსისას, ჩვენი აზრი დადებითია. ასეთ შეხედულებას ბევრი მომხრე ჰყავს,⁴³ მათ შორის საკუთრივ ევროპულ სასამართლოშიც. ამას *Vo*-ს საქმის განჩინებაზე დართული „განსხვავებული აზრებიც“ ადასტურებს, რომელთა ავტორებს სწამთ, რომ ადამიანის სიცოცხლე დაბადებამდე იწყება და მას კონვენციის მე-2 მუხლი იცავს.⁴⁴

ამასთან, ცხადია, რომ ფეტუსის სიცოცხლის აბსოლუტური უფლების დაკანონება სწორი არ იქნებოდა. მისი დაცვის ხარისხი მართლაც ვერ გაუთანაბრდება დაბადებული სიცოცხლის დაცულობის ხარისხს, იგი ვერ ისარგებლებს აბსოლუტური დაცვით ღირებულებათა კონფლიქტის დროს, განსაკუთრებით, დედის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ინტერესთან დაპირისპირებისას. ამიტომ კონვენციის საფუძველზე აღიარებული უნდა იყოს ფეტუსის სიცოცხლის შეზღუდული უფლება. ეს იმას გულისხმობს, რომ უნდა დაწესდეს მისი საერთაშორისოსამართლებრივი დაცვის მინიმალური სტანდარტები, რომლებიც არ იქნება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების ფარგლებში მოქცეული; ეროვნული შეფასების თავისუფლებას კი იმ საკითხის დარეგულირება გადაეცეს - ეს მინიმალური სტანდარტი შეინარჩუნოს, თუ უფრო ექსტრემური

42. Dissenting opinion of Judge Ress, საქმეზე *Vo v. France*, judgment of 8 July 2004, გვ.53, §8.

43. იხ. Frowein J.A. Peukert W. *Europäische Menschenrechtskonvention* Kehl, Strasbourg, Arlington (N.p. Engel, 2nd ed. 1996. ECHR. Art.2.3. K.Baier. *When does the Right to life begin?* 1981. იხ. აგრეთვე, კონსტანტინე კუბლაშვილი, მთითებული ნაშრომი, გვ.124.

44. იხ. Dissenting opinion of Judge Ress, Dissenting opinion of Judge Mularoni joined by Judge Strážnická, Separate opinion of Judge Costa საქმეზე - *Vo v. France*, judgment of 9 July 2004.

დაცვა უზრუნველყოს ქვეყნის მორალური, რელიგიური, სამართლებრივი თუ სხვა ტრადიციებისა და სოციალურ-ეკონომიკური რეალიების გათვალისწინებით.

სხვა საკითხია, შესაძლებელია თუ არა, ეს კონვენციის მე-2 მუხლის ინტერპრეტაციის გზით განხორციელდეს მის ტექსტში ცვლილებების შეტანის გარეშე (მაგალითად „ყველას“ ან „სიცოცხლის უფლების“ ფართო განმარტების გზით). ჩვენი აზრით, მე-2 მუხლის პირველი წინადადების ფართო ინტერპრეტაცია შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს, ვინაიდან ამ მუხლის მე-2 პუნქტით დაწესებული გამონაკლისები არ შეესატყვისება ფეტუსის მოკვდინების მართლზომიერად მიჩნევის შესაძლო შემთხვევებს. ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ ფეტუსის სიცოცხლის უფლების შეზღუდვის საკითხი ცალკე (მე-3 პუნქტით) დარეგულირდება. რა თქმა უნდა, ეს საკითხი შემდგომ დამუშავებას მოითხოვს, მაგრამ წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ მიუღებელი იქნებოდა, ფეტუსის სიცოცხლის უფლება და მისი შეზღუდვის პირობები ცალკე მუხლად ჩამოყალიბდეს კონვენციაში. პრინციპულად მიგვაჩნია, რომ ფეტუსის სიცოცხლის უფლება იგულისხმებოდეს კონვენციის მე-2 მუხლის პირველ დებულებაში; სწორედ ისაა პრინციპული, რომ ფეტუსის სიცოცხლის უფლება ადამიანის სიცოცხლის უფლების დამცავი მუხლით იყოს უზრუნველყოფილი და არ იქნეს მისგან ხელოვნურად მოწყვეტილი; ეს უთუოდ დააკრინიბდა დაუბადებელი სიცოცხლის, როგორც ლირებულების, მნიშვნელობასა და სტატუსს.

ამ გზით განხორციელდება მისი დაცვა არა მარტო აბორტის დასაშვებობის სფეროში მეტისმეტი ლიბერალიზაციისაგან, არამედ სხვაგვარი მოქმედებებისგანაც, რომელმაც შეიძლება მისი სიკვდილი განაპირობოს: მაგალითად, გამოკვლევისაგან ისეთ პირობებში, როგორიც ვერ უზრუნველყოფს მის ადეკვატურ დაცვას არა კვალიფიციური სამედიცინო ჩარევისაგან ან მესამე პირთა მხრიდან სხვაგვარი ხელყოფისაგან. აუცილებელია განისაზღვროს ამ მიმართებით სახელმწიფოთა სპეციფიკური პოზიტიური ვალდებულებანი; მაგალითად, იმისა, რომ ყველა პირობა შექმნან სამედიცინო თუ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ფეტუსის სიცოცხლის დასაცავად (დედის სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობის დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებები, შესაძლოა, ყოველთვის არ აღმოჩნდეს საკმარისი). პოზიტიური ვალდებულებანი უნდა გულისხმობდეს აგრეთვე შესაბამისი სისტემისა და მექანიზმების შექმნას განზრას თუ დაუდევარი ქმედებით გამოწვეული ფეტუსის სიკვდილის გამო სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უზრუნველსაყოფად. ფეტუსის მოკვდინება არ შეიძლება სამართლებრივად შეფასდეს მხოლოდ როგორც „დედისათვის მიყენებული ფიზიკური ზიანი“. ცხადია, რომ, თუ აღიარებული იქნება ფეტუსის სიცოცხლის უფლება, მის წინააღ-

მდეგ ჩადენილი ქმედება კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც „სიცო-ცხლის წინააღმდეგ ჩადენილი“. იგი დაცვის დამოუკიდებელი ობიექტი უნდა იყოს და არა სხვა ობიექტის — „დედის ჯანმრთელობის“ ნაწილი; მით უფრო, თვით აბორტის პრობლემატიკა გვკარნახობს, რომ ეს ორი ობიექტი ხშირად არის ერთმანეთთან შეუთავსებელი.

გამოდგება თუ არა სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან დისციპლინური საშუალებები და ზიანის ანაზღაურება ქმედით სამართლებრივ მისაგებლად სამედიცინო დაუდევრობით თუ სხვა გზით ფეტუსის მოკვდინებისათვის, ეს ცალკე საკითხია და წინამდებარე გამოკვლევის თემა არ არის. თუმცა ჩვენი სიმპათიები იმ შეხედულებებისაკენაა, რომლებიც ფეტუსის სიცოცხლის უფლების ეფექტიანი დაცვის მომხრეა. ევროპული სასამართლოს მოსამართლემ გეორგ რესმა (Vo-ს საქმის შემთხვევასთან მიმართებით), ვფიქრობ, შესანიშნავად დაასაბუთა, რომ 21-24 კვირის ჯანმრთელი, სიცოცხლისუნარიანი ფეტუსის სამედიცინო დაუდევრობით სიკვდილისათვის ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი საშუალებების არსებობა საკმარისი არ იყო და მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები ან მკაცრი დისციპლინური სასჯელი ჩაითვლებოდა ქმედით სამართლებრივ მისაგებლად დედისათვის, რომელმაც სასურველი ბავშვი დაკარგა. კერძოდ, მან აღნიშნა: „ცნობილია, რომ სწორედ სისხლის სამართლით იცავს საზოგადოება და ახდენს იდენტიფიცირებას იმ ღირებულებებისას, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებს დაცვას. სიცოცხლე კი ერთ-ერთი, თუ არა ყველაზე უფრო დიდი, ღირებულებაა და იგი პრინციპულად მოითხოვს სისხლის სამართლით დაცვას“.⁴⁵

4. დასკვნა

ევთანაზიისა და ფეტუსის სიცოცხლის უფლებები მჭიდროდ ემიჯნება სამართლებრივ, სოციალურ, ეთიკურ, რელიგიურ, სამედიცინო და ფილოსოფიურ საკითხებს და, ამდენად, კომპლექსურ გააზრებას მოითხოვს. ამ უფლებათა განხორციელება, როგორც წესი, დაკავშირებულია ღირებულებათა მწვავე კონფლიქტებთან და ძალზე დელიკატურ საკითხებთან. ყოველვე ეს განაპირობებს იმ გარემოებას, რომ მათ შესახებ სრულიად განსხვავებული შეხედულებები არსებობს მსოფლიოში და არც საერთოევროპული კონსენსუსი მოიძებნა ჯერვერობით. ძალიან დიდია სამართლებრივი გაურკვევლობის ხარისხი და მისგან გამომდინარე სხვა-დასხვაგვარი სირთულეები თუ შეუსაბამობანი.

ცხადი პასუხი კითხვაზე, იცავს თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ამ უფლებებს, არ არსებობს. ამ საკითხზე გამოთქმული შეხედულებები განსხვავებულია, თუმცა უმეტესი მათგანი იქითკენ იხრება,

45. Dissenting opinion of Judge Ress, საქმეზე - Vo v. France, judgment of 8 July 2004. გვ.50, §1.

რომ კონვენცია იცავს (ან უნდა იცავდეს) მათ. სტრასბურგის სასამართლო გაურბის მკვეთრი პოზიციების დაკავებას. ცალკეული კერძო საკითხები გადაწყდა, ზოგი ღიად არის დატოვებული. სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორც ჩანს, მთლიანობაში (კონცეპტუალურად) ეს უფლებები აღიარებული არ არის (შედარებით გამოკვეთილია მიდგომა მხოლოდ „პასიური ევთანაზის“ მიმართ — მისი დაშვება არ განიხილება კონვენციასთან შეუსაბამოდ).

ჩვენი შეხედულებით, ფეტუსის სიცოცხლის და ევთანაზის (მათ შორის „აქტიური ევთანაზის“) უფლებები არ ეწინააღმდეგება ევროპულ კონვენციას შემდეგი მოსაზრებების გამო:

ა) ევთანაზისა და ფეტუსის სიცოცხლის უფლებებს ისეთივე „უფლება“ აქვთ არსებობისათვის, როგორიც ადამიანის სხვა ძირითად უფლებებს. ისინი უშეალოდ გამომდინარებენ „ადამიანის ღირსებიდან“ და იმ უმნიშვნელოვანესი პრინციპიდან, რომ ადამიანი ყოველთვის უნდა იყოს „მიზანი“ და არა „საშუალება“. ისინი ისეთივე ბურებითი, თანდაყოლილი, ადამიანის მიერ „მართლზომიერად ნაგულვები“ უფლებებია, როგორიც სხვა ძირითადი უფლებანი;

ბ) „ევთანაზის უფლება“ შეიძლება გააზრებულ იქნეს როგორც „სიცოცხლის უფლების“ ნეგატიური ასპექტი, ხოლო ევთანაზის დროს ადამიანის სიკეთეთი დაქქარება — როგორც „უკიდურესი აუცილებლობა“ სხვა სიკეთეთი (მის სხვა უფლებათა) გადასარჩენად. ევთანაზის უფლების აკრძალვა არღვევს არა მარტო სიცოცხლის უფლებას, არამედ ადამიანის სხვა, მათ შორის, ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს. ამიტომ ევთანაზის უფლების აკრძალვა, იმის მიუხედავად, მოიცავს თუ არა მას კონვენციის მე-2 მუხლი, ეწინააღმდეგება კონვენციას;

გ) „ფეტუსის სიცოცხლის უფლება“ „სიცოცხლის უფლებისაგან“ განუყოფელია. „სიცოცხლის“ ცნება უნდა მოიცავდეს როგორც დაბადებულ, ისე დაუბადებელ სიცოცხლეს. შესაბამისად, „სიცოცხლის უფლების“ ცნება ორივე ამ კომპონენტს უნდა უკავშირდებოდეს.

„ფეტუსის სიცოცხლის უფლება“ „სიცოცხლის უფლებისაგან“ განუყოფელია თუნდაც როგორც სიცოცხლის გაჩენის და, მაშასადამე, ადამიანის სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფის აუცილებელი ნინაპირობა.

ფეტუსის სიცოცხლის უფლების აუღიარებლობა, ერთი მხრივ, შეუთავსებადია ევთანაზის საკითხზე ევროპული სასამართლოს პოზიციასთან, მეორე მხრივ კი, ქმნის დიდ სამართლებრივ გაურკვევლობას, ლოგიკურ და სხვაგვარ ნინააღმდეგობებს პრაქტიკაში;

დ) მართალია, კონვენციის საფუძველზე ადამიანის უფლებათა დაცვას მეორეული ხასიათი აქვს, ხოლო ასეთ მგრძნობიარე საკითხებში ეროვნულ ხელისუფლებას შეფასების დიდი თავისუფლება ეკუთვნის, მაგრამ ეს გარემოებანი არ ქმნის დაუძლეველ დაბრკოლებას იმისათვის, რათა კონვენციის საფუძველზე აღიარებულ იქნეს ევთანაზისა და ფეტუსის სიცოცხლის

უფლებების შეზღუდული (არააბსოლუტური) გაგება.

სულ მცირე, აქტიური ევთანაზის დაშვება მკაცრად განსაზღვრული პირობების დაცვით, არ უნდა იქნეს მიჩნეული კონვენციასთან შეუსაბამოდ; ხოლო აბორტის კანონმდებლობის მეტისმეტი ლიბერალიზაცია და ფეტუსის სიცოცხლის უფლების დაუცველობა ადამიანის სიცოცხლის უფლების დამცავი ნორმით, პირიქით, უნდა შეფასდეს როგორც კონვენციის საწინააღმდეგო.

ამ სფეროში სირთულეთა და შეუსაბამობათა დაძლევის საუკეთესო, პარმონიულ გზად მაინც საერთოევროპული კონსენსუსის შემდგომი ძიება გვესახება.

შალვა კვინისიძე

ლია ზღვა და ადამიანის უფლებათა დაცვა

I. შესავალი

ერთი შეხედვით, უცნაურად უღერს „ადამიანის უფლებები და ლია ზღვა“, მაგრამ ეს უცნაური თემა მეტად აქტუალურად წარმოჩნდება, თუ ამ საკითხს დეტალურად განვიხილავთ, არსებული სიტუაციისა და შესაძლო პრობლემების გათვალისწინებით.

ვიდრე თვით თემის მნიშვნელობაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია, ორიოდე სიტყვით აღინიშნოს იმ საერთაშორისოსამართლებრივი რეჟიმის შესახებ, რომელიც ლია ზღვაზე მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა (ორმხრივი და მრავალმხრივი) და საერთაშორისო ჩვეულებების პრაქტიკის საფუძველზე. დოქტრინა ზღვების თავისუფლების შესახებ ჯერ კიდევ XVII საუკუნის პირველ ნახევარში დაიბადა.¹ აღნიშნული დოქტრინის ფუძემდებელი ჰოლანდიელი იურისტი ჰენრი გროციუსი იყო, რომელმაც თავის ნაშრომში – „*Mare Liberum*“ (1609.) – მხარი დაუჭირა ზღვების თავისუფლებას. მას მიაჩნდა, რომ ზღვები ლია უნდა იყოს ყველასათვის; გროციუსის დოქტრინას თავისი მოწინააღმდეგეც ჰყავდა, დახურული ზღვების დოქტრინის სახით, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ინგლისელი მეცნიერი სელდენი იყო – იგი თავისი ნაშრომით – „*Mare Clavsum*“ – დაუპირისპირდა გროციუსს. საბოლოოდ, დოქტრინების ორთაბრძოლაში ზღვების თავისუფლების დოქტრინამ გაიმარჯვა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ლია ზღვის, რომელიც განსხვავდებოდა ტერიტორიული, ნაციონალური წყლე-

1. გაცილებით ადრე სახელმწიფოებს სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ ზღვების მიმართ. ისნი ცდილობდნენ, თავიანთი იურისდიქცია არა მარტო ზღვის ერთ ნაწილზე გაევრცელებონთ, არამედ იურისდიქციის სფეროში მთლიან ზღვას ან, უფრო ფართომასშტაბიან პრეტენზიის შემთხვევაში, ოკეანესაც თვლიდნენ. მაგალითისათვის: შვეციისა და დანიის პრეტენდენტობა ბალტიისა და ნორვეგიის ზღვებზე, რომის პაპ ალექსანდრე VI-ის მიერ 1493 წელს ატლანტის ოკეანის გაყოფა ესპანეთსა და პორტუგალიას შორის (აღნიშნული ტორდესილას ხელშეკრულებაში 1494წ.).

ბისაგან და არ ექვემდებარებოდა რომელიმე სახელმწიფოს საკუთრებას ან იურისადიქციას, კონცეფცია დამკვიდრდა.

საერთაშორისო პრაქტიკაში ჩამოყალიბებული ეს კონცეფცია საერთა-შორისო კონვენციებში იქნა კოდიფიცირებული, კერძოდ: „ლია ზღვის შე-სახებ“ შენების 1958 წლის კონვენცია (მე-2 მუხლი) და „საზღვაო სამართ-ლის შესახებ“ გაეროს 1982 წლის კონვენცია (შემდგომში UNCLOS, 87-ე, 89-ე მუხლები).

„ლია ზღვა ყველა ქვეყნისათვის არის ლია და არცერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, სამართლებრივად დაუქვემდებაროს მისი ნებისმიერი ნაწილი თავის იურისადიქციას“.

აღნიშნული ნორმა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ქვაკუთხედია.²

ლია ზღვის შესახებ უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად უნდა აღინიშნოს, რომ „ლია ზღვა არის ზღვის ყველა ის ნაწილი, რომელიც არ განეკუთვნება განსაკუთრებულ კონომიკურ ზონას, ტერიტორიულ ზღ-ვასა და შიდა წყლებს, ასევე არქიპელაგური სახელმწიფოს არქიპელაგურ წყლებს“.³ მაშასადამე, ლია ზღვაზე არ მოქმედებს არცერთი სახელ-მწიფოს იურისადიქცია. ეს ზოგადი პრინციპია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გეზე, რომელიც ლია ზღვაში დაცურავს, არ ვრცელდება, თავის მხრივ, არცერთი ქვეყნის იურისადიქცია. გემებსა და სხვა მცურავ საშუალებებზე მოქმედებს იმ ქვეყნის იურისადიქცია, რომლის დროშის ქვეშაც ისინი დაცუ-რავენ (UNCLOS-ის 91-ე და 92-ე მუხლები). აღნიშნული უფლება გარკვეულ ვალდებულებებს ეფუძნება, კერძოდ, სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს პი-რობები, რომლითაც ის გემს მიანიჭებს თავის ნაციონალობას და უფლებას, იცუროს სახელმწიფო დროშის ქვეშ და აღნიშნულთან დაკავშირებით გას-ცეს შესაბამისი დოკუმენტაცია. ასევე სახელმწიფოსა და გემს შორის უნდა არსებობდეს ე.წ. „genuine link“, ანუ „რეალური, ჭეშმარიტი კავშირი“ (UN- CLOS, 91-ე მუხლი). ყოველი სახელმწიფო ვალდებულია, განახორციელოს ეფექტიანი იურისადიქცია და კონტროლი გეზე, რომელიც მისი დროშის ქვეშ დაცურავს (UNCLOS, 94-ე მუხლი). ეფექტიანი იურისადიქცია გული-სხმობს როგორც საკანონმდებლო (შესაბამისი კანონების, წესების, ნორმე-ბის, ინსტრუქციების და ა.შ. მიღება და დამტკიცება), ისე აღმასრულებელ იურისადიქციას (უშუალოდ აღნიშნული კანონების, წესებისა და ნორმების მოთხოვნათა შესრულება და მათ შესრულებაზე უშუალო კონტროლი). „ყო-ველთვის, როცა საკანონმდებლო იურისადიქცია მოქმედებს, მას ყოველ-თვის აღმასრულებელი იურისადიქცია სდევს თან და აღმასრულებელი ძალა-უფლების ბუნება და ხარისხი საკანონმდებლო იურისადიქციის ბუნებითა და ხარისხით არის განსაზღვრული.“⁴

2. R.R. Churchill, A.V. Lowe, *The Law of the Sea*, 1999, 204.

3. იხ. გაეროს 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ, 86-ე მუხლი.

4. Dahmani, M. *The Fisheries Regime of the EEZ*, 1987, 84.

დროშის სახელმწიფოს იურისდიქცია არ არის აბსოლუტური, განსხვავებით იმ იურისდიქციისაგან, რითაც სახელმწიფო თავის ტერიტორიულ ზღვასა და შიდა წყლებში სარგებლობს (გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ტერიტორიული ზღვა და შიდა წყლები ქვეყნის საზღვაო ტერიტორიას ეკუთვნის და ქვეყნის სრული იურისდიქციის ქვეშ იმყოფება). არსებობს გამონაკლისი, რომლის დროსაც სხვა სახელმწიფოები ინანილებენ როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ იურისდიქციას დროშის სახელმწიფოსთან ერთად. უფრო ზუსტად კი, გარკვეულ შემთხვევებში სხვა სახელმწიფოსაც შეუძლია განახორციელოს თავისი იურისდიქცია სხვა ქვეყნის დროშით მოცურავე გემზე. ამ კუთხით მართებული იქნება განხილვა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ადამიანის უფლებებთან, კერძოდ კი ადამიანის უფლებების დარღვევასთან არის დაკავშირებული. ესენია: მეკობრეობა, მონებით ვაჭრობა, ტრეთიკინგი და ტერორიზმი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი სახელმწიფო, რომელიც ადამიანის უფლებათა აღიარებისა და დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებების (კონვენციები, ოქმები, პაქტები) მონაცილეა, მოვალეა, დაიცვას ადამიანის უფლებები ყველაზე, სადაც მისი იურისდიქცია და კონტროლი ვრცელდება.⁵

II. მეკობრეობა

საერთაშორისო სამართალში, კერძოდ კი საზღვაო სამართალში ყველაზე საშიში და მძიმე დანაშაული, რომელიც ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგაა მიმართული, არის მეკობრეობა. ბრძოლა მეკობრეობის წინააღმდეგ არის ყოველი სახელმწიფოს არა მარტო უფლება, არამედ მოვალეობაც, რომელიც, დიდი ხანია, საერთაშორისო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა და აღიარებულ იქნა ღია ზღვის შესახებ ჟენევის 1958 წლის კონვენციით (მე-14 მუხლი) და საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენციით (მე-100 მუხლი).

მეკობრეობა კვლავაც რჩება სერიოზულ პრობლემად ინდოეთის ოკეანის, ხმელთაშუა ზღვის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ნანილში.⁶

კონვენციაში (UNCLOS, 101-ე მუხლი) მეკობრეობა განმარტებულია როგორც:

„(a) ძალადობის ან დაკავების ნებისმიერი არაკანონიერი აქტები, ან დატაცების ნებისმიერი აქტი, რომელიც ჩადენილია პირადი მიზნებისათვის კერძო საპარენო ხომალდისა თუ კერძო გემის ეკიპაჟის, ან მგზავრების მიერ და რომელიც მიმართულია:

5. განსაკუთრებით აღნიშნული საკითხი მეტად აქტუალურია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მის მიერ შექმნილი მონიტორინგის სისტემის, კერძოდ კი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფარგლებში.

6. სტატისტიკისა და დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ: IMO News, 1993, No. 1, pp.4, 9-11, and 1998, No. 2, p.29-30. აგრეთვე IMO circulars, reports on piracy in [www.imo.org].

(i) ღია ზღვაზე, სხვა გემის ან საჰაერო ხომალდის, ან ასეთ გემსა თუ საჰაერო ხომალდზე მყოფი მგზავრების ან საკუთრების წინააღმდეგ;

(ii) გემის, საჰაერო ხომალდის, მგზავრების ან საკუთრების წინააღმდეგ ნებისმიერი სახელმწიფოს იურისდიქციის გარეთ მყოფ ადგილებში;

(b) გემის ან საჰაერო ხომალდის საქმიანობაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის ნებისმიერი აქტი იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომლებიც ასეთ გემს ან საჰაერო ხომალდს მეკობრეთა რიცხვს მიაკუთვნებს;

(c) ნებისმიერი წაქეზების ან განზრას ხელშეწყობის აქტი (a) ან (b) ქვეპუნქტებში აღნერილი აქტის ჩასადენად.“

მეკობრე გემებისა და მეკობრე საჰაერო ხომალდების რიცხვს არ განეკუთვნებიან სამხედრო გემები, სამთავრობო გემები და საჰაერო ხომალდები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნულ გემებსა და საჰაერო ხომალდებზე მოხდა ამბოხება, ეკიპაჟმა ხელთ იგდო მმართველობა და ეწევა მეკობრეობას (UNCLOS, 102-ე მუხლი).

მეკობრეობის დეფინიციისათვის ასევე აუცილებელია ორი სუბიექტის არსებობა: მეკობრე და მსხვერპლი. ეს გარემოება განასხვავებს მეკობრეობასა და გემის, საჰაერო ხომალდის გატაცებას ერთმანეთისგან (ე.წ. hijacking).

ყველა სახელმწიფო უფლებამოსილია, გაატაროს აუცილებელი ღონისძიება მეკობრე გემის საქმიანობის აღკვეთის, მისი შეპყრობისა და დაპატიმრებისათვის, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო გემებსა და სამხედრო საჰაერო ხომალდებს ან მთავრობის სამსახურში მყოფ სპეციალურად უფლებამოსილ გემებსა და საჰაერო ხომალდებს შეუძლიათ შეასრულონ აღნიშნული ამოცანა (UNCLOS, 105-ე და 107-ე მუხლები).

UNCLOS-ის 110-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერი სახელმწიფოს სამხედრო გემს (სამხედრო საჰაერო ხომალდს) უფლება აქვს, გააჩეროს და მოინახულოს ნებისმიერი არასამხედრო და არასამთავრობო გემი, მიუხედავად მისი დროშისა, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ აღნიშნული გემი ეწევა მეკობრეობას. მაგრამ 110-ე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ, თუ ეჭვი არასაფუძვლიანი აღმოჩნდა და გაირკვა, დაკავებული გემი არ ეწევა მეკობრეობას, ის უფლებამოსილია, მიიღოს კომპენსაცია ნებისმიერი დანაკარგისა და ზიანისათვის, რაც აღნიშნულ დაკავებასა და შემოწმებას მოჰყვა.

UNCLOS-ის 105-ე მუხლი უფლებას აძლევს ნებისმიერ სახელმწიფოს, ძალა გამოიყენოს მეკობრე გემის ან მეკობრე საჰაერო ხომალდის წინააღმდეგ, შეიპყროს იგი, დააპატიმროს ხომალდზე მყოფი პირები და ქონება. დაპატიმრებული მეკობრეების გასამართლება შეუძლია ნებისმიერ სახელმწიფოს, რომლის სასამართლო ორგანოების წინაშეც მათ წარადგენენ.

ამ შემთხვევაშიც, თუ შეპყრობა უსაფუძვლო და გაუმართლებელი აღმოჩნდა, სახელმწიფო, რომელმაც განახორციელა დაპატიმრება, ვალდე-

ბულია, აუნაზღაუროს ნებისმიერი დანაკარგი და ზიანი იმ სახელმწიფოს, რომელსაც დაპატიმრებული გემი ან საჰაერო ხომალდი ეკუთვნოდა (UN-CLOS, 106-ე მუხლი).

საერთაშორისო პრაქტიკისა და საკონვენციო ნორმების მიმოხილვიდან ნათლად ჩანს სახელმწიფოების ერთსულოვნება მეკობრეობასთან ბრძოლა-ში. ლია ზღვაზე, მიუხედავად დროშის სახელმწიფოს პრინციპისა, ნებისმიერი სახელმწიფო უფლებამოსილია, მეკობრეების წინააღმდეგ გამოიყენოს როგორც საკანონმდებლო (მიიღოს ნორმატიული აქტები, დასჯადი გახა-დოს აღნიშნული ქმედება), ისე აღმასრულებელი იურისდიქცია (შეიპყროს, დააპატიმროს და გაასამართლოს მეკობრეები).

III. მონებით ვაჭრობა

ერთ-ერთი ყველაზე მძიმე საერთაშორისო სახის დანაშაული, რომელიც მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არის დაგმობილი და ადამია-ნის უფლებების დარღვევის ყველაზე საშიშ ფორმად არის გამოცხადებული, არის მონობა და მონებით ვაჭრობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მრავალი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი იქნა მიღებული, რომელთაგან მნიშვნელოვანია 1890 წლის ბრიუსელის კონფერენციის გენერალური აქტი მონებით ვაჭრობის აღკვეთის შესახებ, იგი მიზნად ისახავს მონებით ვაჭრობის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობას; XX საუკუნის საერთაშორისო სამართ-ლებრივი აქტებიდან აღსანიშნავია: 1926 წლის მონობის კონვენცია (The 1926 International Slavery Convention) და 1956 წლის „დამატებითი კონ-ვენცია მონობის შესახებ“ (The 1956 Supplementary Slavery Convention). 1926 წლის კონვენცია მონობასა და მონებით ვაჭრობას ასე განმარტავს (პირველი მუხლი):

(1) მონობა არის პირის სტატუსი ან პირობა, რომლის მიმართაც საკუ-თოების უფლებისათვის დამახასიათებელი ნებისმიერი ან ერთიანი უფლე-ბამოსილება გამოიყენება.

(2) მონებით ვაჭრობა მოიცავს: ყველა აქტს, რომელიც დაკავშირებუ-ლია პირის დატყვევების, შეძენის ან განკარგვისაკენ მისი მონად ქცევის განზრავით; ყველა აქტს, რომელიც დაკავშირებულია მონის შეძენასთან მისი გაყიდვის ან გაცვლის მიზნით; შეძენილი მონის გაყიდვით ან გაცვლით განკარგვის ყველა აქტს, რომლის მიზანია მისი გაყიდვა ან გაცვლა; და საერთოდ, ვაჭრობის ან მონათა ტრანსპორტირების ყოველ აქტს.

მაშასადამე, მონები განიხილებიან როგორც პირები, რომლებიც მუშაო-ბენ თავიანთი მფლობელის, მესაკუთრისათვის ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე და არ გააჩნიათ არავითარი უფლებები.

1956 წლის კონვენციია განსაზღვრავს მონური მდგომარეობის სხვადასხვა სახეს, როგორებიცაა: მონური დამოკიდებულება ვალის გადაუხდელობის გამო, ყოველი ბატონიშვილის გამობა, ბატონიშვილის გამობა და სხვა.

არცერთი ზემოაღნიშნული კონვენციია ღიად არ ითვალისწინებს მონაწილე სახელმწიფოების უფლებას, მოინახულონ და შეამოწმონ ერთმანეთის გემები ღია ზღვაზე, რათა აღკვეთონ და თავიდან აიცილონ მონათვაჭრობის შემთხვევები.

თუმცა 1956 წლის „მონობის შესახებ დამატებითი კონვენციის“ მე-4 მუხლის თანახმად:

„ნებისმიერი მონა, რომელიც თავშესაფარს იპოვის ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერ ხომალდზე, არის *ipso facto* თავისუფალი“.⁷

განსხვავებით 1926 წლის მონობის კონვენციისა და 1956 წლის „მონობის შესახებ დამატებითი კონვენციისაგან“, უენევის 1958 წლის კონვენცია ღია ზღვის შესახებ და გაეროს 1982 წლის კონვენცია (UNCLOS) ითვალისწინებენ მონაწილე სახელმწიფოს უფლებას, მოინახულოს და შეამოწმოს სხვა სახელმწიფოს გემი ღია ზღვაზე, იმ პირობით, თუ აღნიშნული გემი ეჭვმიტანილია მონობით ვაჭრობაში (უენევის კონვენციის 22-ე მუხლი და UNCLOS, 110-ე მუხლი). იმ შემთხვევაში, თუ ეჭვი არ გამართლდა, გემი უფლებამოსილია, მიიღოს კომპენსაცია ნებისმიერი დანაკარგისა და ზიანისათვის, რაც აღნიშნულ დაკავებასა და შემოწმებას მოჰყევა.

მეკობრეობისაგან განსხვავებით, დროშის სახელმწიფოს გარდა, სხვა სახელმწიფოების იურისდიქცია მონებით ვაჭრობის წინააღმდეგ ღია ზღვაზე ძალზე შეზღუდულია და დაკავშირებულია მხოლოდ გემის შეჩერებასა და შემოწმებასთან. ისინი ვალდებული არიან, გემის შემოწმების შედეგები აცნობონ დროშის სახელმწიფოს (სახელმწიფოს, რომლის დროშის ქვეშაც ეს გემი დაცურავს). რაც შეეხება ქმედით ლონისძიებებს, როგორებიცაა: მონებით ვაჭრობაში ჩართული გემის შეპყრობა, მისი დაპატიმრება და დაპატიმრებულთა გასამართლება, ასეთი მოქმედებების განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ დროშის სახელმწიფოს პრეროგატივაა, თუმცა საერთაშორისო პრაქტიკაში იყო მცდელობა, განეხილათ მონებით ვაჭრობა ისეთ-სავე კონტექსტში, როგორც მეკობრეობა და, შესაბამისად, ამ დანაშაულის მიმართ გამოეყენებინათ საყოველთაო იურისდიქცია, ისევე როგორც ეს მეკობრეობის შემთხვევაში გამოიყენება, მაგრამ ამ მცდელობას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.⁸ მიუხედავად ამისა, გაეროს 1982 წლის კონვენციით მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, გაატარონ ყველა ეფექტიანი ღონისძიება, რათა თავიდან აიცილონ და დასაჯონ მონათა ტრანს-

7. აღნიშნულ დებულებას იდენტურად იმეორებს უენევის 1958 წლის კონვენცია ღია ზღვის შესახებ (მე-13 მუხლი) და გაეროს 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ (99-ე მუხლი).

8. R.R. Churchill, A.V. Lowe The Law of the Sea, 1999, 212.

პორტირება მათი დროშის ქვეშ მცურავ გემებზე და თავიდან აიცილონ მათი დროშის არაკანონიერი გამოყენება აღნიშნული მიზნებისათვის (UNCLOS, 99-ე მუხლი).

IV. ტრეფიკინგი

ადამიანით ვაჭრობა, ტრეფიკინგი, როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ, ხშირ შემთხვევაში განიხილება როგორც მონობის თანამედროვე სახეშე-ცვლილი ფორმა. უბრალო განმარტებით, ტრეფიკინგი მოიცავს პირის ძალისმიერ, მოტყუებით, ან იძულებით რეკრუტირებას, მალვას, შეძენას, ტრანსპორტირებას ისეთი არანებაყოფლობითი აქტების ჩადენის მიზნით, როგორებიცაა: კომერციულ-სექსუალურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული აქტები (პროსტიტუციის ჩათვლით) ან არანებაყოფლობითი შრომა.⁹

ტრეფიკინგის მსხვერპლი, ხშირ შემთხვევაში, არიან საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენის წარმომადგენლები (განსაკუთრებით პოსტკონფლიქტური სიტუაციების – ყოფილ იუგოსლავიასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული კონფლიქტების შედეგად), ისინი შეიძლება ასევე იყვნენ უმაღლესი განათლების, ყველა რასისა და კლასის წარმომადგენლებიც.

ყოველ წელიწადს მსოფლიოში საშუალოდ 2 მილიონიდან 4 მილიონამდე ადამიანი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი, მათი უმრავლესობა აღმოსავლეთ აზიიდან მოდის. ევროპაში 500 000 ადამიანი არის ყოველწლიურად ტრეფიკინგირებული, 20 000 კი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ადამიანით ვაჭრობა ასევე მატულობს აფრიკაში, სამხრეთ აზიასა და სამხრეთ ამერიკაში. ტრეფიკინგის მსხვერპლთა 70% არიან ქალები და გოგონები, რომლებიც ტრეფიკინგირებულნი არიან სექსუალური ექსპლუატაციისა და იძულებითი პროსტიტუციისათვის.¹⁰

აღნიშნულ დანაშაულთა ბრძოლისათვის ორი მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი იქნა შემუშავებული, ესენია: გაეროს კონვენციის „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ“¹¹ ე.წ. პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანებით ვაჭრობის, განსაკუთრებით ქალთა და ბავშვთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ“¹² და ევროსაბჭოს კონვენცია „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ“.¹³

9. განმარტებისათვის იხილეთ www.Answers.com.

10. *Ibid.*

11. პალერმოს კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა 2000 წლის 12-15 დეკემბერს. ძალაში შევიდა 2003 წლის 29 სექტემბერს.

12. ოქმი ხელმოსაწერად გაიხსნა 2000 წლის 12-15 დეკემბერს. ძალაში შევიდა 2003 წლის 25 დეკემბერს.

13. კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა 2005 წლის 16-17 მაისს ქ. ვარშავაში. დღევანდელი მდგომარეობით ძალაში არ არის შესული.

პალერმოს კონვენციის დამატებითი ოქმი ტრეფიკინგს ასე განმარტავს (მე-3 მუხლი):

„ტრეფიკინგი“ ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით—მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით, თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას.“

მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან განსხვავდეს ტრეფიკინგი და მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანა (*smuggling of migrants*),¹⁴ რადგანაც ისინი, ხმირ შემთხვევაში, გარეგნული ნიშნებით ერთმანეთს ჰგვანან. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი კი ის არის, რომ მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანა მთავრდება მიგრანტთა დანიშნულების ადგილზე ჩასვლით, მაშინ როცა ტრეფიკინგი მოიცავს მსხვერპლის შემდგომ ექსპლუატაციასა და გარკვეული ფორმით ქმნის ტრეფიკიორის არალეგალურ შემოსავალს. გარდა ამისა, მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანას ყოველთვის ტრანსნაციონალური ხასიათი აქვს, მაშინ, როცა ტრეფიკინგის შემთხვევაში ეს სავალდებული ნიშანი არ არის, იგი შეიძლება განხორციელდეს, მიუხედავად იმისა, მსხვერპლი გადაყვანილია სხვა სახელმწიფოში, თუ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ერთი ადგილიდან მეორეზე.

ევროპის საბჭოს კონვენციაც შესაბამისად იძლევა ტრეფიკინგის განმარტებას (მე-4 მუხლი):

„ადამიანებით ვაჭრობა“ ნიშნავს ექსპლუატაციის მიზნით პირთა სამუშაოზე აყვანას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, თავშესაფრის მიცემას ან მიღებას, მუქარის ან ძალის ან იძულების სხვა ფორმის გამოყენების, მოტაცების, თაღლითობის, მოტყუების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ან უმწეო მდგომარეობით სარგებლობის ან საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით, რომლის მიზანია იმ პირის თანხმობის მიღება, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა პირზე. ექსპლუატაცია, ყველაზე შეზღუდული განმარტებით მოიცავს სხვა პირთა ექსპლუატაციას პროსტიტუციის მიზნით ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონურ ან სხვა მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებას, კატორლულ მუშაობას ან ორგანოების ამოცლას.“

პალერმოს კონვენციის იქმისაგან განსხვავებით, ევროპის საბჭოს კონვენცია ვრცელდება ადამიანებით ვაჭრობის ყველა ფორმაზე, იმის მიუხე-

14. აღნიშნულ საკითხს ეხება პალერმოს კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი „სახმელეთო, საზღვაო და საპატიო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ“.

დავად, ის მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ხორციელდება თუ ტრანსნაციონალური ხასიათი აქვს, და არის თუ არა ის დაკავშირებული ორგანიზებულ დანაშაულთან (მე-2 მუხლი).

როგორც პალერმოს,¹⁵ ისე ევროპის საბჭოს კონვენციის იმ მუხლებში, რომლებიც ეხება იურისდიქციას, ხაზგასმით აღინიშნება, რომ მონაწილე სახელმწიფოები ახორციელებენ თავიანთ იურისდიქციას არა მხოლოდ თავიანთ სახელმწიფო ტერიტორიაზე, არამედ გემებზეც, რომლებიც მათი დროშის ქვეშ დაცურავენ (პალერმოს კონვენციის მე-15 მუხლი და ევროპის საბჭოს კონვენციის 31-ე მუხლი). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი ზემოაღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტი უშუალოდ არ ითვალისწინებს სახელმწიფოს უფლებას ტრეფიკინგის წინააღმდეგ ღია ზღვაზე სხვა მონაწილე სახელმწიფოს გემის მიმართ რაიმე ქმედითი ღონისძიებების განხორციელების შესახებ. აღნიშნული დებულება არ არსებობს არც საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენციაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა – ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის რა სახის იურისდიქცია უნდა იქნეს გამოყენებული ღია ზღვაზე? უნდა იყოს ეს საყოველთაო იურისდიქცია, როგორც მეკობრების შემთხვევაში, თუ შეზღუდული იურისდიქცია, როგორც მონებით ვაჭრობის შემთხვევაში გამოიყენება? პასუხს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო პრაქტიკა, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლი იძლევა. სახელმწიფოს უფლება, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ღია ზღვაზე განახორციელოს სხვა მონაწილე სახელმწიფოს გემის მიმართ რაიმე ქმედითი ღონისძიებები, შეიძლება წარმოიშვას ორმხრივი ხელშეკრულებების დადების გზით, (როცა სახელმწიფოები ანიჭებენ ერთმანეთის სამხედრო გემებს უფლებას, დააკავონ და გაჩერიკონ ღია ზღვაზე თავიანთი დროშის ქვეშ მცურავი გემები) ან საერთაშორისო პრაქტიკაში ჩამოყალიბებული ჩვეულებითი ნორმის საფუძველზე, გამომდინარე იქიდან, რომ, ზოგადად, ტრეფიკინგი განიხილება როგორც მონებით ვაჭრობის თანამედროვე ფორმა. ასე რომ, ანალოგის საფუძველზე სახელმწიფოებს უფლება აქვთ, ღია ზღვაზე გამოიყენონ ის იურისდიქცია, რაც გათვალისწინებულია მონებით ვაჭრობის შემთხვევაში, საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენციით.

V. ტერორიზმი

ტერორიზმი დღესდღეობით ყველაზე მეტად აქტუალური პრობლემაა, რომელიც საერთაშორისო სამართლითა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ ცნობილია როგორც საერთაშორისო მშვიდობის, უსაფრთხოებისა და

15. ოქმები პალერმოს კონვენციის განუყოფელი ნაწილია და კონვენციის დებულებები გამოიყენება ***mutatis mutandis*** ოქმების მიმართ.

გაეროს 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ არ შეიცავს სპეციალურ დებულებებს, რომლებიც ტერორიზმს ეხება, თუმცა დღეისათვის საერთაშორისო დონეზე აღნიშნულ დანაშაულთან საბრძოლველად 20-მდე უნივერსალური¹⁶ და რეგიონული საერთაშორისო ხელშეკრულება არსებობს. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ არცერთი მათგანი ტერორიზმის განმარტებას არ იძლევა.¹⁷ აღნიშნული კონვენციები მიმართულია სხვადასხვა შესაძლო ტერორისტული აქტის წინააღმდეგ.¹⁸

ტერორისტული აქტი შეიძლება მოხდეს როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე, ისე მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთაც, მაგ., ლია ზღვაზე, ანუ იქ, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, არცერთი ქვეყნის იურისდიქცია არ მოქმედებს.¹⁹ ამ მხრივ აღსანიშნავია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ეგიდით მიღებული კონვენცია „საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების წინააღმდეგ პრძოლის შესახებ“ და მისი ოქმი „კონტინენტურ შეღწევაზე განლაგებული სტაციონარული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი ქმედებების წინააღმდეგ პრძოლის შესახებ“.

კონვენცია მიღებულ იქნა რომში 1988 წლის 10 მარტს. იგი ძალაში შევიდა 1992 წლის 1 მარტს. მისი მიღების აუცილებლობა გამოწვეული იყო იმ გარემოებებით, რომ 80-იან წლებში გახშირდა იმ დანაშაულებრივ ქმედებათა რიცხვი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საზღვაო ნაოსნობას, კერძოდ გემებისა და მათი მგზავრების უსაფრთხოებას, გახშირდა ისეთი დანაშაულები, როგორებიცაა: ეკიპაჟის მძევლად აყვანა, გემების გატაცება, აფეთქება ან მიზანმიმართული განადგურება, მგზავრთა დაშინება და, ხშირ შემთხვევაში, მკვლელობა.

კონვენციის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს სათანადო ღონისძიებების გატარება იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებები გემების ან მათი ეკიპაჟისა და მგზავრების მიმართ. ყოველივე ეს

16. 12 საერთაშორისო კონვენცია და ოქმი, დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხ. [\[www.unodc.org\]](http://www.unodc.org).

17. გარდა რეგიონალური კონვენციებისა, მაგ.: 1999 წლის ხელშეკრულება „დსთ-ის წევრ ქვეყნებს შორის ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“, ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის კონვენცია „საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“.

18. დაწვრილებით კონვენციების შესახებ იხ. [\[www.un treaty.un.org\]](http://www.un treaty.un.org).

19. საერთაშორისო საზღვაო სამართალი ზღვებსა და ოკეანებს საზღვაო სივრცეებად ყოფის ქვეყნის საზღვაო ტერიტორია, „ტერიტორიული ზღვა“, ან „ტერიტორიული წყლები“, როგორც მას ხმირად მოხსენებენ, შეადგენს 12 საზღვაო მილს. 12 მილის იქით (მაქსიმუმ 188 საზღვაო მილი) მდებარეობს მიმდებარე და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები, სადაც სანაპირო სახელმწიფო სარგებლობს გარკვეული უფლებებით (ფისკალური, სანიტარიული, სამიგრაციო და საბაჟო) მიმდებარე ზონასთან დაკავშირებით და სუვერენული უფლებებით განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონასთან მიმართებით (იხ. UNCLOS თავი V).

მოიცავს: გემების დაკავებას ძალისმიერი მეთოდებით, გემზე მყოფ პირთა მიმართ ძალადობის განხორციელებას და გემზე ისეთი მოწყობილობის დამონტაჟებას, რომლის მიზანია გემის განადგურება ან დაზიანება.

აღნიშნული კონვენცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გემი ახორციელებს ნაოსნობას, ან მისი მარშრუტი გულისხმობს ნაოსნობას ნებისმიერი ერთი სახელმწიფოს ტერიტორიული წყლების გარე საზღვართან მდებარე წყლებისაკენ, ამ წყლების გავლით, ან ამ წყლებიდან,²⁰ ან ამ სახელმწიფოს ტერიტორიული წყლების გვერდითი საზღვრების გარეთ, რომლებიც ამ სახელმწიფოს აქვს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც სავარაუდო დამნაშავე ნაპოვნია კონვენციის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

კონვენცია არ ვრცელდება სამხედრო გემებზე, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფოს, ან გამოიყენება მის მიერ როგორც საზღვაო-სამხედრო დამხმარე საშუალება, ან საბაჟო, ან პოლიციის მიწნებისათვის, ასევე გემებზე, რომლებიც გამოყავანილ იქნა ნაოსნობიდან, ან ჩამოიწერა.

კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, აღნიშნული დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში განახორციელონ ეჭვმიტანილ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა ან მოახდინონ მათი ექსტრადირება, უზრუნველყონ აღნიშნულ ქმედებათა დასჯადობა შესაბამისი სასჯელით, ითანამშრომლონ წევრ სახელმწიფოებთან პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაში, ინფორმაციისა და დანაშაულებრივი ფაქტების მიწოდებაში, რაც აუცილებელია სისხლისსამართლებრივი საქმისნარმოებისათვის.

აღსანიშნავია კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც მონაწილე მხარეთა იურისდიქციას განსაზღვრავს:²¹

1. „ყოველი წევრი სახელმწიფო მიმართავს ყველა საჭირო ზომას, რათა განახორციელოს თავისი იურისდიქცია მე-3 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, თუ ეს დანაშაული ჩადენილია:

- იმ გემის წინააღმდეგ ან იმ გემის პირტოზე, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის დაცურავდა ამ სახელმწიფოს დროშის ქვეშ; ან
- ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მისი ტერიტორიული წყლების ჩათვლით; ან
- ამ სახელმწიფოს მოქალაქეობის მიერ.

2. წევრ სახელმწიფოს ასევე შეუძლია განახორციელოს თავისი იურისდიქცია ასეთ დანაშაულზე, როდესაც:

- დანაშაული ჩადენილია მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ, რომელიც

20. აღნიშნულ წყლებში მიმდებარე ზონისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის გარდა, ჩვენს განსახილველ შემთხვევაში, ლია ზღვაც იგულისხმება.

21. იურისდიქციის ასეთი სახით ფორმულირება ახასიათებს გაეროს ეგიდით მიღებულ სხვა კონვენციებსაც, რომლებიც ტერორიზმთან ბრძოლას ეხება.

მუდმივად ცხოვრობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ან
ბ) ასეთი დანაშაულის ჩადენისას ამ სახელმწიფოს მოქალაქე დატყვევებულ
იქნა, იმყოფებოდა მუქარის ქვეშ, დაიჭრა ან იქნა მოკლული; ან

გ) ეს დანაშაული ჩადენილ იქნა, რათა ეს სახელმწიფო იძულებული ყოფი-
ლიყო განეხორციელებინა რაიმე ქმედება ან თავი შეეკავებინა მისგან.“

როგორც უკვე აღინიშნა, მეკობრეობის შემთხვევაში ყველა სახელ-
მწიფოს აქვს უფლება, განახორციელოს თავისი იურისდიქცია მეკობრეების
ნინააღმდეგ (UNCLOS, 105-ე მუხლი). კონვენციის მე-3 მუხლში აღნიშნუ-
ლი დანაშაულებრივი აქტების ნინააღმდეგ მხოლოდ სახელმწიფოთა გარ-
კვეულ კატეგორიას, რომლებიც მე-6 მუხლშია განსაზღვრული, შეუძლია
გამოიყენოს თავისი იურისდიქცია.

აქვე აღსანიშნავია კონვენციის მე-9 მუხლი, რომელიც განმარტავს, რომ:

„არაფერი ნინამდებარე კონვენციაში არანაირი სახით არ ეხება საერთა-
შორისო სამართლის წესებს, სახელმწიფოს კომპეტენციასთან დაკავშირე-
ბით განახორციელოს საგამოძიებო ან სამართალდამცავი იურისდიქცია იმ
გემებზე, რომლებიც არ დაცურავენ ამ სახელმწიფოს დროშის ქვეშ“.

თითქმის ყველა ე.წ. ანტიტერორისტული კონვენცია შეიცავს დებულე-
ბას, რომლის თანახმადაც, კონვენცია არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ
დანაშაული ჩადენილია ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ტერიტორიული
წყლების ჩათვლით და როგორც მსხვერპლი, ისე დამნაშავეები არიან ამ
სახელმწიფოს მოქალაქეები.

ხშირ შემთხვევაში ტერორისტებსა და მეკობრეებს შორის განსხვავების
პოვნა არც ისე ადვილი შეიძლება იყოს, თუმცა მთავარი განმასხვავებელი
ნიშანი მათი მიზანი და მოტივია. მეკობრეების მიზანი მატერიალური სარგე-
ბლის მოპოვებაა (მათ ხშირად ზღვის ყაჩაღებსაც უწოდებენ), მაშინ, როცა
მოტივი შეიძლება დიდ როლს არც ასრულებდეს. ტერორისტები უმეტესად
პოლიტიკური, რელიგიური ან სხვაგვარი მიზნის მისაღწევად მოქმედებენ
გარკვეული მოთხოვნების წაყენების გზით და მოტივი მათი ქმედებების
მთავარი მამოძრავებელი ძალა.

როგორც უკვე აღინიშნა, კონვენცია ზოგადად განმარტავს (მე-6 მუხლი)
- „მიმართავს ყველა საჭირო ზომას, რათა განახორციელოს თავისი იურის-
დიქცია“ – და არ იძლევა კონკრეტულ წესებს, თუ როგორ უნდა განხორ-
ციელდეს აღმკვეთი ღონისძიებები ტერორისტების ნინააღმდეგ, ისე რო-
გორც ეს განსაზღვრულია მეკობრეობის შემთხვევაში (მხოლოდ სამხედრო
გემებსა და სამხედრო საჰაერო ხომალდებს ან მთავრობის სამსახურში მყოფ
სპეციალურად უფლებამოსილ გემებსა და საჰაერო ხომალდებს შეუძლიათ,
შეასრულონ აღნიშნული ამოცანა (UNCLOS, 105-ე და 107-ე მუხლები).
თუმცა ტერორიზმის საფრთხიდან გამომდინარე, მასთან ბრძოლის ეფე-
ქტიანობის ასამაღლებლად UNCLOS-ის აღნიშნული მუხლები ასევე *mutatis
mutandis* უნდა იქნეს გამოყენებული ტერორიზმთან ბრძოლისას.

რაც შეეხება კონვენციის დამატებით ოქმს „კონტინენტურ შელფზე²² განლაგებული სტაციონარული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ,“ – იგი გამოიყენება ზემოაღნიშნულ კონვენციაში ჩამოყალიბებულ დანაშაულებრივ აქტებთან, რომლებიც ჩადენილია სტაციონარული პლატფორმების მიმართ, რაც გულისხმობს: ხელოვნურ კუნძულებს, მოწყობილობებს ან სტრუქტურებს, რომლებიც მუდმივად არიან დამაგრებული ზღვის ფსკერზე (კონტინენტურ შელფზე),²³ ბუნებრივი რესურსების კვლევის ან მოპოვებისათვის ან სხვა ეკონომიკური მიზნებისათვის.

კონვენციის ოქმის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, განახორციელონ თავიანთი იურისდიქცია აღნიშნულ დანაშაულებზე, უზრუნველყონ აღნიშნულ ქმედებათა დასჯადობა შესაბამისი სასჯელით, განახორციელონ სისხლისამართლებრივი დევნა, ან მოახდინონ დამნაშავე პირთა ექსტრადიცია.

ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული უახლესი კონვენციებიდან მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ „ტერორიზმის პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, რომელიც მიღებულ იქნა 2005 წლის 12 აპრილს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე. კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა სამიტზე 2005 წლის 16-17 მაისს ქ. ვარშავაში.²⁴

კონვენციის მიზანია, ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების ძალისხმევის გაძლიერება ტერორიზმთან ბრძოლისა და მისი თავიდან აცილებისათვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კონვენცია, ერთი მხრივ, დანაშაულად აღიარებს ისეთ ქმედებებს, რომლებმაც შეიძლება საფუძველი ჩაიყაროს ტერორიზმს, მეორე მხრივ, აკისრებს ვალდებულებას მონაწილე სახელმწიფოებს ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმის შესაქმნელად, როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე. კონვენცია ასევე ითვალისწინებს ტერორიზმის მსხვერპლთა დაცვასა და მათთვის მიყენებული ზიანის კომპენსირებას. ისევე როგორც ზემოაღნიშნული ტერორიზმის წინააღმდევ მიმართული კონვენციები, ევროპის საბჭოს კონვენციაც ავალდებულებს მხარეებს, გამოიყენონ თავიანთი იურისდიქცია იმ

22. ზოგადად კონტინენტური შელფი განიხილება როგორც სახელმწიფო ტერიტორიის წყალქვეშა გაგრძელება, რომელზეც სახელმწიფოს აქტს სუვერენული უფლებები, რაც დაკავშირებულია შელფის ბუნებრივი რესურსების გამოკვლევასა და ათვისებასთან.

23. სანაპიროს საწყისა ხაზებიდან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სიგრძე მაქსიმუმ 200 მილია. ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში გაეროს 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ სახელმწიფოს უფლებას აძლევს, დაადგინოს კონტინენტური შელფის სიგრძე მაქსიმუმ 350 მილის მანძილზე. აქედან გამომდინარე, კონტინენტურ შელფის გარე 150-მილიანი ნაწილის თავზე არის არა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, არამედ ღია ზღვა.

24. კონვენცია ძალაში არ შესულა. იმისათვის, რომ კონვენცია ძალაში შევიდეს, საჭიროა, 6-მა სახელმწიფომ, რომელთა შორის 4 ევროპის საბჭოს წევრია, მოახდინოს მისი რატიფიცირება. დღეისათვის 28 სახელმწიფო მოაწერა ხელი კონვენციას.

დანაშაულთა წინააღმდეგ, რომლებიც ჩადენილია მათი დროშის ქვეშ მცურავ გემებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართლწესრიგი, რაც თავისთვად გულისხმობს ადამიანის უფლებათა დაცვას ღია ზღვაზე, ერთი მხრივ, დამოკიდებულია დროშის სახელმწიფოს ეფექტიან იურისდიქციაზე, მეორე მხრივ კი, სახელმწიფოთა ერთობლივ ძალისხმევაზე, თავიდან აიცილონ და აღკვეთონ ადამიანის უფლებათა დარღვევა.

გემისათვის უფლების მინიჭება – იცუროს სახელმწიფოს დროშით,²⁵ არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება, რომლითაც ხორციელდება მართლწესრიგი ზღვაზე. დამკვიდრებული წესის თანახმად, სახელმწიფო ხომალდს ანიჭებს ე. წ. „ნაციონალობას“ რეგისტრაციის მეშვეობით და გულისხმობს ხომალდის უფლებამოსილებას, იცუროს ამ სახელმწიფოს დროშის ქვეშ. მაშასადამე, გამონათქვამები: „დროშის სახელმწიფო“ და „რეგისტრაციის სახელმწიფო“ სინონიმებია.²⁶

როგორც აღვნიშნეთ, მართლწესრიგის დაცვა და განმტკიცება ღია ზღვაზე დამოკიდებულია დროშის სახელმწიფოს ეფექტიან იურისდიქციასა და კონტროლზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ როგორ იურისდიქციასა და კონტროლს ახორციელებს ყოველი სახელმწიფო მისი დროშის ქვეშ მცურავ ხომალდებზე. სამწუხაროდ, მდგომარეობა საერთაშორისო საზღვაო სამართალში შორსაა სრულყოფილებისაგან, როგორც პრაქტიკული, ასევე სამართლებრივი რეგულირების მხრივ. როგორც ზემოთ აღინიშნა,²⁷ საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენცია (91-ე მუხლი) აღნიშნავს, რომ ყოველმა სახელმწიფომ უნდა დაადგინოს ის პირობები, რომლებითაც ის გემებს მიანიჭებს ნაციონალობას, მოახდენს გემების რეგისტრაციას მის ტერიტორიაზე და უფლებას მისცემს მათ, იცურონ მისი დროშით, ასევე მიუთითებს, ე.წ. „*genuine link*-ის“, ანუ „რეალური კავშირის“, არსებობას სახელმწიფოსა და გემს შორის,²⁸ თუმცა ამ მოთხოვნამ „რეალური კავშირის“ არსებობის შესახებ პრაქტიკაში ფართო აღიარება ვერ მოიპოვა.²⁹

ზოგიერთი სახელმწიფო (მაგ., პორტუგალია და საფრანგეთი) გემისათვის სახელმწიფოს დროშით ცურვის უფლების მისანიჭებლად აუცილებელ პირობად „რეალური კავშირის“ არსებობას მოითხოვს. ამ შემთხვევაში ძირითადი წინაპირობა ის არის, რომ ეკიპაჟის ან გემის მფლობელთა გარკვეული ნაწილი ამ სახელმწიფოს მოქალაქე უნდა იყოს; ზოგიერთი კი ასეთი უფლების მისანიჭებლად, ფაქტობრივად, არანაირ კავშირს სახელ-

25. ხშირ შემთხვევაში იურიდიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში მოიხსენიება როგორც გემისათვის „ნაციონალობის მინიჭება.“ იხ. R.R. Churchill, A.V. Lowe *The Law of the Sea*, 1999, 257.

26. *Ibid.*, გვ. 257.

27. *Supra*, გვ. 2.

28. კონვენცია არ განმარტავს, თუ რა კრიტერიუმებით უნდა დადგინდეს ასეთი კავშირის არსებობა.

29. თავდაპირველად ამ დებულებამ გამოხატულება „ღია ზღვის შესახებ“ უნდევის 1958 წლის კონვენციაში პოვა.

მწიფოსა და გემს შორის არ განსაზღვრავს. ამ უკანასკნელი კატეგორიის ქვეყნები ცნობილია „მოსახერხებელი დროშის“ ან „ლია რეესტრის“ ქვეყნებად.³⁰ დაბალი გადასახადებისა და მოსაკრებლების არსებობა, ასევე სხვა დანახარჯთა სიმცირე იზიდავს გემის მფლობელებს, დაარეგისტრირონ თავიანთი გემები აღნიშნულ ქვეყნებში. საერთაშორისო პრაქტიკამ ცხადყო, რომ ხმირ შემთხვევაში „ლია რეესტრის“ ქვეყნებს არ შესწევთ უნარი, განახორციელონ ეფექტიანი იურისდიქცია და კონტროლი მათი დროშის ქვეშ მცურავ გემებზე, რაც პოტენციურ საფრთხეს წარმოშობს არა მარტო საზღვაო ნაოსნობისა და საზღვაო გარემოს დაბინძურების მხრივ, არამედ, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ადამიანის უფლებათა დარღვევის მხრივაც.

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისათვის ადამიანის უფლებათა დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს (ყველგან მისი იურისდიქციის ფარგლებში),³¹ მიუხედავად იმისა, იქნება ეს მისი ტერიტორია (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო) თუ მისი დროშის ქვეშ მცურავი გემი. ვალდებულება ეფექტიანი იურისდიქციისა და კონტროლის განხორციელებაზე, ერთი მხრივ, წარმოშობა საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენციით (91-ე და 94-ე მუხლები), ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (პირველი მუხლი).³²

ლია ზღვაზე ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვისათვის, კერძოდ კი ზემოქსენებულ დანაშაულთა თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის ორი ძირითადი მიმართულება შეიძლება გამოიყოს:

1) ადამიანის უფლებების დარღვევის ყველაზე საშიში დანაშაულების წინააღმდეგ (როგორებიცაა: მონებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი და ასევე ტერორიზმი³³) საყოველთაო იურისდიქციის გამოყენება, ისევე როგორც ეს არის მეკობრეობის შემთხვევაში (UNCLOS, 105-ე, 106-ე, 107-ე და 110-ე მუხლები). იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მიზნის მიღწევა გლობალური მასშტაბით შეუძლებელია, მიზანშეწონილი იქნებოდა, ევროპის საბჭოს ქვეყნებმა ე.წ. „სპეციალური“ მრავალმხრივი ხელშეკრულების დადების საფუძველზე აღიარონ ასეთი იურისდიქციის აუცილებლობა და მია-

30. მათ შორის აღსანიშნავია: პანამა, რომელსაც თავისი დროშის ქვეშ მცურავი მსოფლიოში ყველაზე დიდი ფლოტი ჰყავს, ლიბერია, კვიპროსი, ბაჰამა, მალტა, წმ. ვინსენტისა და მარშალის კუნძულები.

31. დანერილებით ამის შესახებ იხ. კ. კორეკტოვა, ი. ქურდაძე „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“, 2000წ., გვ.13.

32. ასევე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით, მაგ.: საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ (მე-2 მუხლი), გაერო-ს 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენცია „ნამებისა და სხვა სასტიკი არადამიანური ან ლირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ“ (მე-2 მუხლი) და სხვა.

33. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტერორიზმის შემთხვევაში ასეთი სახის იურისდიქცია ნაწილობრივ აღიარებულია, იხ. გვ. 10. რაც შეეხება მონობით ვაჭრობისა და ტრეფიკინგის შემთხვევებს, სახელმწიფო ვალდებულია, ამ ფაქტის შესახებ აცილობს დროშის სახელმწიფოს და მხოლოდ დროშის სახელმწიფოს ნებართვის შემდეგ გამოიყენოს თავისი იურისდიქცია.

ნიჭონ წევრი სახელმწიფოს სამხედრო გემებს ღია ზღვაზე ზემოაღნიშნული დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში თავისი იურისდიქციის გამოყენების უფლება, მიუხედავად იმისა, თუ რომელი წევრი სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავ გემზე იქნა ჩადენილი დანაშაული, ანუ გამოიყენონ UNCLOS-ის მუხლები: 105-ე, 106-ე, 107-ე და 110-ე, *mutatis mutandis* ზემოაღნიშნული დანაშაულების წინააღმდეგ.

2) ღია ზღვაზე ადამიანის უფლებების დასაცავად დროშის სახელმწიფოს იურისდიქციის ეფექტიანი გამოყენება, დროშის გაცემაზე მკაცრი კონტროლის დაწესებისა³⁴ და ამ დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ეფექტური იურისდიქციის განხორციელება,³⁵ რაც, თავის მხრივ, მინიმალურს გახდის ადამიანის უფლებათა დარღვევის შესაძლებლობას.

34. კონტროლი გულისხმობს სახელმწიფო დროშით ნავიგაციის უფლების მინიჭებისათვის საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტებისა და წესების დაკმაყოფილებას ნაოსნობის უსაფრთხოების მნიშვნელოვანი, გემის ეკაპაჟის, გემის მფლობელისა და მათი საქმიანობის შესახებ მონაცემების გადამოწმებასა და გემზე შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის/პირების დანიშვნას, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ქვეყნის კანონმდებლობის დაცვასა და შესრულებაზე.

35. ეფექტიანი იურისდიქცია გულისხმობს საერთაშორისოსამართლებრივი ინსტრუმენტებით აღიარებულ ადამიანის უფლებათა დაცვასა და მათ განხორციელებას.

იეს მაიორ-ლადევიგი

ადამიანის უფლებათა ეპროცესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა სავალდებულობა¹

ა. შესავალი

ადამიანის უფლებათა ეპროცესი კონვენციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტი აწესრიგებს ადამიანის უფლებათა ეპროცესი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებათა საერთაშორისოსამართლებრივი სავალდებულობის საკითხს. ის, თუ როდის არის გადაწყვეტილება სავალდებულო, გამომდინარეობს კონვენციის 44-ე მუხლიდან. ამასთან, 46-ე მუხლი ეხება გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ იმ სამართლებრივ დავებს, რომლებშიც სახელმწიფო მხარეს წარმოადგენს, მაშასადამე, გადაწყვეტილება გამოდის სახელმწიფოს წინააღმდეგ. 46-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებათა სავალდებულო აღსრულების საერთაშორისოსამართლებრივი ვალდებულება სახელმწიფოსთვის გამომდინარეობს კონვენციის რატიფიცირებიდან, სახელმწიფო უწყებებისა და სასამართლოებისთვის — შიდასახელმწიფოებრივ სამართალში კონვენციის ინკორპორირებიდან. მაშასადამე, სავალდებულობა ვრცელდება როგორც კონვენციასა და მის ოქმებზე, ისე სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე. გარდა ამისა, ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები იწვევს სამართლებრივ შედეგებს სხვა სახელმწიფოებისთვისაც, თუმცა ეს არა 46-ე მუხლიდან, არამედ პირველი მუხლიდან გამომდინარეობს.

ადამიანის უფლებათა ეპროცესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებას მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებათა დაცვის ეპროცესი სისტემისთვის. კონვენციის შესანიშნავად ფორმულირებული სისტემის ზემოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში განვითარდება, თუ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები სასამართლოს გადაწყვეტილებებს ყურად იღებენ და გაატარებენ მათ. ხოლო თუ ცალკეული სახელმწიფოები არ შეასრულებენ ამ სასამართლო გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ვალ-

1. სტატიის ტექსტი ნათარგმნია გერმანულიდან.

დებულებებს, მაშინ ის კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. კონვენციის მნიშვნელობა განსაკუთრებით ვლინდება იმ გადაწყვეტილებებთან მიმართებით, რომლებიც ეხება სასამართლოს მიერ პოლიტიკური თვალსაზრისით გამორჩეულ და საგულისხმო საკითხებს. გადაწყვეტილებების აღსრულება ხშირად მეტისმეტად ჭიანურდება.² თუმცა, საბედნიეროდ, აქამდე ჯერ არ წარმოშობილა პრინციპული სიძნელეები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებით.

სასამართლოს უახლოესი წარსულის პრაქტიკაში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი წინსვლა, ვინაიდან სასამართლო სულ უფრო და უფრო მეტად კონკრეტულად აცხადებს, თუ რა არის საჭირო გადაწყვეტილების აღსრულებისთვის. კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით, მომჩივანი სახელმწიფოს ცალკეული უწყებისა და სასამართლოსთვის შეიძლება ძნელიც იყოს კონვენციის შესაბამისად რეაგირება. გერმანიის მაგალითს თუ ავიღებთ, ეს მოხდა საქმეზე - *Görgülü v Germany* - გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისას.³ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო იძულებული იყო, ოთხჯერ ჩარეულიყო და გაეუქმებინა გერმანიის სასამართლოს კონვენციასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებებით.

ბ. გადაწყვეტილების შედეგები

I. ფორმალური და მატერიალური კანონიერი ძალა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვს ფორმალური კანონიერი ძალა, ისინი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარებიან (42-ე და 44-ე მუხლები). გარდა ამისა, მათ მატერიალური კანონიერი ძალაც აქვთ. ამაზე ყურადღება გამახვილებულია 46-ე მუხლში და ეს ის არის, საიდანაც წარმოეშობათ ვალდებულებები კონვენციის მონაბილე სახელმწიფოებს. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ფორმალური და მატერიალური კანონიერი ძალა სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო სასამართლოს გადაწყვეტილებათა კანონიერი ძალა. მატერიალური კანონიერი ძალა გულისხმობს, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა. იგი შეზღუდულია პირთა წრით, საგნობრივად და დროში.

II. გადაწყვეტილებათა სახეები

1. აღიარებითი გადაწყვეტილება

თუ გადაწყვეტილებაში დგინდება კონვენციის დარღვევის ფაქტი, მაშინ საქმე ეხება აღიარებით გადაწყვეტილებას. ამ გადაწყვეტილებას არ გააჩნია

2. შდრ., ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, 2000 წლის 12 ივნისის მოხსენება, DOC 8808.

3. EGMR v. 26.02.2004, 74969/01.

საკასაციო ზემოქმედება; ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია, გააუქმოს რაიმე ადმინისტრაციული აქტი, ან რაიმე გადაწყვეტილება, ან სამართლის რომელიმე ნორმა. ჩვენი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი წყობიდან გამომდინარე, ცნობილია, შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებათა მატერიალური კანონიერი ძალა ნიშნავს, რომ დადგენილ ფაქტში არ შეიძლება დაეჭვება. ზემოაღნიშნული ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზეც: ასეთი გადაწყვეტილებით დადგენილია, დაარღვია თუ არა სახელმწიფომ კონვენცია და დარღვევის დადგენის შემთხვევაში სახელმწიფო ველარ განაცხადებს, რომ მისი უწყებები კონვენციის შესაბამისად მოქმედებდნენ. მაგრამ ეს არის არა გადაწყვეტილების აღსრულება, არამედ უშუალოდ გამომდინარე შედეგი. აღიარებით გადაწყვეტილებებს აღარ ესაჭიროება აღსრულება, ისინი იწყებენ მოქმედებას ფორმალური კანონიერი ძალის შექნისთანავე.

მაგრამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა სავალდებულო ძალა უფრო შორს მიდის. თუ სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევის ფაქტი, მაშინ დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ წარმოიშობა ვალდებულება, აღკვეთოს დარღვევის ფაქტი და აანაზღაუროს შედეგები, თუ შესაძლებელია, რესტიტუციის ფორმით, ანუ სასამართლო საუბრობს ამ დროს *restitutio in integrum* ფორმაზე. აუცილებელია, რაც შეიძლება ზედმინებით იქნეს აღდგენილი დარღვევის ფაქტამდე არსებული მდგომარეობა.⁴ სახელმწიფო ვალდებულია, განახორციელოს ყველა აუცილებელი კონკრეტული ღონისძიება და მეტიც, თუ ეს საჭიროა, ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გზით უზრუნველყოს, რომ კონვენციის აღნიშნული სახის დარღვევები მომავალში არ განმეორდეს.⁵ ამასთან, დამრღვევ სახელმწიფოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესასრულებლად ფართო ასპარეზი აქვს, ანუ საშუალებების არჩევაში თავისუფალია.

2. მიკუთვნებითი გადაწყვეტილებები

თუ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო 41-ე მუხლის შესაბამისად რომელიმე სახელმწიფოს რაიმე თანხის გადახდას დააკისრებს, მაშინ საქმე ეხება მიკუთვნებით გადაწყვეტილებას. ზემოხსენებული ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევაზეც, როცა, მაგალითად, სასამართლო ითხოვს კონვენციის დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევით ჩამორთმეული ნივთის უკან დაბრუნებას.⁶ ასეთი გადაწყვეტილებების აღსრულება არ ქმნის რაიმენაირ სირთულეს. მინისტრთა კომიტეტი ადგენს 46-ე მუხლის

4. EGMR, v. 31.10.1995, Serie A, Bd.330, S.58 Nr 34 – Papamichalopoulos/Deutschland.

5. EGMR v. 26.2.2004, 74969/01 Nr. 64 – Görgülü/Deutschland.

6. EGMR v. 31. 10. 1995 Nr. 34-39.

მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, არის თუ არა სახეზე რაიმე შესრულება. პროცესის უფლებამოსილი პირი ადასტურებს ამას მტკიცებულებებით. არ არსებობს გაურკვევლობები იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გააკეთოს მოპასუხე სახელმწიფომ.

3. სასამართლოს მითითება იმ ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებითი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს

განსხვავებით მიკუთვნებითი გადაწყვეტილებისგან, შეიძლება წარმოიშვას გაუგებრობები იმ მოვალეობებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაძლებელია გამომდინარეობდეს აღიარებითი გადაწყვეტილებიდან. ამ საფუძვლიდან გამომდინარე, მინისტრთა კომიტეტის ფუნქცია, 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, არცთუ მთლად ადვილია, როცა საქმე ეხება იმას, არის თუ არა და თუ კი, რა სახის ზოგადი ღონისძიებებია აუცილებელი, რათა გამოირიცხოს კონვენციის დარღვევის განმეორების ფაქტი. ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ დაადგინა სასამართლომ თურქეთის წინააღმდეგ განხილულ საქმეებზე, რომლებშიც დაფიქსირდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის ფაქტი, რომ კარგი იქნებოდა, თუ მოხდებოდა საქმის ხელახალი განხილვა დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ, ვინაიდან თურქელი სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი პროცესში სამხედრო პირის მონაწილეობის გამო.⁷ თუმცა ეს განმარტება მიცემულ იქნა სამოტივაციო და არა სარეზოლუციო ნაწილში და იყო არასავალდებულო მითითება. თუ სახელმწიფოში მოქმედი სამართალი არ ითვალისწინებს საქმის ხელახალ განხილვას, რისი ვალდებულება მას კონვენციით არც გააჩნია, მაშინ, მითითების მიუხედავად, განაჩენი კანონიერ ძალას ინარჩუნებს. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია, დააკისროს სახელმწიფოს, რომ მან ხელახლა განიხილოს საქმე.⁸

ა) მითითებები ცალკეულ შემთხვევებში

დღესდღეობით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უფრო შორს მიდის. საქმეში - *Görgülü v Germany* - სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევის ფაქტი დაადგინა და გარკვევით განსაზღვრა, რომ მოსარჩელეს „სულ მცირე, შვილთან ურთიერთობის საშუალება უნდა მიეცეს“. ასანიძე/საქართველოს საქმეში⁹ სასამართლომ არა მხოლოდ სამოტივაციო, არამედ სარეზოლუციო ნაწილშიც დაადგინა, რომ „მოპასუხე სახელმწიფო ვალდებული იყო, რაც შეიძლება მალე უზრუნველეყო მომჩივანის გათავი-

7. Große Kammer v. 12.5.2005, 46221/99, CEDH 2005 – Öcalan/Turkei.

8. EGMR v. 8.7.2003, 15227/03, CEDH 2003 – IX – Lyons u.a./Vereinigtes Königreich.

9. Große Kammer v. 8.4.2004, 71503/01 Nr.203, CEDH 2004 – II.

სუფლება". მსგავსად გადაწყვიტა სასამართლომ საქმე *Ilascu v Moldova a. Russia*.¹⁰ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ეს გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა, მაგრამ ცალკეულ შემთხვევასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას პრობლემები, რომლებზე საუბარი აუცილებელია. ეს გერმანიაში განსაკუთრებით გამოიკვეთა *Görgülü v Germany*-ის დავასთან დაკავშირებით, ეს იყო დავა, რომელმაც ორიენტირის როლი შეასრულა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განვითარების საქმეში.

ბ) მითითებები სტრუქტურული ნაკლის არსებობისას

მოპასუხე სახელმწიფოს სტრუქტურული პრობლემები, რომლებსაც საჩივარი ეფუძნება, ეხება მრავალ პირს და არა მხოლოდ მომჩივანს. ასეთ შემთხვევებში გასათვალისწინებელია ის, რომ უკვე შემოტანილია მრავალრიცხვანი შემდგომი საჩივარი ან შემოტანილი იქნება. ამიტომაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ გაატაროს ღონისძიები, რომლებიც ამას აღუდგება წინ.

ამ საფუძვლიდან გამომდინარე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა თავის 2004 წლის 12 მაისის¹¹ გადაწყვეტილებაში ნათელყო, რომ მთავარია, დახმარება გაეწიოს მოპასუხე სახელმწიფოს, რათა მან დაინახოს ზოგადად შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის გზები და მოუწოდა ევროპულ სასამართლოს, მიუთითოს აშკარა სტრუქტურულ პრობლემებსა და მის გამომწვევ მიზეზებზე. 2004 წლის 12 მაისის რეკომენდაციაში¹² წევრ სახელმწიფოთა მინისტრთა კომიტეტმა წევრ სახელმწიფოებს ურჩია, გადაემონმების ასეთი მექანიზმები. ამათ სახელმწიფოში მოქმედი გასაჩივრების მექანიზმების ქმედითობა და საჭიროების შემთხვევაში შეექმნათ ასეთი მექანიზმები.

ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა მინისტრთა კომიტეტის 2004 წლის 12 მაისის რეზოლუცია. იგი შესაბამის შემთხვევაში იყენებს სანიმუშო პროცედურას (*pilot-judgment-procedure*), ანუ გამოსცემს მოდელურ გადაწყვეტილებას და ასახელებს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის კონკრეტულ ღონისძიებებს, რათა მიაღწიოს ზოგადი პრობლემის დროულ და შედეგიან გადაწყვეტას. ამასთან, ევროპული სასამართლო ზუსტად განსაზღვრავს, თუ რომელი სამართლებრივი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული. დღეისათვის უკვე არსებობს რამდენიმე ასეთი საქმე.¹³

10. Große Kammer v. 8.7.2004, 48787/99 Nr.290, CEDH 2004 – VII.

11. DHRRes.2004 (3).

12. Rec. (2204) 6.

13. EGMR, Große Kammer v. 22.6.2004, 31443/96 Nr. 189, CEDH 2004-V – Broniowski/Polen; EGMR, Große Kammer v. 19.6.2006, 35014/97 Nr. 231, 234, CEDH 2006 – Hütten-Czapska/Polen; vgl. weiter EGMR v. 6.10.2005, 23032/02 Nr. 89 ff – Lukenda/Slowenien; EGMR, Große Kammer v. 29.3.2006, 36813/97 Nr. 231-237, CEDH 2006 – Scordino/Italien Nr. 1.

ასეთი ტენდენცია მისასალმებელია, ვინაიდან ამას, ალბათ, შედეგად ევროპული სასამართლოს განტვირთვა მოჰყვება, ვინაიდან თუ იპოვის იგი რომელიმე პრობლემის გადაწყვეტის საზოგადო წესს, აღარ არის ვალდებული, განიხილოს სხვა ანალოგიური შემთხვევების მთელი სიმრავლე; მეორე მხრივ, სასამართლოს ხელთ არსებული რესურსები ყოველთვის როდი ეყოფა, რათა გადაწყვიტოს წევრ სახელმწიფოებში არსებული რთული სამართლებრივ-პოლიტიკური საკითხები. ასეთ შემთხვევებში რომ აუცილებელი ხდება ზოგადი, ჩვეულებრივ, საკანონმდებლო ღონისძიებების გატარება, ეს აშკარაა. ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა, ამაზე ფიქრი თვითონ სახელმწიფოს მივანდოთ, რომელიც ვალდებულია, განმარტოს ისინი 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. სხვათა შორის, შეიძლება რთულიც იყოს, გამოყოფილ იქნეს მოცემულ რაიმე საქმეზე მოდელური კაზუსი. მითითებები რომ საკმაოდ კონკრეტული იყოს, სირთულეები მაინც წარმოიშობა დროის შუალედის არსებობის გამო გასაჩივრებულ სახელმწიფო გადაწყვეტილებას, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასა და სახელმწიფო უწყების მიერ საქმის ხელახლა განხილვას შორის. სუბსიდიურობის პრინციპი მოითხოვს, რომ სახელმწიფოს პერიდეს სამოქმედო არე გადაწყვეტილების აღსრულებისას. ევროპული სასამართლო სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ სახელმწიფო უწყებები ხშირად უფრო უკეთესად აანალიზებენ პრობლემებს დაზარალებულთან სიახლოვის გამო. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ კონკრეტულ ღონისძიებებზე მხოლოდ ძალიან შეზღუდულ ფარგლებში უნდა მიუთითოს ხოლმე.

III. მატერიალური კანონიერი ძალის ფარგლები

გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება ძალაშია მხოლოდ დავის საგნის მოცემულ პერსონალურ, საგნობრივ და დროით ფარგლებში — ამდენად, ძალაშია ის, რაც მოიაზრება ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებათა მატერიალურ კანონიერ ძალაში. პერსონალური ზღვარი ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება სავალდებულოა მოპასუხე სახელმწიფოსთვის, რომელიც პროცესის მონაწილე იყო. 46-ე მუხლის პირველი პუნქტი ამას გარკვევით გამოხატავს. კონვენცია არ ადგენს, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საყოველთაოდ სავალდებულოა, როგორც ეს გერმანიაშია დადგენილი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმართ.¹⁴ მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამოტანილია კონვენციის მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს მიმართ, არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა.

ამასთანავე არის დაკავშირებული კანონიერი ძალის დროითი ფარგლები. თუ შეიცვალა მთავარი გარემოება, მაშინ გადაწყვეტილება მხოლოდ

14. იხ. გერმანის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის §31.

გარკვეულ პირობებშია სავალდებულო. უწყებები და სასამართლოები ასეთ შემთხვევაში ვალდებული არიან, შეამონმონ, როგორ აისახა კონვენციის დარღვევა გადაწყვეტილებაში და რამდენად იწვევს შეცვლილი ფაქტი იმას, რომ არსებული გადაწყვეტილების აღსრულება აღარ იქნეს ნებადართული. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ასეთ შემთხვევებში ითხოვს, რომ სასამართლოებმა ეს თავის გადაწყვეტილებებში დაასაბუთონ და მნიშვნელოვან მოთხოვნებს აყენებს ამასთან დაკავშირებით.¹⁵

IV. გადაწყვეტილებიდან ნარმოშობილი ვალდებულებები

თუ რა მოვალეობები წარმოეშობა მოპასუხე სახელმწიფოს გადაწყვეტილებიდან, დამოკიდებულია გადაწყვეტილების შინაარსსა და ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელთა მიმართაც მოხდა გადაწყვეტილების მიღება. თუ ევროპული სასამართლო გადაწყვეტს, რომ კონვენცია არ დაირღვა, არც არაფერია აღსასრულებელი. კონვენციის დარღვევის ფაქტის დადგენისას სახელმწიფომ კონვენციის დარღვევა გვერდზე უნდა გადადოს და გამოასწოროს შეცდომა, ამას გარდა, იგი იმაზე უნდა ზრუნავდეს, რომ მსგავსი ტიპის გადაცდომები აღარ განმეორდეს. ასრულებს თუ არა სახელმწიფო თავის ვალდებულებას, ამას ზედამხედველობს არა ევროპული სასამართლო, არამედ მინისტრთა კომიტეტი, იმ პროცედურებით, რაც განსაზღვრულია 46-ე მუხლის მე-2 პუნქტში. სამართლებრივი მდგომარეობა სხვადასხვანაირია იმის მიხედვით, თუ როგორ დაირღვა კონვენცია.

1. კონვენციის დარღვევა ადმინისტრაციული აქტით

თუ უწყების ჩარევით მოქალაქის კონვენციით გარანტირებული უფლებები დაირღვა, გადაწყვეტილება ვერაფერს ცვლის ადმინისტრაციული აქტის ნამდვილობაში - ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია მისი გაუქმება. სახელმწიფომ იმაზე უნდა იზრუნოს, რომ გარკვეულ პერიოდში დაფიქ-სირებული არსებული დარღვევა დასრულდეს, მაგალითად, არ განხორციელდეს ადმინისტრაციული აქტით არამართლზომიერად მოთხოვნილი იძულებითი გადახდევინება. თუ კონვენციის დარღვევა გამოიხატა ადმინისტრაციული აქტის გამოცემით, მაშინ იგი გაუქმებულ უნდა იქნეს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურებით. უწყებამ, მაგალითად, უარი უნდა თქვას უცხოელის გაძევებაზე, გააუქმოს პუბლიკაციებისა და შეკრებების აკრძალვა. ეს, როგორც წესი, არ იქნება რთული ადმინისტრაციული აქტების შემთხვევებში. თუ სახეზე იყო კონვენციის სანინაალმდეგო ადმინისტრაციული პრაქტიკა, იგი უნდა შეიცვალოს.

15. 2004 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 2 BvR 1481/04.

2. ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით კონვენციის დარღვევა

თუ დაირღვა კონვენცია ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება არ ცვლის ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალას. სახელმწიფო შებოჭილია სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალითა და სასამართლოს დამოუკიდებლობით. მან შეიძლება, უარი თქვას აღსრულებაზე, თუ იგი კრედიტორია, მაგრამ მას არ შეუძლია გადაწყვეტილების გაუქმება. ეს შესაძლებელია მხოლოდ საქმის ხელახალი განხილვის პროცედურით, თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია სახელმწიფო სამართალში ასეთი შემთხვევებისათვის.¹⁶ კონვენცია არ ავალდებულებს, რომ შესაძლებელი იყოს საქმის ხელახალი განხილვა.

მაგრამ არსებობს შემთხვევები, როცა გადაწყვეტილება არ შედის მატერიალურ კანონიერ ძალაში, მაგალითად, იმიტომ, რომ, საოჯახო დავების მსგავსად, შეცვლილ ვითარებასთან მისადაგება ადვილი უნდა იყოს ან სხვა შემთხვევებშიც, როცა საპროცესო სამართლის საფუძველზე სასამართლომ საქმე ხელახლა უნდა განიხილოს, მაგალითად, ახალი შუამდგომლობის ან შეცვლილი გარემოებების გამო, ან როცა სასამართლო საქმეს კიდევ ერთხელ განიხილავს სხვა გარემოებათა გამო. თუ სასამართლოს შეუძლია მიიღოს საქმეზე ხელახალი გადაწყვეტილება, მაშინ მან უნდა გაითვალისწინოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.

სახელმწიფო სასამართლოს მოვალეობები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კონვენციით ისევე, როგორც სახელმწიფო სამართლის სხვა ნორმებით, ვინაიდან იგი ინკორპორირებულია სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში. მაშასადამე, მან უნდა გაითვალისწინოს 46-ე მუხლი და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება მოცემული საქმის გადაწყვეტის დროს.

3. სამართლებრივი ნორმის ცვლილება, რომელიც საფუძვლად დაედო დადგენილ დარღვევას

თუ შიდასახელმწიფოებრივმა სამართალმა აიძულა სასამართლო, კონვენციის დარღვევით მიეღო ასეთი გადაწყვეტილება, მაშინ ისმის კითხვა - ხომ არ უნდა შეიცვალოს საფუძვლად აღებული კანონი? ეს ასეა, თუ სამართლის ნორმა უშუალოდ არღვევს კონვენციას. მაგრამ თუ დარღვევა აისახა კანონზე დამყარებულ გადაწყვეტილებაში, ითვლება, რომ პრეიუდიციურ სამართლებრივ ურთიერთობას არ ეხება კანონიერი ძალა, იგი ეხება მხოლოდ დასკვნას, რომ ადმინისტრაციული აქტი ან გადაწყვეტილება

16. გერმანული სამართლით შესაძლებელია სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით — § 359, №6 — ხელახლა განიხილოს საქმე, თუ ევროპულმა სასამართლომ კონვენციის ან რომელიმე პროტოკოლის დარღვევის ფაქტი დადგინა და გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება.

ეწინააღმდეგებოდა კონვენციას. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას არ მოსდევს შედეგად ის, რომ აღარ იყოს დასაშვები სამართლის ნორმის გამოყენება, ვინაიდან ეს გაუტოლდებოდა საკასაციო გადაწყვეტილებას, რაც არ შედის ამ სასამართლოს კომპეტენციაში. თუ კანონი არ შეიცვლება, მაშინ ასეთი ან მსგავსი საქმეები შეიძლება მივიდეს ევროპულ სასამართლომდე, ანუ დადგება შედეგი, რომელიც არც მოპასუხე სახელმწიფოსა და არც თვით ევროპული სასამართლოს ინტერესებს არ შეესაბამება. ხშირ შემთხვევაში ეროვნული სასამართლო სარგებლობს ნორმების საერთაშორისო დონეზე აპონბირებული განმარტებით, ანუ მას ისე განმარტავს, რომ თავიდან იქნეს აცილებული კონვენციის დარღვევები. სასამართლოები ინფორმირებული უნდა იქნენ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, რათა მიეცეთ შესაძლებლობა, მის მიხედვით გადაწყვიტონ საქმე. თუ შეუძლებელია კონვენციასთან მისადაგებული გადაწყვეტილების მიღება, მაშინ კანონი უნდა შეიცვალოს, ვინაიდან 46-ე მუხლის თანახმად, მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული კონვენციის დარღვევის მსგავსი ფორმები. მინისტრთა კომიტეტი, 46-ე მუხლის მე-2 პუნქტში დადაგენილი წესით, ამონტებს ამის განხორციელებას. პირველი მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს მისდამი დაქვემდებარებული პირებისათვის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და კონვენცია გაგებულ უნდა იქნეს იმ სახით, როგორც დამკვიდრებულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში.

4. სამართლის ნორმით კონვენციის დარღვევა

არის შემთხვევები, როცა კონვენცია ირღვევა არა უწყების მიერ გამოცემული რაიმე აქტით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, არამედ თვით სამართლებრივი ნორმით. მაგალითად, ასე იქნა განმარტებული კანონით გათვალისწინებული ის წესი, რომელიც ახდენს არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების დისკრიმინაციას.¹⁷ სხვა მაგალითად გამოდგება სასჯელით დამუქრება მოზრდილთა შორის ჰომოსექსუალური ქმედებებისთვის კერძო სფეროში.¹⁸ ასეთ შემთხვევებში მოპასუხე სახელმწიფო, 46-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულია, შეწყვიტოს კონვენციის დარღვევის მიმდინარე ფაქტი, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კანონში ცვლილებების შეტანით. ამდენად, მთავრობამ უნდა მოამზადოს ცვლილებების შესახებ კანონპროექტი და წარუდგინოს იგი პარლამენტს. ამასთან, იგი უთითებს სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებზე, რაც სავალდებულოდ გასათვალისწინებელია პარლამენტის მიერაც. ბოლო

17. EGMR v. 13.9.1979, Serie A Bd. 31 – *Marckx/Belgien*.

18. EGMR v. 22.10.1981, Serie A, Bd. 45 – *Dudgeon/Vereinigtes Königreich*.

დროის სასამართლო პრაქტიკაში ევროპული სასამართლო ამაზე გარკვევით უთითებს.¹⁹

5. ევროპული სასამართლოს კონკრეტულ მითითებათა სავალდებულობა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად

თუ სასამართლო გამოიტანს სავალდებულო გადაწყვეტილებას, ანუ და-ადგენს კონკრეტულ ვალდებულებას რაღაც ფულადი თანხის გადახდევინების ან საგნის დაბრუნების შესახებ, მაშინ შესრულების ვალდებულება უშუალოდ გამომდინარეობს 46-ე მუხლის პირველი პუნქტიდან. ეს ძირითადად მისაღებიც უნდა იყოს, როცა სასამართლო იძლევა კიდეც მითითებას, თუ რა არის აუცილებელი განაჩენის/გადაწყვეტილების აღსასრულებლად. არ შეიძლება ეჭვის ქვეშ იდგეს ის, რომ მინისტრთა კომიტეტი ელოდება ზუსტ განცხადებას, ხდება თუ არა ამ მითითებების გათვალისწინება. სახელმწიფომ, ამდენად, კარგად უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული მითითებები, მაგალითად, ვინაიდან დროის გასვლის გამო ახალი სიტუაცია წარმოიქმნა და გასათვალისინინებელია კანონიერი ძალის დროითი ფარგლები. თუ ევროპული სასამართლო თვლის, რომ საუკეთესო გამოსავალი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ხელალი განხილვაა, მაშინ ეს არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი რეკომენდაცია, ვინაიდან სახელმწიფო არ არის ვალდებული, ასეთი რამ შესაძლებელი გახადოს, რაოდენ სასურველიც არ უნდა იყოს ეს.

6. სავალდებულობის შეზღუდვა

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2004 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში გააძლიერა ადამიანის უფლებათა დაცვა, როცა თავად დაახესა კონტროლი იმაზე, მიექცა თუ არა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას ყურადღება და, ამასთან, გააუქმა გერმანიის სასამართლოს ოთხი გადაწყვეტილება, როცა ეს ასე არ მოხდა. მაგრამ მან რამდენიმე შემზღვდავი შენიშვნაც გააკეთა, რომლებმაც გერმანიაში, და არა მხოლოდ იქ, გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია.

ა. საერთაშორისო სამართლისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება

ერთ-ერთი შეზღუდვა ეხება საერთაშორისო სამართლისადმი ტოლერანტულ დამოკიდებულებას. ამ პრინციპის მიხედვით, კონსტიტუცია და

19. EGMR v. 16.11.2004, 29865/96 Nr.73, CEDH 2004-X – Ünal Tekeli/Türkei კანონში ცვლილებების აუცილებლობის შესახებ, რომ მიეცეთ ქალებს უფლება, ქორწინების შემდეგ შეინარჩუნონ ქალიშვილობის გვარი.

კანონები შეძლებისდაგვარად ისე უნდა იქნენ განმარტებული, რომ არ წარმოიშვას კონფლიქტი გერმანიის საერთაშორისო ვალდებულებებთან. ვინაიდან მოსამართლეს სამართლებრივი ნორმების განმარტებისას არ შეუძლია ივარაუდოს, რომ კანონმდებელს არ სურდა ასეთი ვალდებულებების გათვალისწინება. თუ კონვენციას არ გააჩნია კონსტიტუციის რანგი, როგორც ეს საქართველოსა და გერმანიაშია, და თუ კონვენციის გამოყენებას ან გადაწყვეტილებას ისეთ შედეგებამდე მივყავართ, რომლებიც არ არის კონსტიტუციისათან შესაბამისობაში, შეიძლება წარმოიშვას კითხვები. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია საერთაშორისო სამართლისათვის მისაღები განმარტებით და ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში გარკვევით მიუთითა იმაზე, რომ კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრაქტიკა დამხმარე საშუალების სახით უნდა იქნეს გამოყენებული ძირითად უფლებათა და გერმანიის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების შინაარსისა და ფარგლების განმარტებისას. ნათქვამს არ გააჩნია ძალა, თუ კონსტიტუცია მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნებს ასახელებს (53-ე მუხლი). და ეს ძალაში უნდა იყოს, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილების თანახმად, ძირითადი კანონის დემოკრატიული და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ფარგლებში. ეს არ ეწინააღმდეგება „საერთაშორისო სამართლი-სადმი შესაბამისობის პრინციპს, თუ კანონმდებელი გამონაკლის შემთხვევებში არ გაითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულებით სამართალს მაშინ, როცა მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი, თავიდან იქნეს აცილებული კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების დარღვევა“. ასეთი შემთხვევა ძნელად წარმოსადგენია და უმჯობესი იქნებოდა, თუ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მას არ ახსენებდა. თუ ძირითადი კანონი მოდის კონვენციისათან ან ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან წინააღმდეგობაში და დახმარებას ვერც საერთაშორისო სამართლისთვის მისაღები განმარტება გვიწევს, მაშინ უნდა შეიცვალოს კონსტიტუცია. კონსტიტუციის მიმღები ორგანოც ვალდებულია, მისდიოს კონვენციის, რამეთუ არ არსებობს რაიმე სახის დათქმა ამ საკითხისადმი სახელმწიფოს სუვერენიტეტის კუთხით.²⁰ ეს შეუთავსებელი იქნებოდა კონვენციის პირველ და 46-ე მუხლებთან.

ბ. მისადაგება სახელმწიფოს სამართლებრივი წყობისადმი

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიხედვით, სახელმწიფო სასამართლოები ვალდებული არიან, გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს გადაწყვეტილება — თუ ის

20. შდრ.: Wildhaber, EuGRZ 2005, 743; Meyer - Ladewig/Petzold, NJW 2005, 15.

ար յենաալմդեցեծ յոնստիուցիաս - և յեզ շնդա ցամուպենոն սայմեթյ ցա- ձանցութիուցիաս մուսալեծագ, րոցորը մուգասակելմնուցուցարուո յանոնմդեց- լոնծա. մացրամ աման յեօմլեծ յեյմնաս սորտուլեցի - ասետա յեցերալուրո սայոնստիուցուո սասամարտլոս աթրո, „մրացալքուլյսանո“ յրտուերտոնցի- ծուո յեմտեցեցի. յոշուլուսեմեծ յեմտեցեցի, րուցա կյրծո էորյած մորուս արսեթյուլո ճացուսաս այցուլեցելուա մատո յուլլեցեծուո յեպորնոնցի. նոմյթալ ցամուցցենդա սայմի *Görgülü v Germany*, րոմելմուց ճացա յեցուո ձավշչի թրոնցուսա ճա մամուսա ճա ձավշչուո յրտուերտոնցուո սայուտեցիս ճա ռոմելմուց ձավշչուո, մամուսա ճա ճացուո յուլլեցեծուո յրտմանետան յեպորնոնցի. ճա յե- ցասեծ յոյո սաֆորո. մամամ, րոմլուս սանոնաալմդեցու ցամուցութիուցի մոո- լյա ցերմանուս սասամարտլուցմա, սահուցարո յեուգանա աժամունուս յուլլեցետա յերոպյուլ սասամարտլուցմո; ճացա ճա ձավշչուո սորտասձյուրցի հացարեթյուլ էրո- ւուցուս ար յենրեցուոնցի. յեցերալուրո սայոնստիուցուո սասամարտլո մուհի- նեցու, րոմ ցերմանուս սասամարտլուցմա շնդա ցատցալուսնոն ցամուցու- թիուցիուո նեցալունու յայէտորո սակելմնուցուո սամարտլուցրուո նյութանյ ճա ցամուցութիուցի ամ նյունաս յնդա յեյսապամոն. զոնաուգան — ասե մուհինեցու յեցերալուրո սայոնստիուցուո սասամարտլո — յեյսմուլյեցելուա, յերոպյուլո սասամարտլուս յուրցուուո յոյու, տացագ մուսեգունու մուգասակելմնուցրուո սամարտլուս յեսաձամունու մուցպանա.

մացրամ արց յե մուգումա յնդա յինյու ցացեցուո արասենորագ. նոր յեմտե- ցացի սաֆորուա քարմոնինչացու սակելմնուցու սամարտալուան, յոյ ճանցրո- ւուցիուո յնդա ճասաձյուտցու ճա մուսո յեցուո ար յնդա յենաալմդեցեցենցուո յերոպյուլո սասամարտլուս ցամանցութիուցիուո աս. յերոպյուլո սասամարտլուս յուցուուցուո քրայէտուան, րոմ յեյսուրեցուո յինյու „մրացալքուլյսան“ սամարտլուցրուո յուրտուերտոնցու ինքուրյուսեծու ճա ամաստան ցատցալուսնոնց- ծյուլ յինյու քորտա ինքուրյուսեծու, րոմլուցու քրուցու յեր մոնանուլուոնց. յերոպյուլո սասամարտլո ոտեռուս, րոմ սակելմնուցու յնցուցեցեմա յեայէ- րոն ճա ցատցալուսնոն եսենցուո ինքուրյուսեծու. մացրամ տու յերոպյուլո սասամարտլո մուզա ճասկյունամց, րոմ սակելմնուցու յնցուցեցեմա ցասցու տացուսո մոյմեցուուո յարցլուս ճա յեր մույցուն սամարտլուան ցամանցութիւ, րուս ցամու յոնցուուո ճասկյունամց, մաշոն սակելմնուցու յալցուցելուա, մուպուցու սասամարտլուս ցամանցութիուցիուո ճա ալար յեյսմու ուսարցեցլուս յուլլե- ծուո, ելաթլա յեայէրոն ինքուրյուսեծու, րատա եսացարո ցամանցութիուցիուո մուլուս.

Ց. ԿՈՆՎԵՆՑԻՈՒՍ ՄՈՆԱՆՈԼՐ ԵՏՎԱ ՍԱԿԵԼՄՆՈՒՑՐԵՑԻՈՒՍ ՄՈՄԱՐՏ ՑԱՄՈՒԹԱՆՈԼՈ ՑԱՖԱՆՑՈՒԹԻՈԼԵՑԵՑԻՈՒՍ ՄԵՌԵՆԵԼՈՒԾ

ամ սախու ցամանցութիուցիուուո յեսակեծ 46-ց մուկու արացուրու նատէյամո ճա յեսրուուցիուո սացալցուցուուու, րոմելսաց յե մուկու ոտցալուսնոնցուս,

მათზე არ ვრცელდება. თუმცა ის გარემოება, რომ კონვენციის მონაწილე ერთი სახელმწიფოს მიმართ ისეთ სამართლებრივ საკითხებზეც ხდება გადაწყვეტილებების გამოტანა, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ კონვენციის არამონაწილე ქვეყნებისთვისაც, შესაძლოა, იმაზე მიუთითებდეს, რომ რეგულირების ეს წესი ან პრაქტიკა არ არის კონვენციისთან შესაბამისობაში. ამიტომაც არამოპასუხე სახელმწიფოებმა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საბაბად უნდა გამოიყენონ იმის შესამონმებლად, თუ რამდენად არის საჭირო მათი სამართლებრივი სისტემის შესაბამისობაში მოყვანა. ასეთი გადაწყვეტილებები რომ პროცესში არმონაწილე სახელმწიფოებისთვისაც მნიშვნელობის მქონეა, გამომდინარეობს არა 46-ე მუხლიდან, არამედ პირველი მუხლიდან. ეს მუხლი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვა. აյ მნიშვნელოვანია ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გარანტირებულია კონვენციით და მისი დამატებითი ოქმებით. ისინი ისე უნდა განიმარტონ, როგორც ეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ხდება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს კონვენციას, როგორც ცოცხალ ინსტრუმენტს. სასამართლო მისი გამოყენებისას ეყრდნობა არა ისტორიულ განმარტებას, ანუ რა ჩანაფიქრი იყო ნორმების შექმნისას, არამედ ანგარიშს უწევს შეცვლილ ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებს და ეთიკური თუ მორალური შეხედულებების განვითარებას. შედეგი კი არის სასამართლოს პრაქტიკის გზით ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის განვითარება. თუ დასადგენია, რა სახის დაცვას უზრუნველყოფს კონვენცია და მისი ოქმები, განხილულ უნდა იქნეს სასამართლო პრაქტიკა, ვინაიდან იგი ასახავს გარანტიების აქტუალურ მდგომარეობას. კონვენცია, სასამართლოს განმარტებით, არის ის, რასაც უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფო, პირველი მუხლის თანახმად. ამ ფორმით იგი გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ, ასე ხდება მისი ინკორპორირება ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში.²¹ ამდენად, ევროპულმა სასამართლომ შექმნა სამოსამართლეო სამართალი, რაც კონვენციის დაკონკრეტებასა და მის განვითარებას ნიშნავს. დიფერენცირება კონვენციასა და მის საფუძველზე გამოტანილ გადაწყვეტილებებს შორის არც სასურველია და არც სამართლებრივად შესაძლებელი. ეს არ არის პრეიუდიციური ვალდებულება ანგლოამერიკული სამართლის გვარად, არამედ არის ფენომენი, რომელიც საკმაოდ კარგად არის ცნობილი კონტინენტური სამართლებრივი ტრადიციების მატარებელი სახელმწიფოებისთვისაც. ის, თუ რა წარმოადგენს განსაკუთრებით ძველი კოდიფიკაციების შინაარსს, გამომდინარეობს არა მხოლოდ კანონის ტექსტიდან, არამედ, აგრეთვე, და

21. ამ აზრს იზიარებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოც 2004 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში.

არსებითადაც, მასზე დაყრდნობილი სასამართლო პრაქტიკიდან. ნათქვა-მი განსაკუთრებით ვრცელდება კონსტიტუციის მოკლედ ფორმულირებულ ტექსტებზე. საქმე სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაშინ სასამართლო პრა-ქტიკა ცვლილებებს ვერ გაითვალისწინებდა და აუცილებელი იქნებოდა სამართლებრივი ნორმების კიდევ უფრო ხშირი ცვლა.

აյ წარმოდგენილი მოსაზრებებიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინება სავალ-დებულოა კონვენციისთან მიერთებული ყოველი სახელმწიფოსთვის. ეს კი იმ სახელმწიფოებში, სადაც არ საუბრობენ სასამართლოს სამუშაო ენებ-ზე, - ინგლისურსა და ფრანგულზე, - დიდ ენობრივ სირთულეებთან არის დაკავშირებული. საჭიროა ითარგმნოს არა მხოლოდ საერთაშორისოსამარ-თლებრივი ტექსტები, არამედ აგრეთვე სასამართლოს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებებიც, რათა სასამართლოები ინფორმირებული იყვნენ კონ-ვენციიდან გამომდინარე ვალდებულებების შინაარსსა და მისი მოქმედების ფარგლებზე. სასამართლოებს უნდა გააჩნდეთ თვალსაჩინო კომეტარები; უნდა ხდებოდეს მათი და მათი დამხმარე პერსონალის პროფესიული კვალი-ფიკაციის უწყვეტი ამაღლება. ეს სახელმწიფოს ინტერესშიც არის, ვინაი-დან ამ გზით მათ შესაძლებლობა ექლევათ, თავად დაინახონ და გამოიასწო-რონ პრობლემატური საკითხები. სწორედ ეს არის, კონვენციის თანახმად, ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის ინტერესებში, რათა არ მოხდეს მისი უსარგებლოდ გადატვირთვა შეიდასახელმწიფოებრივი ვითარებიდან გამომდინარე პრობლემებითა და სირთულეებით. ძირითადად ჩვენ ვსაუ-ბრობთ სუბსიდიურობის პრინციპზე: პირველ რიგში, შედასახელმწიფოებრი-ვი ინსტანციების, განსაკუთრებით კი სასამართლოების ვალდებულებაა, უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.

და მაინც არის შესაძლებელი, წარმოიშვას ვითარება, როცა ერთი სახელმწიფო ჩათვლის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართ-ლოს გადაწყვეტილება სხვა რომელიმე სახელმწიფოს მიმართ არასწორია. იგი მოგვიანებით უკვე მის წინააღმდეგ გამართულ პროცესში, რომლის ფარგლებშიც იმავე პრობლემებზეა საუბარი, განაცხადებს, რომ გარე-მოებები სხვაგვარად არის და მისი სამართლებრივი წყობის მიერ შერჩეული საკითხის გადაწყვეტის გზა კონვენციის შესაბამისია. რთულია, აუკრძა-ლო ქვეყანას, რომ მან არ მოახდინოს ცვლილებების შეტანა კანონმდე-ბლობაში მანამ, სანამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ კონკრეტული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხილულ დავაზე არ დაადას-ტურებს თავის მიდგომას, მაგრამ მუდმივი პრაქტიკის არსებობის შემთხ-ვევაში, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა, პირველი მუხლის მიხედვით, ყველა შემთხვევაში უნდა ივარაუდებოდეს. ამ შემთხვევაში სასამართლოს პრაქტიკას აქვს „ნორმატიული სახელმძღვანელო პრინციპის“ ფუნქცია, რომელზეც სახელმწიფო ინსტანციები უნდა

ორიენტირებდნენ, ანუ ორიენტირის ეფექტი.²² სხვა მხრივ, აშკარაა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მხოლოდ იშვიათ და განსაკუთრებულ შემთხვევებში სცილდება მის მიერ ერთხელ უკვე გაკვალულ გზას, კერძოდ დიდი პალატის გადაწყვეტილებით. ნათქვამი ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როცა გადაწყვეტილება მიღებულია ძალიან მცირე უპირატესობით, რამეთუ ევროპული სასამართლოს პრაქტიკა განსაკუთრებული მდგრადობით გამოირჩევა.

დ. გადაწყვეტილების აღსრულება სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივ უწყებებზე ზემოქმედების განხორციელების შეზღუდული ან სულაც არარსებული შესაძლებლობის შემთხვევაში, კერძოდ, როცა სახელმწიფო ადმინისტრაციის ზოგიერთ დონეზე შეინიშნება ფუნქციების განხორციელებისთვის ხელის შეშლა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება გამოდის კონვენციასთან მიერთებული სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც მისი მთავრობა წარმოადგენს. მაგრამ კონვენციის დაფიქსირებული დარღვევის საფუძველი ხშირად არის ის, რაზეც მთავრობა ვერ ახდენს ზეგავლენას. ძალაუფლების გადანაწილების პრინციპის მოქმედების შედეგად ხშირია კონვენციის დარღვევის ფაქტები საპარლამენტო აქტებით, კერძოდ რაიმე კანონის მიღების ან კანონის მიღებაზე უარის თქმის გზით. იგივე შეეხება სასამართლოების გადაწყვეტილებებსაც. ისეთ ფედერაციულ სახელმწიფოებში, როგორიცაა, მაგალითად, გერმანია, ფედერალურ მთავრობას არ შეუძლია მისცეს დავალებები ფედერალური მიწის ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს. ნათქვამი ვრცელდება ავტონომიურ რეგიონებზეც. მთავრობას ასეთ შემთხვევებში სხვა არაფერი რჩება, თუ არა, შესაბამის ინსტანციებს ყველა დონეზე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მიუთითოს, რომ დაიცვან კონვენცია და გაითვალისწინონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, ანუ გამოიყენონ როგორც ეროვნული კანონმდებლობა.

კითხვები ჩნდება, როცა კონვენციის დარღვევის შემთხვევები სახელმწიფოს იმ ნაწილში ხდება, რომლებზეც მას მხოლოდ ნაწილობრივი ან სულაც არანაირი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია. პასუხს კითხვაზე - აგებს თუ არა ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო პასუხს კონვენციის დარღვევი-სათვის, შეიცავს კონვენციის პირველი მუხლი, ანუ საკითხი - ექვემდებარება თუ არა მომჩინევანი ასეთ ტერიტორიაზე სახელმწიფოს სუვერენიტეტს. საქართველოსთან მიმართებით ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ამ სახის კითხვაზე გასცა პასუხი ასანიძის საქმესთან დაკავშირებით. აქედან

22. Mosler, Europäischer Menschenrechtsschutz, 1982, S. 366; ebenso das deutsche Bundesverwaltungsgericht, NVwZ 2002, 87.

გამომდინარეობს შემდეგი: საქართველოს სახელმწიფოს ზოგიერთ ნაწილში ფუნქციური ხარვეზებისა და განსაკუთრებული სტატუსის რეგიონების არსებობის მიხედვად, ასეთი ნაწილები სამართლებრივად ექვემდებარება საქართველოს სუვერენიტეტს. კონვენციის 57-ე მუხლის თანახმად, ტერიტორიული დათქმები დაუშვებელია და ის, განსხვავებით ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციისგან, არ იცნობს ფედერალური სახელმწიფოს პრინციპს, რომელიც ზღუდავს ფედერალური სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მის რომელიმე ნაწილში მომხდარ დარღვევებზე. შესაბამისად, კონვენციასთან მიერთებული სახელმწიფო მაშინაც აგებს პასუხს კონვენციის დარღვევისათვის, როცა მას ურთულდება ქვეყნის ცალკეულ ტერიტორიაზე კონვენციის დაცვის უზრუნველყოფა. როგორც დიდი პალატის მიერ დნესტრისპირეთთან დაკავშირებულ საქმეზე - *Hascu a.o. v Moldova v. Russia* - გამოტანილი გადაწყვეტილებიდან ჩანს, ეს პირნციპი მოქმედებს აგრეთვე იმ ტერიტორიებთან მიმართებითაც, რომელზეც სახელმწიფოს საერთოდ არ შეუძლია სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელება, კერძოდ სეპარატისტულ მხარეებზე ან ოლქებზე, რომლებშიც სხვა სახელმწიფო (მაგალითად რუსეთი) უფრო ფართო კონტროლს ახორციელებს.

ორივე გადაწყვეტილების შემთხვევაში სასამართლომ მიუთითა 46-ე მუხლიდან გამომდინარე მოვალეობებზე. ასანიძის საქმესთან დაკავშირებით მან მოპასუხე სახელმწიფოს შეახსენა, აღმოფხვრას კონვენციის დადგენილი დარღვევა, აგრეთვე ის, რომ სახელმწიფოს შეუძლია საამისოდ ვარგისი საშუალებების თავისუფლად არჩევა და კიდეც უნდა გააკეთოს ეს. თუმცა ასანიძის შემთხვევაში არჩევანი საერთოდ არ არსებობდა. საქართველო ვალდებული იყო, რაც შეიძლება უმოკლეს ვადებში გაეთავისუფლებინა საჩივრის ავტორი. ილაშკუს საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოებს — რუსეთი და მოლდავეთი — ყველა ღონიერ უნდა ეხმარათ, რათა აღმოეფხვრათ თავისუფლების შეზღუდვის უკანონო ფაქტი და უზრუნველეყოთ საჩივრის ავტორის დაუყოვნებლივი გათავისუფლება.

ორივე შემთხვევაში ევროპული სასამართლო არ შეხებია იმ საკითხს, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს საქმეების განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით. მინისტრთა კომიტეტი, 46-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, ზედამხედველობის განხორციელებისას ვალდებულია, ჩასწვდეს მიზეზებს, რომელთა საფუძველზეც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება. თუმცა ამ მხრივ ასანიძის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება ნაკლებად ითხოვდა განმარტებებს. ევროპული სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კონვენციის დარღვევა აჭარაში შესაძლებელია მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ჩაურევლობის შემთხვევაში, მაგრამ, პირველი მუხლის თანახმად, საქართველო ვალდებულია, უზრუნველყოს კონვენციის დაცვა თავის მთელ ტერიტორიაზე. ამ გარემოებების გათვალისწინებით კი, 46-ე მუხლიდან გამომდინარეობს ვალდებულება, მოხდეს აჭარის ხელისუფლებაზე ზენოლდა იმ

მიზნით, რომ აღმოიფხვრას კონვენციის დარღვევის ფაქტი, საჩივრის ავტორი გათავისუფლდეს და შემგომში თავიდან აიცილოს ამ სახის დარღვევები.

ილაშქეს გადაწყვეტილება იმდენადაა უფრო საინტერესო, რამდენადაც იგი ეხებოდა ოლქს (დნესტრისპირეთი), რომელზეც მოლდავეთს საერთოდ არ შეუძლია განახორციელოს თავისი იურისდიქცია. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს იურისდიქცია კონვენციის პირველი მუხლის მნიშვნელობით, ვრცელდება იმ ტერიტორიაზეც, რომელიც დროებით ამბოხებულთა ხელშია ან ექვემდებარება სხვა სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ ადგილობრივ მმართველობას. თუმცა იქვე განაცხადა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში იურისდიქციის მოცულობა შეზღუდულია და სახელმწიფო პასუხს აგებს მხოლოდ თავის ვალდებულებაზე, „სხვა სახელმწიფოებთან (ნაგულისხმევია რუსეთი) და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში თავის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი და დიპლომატიური საშუალებით უზრუნველყოს კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისულფებების დაცვა“. ამ კუთხით სასამართლომ დაადგინა, რომ მოლდავეთის უწყებები „სეპარატისტებთან მოლაპარაკებების დროს მხოლოდ საჩივრის ავტორთა მდგომარეობის ზეპირი ხსენებით შემოიფარგლენ და არ უცდიათ, მიეღწიათ ისეთი შეთანხმებისათვის, რომელიც უზრუნველყოფდა კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვას“.

ამით ნათელი ხდება ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება 46-ე მუხლისადმი, რაც იმით გამოიხატება, რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რათა მიღწეულ იქნეს საჩივრის ავტორის დაუყოვნებლივ გათავისუფლება. მინისტრთა კომიტეტი, თანახმად 46-ე მუხლის მე-2 აბზცისა, ითხოვს, ყოველგვარი პოლიტიკური თუ დიპლომატიური ღონისძიებების შედეგად სეპარატისტებთან, რუსეთ-სა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებში მიღწეულ იქნეს ნარმატება საჩივრის ავტორის და, საზოგადოდ, ადამიანის უფლებათა დაცვისას.²³ უნდა მოქმედებდეს პრინციპი, რომ არავის შეიძლება დაევალოს შეუსრულებელი რამის შესრულება (*nemo ultra posse obligatur*). ჩვენ პოლიტიკის სფეროში ვიმყოფებით და, ცხადია, მოპასუხე სახელმწიფოს გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედების ფართო არე უნდა ჰქონდეს იმ თვალსაზრისით, თუ რომელი ხერხი თუ საშუალებაა უფრო სათანადო და შედეგიანი. გადაწყვეტილების აღსრულება (უფრო სწორად, ცხოვრებაში გატარება), რაც დაკავშირებულია რთულ პოლიტიკურ პრობლემატიკასთან, არ არის ადვილი და ამას შეიძლება ბევრი დროც დასჭირდეს. ეს გვიჩვენა გამოცდილებამ საქმესთან - *Loizidou v. Turkey* - დაკავშირებით,²⁴ და იგი შეეხებოდა კვიპროსის კონფლიქტს. 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვა-

23. ამ საქმეზე კომიტეტმა ოთხი შუალედური რეზოლუცია მიიღო ბოლო 2006 წლის 10 მაისს, საიდანაც ირკვევა, რომ საჩივრის ავტორი იმ ფრონტისათვის ჯერ კიდევ პატიმრობაში იმყოფებოდა.

24. EGMK v. 18.12.1996. Rec. 1996 – VI.

ლისწინებული სამართალნარმოება მინისტრთა კომიტეტის წინაშე შეიძლება ასეთ შემთხვევაში საკმაოდ დიდხანს გაგრძელდეს.

ე) კონტროლი გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე

46-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კონტროლს ასეთ შემთხვევაში ახორციელებს ევროპული საბჭოს მინისტრთა კომიტეტი და არა ევროპული სასამართლო. სუბსიდიურობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, იძულებითი აღსრულების წესით, უზრუნველყოფილ და გარანტირებულ უნდა იქნეს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებებით. გერმანიაში ეს 2004 წლის 14 ოქტომბრის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხდება. ეს სასამართლო სხვა საკითხებთან ერთად, ძირითადი კანონის 93-ე მუხლის თანახმად, „იღებს გადაწყვეტილებებს საკონსტიტუციო სარჩელების თაობაზე, რომლის შეტანის უფლება აქვს ყველას, ვინც თვლის, რომ დაირღვა მისი ძირითადი უფლება საჯარო ხელისუფლების მიერ“. ამდენად, საუბარია კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის ფაქტის გასაჩივრებაზე და არა კონვენციის დარღვევაზე. და მაინც, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „ის თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოწოდებულია, შეძლებისდაგვარად თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას საერთაშორისო სამართლის დარღვევა, რაც გამოწვეულია გერმანიის სასამართლოების მიერ საერთაშორისო ვალდებულებების არასწორი გამოყენებით ან გაუთვალისწინებლობით და რამაც შეიძლება გამოიწვიოს გერმანიის საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობა“. ამ ფუნქციის განხორციელებისას იგი ამოწმებს საერთაშორისო ხელშეკრულებათა, კერძოდ კონვენციის, განმარტების სისწორესა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებას გერმანიის სასამართლოების მიერ. ამდენად, შესაძლებელია, რომ საჩივარი შეტანილ იქნეს საკონსტიტუციო სარჩელის სახით იმ მოტივით, რომ „სახელმწიფო ორგანოებმა უგულებელყველება ან არ გაითვალისწინეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება“.

კონტროლის განხორციელების პროცედურა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში შემდეგი სახისაა: მინისტრთა კომიტეტს ეგზავნება გადაწყვეტილება. მინისტრთა კომიტეტის სხდომებს ესწრებიან სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლები. მოპასუხე სახელმწიფოს წარმომადგენელს სთხოვენ განმარტოს, თუ რა გაკეთდა გადაწყვეტილების აღსრულებისთვის. სხდომებს ამზადებს ევროპის საბჭოს გენერალური დირექტორი ადამიანის უფლებათა საკითხებში. რეგულირების დაწვრილებითი წესი საამისოდ არ არსებობს, მაგრამ იგი წარმატებით დამკვიდრდა როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანი პრაქტიკა. გენერალური დირექტორის მიერ

განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოს საფუძველზე შედგება დიალოგი მინისტრთა კომიტეტსა და მოპასუხე სახელმწიფოს შორის. მინისტრთა კომიტეტს საშუალება ეძლევა, მიიღოს შუალედური რეზოლუციები. შემოწმების პროცედურა სრულდება რეზოლუციის მიღებით, რომელშიც აისახება გატარებული ღონისძიებები.²⁵

მინისტრთა კომიტეტი ამოწმებს, მოხდა თუ არა გადაწყვეტილების აღსრულება, განსაკუთრებით, სამართლიანი კომპენსაციის გადახდის კუთხით. გარდა ამისა, იგი ამოწმებს, საჭიროა თუ არა დასახელებულ იქნეს ზოგადი ხასიათის ღონისძიებები მომავალში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების თავიდან ასაცილებლად და აკონტროლებს მათ განხორციელებას. თუ კონვენცია დარღვეულია ცალკეულ შემთხვევასთან მიმართებით გარკვეული „შეცდომის“ გამო, მაშინ ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარების აუცილებლობა არ არსებობს. შეიძლება რეკომენდაციებული იყოს, რომ გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს სასამართლოებსა და უწყებებს, რათა შემდგომში მსგავსი შეცდომა მათ მიერ აღარ იყოს დაშვებული. რაც შეეხება ზოგადი ხასიათის ღონისძიებებს, შეიძლება დასახელებულ იქნეს: პროექტების მომზადება კანონებში, სხვა სამართლებრივ ნორმებში ან ადმინისტრაციულ ინსტრუქციებში ცვლილებების შესახებ, სასამართლოთა პერსონალის გაძლიერება ან სასამართლო პროცესების დაჩქარებისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

ვ) შესაძლო სანქციები იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც არ იცავენ სასამართლოს გადაწყვეტილებებს

იძულებითი აღსრულება, როგორც ასეთი, არ არის შესაძლებელი, არ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღმასრულებლები. ამდენად, შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკური ზენოლის განხორციელება და ეს შესაძლებელია განხორციელდეს მინისტრთა კომიტეტის მიერ. ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს შეუძლია გამოიყენოს 52-ე მუხლით მისთვის განსაზღვრული შესაძლებლობები და მოითხოვოს ინფორმაცია აღსრულების შესახებ. სხვა ღონისძიებათა რიცხვს განეკუთვნება მოპასუხე სახელმწიფოსთვის ევროპის საბჭოს წესდების მე-8 მუხლით გათვალისწინებული წარმომადგენლობითი უფლების დროებით ჩამორთმევა. ასეთი რამ რამდენჯერმე იქნა გამოყენებული რუსეთის მიმართ ჩეჩენეთის კონფლიქტან დაკავშირებით. და ბოლოს, როგორც უკიდურესი ღონისძიება, სახელმწიფო შეიძლება გარიცხულ იქნეს ევროპის საბჭოდან. სხვა სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა, შეიტანონ სახელმწიფოთაშორისი სარჩელი 33-ე მუხლზე დაყრდნობით — სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა.

25. ასეთი რეზოლუციების მოძიება შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებით მისამართზე: <http://hudoc.echr.coe.int>.

გ) 46-ე მუხლის ახალი რეგულირება მე-14 ოქმით.

ახალ მე-3 პუნქტში მინისტრთა კომიტეტს ენიჭება უფლებამოსილება, მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მიიღოს გადაწყვეტილება განაჩენის განმარტების საკითხთან დაკავშირებით, თუ იგი აფერხებს აღსრულებას. ახალი მე-4 პუნქტი ითვალისწინებს, რომ მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შეკითხვით - შეასრულა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოვალეობები, თუ იგი უარზეა, შეასრულოს საბოლოო გადაწყვეტილება? თუ სასამართლო დაადგენს 46-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის ფაქტს, მაშინ საქმეს, ახალი მე-5 პუნქტის თანახმად, აბრუნებს მინისტრთა კომიტეტში გასატარებელ ღონისძიებათა გადასამოწმებლად. თუ სასამართლო დაადგენს, რომ დარღვევა არ ყოფილა, მინისტრთა კომიტეტი წყვეტს შემოწმებას.

მე-14 ოქმი ცვლილებათა ოქმია და ძალაში შესვლისათვის სჭირდება რატიფიცირება ყველა მონაწილე სახელმწიფოს მხრიდან. 2006 წლის 20 სექტემბერს 43-მა სახელმწიფომ მოახდინა რატიფიცირება, სამს ეს ჯერ არ გაუკეთებია (პოლონეთი, რუსეთი და თურქეთი), მაგრამ ოქმს ხელი მოაწერეს.

თიცათიც უფლისაშვილი

რასისტული დამოკიდებულების გამოხატვა ინტერნეტში – საერთაშორისო და ევროპული გამოცდილება

შესავალი

გამოხატვის თავისუფლების ფარგლების შესახებ დებატები სიახლე აღარ არის. ტექნიკის თანამედროვე მიღწევებმა, როგორიცაა, მაგალითად, ინტერნეტი, ახალი საზრუნვა წარმოშვა, თუმცა დებატებში მთავარი არგუმენტები უცვლელი დარჩა. როგორც ჩანს, ჭეშმარიტია გამოთქმა: „რაც უფრო მეტად ვითარდება ტექნიკა, მით უფრო უცვლელი რჩება საკითხები სიტყვის თავისუფლების შესახებ.“¹

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სიძულვილის პროპაგანდა ვწებს მთლიან საზოგადოებას და იგი სისხლის სამართლის დანაშაულადაა მიჩნეული მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით², თუმცა, როცა საუბარი ეხება სიძულვილის გამოხატვას საუბარში, ატლანტის ოკეანის სხვადასხვა სანაპიროს საპირისპირო დამოკიდებულება ამ საკითხისადმი თვალსაჩინო ხდება: რასისტული დამოკიდებულების გამოხატვა სიტყვით არ იკრძალება ამერიკის შეერთებულ შტატებში, მეტიც, იგი კონსტიტუციის პირველი დამატებითი ოქმით დაცული ქმედებაა, მაშინ, როცა რასიზმის გამოხატვა სისხლის სამართლის დანაშაულადაა მიჩნეული ევროპის უმეტეს ქვეყანაში და ისჯება შესაბამისი კანონმდებლობით.³

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციური სამართლით, რასიზ-

1. Clay Calvert & Robert D. Richards, *New Millennium, Same Old Speech: Technology Changes, but the First Amendment Issues Don't*, [79 B.U. L. Rev. 959, 960 \(1999\)](#).

2. იხ. Richard Delgado & Jean Stephanic, *Must We Defend Nazis? Hate Speech, Pornography, and the New First Amendment* 58 (1997), იხ. ნაშრომში: Peter J. Bruckheimer II, *A haven for Hate: The foreign and domestic implications of protecting Internet hate Speech under the First amendment*, Southern California Law Review, University of Southern California, September, 2002, 75 S. Cal. L. Rev. 1493 (2002).

3. Benoît Frydman, Isabelle Rorive, *Regulating Internet Content through Intermediaries in Europe and the USA*, Zeitschrift für Rechtssoziologie 23 (2002) Heft 1, S გვ. 1.

მის გამოხატვა პოლიტიკური საუბრის ნაირსახეობადაა მიჩნეული, რაგინდა არასასიამოვნო, საშიში ან ექსტრემისტულიც არ უნდა იყოს იგი. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციური სამართალი უარს ამბობს, ჩაერიოს ამ უფლებით სარგებლობაში როგორც სახელმწიფო, ასევე ფედერალურ დონეზე. ეს პოლიტიკა ეფუძნება სახელმწიფოს მიერ ინდივიდუალურ თავისუფლებაში ჩაურევლობის ლიბერალურ ფილოსოფიას.⁴ ამის საპირისპიროდ, ევროპაში გამოხატვის თავისუფლება კვალიფიციური უფლებაა, რომელიც „მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს“ და „შეიძლება, დაექვე-მდებაროს ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებსა და სანქციებს“⁵.

ასეთი განსხვავებული, საპირისპირო შეხედულებების გათვალისწინებით, ჩნდება არაერთი შეკითხვა, კერძოდ: რასიზმის გამოხატვა სიტყვით დაცული უნდა იყოს თუ აკრძალული? ინტერნეტი ხელს უწყობს თუ არა სიძულვილის პროპაგანდას? უნდა აიკრძალოს თუ არა მსგავსი კითხვის შინაარსის მქონე ტექსტის გავრცელება ინტერნეტით? იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ტექსტის გავრცელება უნდა აიკრძალოს, რა ტექნიკური საშუალებები არსებობს ამ ოპერაციის შესასრულებლად? მსგავსი შეზღუდვებით ხომ არ შევლახავთ აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლებას?

წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულ იქნება როგორც ამერიკული, ასევე ევროპული სამართლებრივი შეხედულებები ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. ავტორი შეეცდება, პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს და იძოვოს ყველაზე ობიექტური სამართლებრივი გამოსავალი იმასთან დაკავშირებით, თუ რა პოლიტიკა უნდა აირჩიოს სახელმწიფომ, უნდა აკრძალოს სიძულვილის გამომხატველი ტექსტის გავრცელება ინტერნეტით, თუ ტოლერანტული პოლიტიკა გამოიყენოს მის მიმართ.

2. განსხვავებული და საპირისპირო საერთაშორისოსამართლებრივი მიდგომა ინტერნეტში რასიზმის გამომხატველი ტექსტის მიმართ

2.1. ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია: CARTE BLANCHE რასიზმის გამომხატველი ტექსტის მიმართ

ამერიკის შეერთებულ შტატებს პირდაპირ არასოდეს უმსჯელია ინტერნეტში სიძულვილის გამოხატვის თემაზე, თუმცა, ეროვნული სასამართლო პრაქტიკითა და ნორმების ინტერპრეტაციით, ნათელი გახდა, რომ ეს

4. J.M. Balkin, *The American System of Censorship and Free Expression*, in L. Peleg (ed.), *Patterns of Censorship Around the World* (Chicago – Oxford, Westview Press, 1993), გვ. 155-172, *nb.* Benoit Frydman, Isabelle Rorive, *Regulating Internet Content through Intermediaries in Europe and the USA*, *supra* note 3.

5. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ ევროპის კონვენცია, 4 ნოემბერი, 1950 წ. ევროპის საპქოს ხელშეკრულებათა სერია №5, მუხლი 10; *nb.* *Handyside v. United Kingdom*, EctHR, 07.12.1976.

ქმედება ამერიკის კონსტიტუციის პირველი დამატებით დაცულ სიკეთეებს შორის ხვდება.

კონსტიტუციის პირველი დამატება ყველა ამერიკელისათვის უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლების უფლების დაცვას.⁶ პირველი დამატების მიღების შემდეგ ამ უფლების დაცვის საჭიროების საკითხი დაისვა კომუნიკაციის თანამედროვე მიღწევების სფეროშიც. ამ ცვლილებების მიუხედავად, სიტყვის თავისუფლების ძირითადი გარანტია უცვლელი დარჩა. ყველა ამერიკელს უფლება აქვს, ჰქონდეს კონკურენტუნარიანი იდეები და მოსაზრებები „იდეათა ბაზარზე“⁷, იმის მიუხედავად, რამდენად არაპოპულარული და შეურაცხმყოფელიც არ უნდა იყოს მათი განცხადებები.⁸ ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული ეს შეხედულება ასახავს ჰოლმესის ტოლერანტობის ცნებას, სადაც „კარგი და ცუდი იდეები ჭიდილში არიან, სადაც სიმართლე იმარჯვებს... მავნე სიტყვა ... მალევე აშეარავდება და უკუიგდება“⁹. მართლაც, ნებისმიერი სახელმწიფო დებულება, რომელიც ზღუდავს ამ ძირითად გარანტიას შინაარსის „ან მოსაუბრის იდეების გამო, საწყისშივე უკანონოა“¹⁰. ამერიკის შეერთებული შტატები მუდმივად ამტკიცებს, რომ, მართალია, სიძულვილის გამოხატვა თითქმის ყველა საზოგადოებაში მიუღებლად და არასასიამოვნოდა მიჩნეული, ის მაინც უნდა იყოს დაცული ადამიანის ძირითადი უფლების – გამოხატვის თავისუფლების გამო¹¹.

სიძულვილის გამომხატველი სიტყვების შეზღუდვისთვის, ინტერნეტში გავრცელებული სიტყვების ჩათვლით, უამრავი მიზეზი არსებობს, თუმცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოძებნა მიზეზები, თუ რატომ არ უნდა შეიზღუდოს სიძულვილის გამომხატველი სიტყვების გავრცელება. უზენაესი სასამართლოს პრეცედენტებით დადგინდა: „იდეათა საჯაროდ გამოხატვა არ უნდა აიკრძალოს მხოლოდ იმის გამო, რომ ეს იდეები შეურაცხმყოფელია მსმენელთა რომელიმე ჯგუფისთვის“¹². საქმეში – *Beauharnais v. Illinois* – უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სტატუტი მოქალაქეთა რომელიმე ჯგუფის წინააღმდეგ რასისტული დამოკიდებუ-

6. იხ. აშშ-ის კონსტიტუციის პირველი დამატება.

7. Anti-Defamation League, *Combating Extremism in Cyberspace: The Legal Issues Affecting Internet Hate Speech* 3 (2000).

8. იხ. *Abrams v. United States*, 250 U.S. 616, 630 (1919).

9. Anti-Defamation League, *Combating Extremism in Cyberspace: The Legal Issues Affecting Internet Hate Speech* 3 (2000) *supra* note 7 გვ. 3.

10. იხ. Kim L. Rappaport, *In the Wake of Reno v. ACLU: The Continued Struggle in Western Constitutional Democracies With Internet Censorship and Freedom of Speech Online*, 13 Am. U. Int'l L. Rev. 765, 772 (1998).

11. იხ. Timofeeva A. Yulia, *Hate Speech Online: Restricted or Protected? Comparison of regulations in the United States of America and Germany*, Florida State University Journal of Transnational Law & Policy, 12 J. Transnat'l L. & Pol'y 253, 2003.

12. იხ. *Bachellar v. Maryland*, 397 U.S. 564, 567 (1970), *Street v. New York*, 394 U.S. 576, 592 (1969).

ლების ამსახველი საუბრის აკრძალვის შესახებ „თავისუფალ, მეტროპოლიტენურ, პოლიგლოტურ საზოგადოებაში ცხოვრების“ სასარგებლოდ¹³. ამ გადაწყვეტილების კანონიერება ამჟამად სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ერთი მხრივ, იგი არასოდეს შეცვლილა¹⁴, თუმცა მეორე მხრივ, ბევრმა სასამართლომ საჯაროდ განაცხადა უარი, ეცნო მასში დადგენილი პრინციპი, რადგან ეს პრინციპი საგრძნობლად შესუსტდა შემდგომი გადაწყვეტილებებით¹⁵.

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრეცედენტში – *R.A.V. v. St. Paul*¹⁶ – რასისტული გამონათქვამების რეგულირებასთან დაკავშირებით, დაადგინა სტანდარტი, რომ რასისტული გამონათქვამების შინაარსზე დაფუძნებული კონტროლი და რეგულაცია დაუშვებელია და აკრძალა იმ მოსაუბრებისათვის სპეციალური აკრძალვების დაწესება, რომლებიც თავიანთ აზრს გამოთქვამენ მათთვის არასასურველ თემებზე, როგორებიცაა: რასა, კანის ფერი, ან რელიგია, როგორ მიუღებლად და ოდიოზურადაც არ უნდა უღერდეს ეს იდეები¹⁷.

2.2. ევროპის კოზიცია: რასისტულ გამონათქვამებზე მკაცრი პარალელური დაწესებები

ევროპის სახელმწიფოების ზოგადი მიდგომა ინტერნეტში რასისტული გამონათქვამებისადმი არის შემდეგი: „ის, რაც უკანონოა ინტერნეტქსელის გარეთ, უკანონოა ინტერნეტქსელშიც“.¹⁸

რასისტული დამოკიდებულების სიტყვით გამოხატვა უკანონო ქმედებაა ინტერნეტქსელის გარეთ, შესაბამისად, იგი უკანონოა ინტერნეტქსელშიც.

ევროპის საბჭოს ძალიან მკაცრი მიდგომა აქვს რასისტული გამონათქვამების მიმართ. მან განაცხადა, რომ „რასიზმს მიიჩინეს არა მოსაზრებად, არამედ დანაშაულად“¹⁹ და მიზნად ისახავს, ებრძოლოს მას. ეს არის ზოგადი მიდგომა არა მხოლოდ რასისტული რემარკების, არამედ ნებისმიერი სახისა და ფორმის რასისტული გამონათქვამებისადმი. ევროპის საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ის უნდა დაუპირისპირდეს არა მარტო რასიზმს, არა-მედ კონკრეტული ეროვნებების, რელიგიებისა და სოციალური ჯგუფების

13. *ib. Beauharnais v. Illinois*, 343 U.S. 250, 259 (1952).

14. Richard Delgado & Jean Stephanic, *Must We Defend Nazis?: Hate Speech, Pornography, and the New First Amendment* 58 (1997), *supra* note 2 გვ. 63.

15. *ib. Dworkin v. Hustler Magazine*, 867 F.2d 1188, 1200 (9th Cir. 1989); *New York Times Co. v. Sullivan*, 376 U.S. 254 (1964).

16. *R.A.V. v. St. Paul*, 505 U.S. 377 (1992).

17. *Ibid*, გვ. 391.

18. *ib. Benoît Frydman, Isabelle Rorive, Regulating Internet Content through Intermediaries in Europe and the USA*, *supra* note 3.

19. Racism and Xenophobia in Cyberspace, Eur. Parl. Doc. (REC 1543) (2001), *ib. ვებგვერდი <http://assembly.coe.int/Documents/AdoptedText/TA01/EREC1543.htm>* გვ. 1.

წინააღმდეგ მიმართულ სიძულვილის გამოხატვასაც.²⁰ მალე ევროპის საბჭოს ეს მიდგომა ფურცელზეც აისახა. მისი ეგიდით მიღებულ იქნა „პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება კომპიუტერული ქსელის – ინტერნეტის მეშვეობით ან მის წინააღმდეგ ჩადენილი სისხლისამართლებრივი დანაშაულების შესახებ“ — კონვენციის კიბერდანაშაულის შესახებ²¹. ეს კონვენცია რასისტული დამოკიდებულების გამოხატვისთვის სანქციის დაწესებას არ არეგულირებს. ტექსტის შემდგენთათვის აშკარა იყო, რომ ამ დებულების კონვენციაში გათვალისწინების შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატები უარს განაცხადებდა მასზე ხელმოწერაზე.²² კომპიუტერული ქსელის გამოყენებით რასისტული ან ქსენოფობიური ქმედებების კრიმინალიზაციის შესახებ ექსპერტთა კომიტეტს მითითება მიეცა, მოემზადებინა კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც ზემოხსენებულ საკითხს დაარეგულირებდა²³, დღეისათვის ოქმის რატიფიკაცია მოახდინა 9 სახელმწიფომ²⁴ და იგი ძალაში შევიდა 2006 წლის 1 მარტს.

რასიზმის გამოშხატველი ტექსტის შეზღუდვა ნებადართულია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის პრეცედენტული სამართლითაც. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით, ინფორმაციის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან უფლებადაა მიჩნეული²⁵. ამ მუხლით დაცულია არა მხოლოდ ის ინფორმაცია და იდეები, რომელთაც საზოგადოება სიამოვნებით და მოწონებით იღებს, არამედ „შოკისმომგვრელი, შეურაცხმყოფელი და შემანქხებელი“ ინფორმაციაც²⁶, თუმცა სახელმწიფოებს კონვენციით მინიჭებული აქვთ შეფასების გარკვეული ფარგლები, რომლებშიც მათ შეუძლიათ იმ ინფორმაციის შეზღუდვა, რომელიც, მათი აზრით, ხვდება კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის არეალში. სახელმწიფოთა მხრიდან შეფასების ზღვრული ნორმების გამოყენება ხდება

20. Ibid., გვ. 5.

21. იხ. კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ, ევროპის საბჭო, დაიდო ხელმოსაწერად 23.11.2001 წ. და ძალაში შევიდა 1.7. 2004.

22. Benoit Frydman, Isabelle Rorive, *Regulating Internet Content through Intermediaries in Europe and the USA, supra note 3 გვ. 2.*

23. კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი, კომპიუტერულ სისტემებში ჩადენილი რასისტული და ქსენოფობიური ხასიათის კრიმინალური ქმედებების შესახებ CETS NO.: 189, ხელმოსაწერად დაიდო 28.1.2003.

24. რატიფიკაცია მოახდინა ალბანეთმა, სომხეთმა, ბოსნია-ჰერცეგოვინამ, კვიპროსმა, დანიამ, საფრანგეთმა, ლიხტენშტანმა, სლოვენიამ და მაკედონიამ (ყოფილი იუგოსლავის სახელმწიფო).

25. იხ. L.J.Clements, Nuala Mole, Alan Simmons, *European Human Rights, Taking a Case under the Convention*, sec. Edition, Sweet & Maxwell, London (1999); Jacobs& White, *European Convention on Human Rights*, Clare Ovey & Robin C.A. White, Third Edit., Oxford University press (2002) გვ. 198-300; იხ. P. van Dijk, G.J.H. van Hoof, *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, Kluwer law International (1997); იხ. Thomas Buergenthal, David Shelton, *Protecting Human Rights in the Americas*, cases and materials, International Institute of Human Rights, Strasbourg, fourth revised edit.(1995).

26. Lingens v. Austria, EctHR, 12/1984/84/131.

ევროპის მუდმივი ზედამხედველობის პირობებში²⁷. ევროპულმა სასამართლომ ზოგიერთ საქმეში დაადგინა, რომ სახელმწიფოები, სიძულვილისა და რასიზმის გამომხატველი გამონათქვამების შეზღუდვით, არ არღვევენ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციას.²⁸

3. რასიზმის გამომხატველი ინფორმაციის შეზღუდვა ინტერნეტში

3.1. ინტერნეტსერვისის მომწოდებლების პრივიტეტის და პასუხისმგებლები

ინტერნეტში შინაარსის რეგულაციასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა ძალიან ბევრ და რთულ შეკითხვას ბადებს, ერთ-ერთი მათგანი ეხება ინტერნეტსერვისის მომწოდებლების პასუხისმგებლობის საკითხს რასისტული მასალის გავრცელების ან გამოქვეყნების შემთხვევაში. რადგან შინაარსის მომწოდებლის (ავტორის) ვინაობის დადგენა ყოველთვის შესაძლებელი არ არის, უფრო ხელმისაწვდომი და იოლია იმ ინტერნეტსერვისის მომწოდებლებზე ზენტრალის განხორციელება, რომლებიც უშუალოდ აკონტროლებენ კომუნიკაციის პროცესს²⁹. ამ ფორმით ხელისუფლება ხშირად ცდილობს გარკვეული კონტროლის მოპოვებას ინტერნეტზე ინტერნეტსერვისის მომწოდებლების შეზღუდვის ხარჯზე, თუმცა ამით, რა თემა უნდა, ეს უკანასკნელი კმაყოფილი არ არიან, რაც საშიშროებას უქმნის ელექტრონულ ბიზნესს.³⁰

3.1.1. ინტერნეტსერვისის მომწოდებლების ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით მინიჭებული პრივილეგიები

ინტერნეტსერვისის მომწოდებლები ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისუფალნი არიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან რასიზმის გამომხატველი მასალის გავრცელებისათვის³¹. ინტერნეტსერვისის მომწოდებლების პასუხისმგებლობის საკითხი მკაცრად დაისვა ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ 1995 წელს საქმეში – *Stratton Oakmont, Inc. V. Prodigy Services Company*³², რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ კომპანია *Prodigy* მიწნეულ უნდა ყოფილიყო ცილისმნამებლური ინფორმაციის გამომქვეყნებლად

27. იბ. *Handyside v. United Kingdom*, EctHR, 07.12.1976.

28. იბ. *Barfod v. Denmark*, EctHR, 13/1987/136/190, იბ. ასევე დებულებები საქმიდან: *Lingens v. Austria*, EctHR, 12/1984/84/131, *Jerschild v. Denmark*, ECtHR 36/1993/431/510.

29. *Benoît Frydman, Isabelle Rorive, Regulating Internet Content through Intermediaries in Europe and the USA, supra note 3, გვ. 2.*

30. *Ibid.*, გვ. 3.

31. იბ. *Communications Decency Act*, 47 U.S.C. §230.

32. *Stratton Oakmont, Inc. V. Prodigy Services Company*, 1995 N.Y. Misc. LEXIS 229, 1995 (N.Y. Supreme Court, May 24 1995).

და არა უბრალოდ გამავრცელებლად, რადგან მისი ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელსაც კომპანია ხელფასს უხდიდა, ზედამხედველობას ახორციელებდა ბიულეტენების სვეტზე. თანამშრომლის მიერ ამგვარი სარედაქციო კონტროლის გამო, კომპანია *Prodigy* ვერ ჩაითვლებოდა უბრალო „გამტარად“ და, შესაბამისად, პასუხისმგებლობაც ეკისრებოდა.³³ ეს მიდგომა უკუგდებულ იქნა 1996 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნიკაციების შესახებ აქტის (CDA) მიერ. ამ აქტის 230-ე მუხლის (c) პუნქტის (1) ქვეპუნქტით, ინტერნეტ-სერვისის მომწოდებლები თავისუფლდებიან ნებისმიერ სახის სარედაქციო პასუხისმგებლობისაგან იმ მასალებზე, რომლებიც მათი მეშვეობით ვრცელდება. ეს მუხლი ადგენს, რომ „არცერთი მომწოდებელი ან ინტერაქტიული კომპიუტერის მომხმარებელი არ უნდა იქნეს მიჩნეული სხვა ავტორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამომცემლად“.³⁴

ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოები ამ დებულებას კიდევ უფრო ფართო ინტერპრეტაციას აძლევენ. რამდენიმე საქმეში დადგინდა, რომ ინფორმაციის მომწოდებელი არ უნდა მიჩნეულიყო პასუხისმგებლად, თუნდაც სცოდნოდა, რომ შინაარსი უკანონო ხასიათს ატარებდა; თუნდაც მსხვერპლის ან მესამე პირის მიერ იგი გაფრთხილებული ყოფილიყო შინაარსის უკანონობის შესახებ³⁵ და თუნდაც მას ჰონორარი გაეცა ამ უკანონო ინფორმაციისთვის³⁶.

ამავე დროს, ამერიკის კომუნიკაციის აქტი ინტერნეტსერვისის მომწოდებლებს მოუწოდებს, განახორციელონ თვითცენზურა. ზემოხსენებული აქტის შესაბამისად, „არცერთი ინტერაქტიული კომპიუტერული მომსახურების მომწოდებელი არ უნდა იქნეს პასუხისმგებელი კეთილი ნებით ჩადენილი რაიმე ვოლუნტარული ქმედებისთვის, რაც გამოიხატება იმ მასალის ხელმისაწვდომობის შეზღუდვით, რომელიც, მათი აზრით, შეურაცხმყოფელი, უხამსი, დამამცირებელი, გადამეტებულად ძალადობრივი, დამთრგუნველი ან, სხვაგვარად, სადაცო ხასიათისაა, მიუხედავად იმისა, ეს მასალა დაცულია თუ არა კონსტიტუციით³⁷. კომუნიკაციების შესახებ აქტის ამ დათქმას „კარგი სამარიტული დებულება ეწოდა“ (Good Samaritan Provision)³⁸.

თვითრეგულაცია ინტერნეტში სიძულვილის სიტყვით გამოხატვის რეგულირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. ინტერნეტსერვისის მომწოდებლები თავიანთი მომსახურების ფარგლებში ვოლუნტარულად

33. *nb.* Benoît Frydman, Isabelle Rorive, *Regulating Internet Content through Intermediaries in Europe and the USA*, *supra* note 3 გვ. 3.

34. CDA 47 U.S.C. §230 (c)(1), *supra* note 31.

35. *nb.* Zeran v. AOL, Inc. 958 F. Supp. 124 (D.C.); 129 F. 3d 327 (4th Cir. 1997), 1997 US. AP. Lexis 31791; see also Doe v. AOL, Inc, 2001 Fla. Lexis 49 (Fla, March 8, 2001).

36. *nb.* Blumenthal v. Drudge and AOL, Inc 992 F. Supp. 44 (D.C.C. April 22, 1998), 1998 US. District Lexis 5406.

37. CDA 47 U.S.C. §230 (c) (2) *supra* note 31.

38. Benoît Frydman, Isabelle Rorive, *Regulating Internet Content through Intermediaries in Europe and the USA*, *supra* note 3 გვ. 8.

დათანხმდნენ, მომხმარებლებისთვის აეკრძალათ რასისტული ან სიძულვილის გამომხატველი მესიჯების მიღება ან გაგზავნა.³⁹ ამგვარი აკრძალვა არანაირ სამართლებრივ პრობლემას არ ქმნის ამერიკის შეერთებულ შტატებში. სახეზე არ გვაქვს ხელისუფლების მხრიდან რაიმე აქტიური ქმედება შინაარსის რეგულირების კუთხით, შესაბამისად, ამ შემთხვევაში არ ხდება კონსტიტუციის პირველ დამატებაზე აპელირება⁴⁰. როცა ინტერნეტსერვისის მომწოდებელი ამგვარ რეგულაციაზე თანხმდება, მან სრულად უნდა გააკონტროლოს მისი მომსახურების გამოყენება, რათა უზრუნველყოს რეგულაციის პირობების შესრულება. დარღვევის შემთხვევაში, ინტერნეტსერვისის მომწოდებელმა აქტიური ქმედებით თავიდან უნდა აიცილოს მსგავსი დარღვევის განმეორება მომავალში⁴¹. ინტერნეტსერვისის მომწოდებლების მიერ თვითრეგულირების განხორციელების გარდა, მომხმარებლებს დამოუკიდებლად შეუძლიათ, უზრუნველყონ მათვის არასასურველი შინაარსისგან თავისუფალი ინტერნეტსფერო, თავიანთ კომპიუტერებზე ინდივიდუალური ფილტრების დაინსტალირების მეშვეობით⁴².

ფილტრებისა და ინდივიდუალური დაბლოკვის მექანიზმების დაინსტალირების საკითხმა სერიოზული კრიტიკა გამოიწვია. პირველ რიგში, დიდ პრობლემას ქმნის დაუხვენავი ტექნოლოგია, რადგან ფილტრების უმრავლესობა სიტყვის ამოცნობის მექანიზმზე შექმნილი, მათი მეშვეობით ხდება ისეთი საგანმანათლებლო ან სხვა სახის უწყინარი მასალების დაბლოკა, რომლებიც სადაც საკითხებს ეძლვნება. ამის ამსახველი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, როცა American Online-მა დაბლოკა ყველა ის ტექსტი, რომლებიც შეიცავდა სიტყვას „მკერდი“. შესაბამისად, მომხმარებლებს ხელი აღარ მიუწვდებოდათ მკერდის სიმსივნის შესახებ საიტებსა და სადისკუსიო ჯგუფების მსჯელობებზე.⁴³ ამგვარი ფილტრები ასევე არა-სანდოა სიძულვილის გამომხატველ ტექსტებთან მიმართებითაც, რადგან მათი მეშვეობით ტექსტის გამორიცხვა და ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ხდება კონკრეტული სიტყვების ბლოკირების მექანიზმის გამოყენებით, ასეთი სიტყვები კი ანტირასისტულ პროცეგანდაშიც გვხვდება⁴⁴. შესაბამისად, უწყინარი საიტებიც გაიფილტრება.

მეორე მხრივ, როცა სახეზე გვაქვს დამოუკიდებელი ორგანოების მიერ

39. ი. Weintraub-Reiter, *Hate Speech over the Internet: A Traditional Constitutional Analysis or a New Cyber Constitution?*, 8 B.U. Pub. Int. L.J. 145, 149 (1998) გვ. 168.

40. Statement of the Anti-Defamation League on Hate on the Internet before the Senate Committee on the Judiciary, FDCH Pol. Transcripts, Sept. 14, 1999, 1999 WL 27594383.

41. Ibid.

42. Anti-Defamation League, ADL Releases Free Filtering Software Designed to “Keep Hate Out Of Homes” (March 21, 2002).

43. John F. McGuire, *When Speech is Heard Around the World: Internet Content Regulation in the United States and Germany*, 74 N.Y.U. L. Rev. 750, 773 (1999) გვ. 782.

44. ი. Timofeeva A. Yulia, *Hate Speech Online: Restricted or Protected? Comparison of regulations in the United States of America and Germany*, supra note 11.

სხვადასხვა რეიტინგულ სისტემებზე დაფუძნებით დაყენებული ფილტრები, ჩნდება არასწორი და ზოგჯერ უკანონო შეფასების საკითხი. ექსპერტთა დიდი ნაწილი მკაცრად ეწინააღმდეგება ამგვარი ფილტრების დაყენებას. მათი აზრით, ამგვარი ფილტრაცია ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლებას საფრთხეს უქმნის, რადგან იგი მომხმარებლებს ართმევს დამოუკიდებლად განსჯის უფლებას. სადაც ინფორმაციაზე ფილტრაციის ან ბლოკირების სისტემის დაყენების შესახებ ნებისმიერი მსჯელობა თუ რჩევაც კი დიდ ეჭვსა და გაღიზიანებას იწვევს „კიბერლიბერტარელებში“, რომლებიც თვლიან, რომ არასწორია მომხმარებელთა უსრავლესობის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღება, რაც საზოგადოების ამ დიდ ნაწილს დამოუკიდებლად აზროვნების საშუალებას ართმევს⁴⁵.

თვითრეგულაცია ნებადართულია ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ ინტერნეტსერვისის მომწოდებლები ამ რადიკალურ ზომას რასიზმის გამომხატველ ტექსტთან დაკავშირებით თითქმის არასოდეს მიმართავენ, რადგან ამ კატეგორიის შინაარსი კონსტიტუციის პირველი დამატებით კარგადა დაცული.

3.1.2. ევროპის პოზიცია: ინტერნეტსერვისის მომწოდებლების პასუხისმგებლობა

ევროპაში ეს საკითხი დარეგულირდა ევროპის კავშირის მიერ დირექტივით ელექტრონული კომერციის შესახებ.⁴⁶ პასუხისმგებლობების განსაზღვრის ევროპული რეზიმი გაცილებით უფრო დაბალანსებული ჩანს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების კომუნიკაციების შესახებ აქტის საიმუნიტეტო დათვემა.⁴⁷

დირექტივის მე-15 მუხლში დადგენილია, რომ ევროპის წევრმა სახელმწიფოებმა ინტერნეტსერვისის მომწოდებლებს არ უნდა დააკისრონ არც იმის ზოგადი ვალდებულება, რომ მონიტორინგი განახორციელონ ინფორმაციაზე, რომელსაც ისინი გადასცემენ ან ინახავენ და არც იმის ზოგადი ვალდებულება, რომ აქტიურად ეძებონ ქსელში უკანონო ქმედებები.⁴⁸ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, ინტერნეტსერვისის მომწოდებლებს დააკისრონ ვალდებულება, სწრაფად შეატყობინონ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს ინფორმაცია, მიღებული მათი ქსელის მომხმარებელთა მიერ ქსელში მოწოდებული უკანონო ინფორმაციის ან დარღვევების შესახებ. მათ ასევე შეუძლიათ, ინტერ-

45. Jeremy Harris Lipschultz, *Free Expression in the Age of the Internet: Social and Legal Boundaries* 56 (2000) n.b. Timofeeva A. Yulia, *Hate Speech Online: Restricted or Protected? Comparison of regulations in the United States of America and Germany*, *supra* note 11.

46. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2000/31/EC დირექტივა (დირექტივა ელექტრონული კომერციის შესახებ, 8 ივნისი, 2000).

47. Benoît Frydman, Isabelle Rorive, *Regulating Internet Content through Intermediaries in Europe and the USA*, *supra* note 3 გვ. 7.

48. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2000/31/EC დირექტივა, *supra* note 46.

ნეტსერვისის მომწოდებლები დაავალდებულონ, მოაწოდონ ინფორმაცია, რომლის საშუალებითაც საჯარო ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელი გახდება მათი აპონენტების იდენტიფიკაცია. დირექტივის მიზანია, მოხდეს თანარეგულაცია, ანუ მაქსიმალური თანამშრომლობა ინტერნეტსერვისის მომწოდებლებსა და საჯარო ორგანოებს შორის.⁴⁹

დირექტივის შესაბამისად, ეროვნულ სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ როგორც „დამკავშირებელ“ (რომლის საშუალებითაც აპონენტი ინფორმაციას მოიძიებს), ასევე „მასპინძელ“ მომწოდებელს (სადაც დაკიდებულია ინფორმაცია), თავიდან აიცილონ ან წერტილი დაუსვან ეროვნული კანონმდებლობის ნორმების დარღვევას, ანუ ადგილობრივმა სერვისის მომწოდებლებმა საჯარო ორგანოების თხოვნის საფუძველზე უნდა დაბლოკონ სადაც ინფორმაცია.⁵⁰

რაც შეეხება „უბრალო გამტარებს“, დირექტივის მე-12 მუხლი ადგენს, რომ მომწოდებელი პასუხისმგებელი არ არის ინფორმაციის გავრცელებისათვის, თუ იგი ამ დროს ასრულებს პასურ, გამტარის როლს,⁵¹ თუ იგი:

- ინფორმაციის გადაცემის ინიციატორია;
- არ არჩევს გადაცემის მიმღებს;
- არ არჩევს ან მოდიფიცირებას უკეთებს გადაცემის ტექსტს.

რაც შეეხება ინფორმაციის „მასპინძლობას“, მომწოდებელი პასუხისმგებელი არ არის ინფორმაციაზე, რომელსაც იგი ინახავს, იმ შემთხვევაში თუ:

ა) მომწოდებელმა არ იცის ქმედების უკანონო ხასიათის ან ინფორმაციის უკანონობის შესახებ და, როცა საქმე ეხება ზარალის ანაზღაურების მოთხოვნას, იგი არ იცნობს ფაქტებს და გარემოებებს, რითაც ქმედების უკანონო ხასიათი აშკარა გახდა; ან

ბ) მომწოდებელი, როგორც კი (ა) პუნქტში მითითებულის შესახებ შეიტყობს, სასწავლოდ მოხსნის ამ მასალას ქსელიდან, ან აპონენტთათვის შეუძლებელს გახდის ამ ინფორმაციის მონახულებას.⁵²

ევროპის კავშირის მიერ ინიცირებული „შეტყობინებისთანავე აღმოფხვრის“ პროცედურა, რასისტული დამოკიდებულების გამომხატველ ტექსტთან მიმართებით, საკმაოდ ეფექტური ჩანს, მაგრამ მაინც საფრთხეს უქმნის გამოხატვის თავისუფლების ძირითად შინაარსს. იგი ახდენს კერძო ცენზურის ლეგალიზებას და ამგვარად არღვევს თვით ამ უფლების არსს.

49. Id, Art. 15 n.b. Benoît Frydman, Isabelle Rorive, *Regulating Internet Content through Intermediaries in Europe and the USA*, Zeitschrift für Rechtssoziologie 23 (2002) Heft 1, S გვ. 7.

50. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2000/31/EC დირექტივა (დირექტივა ელექტრონული კომერციის შესახებ, 8 ივნის, 2000), მუხ. 12.3-14.3; n.b. Benoît Frydman, Isabelle Rorive, *Regulating Internet Content through Intermediaries in Europe and the USA*, Zeitschrift für Rechtssoziologie 23 (2002) Heft 1, S გვ. 7.

51. Benoît Frydman, Isabelle Rorive, *Regulating Internet Content through Intermediaries in Europe and the USA*, *supra* note 3, გვ. 7.

52. *supra* note 46, მუხ. 14.

3.2. სასამართლო ხელისუფლების როლი ინტერნეტში შინაარსის რეგულირების და ინტერნეტსერვისის მომწოდებლებზე საწციებს აწესებენ.

ევროპის სასამართლოები ხშირად განიხილავენ ინტერნეტშინაარსის რეგულაციის საკითხებს და ინტერნეტსერვისის მომწოდებლებზე საწციებს აწესებენ.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ისეთი დიდი ინტერნეტსერვისის მომწოდებლები, როგორებიც არიან: CompuServe, Yahoo და American Online სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაშე დადგნენ პრობლემატური შინაარსის მქონე ინფორმაციის „მასპინძლობისა“ და „მასთან დაკავშირებისათვის“⁵³.

საქმეში – Yahoo! – ფრანგმა მოსამართლემ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერნეტსერვისის მომწოდებელს პასუხისმგებლობა დააკისრა ნაცისტური მასალის „მასპინძლობისა“ და აბონენტებისათვის ამ ინფორმაციაზე „მაკავშირებლის (link) მიწოდებისათვის“. „Yahoo!“-ს დადგენილება ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ცნობილ ფრანგულ გადაწყვეტილებად იქცა. რაც შეეხება ევროპას, ეს გადაწყვეტილება ამოსავალ წერტილად იქცა ზოგადად ინტერნეტის რეგულაციის მიმართ.⁵⁴ გადაწყვეტილება საქმეზე – Yahoo! – აშკარად მიმართული იყო რასისტული გამონათქვამების წინააღმდეგ, რომელიც მკაცრად იკრძალება ევროპაში და დაშვებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოსამართლე გომესმა, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დასმული იურისდიქციის არარსებობის შესახებ არგუმენტისა, განაცხადა, რომ თუ მისი ეს გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, არ აღსრულდებოდა აშშ-ში, ეს მას ვერ შეუშლიდა ხელს, ამ შემთხვევაში ფრანგული კანონმდებლობით ესარგებლა.⁵⁵ „Yahoo!“-ს გადაწყვეტილება ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ევროპისათვის. მანამადე ევროპის ქვეყნები ინტერნეტში სიტყვის თავისუფლების თავიანთ სტანდარტებზე უარს ამბობდნენ, რადგან აღიარებდნენ, რომ შეუძლებელი იყო სიძულვილის გამომხატველი ტექსტის რეგულირებასთან დაკავშირებული მათი გადაწყვეტილებების ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე აღსრულება.⁵⁶ საქმეში – Yahoo! – სხვაგვარი პოზიცია დაფიქსირდა. სასამართლომ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერნეტსერვისის მომწოდებლებს უბრძანა, საფრანგეთის ტე-

53. *ib. Criminal Case v. Somm, Felix Bruno, (CompuServe case), Munich, Germany, File No.: 8340 Ds 465 Js 173158/95; Yahoo! Inc. v. La ligue contre le racisme et l'antisémitisme 2001 U.S. Distr. North. Dist. California, Case No C-0021275 JF, November 7, 2001 ; J' accuse case, "J'accuse" contre les FAI : débat de société à la rentrée.*

54. Benoît Frydman, Isabelle Rorive, *Fighting Nazi and anti-semitic material on the Internet: the Yahoo! case and its global implications*, PCMLP- oxford University, *ib. გვერდი* <http://pcmlp.socleg.ox.ac.uk:YahooConference>.

55. *Yahoo ! Inc. v. La ligue contre le racisme et l'antisémitisme 2001 U.S. Distr. North. Dist. California, supra note 53.*

56. Benoît Frydman, Isabelle Rorive, *Fighting Nazi and anti-semitic material on the Internet: the Yahoo!case and its global implications*, *supra note 54.*

რიტორიაზე მომხმარებლებისათვის ჩამოეხსნათ ან დაებლოკათ „Yahoo!“-ს აუქციონის ის გვერდი, რომელზეც ნაცისტური საგნები იყო გამოფენილი.⁵⁷

იურისდიქციასთან დაკავშირებული საკითხები ინტერნეტმასალის რეგულაციას უდიდეს პრობლემას უქმნის. „Yahoo!“-ს საქმე მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემა, როცა საქმე ეხება ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი დამატებით დაცული ტექსტის რეგულირებას.⁵⁸ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თვით ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოები თავს არ იზღუდავენ და თავიანთ იურისდიქციას სხვა სახელმწიფოთა კომპანიებზეც ავრცელებენ.⁵⁹ აღსანიშნავია, რომ „Yahoo!“-სთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს არ განუხილავს საკითხი, თუ ტექნიკურად რამდენად შესაძლებელი იყო „Yahoo!“-სათვის, საფრანგეთის მოქალაქეებისათვის დაებლოკა კონკრეტული საიტები. პირიქით, მან განაცხადა, რომ „ის საკითხი, თუ ტექნიკურად რამდენად შეძლებდა „Yahoo!“ ამის გაკეთებას, უმნიშვნელო იყო“⁶⁰. როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატები გააგრძელებს კანონის ცალმხრივ გამოყენებას, როგორც ძლიერი სახელმწიფო, და „Yahoo!“-ს მიდგომას არ გამოყენებს უცხოურ კომპანიებთანაც კი, ისეთი ტექსტის გავრცელებისათვის, რომელიც კანონით დაცულია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დასკვნა

ეჭვგარეშეა, რომ რასისტული გამონათქვამები საზოგადოებაში რასიზმს უნევს პროპაგანდას, იმის მიუხედავად, იგი გამოითქმის და ვრცელდება ტელევიზიით, ბეჭდვური მედიის საშუალებით თუ ინტერნეტით. ამ ფაქტის აღიარების მიუხედავად, სახელმწიფოებს მაინც არ აქვთ საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტები რასისტული სიტყვის წინააღმდეგ საბრძოლველად. განსხვავება ძირითადად მათ დამოკიდებულებაში აისახება; ევროპას და მსოფლიოს აღმოსავლეთ ნაწილს (რამდენიმე გამონაკლისის გარდა), რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა რასიზმისა და ნაციზმის სიავე, უფრო მკაცრი მიდგომა აქვთ შემუშავებული ამ პრობლემის დასაძლევად.

57. *Yahoo ! Inc. v. La ligue contre le racisme et l'antisémitisme* 2001 U.S. Distr. North. Dist. California, *supra* note 53.

58. See *Yahoo !*, *supra* note 53, 169 F. Supp. 2nd at 1181.

59. მაგალითად, საქმეში – ICraveTV (Twentieth Century-Fox Film Corp. V. ICraveTV, 2000 U.S. Dist. Lexis 11670) – „ამერიკულმა მოსამართლემ ბრძანება გასცა ICraveTV-ის წინააღმდეგ, რომელიც არის ტორონტოში დაფუძნებული კომპანია“ და მას მოსთხოვა, „სატელევიზიო გადაცემების ანონსი არ დასაცავისათვის თუ იგი ხელმისაწვდომი იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან“. რადგან ICraveTV-ს არ შეეძლო, მხოლოდ კანადელებისათვის გავრცელებისათვის სერვისი... მან დახურა თავისი ინტერნეტგვერდი, მიუხედავად იმისა, რომ მისი საქმიანობა კანადის კანონმდებლობას არ არღვევდა. ანლოგიურ რამ განსორციელდა იტალიის ინტერნეტგვერდთან მიმართებით, „Playmen“ ამერიკში დაჯარიმდა სასაქონლო წიშნის წესების დარღვევისათვის და ეს საიტი აიკრძალა ამერიკის მომხმარებელთათვის.

60. *ibid. Yahoo !*, *supra* note 53, 169 F. Supp. 2nd at 1194.

მათი აზრით, სიძულვილის გამომხატველი და რასისტული გამონათქვამების ნეგატიური შედევი შემცირდება, თუ იგი აიკრძალება. შესაბამისად, რასისტული გამონათქვამები დანაშაულადაა მიჩნეული ევროპაში და დამნაშავენი ისჯებიან სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ამერიკის მიდგომა რადიკალურად განსხვავდება ევროპის მიდგომისაგან. ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით, რასისტული გამონათქვამების აკრძალვა რასიზმთან ბრძოლის სწორი და ეფექტური საშუალება არ არის. რეგულაციას მოჰყვება უკურეაქცია და ეს კიდევ უფრო მეტად გაუდვივებს საზოგადოებას რასისტულ შეგრძნებებს. შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატები სხვა გზას ირჩევს რასიზმთან საბრძოლველად – იგი იცავს სიძულვილის გამომხატველ გამონათქვამებს.

ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების განსხვავებული მიდგომების შესაბამისად, სხვადასხვაა ინტერნეტსერვისის მომწოდებლების პასუხისმგებლობის საკითხებიც.

ევროპა მკაცრ პასუხისმგებლობას აკისრებს ინტერნეტსერვისის მომწოდებლებს, იგი ქმნის „შეტყუბინებისთანავე აღმოფხვრის“ პოლიტიკას, რაც გარკვეულწილად ინტერნეტშინარსის თანარეგულაციაა საჯარო მოხელეთა და ინტერნეტსერვისის მომწოდებლების მიერ. მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები სრულ იმუნიტეტს ანიჭებს ინტერნეტსერვისის მომწოდებლებს რასისტული გამონათქვამების „მასპინძლობისა“ და „მათთან მაკავშირებლის დაკიდებისათვის“.

პრობლემა მაშინ ჩნდება, როცა ხდება ამ სხვადასხვა შეხედულების შეჯახება - როცა ევროპის სასამართლოები ცდილობენ აკრძალონ რასისტული საიტები თავიანთი მოქალაქეების ინტერნეტმხედველობითი არეალიდან, ამერიკის შეერთებულ შტატებში დარეგისტრირებულ ინტერნეტსერვისის მომწოდებლებს უბრძანებენ, ჩამოხსნან მსგავსი საიტები. იურისდიქციათა შეჯახება ინვენის აღსრულების პრობლემასაც. ამ პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა, ესაა დიალოგი ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და ინტერნეტშინარსის სამართლებრივი რეგულირებისათვის საერთო ოქროს შუალედის პოვნა. ეს შესაძლებელია თუ არა – კვლავ კამათის საგანია.⁶¹

ავტორის აზრით, ევროპული მიდგომა გაცილებით უფრო ეფექტურია, თუმცა არც ევროპის და არც ამერიკის შეხედულებები არ შეიძლება იდეალურად მივიჩნიოთ. სიძულვილის გამომხატველი ტექსტის მფარველობამ შესაძლოა, საზოგადოებაში რასიზმის გაღვივებას შეუწყოს ხელი, მაშინ როცა მკაცრმა რეგულაციამ და კერძო ცენზურის ლეგალიზებამ შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას გამოხატვის თავისუფლების ძირითად არსს.

61. Peter J. Breckheimer II, *A haven for Hate: The foreign and domestic implications of protecting Internet hate Speech under the First amendment*, Southern California Law Review, University of Southern California, September, 2002, 75 S. Cal. L. Rev. 1493 (2002).

სიმონ პაპუაშვილი

ადამიანის უფლებათა ეცროკული კონვენციის მეორე მუხლიდან გამომდინარე პიზიტიური ვალიდებულებების პუნქტი

შესავალი

სიცოცხლის უფლება ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნდამენტური უფლებაა¹, რომლის ხელყოფაც შეუძლებელს ხდის ნებისმიერი სხვა უფლების განხორციელებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველ მნიშვნელოვან საქმეში, რომელიც ევროპული კონვენციის მე-2 მუხლს ეხებოდა, განაცხადა: „..... მე-2 მუხლი არის კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტური დებულება...., რომელიც მე-3 მუხლთან (წამების აკრძალვა) ერთად წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ღირებულებას და, თავის მხრივ, ევროპის საბჭოს ფუნდამენტს ქმნის.“²

მე-2 მუხლი უწინარესად მიმართულია ინდივიდის სახელმწიფოსა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მომავალი ქმედებებისაგან დასაცავად, თუმცა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ასევე აქვთ ვალდებულება, გარკვეულ ფარგლებში მიიღონ ზომები ინდივიდთა სიცოცხლის დასაცავად, მათ შორის კერძო პირთა მხრიდან მომავალი ძალადობისაგან. მიუხედავად ამისა, კონვენციის მე-2 მუხლით არ არის გარანტირებული ადამიანის სიცოცხლის უპირობო დაცვა და სიცოცხლის ხელყოფა ყოველთვის არ წარმოშობს მე-2 მუხლის შესაძლო დარღვევის საკითხს. დღემდე განვითარებული პრეცედენტული სამართლის თანახმად და კონვენციის მე-3 მუხლისაგან განსხვავებით,

1. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მონატორინგის მექნიზმები. (ICCP) (1966) გინერალური ასამბლეის რეზოლუცია (რეზოლუცია 2200A) სიცოცხლის უფლებას მოხსენიებს როგორც: „ადამიანის უზენაეს უფლებას, რომელიც სხვა ადამიანის უფლებათა განხორციელების საფუძვლია“. (General Comment 14 on Nuclear Weapons and the Right to Life (Article 6) 14 (23), 2.11.1984, A/40/40 (1985) Annex VI, pp162-163).

2. *McCann and others v. United Kingdom*, 1995 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სიცოცხლის უფლება არ მიიჩნევა აბსოლუტურ უფლებად. მიუხედავად ამისა, ევროპული კონვენციით დაცული სხვა უფლებებისაგან განსხვავებით, საზოგადოებრივი ინტერესის სიცოცხლის უფლების შეზღუდვის მაბალანსებელ ელემენტად გამოყენება დაუშვებელია. შედეგად, უფლების დარღვევა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს საზოგადო კეთილდღეობის დაცვის მოტივით.³ მაშინ როდესაც ომისა ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ხალხის სიცოცხლეს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია განახორციელოს კონვენციით აღიარებული უფლებების შეზღუდვა, აღნიშნული შეზღუდვა მე-2 მუხლზე არ ვრცელდება. თუმცა მართლზომიერი საომარი მოქმედებით გამოწვეული ადამიანთა დაღუპვის შემთხვევები მე-2 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებებად *a priori* არ მიიჩნევა.⁴

1994 წლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც ევროპულმა სასამართლომ არსებითად განიხილა პირველი საქმე, რომელიც მე-2 მუხლს ეხებოდა (მაკეანის საქმე), ევროპულმა კომისიამ და სასამართლომ განავითარეს კომპლექსური პრეცედენტული სამართალი, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობების ფართო სპექტრს ეხება. თუმცა არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც ევროპული სასამართლოს მხრიდან მეტ სიცხადესა და, შესაბამისად, დეტალურ ინტერპრეტაციას მოითხოვს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია მე-2 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებები, რომელთა კომპლექსურობაც თვალსაჩინო ხდება პრეცედენტული სამართლის ანალიზის შედეგად. ნინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების ბუნება, მათ შორის ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სიცოხლის კანონით დაცვის ვალდებულება, სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში ხელისუფლების რეაგირების ვალდებულება, სამართალწარმოების აღძვრისა და ეფექტური გამოძიების წარმართვის გზით. ნაშრომში ასევე მიმოხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სიცოცხლის დაცვის მიზნით ხელისუფლების მიერ სათანადო ზომების მიღების ვალდებულება, კერძო პირთაგან მომავალი ძალადობისაგან სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, თავისუფლებაალყვეთილ პირთა სიცოცხლის დაცვის ვალდებულება და სხვა. ნაშრომი ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპული კომისიის მიერ განვითარებულ პრეცედენტულ სამართალს.

1. მე-2 მუხლი. ზოგადად სიცოცხლის უფლება

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით უნდა იყოს დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის

3. Rachel Harvey and Emilia Mugnai, *The Right to Life*, August 2002.

4. იხილეთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლი — გადახვევა საგანგებო მდგომარეობების დროს.

ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურმა აუცილებლობამ გამოიწვია:

- a) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;
- b) კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;
- c) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.

მეორე მუხლიდან გამომდინარე, ვალდებულებები სამ ძირითად კატეგორიად შეიძლება იქნეს დაყოფილი: I. სახელმწიფოს მიერ მისი წარმომადგენლების მხრიდან სიცოცხლის ხელყოფისაგან თავის შეკავების ვალდებულება, აქტიური და პასიური მოქმედების შემთხვევებში; II. სიცოცხლის ხელყოფის ყველა საეჭვო ფაქტზე რეაგირებისა და ეფექტიანი გამოძიების განხორციელების ვალდებულება და III. გარკვეულ გარემოებებში სიცოცხლის დასაცავად საჭირო ზომების მიღების ვალდებულება.⁵ აღნიშნული კატეგორიებიდან სახელმწიფოს მიერ მისი წარმომადგენლების მხრიდან სიცოცხლის ხელყოფისაგან თავის შეკავების ვალდებულება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო ვალდებულებაა. თუმცა მოცემული ნეგატიური ვალდებულების ეფექტიანი განხორციელება მნიშვნელოვანილად დამოკიდებულია მე-2 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების ჯეროვან განხორციელებაზე. ეფექტიანი და საზოგადოებრივ ზედამხედველობას დაქვემდებარებული გამოძიების წარმართვა ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან კერძო პირთა სიცოცხლის უკანონო ხელყოფის პრევენციის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ძალის გამოყენება, რომელსაც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა მოჰყვა შედეგად, კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულ ერთ-ერთ მიზანს ემსახურებოდა. გარდა ამისა, სახელმწიფომ ასევე უნდა დაასაბუთოს, რომ გამოყენებული ძალა, პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, იყო „აბსოლუტურად აუცილებელი“ კონკრეტული საქმისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური გარემოების გათვალისწინებით.

ზოგადად მიჩნეულია, რომ აღნიშნული გამონაკლისი შემთხვევები სახელმწიფოს აძლევს კანონიერებისა და საზოგადოებრივი ნესრიგის ჯეროვანი დაცვის შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, სიცოცხლის უფლების ფუნდამენ-

5. Jacobs and White, The European Convention on Human Rights, Oxford University Press, Third Edition, 2002, p 42-43.

ტური ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული შეზღუდვები ძალზე ვიწროდ უნდა განიმარტოს.⁶

საქმეში - *X v. Belgium*⁷ - ევროპულმა კომისიამ ყურადღება გაამახვილა განზრახვის ელემენტზე. კერძოდ, კომისიამ მიიჩნია, რომ განმცხადებლის პრეტენზია, რომელიც ეხებოდა პოლიციელის მიერ საჯარო დემონსტრაციისას უდანაშაულო გამვლელის მოკვლას, დაუსაბუთებელი იყო. კომისიამ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი, რომლის მიხედვითაც, პლიციელი, რომელიც საფრთხეში იმყოფებოდა დემონსტრანტების მხრიდან ძალადობის გამო, მოქმედებდა თავდაცვის მიზნით. შესაბამისად, მას არ გააჩნდა უდანაშაულო გამვლელის მოკვლის განზრახვა.

აღნიშნული მიდგომა მოგვიანებით უარყოფილ იქნა საქმეში - *Stewart v. United Kingdom*, რომლის მიხედვით, ბრიტანელმა სამხედროებმა ჩრდილოეთ ირლანდიაში მომხდარი ჯანყის დროს შემთხვევით მოკლეს არასრულწლოვანი. კომისიის აზრით, მე-2 მუხლის დაცვის სფერო სცდება სიცოცხლის განზრახ ხელყოფის ფარგლებს და ვრცელდება გაუფრთხილებელი მკვლელობის შემთხვევებზეც.

სასამართლო „აბსოლუტური აუცილებლობის“ შეფასებისას იყენებს ორ ძირითად კრიტერიუმს: I. გამოყენებული ძალა, რომელსაც ადამიანის გარდაცვალება მოჰყვა შედეგად, უნდა იყოს მკაცრად პროპორციული მე-2.2. მუხლში მოცემული მისალწევი მიზნისა და II. სახელმწიფოს ქმედება, რომელიც მოცემული მიზნის (მიზნების) მიღწევას ემსახურება, უნდა იყოს დეტალურად დაგეგმილი და ექვემდებარებოდეს სახელისუფლო კონტროლის მექანიზმს სასიკვდილო შედეგის მინიმალიზების მიზნით.⁸

2. პოზიტიური ვალდებულებები

ევროპული კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად: „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ კონვენციის I თავში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას“. სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ უფლებების დაცვა უნდა ატარებდეს ეფექტურად და პრაქტიკულ ხასიათს, რაც, ხშირ შემთხვევაში, სცდება გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების ვალდებულებას და გულისხმობს სახელმწიფოთა მხრიდან აქტიური ჩარევის ვალდებულებას.⁹

6. იხ. *McCann v. United Kingdom, Stewart v United Kingdom, Soering v United Kingdom*.

7. განაცხადი №10044/82, 1969.

8. გამოყენებული ძალის პროპორციულობასთან დაკავშირებით იხილეთ შემდეგი საქმეები: *McCann v United Kingdom, Stewart v United Kingdom, Ergi v Turkey, Andronicou and Constantinou v Cyprus*.

9. *McCann v United Kingdom, Soering v United Kingdom*.

2.1. სიცოცხლის უფლება კანონით უძღვის იყოს დაცული

კონვენციის მე-2 მუხლის პირველივე წინადადება ეხება კანონით ადამიანის სიცოცხლის დაცვის პოზიტურ ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულება მოიცავს როგორც არსებით, ასევე პროცედურულ საკითხებს.

კანონით ადამიანის სიცოცხლის დაცვა, კონვენციის მე-2 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, პირველ რიგში, ნიშნავს როგორც საჯარო მოსამსახურების, ასევე კერძო პირების მხრიდან განხორციელებული სიცოცხლის ხელყოფის ეროვნული კანონმდებლობით დასჯად ქმედებად გამოცხადებას.¹⁰ მოცემულ შემთხვევაში, მსგავსად სხვა უფლებებისა, სასამართლო იყენებს კანონიერების დადგენის განსაზღვრულ ტესტს. კერძოდ, ეროვნული კანონი, რომელიც სიცოცხლის ხელყოფას დასჯად ქმედებად აცხადებს, უნდა იყოს სათანადო წესით გამოქვეყნებული და ყველასათვის ხელმისაწვდომი; უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული და ინდივიდს საკუთარი ქცევის რეგულირების შესაძლებლობას აძლევდეს.¹¹

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ადამიანის სიცოცხლის დაცვის მიზანს ემსახურება, უნდა იყოს აღსრულებადი ხასიათის, რაც, უწინარესად, ნიშნავს სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურ მუშაობას დანაშაულის პრევენციისა და კანონდამრღვევთა დასჯის თვალსაზრისით.¹²

სიცოცხლის კანონით დაცვის მხრივ სახელმწიფოს აქვს გარკვეული დისკრეცია ცალკეული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების დანაშაულად ცნობის თვალსაზრისით. მე-2 მუხლი სახელმწიფოებს არ აკისრებს ვალდებულებას, მოახდინონ ყოველგვარი მართლსაწინააღმდეგო ქმედების კრიმინალიზაცია. მაგალითად, სპორტული შეჯიბრებისას გაუფრთხილებელი მკვლელობის დეკრიმინალიზაცია თავისთავად მე-2 მუხლის დარღვევად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. მიუხედავად აღნიშნულისა, არსებობს გარკვეული წინააღმდეგობრივი საკითხები განზრახ მკვლელობასთან დაკავშირებით და ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ რამდენად შორს მიმავალი შეიძლება იყოს გარკვეულ გარემოებებში სიცოცხლის განზრახ ხელყოფის დანაშაულად აღიარების საკითხი. მაგალითად, ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ევთანაზიის დასჯადობა ან სახელმწიფოს ვალდებულება, განსაცდელში მიტოვება ცნოს თუ არა დანაშაულად, ჯერ კიდევ შემდგომ ინტერპრეტაციას ექვემდებარება.¹³

სახელმწიფო სარგებლობს დისკრეციით, დააწესოს განსხვავებული სიმძიმის პასუხისმგებლობა დანაშაულის ხასიათიდან და სიმძიმიდან გა-

10. W v United Kingdom (1983).

11. Sunday Times v United Kingdom (1979).

12. Osman v United Kingdom (1998).

13. Hughes v United Kingdom (1986).

მომდინარე. ძირითადი ასპექტი, რომელზეც აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო ამახვილებს ყურადღებას, სანქციის ჩადენილი დანაშაული-სადმი პროპორციულობაა.

2.2. გამოძიება და სამართალში მიღება

როგორც ზემოთ აღინიშნა, სიცოცხლის ხელყოფის დანაშაულებრივ ქმედებად გამოცხადება არაა საკმარისი იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები. როდესაც არსებობს ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანის სიცოცხლე შეიძლება ხელყოფილი იყოს ეროვნული კანონმდებლობის დებულებების საწინაღმდეგოდ, მიუხედავად იმისა, სიცოცხლის სავარაუდო ხელყოფა მოხდა საჯარო მოსამსახურის თუ კერძო პირის მიერ, სახელმწიფოს აქვს ეფექტიანი გამოძიების განხორციელების ვალდებულება.¹⁴ აღნიშნული ვალდებულების გარეშე სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგოდ ხელყოფის აკრძალვა აზრი მოკლებული იქნებოდა.¹⁵

ეფექტიანი გამოძიების წარმართვის ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს ვარაუდი კერძო პირის სიცოცხლის საჯარო მოსამსახურის (მოსამსახურეების) მხრიდან ხელყოფის შესახებ. აღნიშნულ შემთხვევებში სახელმწიფო ვალდებულია, განახორციელოს გამოძიება, რომლის მიზანიც იქნება საჯარო უფლებამოსილებით მოქმედ პირთა ქმედებების დეტალური შესწავლა, პასუხისმგებლობის საკითხის გარკვევა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების პრინციპის უზრუნველყოფა.¹⁶ გამოძიების ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ სიცოცხლის შესაძლო განზრახ ხელყოფის შემთხვევებზე, არამედ გაუფრთხილებლობის (თვითიმედოვნება/დაუდევრობა) საქმეებზეც.¹⁷

საქმეში - *Ergi v Turkey* - სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოძიების ვალდებულება ძალაშია, მიუხედავად იმისა, სიცოცხლის შესაძლო ხელყოფის ფაქტი განხორციელებულია სახელმწიფო მოხელის მხრიდან თუ კერძო პირის მხრიდან. ასევე, მიუხედავად იმისა, გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა მიმართეს თუ არა საჩივრით (განცხადებით) სამართალდამცავ ორგანოებს. უახლესი პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, გამოძიების განხორციელების ვალდებულება მოქმედებს იმ შემთხვევებშიც, როდესაც არსებობს მხოლოდ ვარაუდი სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგოდ ხელყოფის შესახებ.

ეკროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა სამი ძირითადი კრიტერიუმი, რომელთაც ეროვნულ დონეზე განხორციელებული გამოძიება უნდა პა-

14. McCann v United Kingdom.

15. Rachel Harvey and Emilia Mugnai, The Right to Life, August 2002.

16. Kaya v Turkey (1999).

17. Ogur v Turkey (1999).

სუხობდეს. მათ შორის, გამოძიება ჩატარებული უნდა იყოს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, უნდა განხორციელდეს დროის გონივრულ შუალედში და ექვემდებარებოდეს საზოგადოებრივ ზედამხედველობას.

ედვარდსების საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ გამოძიების დამოუკიდებლობა მე-2 მუხლის მიზნებისათვის ნიშნავს არა მხოლოდ გამოძიების მწარმოებელ ორგანოთა და თანამდებობის პირთა იერარქიულ და ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, არამედ პრაქტიკულ დამოუკიდებლობას.¹⁸ პრაქტიკული დამოუკიდებლობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოძიების ხასიათი და შედეგისანობაა. სასამართლომ აღნიშნულ საქმეში ჩამოაყალიბა ძირითადი კრიტერიუმები, რომელთაც ეფექტიანი გამოძიება უნდა პასუხობდეს. პირველ ყოვლისა, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა გამოძიების წარმოებისას უნდა მოისმინონ ჩვენებები ყველა შესაძლო თვითმხილველისაგან. საჭიროების შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, რაც ასევე მოიცავს გვამის ექსპერტიზას, რომლის შედეგადაც უნდა დადგინდეს სხეულებრივი დაზიანების წარმოშობის მიზეზები და ხანდაზმულობა, ისევე როგორც გარდაცვალების ყველა შესაძლო მიზეზი.

გამოძიების ეფექტურობა გულისხმობს, რომ გამოძიება უნდა იყოს დროის თვალსაზრისით ეფექტური.¹⁹ სასამართლოს მიერ აღიარებულია, რომ შეიძლება არსებობდეს გარემოებები, რომლებიც გამოძიების დროულად წარმართვას უშლის ხელს, თუმცა სიცოცხლის შესაძლო ხელყოფის ყოველ ფაქტზე დაუყოვნებლივ რეაგირების ვალდებულება საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნებისა და კანონის უზენაესობის დაცვის მნიშვნელოვანი ელემენტია.

კელის საქმეში²⁰ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯაროობის ხარისხი შეიძლება განსხვავებული იყოს ყოველი საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში გარდაცვლილის ახლო ნათესავს საკუთარი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად უნდა მიეცეს გამოძიებაში მონაწილეობის უფლება. აღნიშნული გულისხმობს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მიღებას, მტკიცებულებათა მოპოვებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

სახელმწიფოს მიერ ზემოთ აღწერილი კრიტერიუმებისა და მოთხოვნების შეუსრულებლობა, როგორც ცალკე აღებული, ასევე ერთმანეთთან კავშირში, სასამართლოს მიერ შეფასდება ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად.

18. Paul and Audrey Edwards v United Kingdom (2002).

19. Mahmut Kaya v Turkey.

20. Kelly and Others v United Kingdom (1996).

2.3. სიცოცხლის დაცვის მიზნით გონივრული ზომების მიღების ვალდებულება

საქმეში - *LCB v. UK* - ევროპულმა სასამართლომ პირველად აღნიშნა, რომ სახელმწიფოებს კონვენციის მე-2 მუხლი აკისრებს არა მხოლოდ სიცოცხლის ხელყოფისაგან თავის შეკავების პიზიტიურ ვალდებულებას, არა-მედ ასევე სიცოცხლის დაცვის მიზნით, გონივრულ ფარგლებში გარკვეული ზომების მიღების ვალდებულებას. აღნიშნული საქმის მიხედვით, განმცხა-დებლის მამა ორმოცდათიან წლებში მსახურობდა ბრიტანეთის ერთ-ერთ სამხედრო შენაერთში და მონაწილეობდა ატომური იარაღის გამოსაცდელ ექსპერიმენტებში, რომლებიც ოთხჯერ განხორციელდა შობის კუნძულებზე. რადიაციის მაღალი ხარისხის გამო, რომელიც განმცხადებლის მამამ განიცადა, განმცხადებელს 4 წლის ასაკში განუვითარდა ლეიკემია. ექვსწლიანი ქიმიოთერაპიის კურსის გავლის შედეგად განმცხადებლის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. 1992 წელს მთავრობის მიერ გამოქვეყნებული მოხსენების მეტვეობით, განმცხადებელმა შეიტყო, რომ იმ პირთა შთამომავლების უმრავლესობას, რომლებიც 1957-1958 წლებში შობის კუნძულებზე ატომური იარაღის გამოცდის ოპერაციაში მონაწილეობდნენ, განუვითარდა იგივე დაავადება. განმცხადებლის აზრით, ფაქტი, რომ მთავრობამ მის მშობლებს არ შეატყობინა იმ შესაძლო რისკის შესახებ, რომელიც შთამომავლობის დაავადებასთან იყო დაკავშირებული, იყო მე-2 მუხლის დარღვევა. სასამართლომ, მიუხედავად უდავო ფაქტისა, რომ მთავრობას არ გააჩნდა არანაირი განზრახვა განმცხადებლის სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით, საჭიროდ ჩათვალა, ემსჯელა საკითხზე, თუ რამდენად გონივრულად გამოიყენა მთავრობამ თავის ხელი არსებული ყველა საშუალება განმცხადებლის სიცოცხლისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად. შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა მიზეზშედეგობრივი კავშირი განმცხადებლის ლეიკემიით დაავადებასა და სახელმწიფოს მოქმედება-უმოქმედობას შორის, რამდენადაც იმ პერიოდისათვის, როდესაც განმცხადებლის მამა აღნიშნული ცდების განხორციელებაში იღებდა მონაწილეობას, მთავრობისათვის არ იყო ცნობილი იმ არასაურველი შედეგების შესახებ, რომელიც ექსპერიმენტში მონაწილე პირთა შთამომავლობის შესაძლო დაავადებასთან იყო დაკავშირებული. აღნიშნული საქმიდან გამომდინარეობს სახელმწიფოების ვალდებულება, გამოავლინონ ადამიანის სიცოცხლისათვის რისკის მატარებელი საფრთხეები და მოახდინონ მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნულ საფრთხეებთან დაკავშირებით.

მე-2 მუხლიდან გამომდინარე, ვალდებულებების შესაძლო დარღვევის საკითხი შეიძლება წარმოიშვას ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა ან მთავრობის მიერ განხორციელებული პროგრამები არა-პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. საქმეში - *X v. Federal*

*Republic of Germany*²¹ - ევროპულმა კომისიამ მიიჩნია, რომ კანონმდებლობა, რომელიც შესაძლებელს ხდიდა ადამიანის საცხოვრებლიდან გაძევებას და შედეგად საფრთხეს უქმნიდა ადამიანის სიცოცხლეს, თავისთავად შეიძლება გახდეს მე-2 მუხლის დარღვევის საფუძველი.

სიცოცხლის დაცვის მიზნით გონივრული ზომების მიღების ვალდებულება შეიძლება გავრცელდეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საცხოვრებლითა და მინიმალური საკვებით უზრუნველყოფის ჩათვლით. აღნიშნული მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სოციალური და ეკონომიკური უფლებების უხეშმა უგულებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ფუნდამენტური სამოქალაქო უფლების დარღვევა, როგორიც სიცოცხლის უფლებაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლო ჯერჯერობით თავს იკავებს მოცემულ ჭრილში სიცოცხლის უფლების ფართო ინტერპრეტაციისაგან და მხოლოდ ვალდებულების ხასიათის ზოგადი კონსტატაციით იფარგლება.

2.4. სიცოცხლის დაცვა კერძო პირთა მხრიდან მომავალი საფრთხისაგან

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ცალსახად აყალიბებს კერძო პირთა მიერ ადამიანის სიცოცხლის შესაძლო ხელყოფისაგან დაცვის ვალდებულებას, რაც, *inter alia*, გულისხმობს გონივრულ ფარგლებში პრევენციული ზომების მიღების ვალდებულებას.

საქმეში - *W v. United Kingdom* - განმცხადებელი აცხადებდა, რომ სახელმწიფო არ ასრულებდა ინდივიდთა სიცოცხლის დაცვის ვალდებულებას ტერორისტთა საფრთხისაგან (განმცხადებლის ორი ნათესავი მოკლეს ირლანდიის რესპუბლიკური არმიის (IRA) მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად). ევროპულმა კომისიამ აღიარა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში განხორციელებული ტერორისტული აქტების ფონზე, პოლიცია და უსაფრთხოების სამსახური ვალდებული იყო, დაეცვათ ადამიანთა სიცოცხლე აღნიშნული ძალადობრივი აქტებისაგან, თუმცა ეს არ გულისხმობს შესაძლო ძალადობისაგან დაცვის აბსოლუტურ ვალდებულებას.

საქმეში - *X v. Ireland* - კომისიამ არ მიიჩნია, რომ სახელმწიფოები სიცოცხლისათვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში მოვალენი არიან, დაიცვან ინდივიდები პოლიციის ან უშიშროების ძალების მეშვეობით.

საქმეში - *Osman v. United Kingdom* - განმცხადებელი სკოლის მასწავლებელს ჰქონდა „სახიფათო ლტოლვა“ ოსმანის მიმართ, რაც გამოიხატებოდა უამრავი გაუგებარი ქმედებით. აღნიშნული დასრულდა იმით, რომ მასწავლებელი შეიქრა ოსმანის სახლში, სადაც დაპირისპირების შედეგად გარდაიცვა-

21. 1999 წლის გადაწყვეტილება.

ლა ოსმანის მამა. მოცემულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ორი ძირითადი კომპონენტისაგან შემდგარი ტესტი, რომელსაც ანალოგიური შინაარსის საქმეებში იყენებს. აღნიშნული ტესტის თანახმად, ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ ხელისუფლებამ იცოდა, ან, გონივრული ვარაუდის საფუძველზე, უნდა სცოდნოდა იმ რეალური და გარდაუვალი საფრთხის არსებობის შესახებ, რომელიც ადამიანის/ადამიანთა სიცოცხლეს ემუქრებოდა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ხელისუფლებისათვის ცნობილი იყო აღნიშნული საფრთხის შესახებ, სასამართლო მსჯელობს საკითხზე - მიიღო თუ არა ხელისუფლებამ თავის ხელთ არსებული ყველა ზომა, რათა თავიდან აეცილებინა ადამიანის სიცოცხლის კანონსაწინააღმდეგო ხელყოფა.

ოსმანმა ვერ შეძლო დაესაბუთებინა, რომ პოლიციამ იცოდა ან შეეძლო ევარაუდა იმ შედეგის დადგომა, რაც მასწავლებლის მიერ განხორციელებულ უცნაურ ქმედებებს შეიძლებოდა მოჰყოლოდა. პოლიციის ხელთ არსებული ინფორმაციით და ამ ინფორმაციაზე დაფუძნებული ვარაუდით, არავითარი რეალური საფრთხე ოსმანის ოჯახს არ ემუქრებოდა. შედეგად, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა.

მოცემული საქმიდან ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ამოქმედების თვალსაზრისით, საჭიროა თვით იმ ინდივიდის აქტიურობა, რომლის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ ხელისუფლებამ არ მოახდინა სათანადო რეაგირება თავის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე, შესაძლოა დადგინდეს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

2.5. თავისუფლებააღკვეთილი პირები

თავისუფლებააღკვეთილი პირები მათი სტატუსისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გამო უფლებათა დარღვევის გამუდმებული და მომეტებული საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ თავისუფლებააღკვეთილ პირთა კეთილდღეობა, მათ შორის, სიცოცხლის უფლების დაცვის სათანადო გარანტიების შექმნის გზით. ერთი მხრივ, სახელმწიფოები ვალდებული არიან, წარმოადგინონ ლოგიკური და დამაჯერებელი ახსნაგანმარტება ყველა იმ ფაქტზე, რომელიც პატიმრობაში მყოფ პირთა გარდაცვალებას ეხება და, მეორე მხრივ, სახელმწიფოები ვალდებული არიან, მიიღონ აქტიური ზომები პატიმართა სიცოცხლის დასაცავად, რაც გულისხმობს სხვა პატიმართა ძალადობისაგან, ასევე თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობისაგან დაცვას.

როდესაც ხდება საპატიმრო დაწესებულებაში ადამიანის გარდაცვალება, როგორც წესი, მხოლოდ სახელისუფლებო ორგანოებს მიუწვდებათ ხელი იმ

მტკიცებულებებზე, რომლებიც გარდაცვალების ფაქტთანაა დაკავშირებული, შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ პრეცედენტული სამართლის განვითარების შედეგად მტკიცების ტვირთი, გარდაცვალების მიზეზებთან დაკავშირებით, გადაიტანა მოპასუხე სახელმწიფოზე, რომელიც ვალდებულია, ახსნას, თუ რამ განაპირობა მოცემულ კონკრეტულ გარემოებებში პირის გარდაცვალება.²² სიცოცხლის ხელყოფის მიზეზების დადგენა კი, პირველ ყოვლისა, გულისხმობს ეფექტიანი გამოძიების წარმართვას,²³ რომელიც, ზემოთ აღნერილ დამოუკიდებლობის, საჯაროობისა და დროის თვალსაზრისით, ეფექტიანობის ყველა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს.

ევროპულმა სასამართლომ 2002 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში, ზემოთ ნახსენებ ედვარდსების საქმესთან დაკავშირებით, დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა, იმ საფუძველზე, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ ვერ შეძლო პატიმრის დაცვა სხვა პატიმრის ძალადობისაგან. კრისტოფერ ედვარდსს 1991 წელს დაუსვეს სულიერი აშლილობის დიაგნოზი. იგი დაპატიმრებულ იქნა 1994 წელს. დაპატიმრებას საფუძვლად დაედო ქუჩაში მომხდარი ინციდენტი, სადაც ედვარდსი ცდილობდა გამვლელ ქალთან კონტაქტს უხამსი შეთავაზებების საფუძველზე. დაკავების პირველ დღეს ედვარდსი საკანში მარტო იმყოფებოდა, მეორე დღეს კი მის საკანში განათავსეს რიჩარდ ლინფორდი, რომელიც დაპატიმრებული იყო სხვადასხვა ძალადობრივი აქტის ჩადენის პრალებთ. ლინფორდი დიაგნოზირებული იყო როგორც შიზოფრენიის მქონე. წარსულში მას ჩადენილი ჰქონდა არაერთი ძალადობრივი ქმედება, მათ შორის თანამესაკვებები თავდასხმაც. ლინფორდის საკანში განთავსებიდან მეორე დღეს აღმოჩენილ იქნა ედვარდის გვამი, რომელსაც ეტყობოდა მრავალმხრივი ძალადობის ნიშნები. საკნის სასიგნალიზაციო სისტემა კი მწყობრიდან იყო გამოსული.

ოსმანის ტესტის გამოყენების შედეგად ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, რასაც საფუძვლად დაედო ის ფაქტი, რომ ციხის ადმინისტრაციამ იცოდა იმ მყისიერი და გარდაუვალი საფრთხის არსებობის შესახებ, რომელიც ლინფორდის მხრიდან მოფიოდა და, მიუხედავად აღნიშნულისა, იგი მაინც განათავსეს სხვა პატიმართან ერთად, რამაც განაპირობა ედვარდსის გარდაცვალება.

გარდა სხვა პატიმართა მხრიდან მომავალი ძალადობისაგან დაცვის ვალდებულებისა, ხელისუფლება ასევე ვალდებულია, მიიღოს თავის ხელთ არსებული ყველა ზომა პატიმართა შორის თვითდაზიანებისა და თვითმკვლელობის ფაქტების თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნული გულისხმობს პატიმრობაში მყოფ პირთა პერმანენტულ მონიტორინგსა და რისკის შეფასებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფის გა-

22. *Tas v Turkey*.

23. *Tanli v Turkey*.

რეშე. საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად შორს მიმავალი შეიძლება იყოს ხელისუფლების ვალდებულება, დაიცვას პატიმრები თვითმკვლელისა და თვითმკვლელობისაგან, განხილულ იქნა საქმეში - *Keenan v United Kingdom*. განმცხადებელი, გარდაცვლილი მარკ კინანის დედა აცხადებდა, რომ გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებამ დაარღვია მე-2 მუხლი, როცა ვერ შეძლო დაეცვა მისი შვილი თვითმკვლელობისაგან პატიმრობაში ყოფნის დროს. მარკ კინანის სამედიცინო ისტორია მოიცავდა სულიერი მოშლილობის ისეთ ფორმებს, როგორებიცაა: პარანოია, აგრესია და განზრას თვითდაზიანება. 1993 წელს იგი განთავსებული იყო ციხის სამედიცინო განყოფილებაში 4 - თვითი პატიმრობის მოხდის მიზნით, რომელიც მას შეეფარდა ძალადობრივი ქმედების ჩადენის გამო. კინანის სამედიცინო ნაწილიდან ციხის სარეზიმო განყოფილებაში გადაყვანის რამდენიმე მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა, რადგან ამგვარ მცდელობებს თან ახლდა კინანის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის გაუარესება. ერთ-ერთი გადაყვანის მცდელობისას, როდესაც კინანმა შეიტყო თავისი სარეზიმო განყოფილებაში შესაძლო გადაყვანის შესახებ, იგი თავს დაესხა სამედიცინო ნაწილის ორ იფიცერს, რის გამოც განათავსეს სადამსჯელო განყოფილებაში. მეორე დღეს ჩამოხრმობის შედეგად გარდაცვლილი კინანის გვამი ნაპოვნ იქნა სადამსჯელო საკანში. განმცხადებლის აზრით, გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებამ, იმ სპეციფიკური ვალდებულების გათვალისწინებით, რომელიც სულიერ ავადმყოფთა დაცვასთანაა დაკავშირებული, ვერ შეძლო მისი შვილის თვითმკვლელობისაგან დაცვა, რითაც დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი.

სასამართლომ შეისწავლა საკითხი - იცოდა თუ არა, ან შეეძლო თუ არა გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებას იმ მყისიერი და გარდაუვალი საფრთხის არსებობის შესახებ, რომელიც მარკ კინანის სიცოცხლეს ემუქრებოდა და მიღებული იყო თუ არა ყველა შესაძლო ზომა ფატალური შედეგის თავიდან ასაცილებლად. სასამართლომ კინანის სამედიცინო ისტორიის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ იგი არ იყო შეპყრობილი სულიერი დაავადების ისეთი ფორმით, რომელიც ხელისუფლებისათვის იქნებოდა საფუძვლიანი ვარაუდის განმაპირობებელი იმასთან დაკავშირებით, რომ კინანი ჩაიდენდა თვითმკვლელობას. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ხელისუფლების მიერ მიღებული იყო ყველა ზომა, რომელიც მათ გონივრულ ფარგლებში მოეთხოვებოდათ პატიმრის სიცოცხლის დაცვის მიზნით. კერძოდ, ის ფაქტი, რომ კინანი იმყოფებოდა პერმანენტული სამედიცინო ზედამხედველობის ქვეშ, ევროპული სასამართლოს მიერ საქმარისად იქნა მიჩნეული. შესაბამისად, გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებას არ დაურღვევია კონვენციის მე-2 მუხლი.

დასკვნა

ზემოთ განხილული ევროპული სასამართლოს პრაქტიკა თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ ვითარდება პრეცედენტული სამართალი საზოგადოებრივი პროგრესის კვალდაკვალ. მიუხედავად იმისა, რომ მე-2 მუხლთან დაკავშირებულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ პირველად 1995 წელს იმსჯელა, შემდეგი პრაქტიკა ბევრად უფრო მრავალფეროვანი და კომპლექსურია. სასამართლო ეტაპობრივად მაღლა წევს იმ ვალდებულებებს, რომლებიც კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ თავიანთ იურისდიქციაში მყოფ ადამიანთა სიცოცხლის უფლების დაცვის მიზნით. მიუხედავად აღნიშნულისა, დღემდე პასუხგაუცემელი რჩება მთელი რიგი კითხვებისა, როგორებიცაა, საკითხი იმის თაობაზე, თუ რა მომენტიდან იწყება ადამიანის სიცოცხლე, ან რა გარემოებებში შეიძლება ადამიანის სიცოცხლის განზრახ ხელყოფა დასაშვებ ქმედებად იქნეს მიჩნეული (ევთანაზია) და სხვა.

უდავოა, რომ მე-2 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ისეთი საკითხების განხილვა, როგორებიცაა: კერძო პირთა მხრიდან მომავალი საფრთხისაგან დაცვა, ჯანდაცვის სათანადო სტანდარტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა, ისევე როგორც სოციალური დაცვის ადეკვატური სისტემის ქონა, კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლთან დაკავშირებულ პრეცედენტულ პრაქტიკას, ადამიანის სიცოცხლის დაცვის სამართლებრივი სტანდარტების პერმანენტული ზრდის ხარჯზე.

ლაშა ჭელიძე

**საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო
სასამართლოების მიერ აღამიანის უფლებათა
ევროპული კონვენციისა და სტრასტურგის სასამართლოს
პრეცედენტული სამართლის გამოყენების სასამართლო
პრაქტიკა**

1. წინათქმა

2006 წლის პირველ ნახევარში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში წარიმართა კვლევა, რომელიც შეეხო საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ 81 გადაწყვეტილებას. მართალია, კვლევაში არ ყოფილა გაანალიზებული ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო თუ საერთო სასამართლოებმა გამოიყენეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივი აქტები, თუმცა, ავტორთა აზრით, განხილული საქმეები მეტად მნიშვნელოვანია ქართველი საზოგადოებისათვის.

ზემოთ ხსენებულ კვლევაში გამუქებულია საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის გამოყენების 49 შემთხვევა¹ და, რაც მეტად მისასალმებელია, ადამიანის უფლებათა

- 1. საკონსტიტუციო სასამართლო:** საქმის № 1/5/193, 2003 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება; საქმის № 1/3/161, 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება; საქმის № 2/6/205, 232, 2003 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება; საქმის № 2/6/283, 2004 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება; საქმის № 2/6/264, 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება; საქმის № 2/3/286, 2005 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება; საქმის № 2/1/241, 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება; საქმის № 1/5/224, 2004 წლის 16 ნოემბერის გადაწყვეტილება; საქმის № 1/5/323, 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება; საქმის № 2/7/219, 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება; საქმის № 1/2/213, 243, 2005 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება; საქმის № 1/2-14/19, 1996 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება; საქმის № 2/81/2, 1999 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება; საქმის № 2/5/309, 310, 311, 2005 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება; საქმის № 1/4/184, 228, 2005 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება; საქმის № 2/1/327, 336, 344, 2006 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება; საქმის № 1/7/20, 1997 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება.

- 2. უზნაესი სასამართლო:** საქმის № 8¹, 2001 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება, სისხლის სამართ-

ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან ერთად სტრას-ბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების 18 შე-მოხვევა.² რაც შეეხება ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისოსამარ-

3. ქუთაისის საოლქო სასამართლო: 2002 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება

4. ჭიათურის რაიონული სასამართლო: საქმის № 2/64, 2002 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება.

2. 1. **საკონსტიტუციო სასამართლო:** საქმის № 2/3/182,185,191, 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება; საქმის № 1/5/193, 2003 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება; საქმის № 2/6/205,232, 2003 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება; საქმის № 2/6/283, 2004 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება; საქმის № 2/6/264, 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება; საქმის № 2/3/286, 2005 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება; საქმის № 3-337-02, 2002 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამეცნიმეო და გაკორტების საქმეთა პალატა; საქმის № 1/5/224, 2004 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება; საქმის № 1/5/323, 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება; საქმის № 2/81/2, 1999 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება; საქმის № 2/5/309,310,311, 2005 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება; საქმის № 1/4/184,228, 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება; საქმის № 2/1/327,336,344, 2006 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება;

2. უზენავის სასამართლო: საქმის № 33-შ, 2001 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სისხლის

თლებრივ აქტებს, აღნიშნულმა კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს სასამართლოებმა 12 შემთხვევაში³ გამოიყენეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 9 შემთხვევაში⁴ იხელმძღვანელეს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის დებულებებით, ერთხელ⁵ გამოიყენეს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, ხოლო 4 შემთხვევაში⁶ – ბავშვის უფლებათა კონვენცია. ეროვნულმა სასამართლოებმა ასევე იხელმძღვანელეს გაეროს 1979 წლის ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ კონვენციით⁷, გაეროს 1985 წლის ძირითადი პრინციპებით სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ⁸, გაეროს საერთაშორისო საარბიტრა-

სამართლის საქმეთა პალატა; საქმის № 3/376-01, 2001 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; საქმის № 3/754-01, 2001 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; საქმის № 3/390-02, 2002 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

3. ჭიათურის რაიონული სასამართლო: საქმის № 2/64, 2002 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება.

3. 1. უზენაეს სასამართლო: საქმის № 3/გ/ად-190-კ, 2001 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; საქმის № 3/1188-02, 2002 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; საქმის № 7/10, 2001 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; საქმის № 107 კოლ, 2004 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება, დიდი პალატა; საქმის № 3/267-01, 2001 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; საქმის № 69დად, 2003 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

2. ქუთაისის სამოლენ სასამართლო: საქმის № 1-/133-2002, 2002 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; საქმის № 3/ბ-141-03, 2003 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატა.

3. ოზურგეთის რაიონული სასამართლო: 2001 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება.

4. 1. საკონსტიტუციო სასამართლო: საქმის № 2/3/182,185,191, 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება; საქმის № 2/2/180-183, 2002 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება.

2. უზენაეს სასამართლო: საქმის № 438/აპ, 2005 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; საქმის № 3/გ/ად-4-01, 2001 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; საქმის № 3/გ/ად-18-კ-01, 2002 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; საქმის № 3/544-02, 2002 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; საქმის № 3/კ/515-02, 2002 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; საქმის № 33-შ, 2001 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქმის № 2/33/1, 1997 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლო: საქმის № 3/გ/ად-33-კ-01, 2001 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; საქმის № 3/514-03, 2003 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; საქმის № ბს-450-989-კ-04, 2004 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; საქმის № ას-118-454-05, 2005 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქმის № 2/33/1, 1997 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება.

8. 1. საკონსტიტუციო სასამართლო: საქმის № 1/3/209,276, 2004 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილე-

უ გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ კონვენციით⁹, გაეროს პრივატულებისა და იმუნიტეტების შესახებ 1946 წლის კონვენციითა¹⁰ და 1961 წლის დიპლომატურ ურთიერთობათა შესახებ ვენის კონვენციით.¹¹

დამატებით უნდა აღინიშნოს, საქართველოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით 2003 წელს გამოიცა წიგნი¹², რომლის ავტორია დოქტორი კონსტანტინე კორკელია. ხსენებული წიგნი დღევანდელი მდგომარეობით ყველაზე სრულყოფილი სახელმძღვანელოა ამ საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება წინამდებარე ნაშრომს, მის შემუშავებაზე გადაწყვეტილება მივიღებ მას შემდეგ, რაც უტრეხტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადამიანის უფლებათა კვლევის ცენტრის 2006 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით ჩავირიცხე ნიდერლანდების სამეფოს ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის დოქტორანტურაში. ნაშრომის სათაურია: „ეროვნული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ეფექტიანი გამოყენება: საქართველოში ევროპული კონვენციის როლის განმტკიცების მიზნით ნიდერლანდების სამეფოსა და გაერთიანებული სამეფოს სამართალგამოყენებითი პრაქტიკის შედარებითი ანალიზი“.

სადოქტორო ნაშრომი მიზნად ისახავს იმ ორი დასავლეთევროპული სახელმწიფოს – ნიდერლანდების სამეფო და გაერთიანებული სამეფო – მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების გაანალიზებას. ისინი სხვა სახელმწიფოებთან, მათ შორის საქართველოსთან, ერთად გვევლინებიან ევროპული კონვენციის მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებად. ხსენებული ქვეყნების პრაქტიკა შესაძლებლობას მოგვცემს, შევიმუშაოთ წინადადებები, თუ როგორ უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საქართველოში.

ბა; საქმის № 2/80-9, 1998 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება; საქმის № 1/1/138,171,179,209, 2003 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება.

2. უზენაესი სასამართლო: საქმის № ვგ/ად-2-გ-02, 2002 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; საქმის № ბს-168-76-ქს-03, 2003 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; საქმის № ბს-181-23-ქს-05, 2005 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; საქმის № ბს-766-74-ქს-04, 2004 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა.

9. უზენაესი სასამართლო: საქმის № ას-165-509-05, 2005 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; საქმის № 3/11-02, 2002 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

10. საკონსტიტუციო სასამართლო: საქმის № 8/177/2, 2002 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება.

11. უზენაესი სასამართლო: საქმის № ბს-904-490(კ-05), 2005 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა.

12. კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, 2003.

რატომ იქნა არჩეული ამ ორი სახელმწიფოს პრაქტიკის შედარებითი ანალიზი?

ნიდერლანდების სამეფოში ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ განსაკუთრებული სტატუსი შეიძინა, ვინაიდან ევროპული კონვენციის გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ შესაძლებელი იყო მაშინ, როდესაც ქვეყნის კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დებულებების გამოყენების სასამართლო პრაქტიკა არ სებობდა. სწორედ ამ მომენტიდან იქცა კონვენცია ნიდერლანდების სამეფოს ადამიანის უფლებათა სისტემის განუყოფელ ნაწილად. ქვეყანაში პრაქტიკოსი იურისტები ყოველდღიურად იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილ პრეცედენტულ სამართალს, ისევე როგორც პროკურორები და მოსამართლები, რომლებსაც შესისხლხორცებული აქვთ ევროპული კონვენციის მოთხოვნები.

ამის საწინააღმდეგოდ, გაერთიანებულ სამეფოში ევროპული კონვენცია მხოლოდ და მხოლოდ 2000 წლიდან გვევლინება ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილად, მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა აქტი იქნა მიღებული. თუმცა ქვეყნის ხელისუფლებამ ყველა ნაბიჯი გადადგა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა აქტი სრულად იქნეს მოყვანილი შესაბამისობაში ერთმანეთთან.

ხელნებული დასავლეთევროპული ქვეყნების „კარგი პრაქტიკის“ გაანალიზებით, ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის როლის განმტკიცებას საქართველოში.

2. მოკლედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი როლის შესახებ საქართველოში

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას ხელი მოეწერა რომში 1950 წლის 4 ნოემბერს. ევროპული კონვენცია ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. საქართველომ კონვენციას ხელი მოაწერა 1999 წლის 27 აპრილს. კონვენცია ქვეყნისათვის ძალაში შევიდა მას შემდგომ, რაც საქართველოს პარლამენტმა მოახდინა მისი რატიფიცირება 1999 წლის 20 მაისს.

დღევანდელი მდგომარეობით¹³, 46-მა სახელმწიფო მოახდინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას საქართველოს სამართლებრივ სისტემაში

13. 2006 წლის ოქტომბრის მდგომარეობით.

კონსტიტუციის, კონსტიტუციური კანონებისა და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ორგანულ თუ მიმდინარე კანონებთან მიმართებით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა ამ სახელმწიფოსათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საერთაშორისო სამართლის თანახმად წარმოქმნილი ვალდებულებები ქვეყნის საკანონმდებლო სისტემის ნაწილია და შიდა სასამართლოები, ისევე როგორც საჯარო ხელისუფლების ორგანოები, ვალდებული არიან, გამოიყენონ მისი დებულებები. შიდა სამართალწარმოებისას პირებს შეუძლიათ, პირდაპირ დაეყრდნონ კონვენციის ტექსტსა და მასთან დაკავშირებულ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან, ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით, როდესაც ეს უკანასკნელი ენინააღმდეგება კონვენციას.¹⁴

„ევროპული კონვენცია ცოცხალ სამართლებრივ აქტად გვევლინება, რომელიც განმარტებულ უნდა იქნეს დღევანდელობის ჭრილში“.¹⁵ ამასთან, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, კონვენციის დიდი მნიშვნელობის გამო, იგი აღიარებულია „ევროპული საჯარო წესრიგის (ordre public) კონსტიტუციურ დოკუმენტად“.¹⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ადამიანის უფლებათა სისტემად, განსაკუთრებით მისი აღსრულების მექანიზმებით: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტის, როლვ რისდალის, თანახმად, კონვენცია გვევლინება „ევროპის ძირითად კანონად“.¹⁷

3. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა

1) წინამდებარე საქმეში¹⁸ დავის საგანია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის მე-7 და 406-ე მუხლის მე-4 ნაწილების (ბრალდებულის პატიმრობასთან დაკავშირებით) შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის იმ დებულებას-

14. კ. კორელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართლის უფლებათა ერთად“, გვ. 53.

15. სხვა საქმეებთან ერთად იხ. *Tyler v. the United Kingdom*, 1978 წლის 25 აპრილის განაჩენი, სერია A № 26, *Soering v. the United Kingdom*, 1989 წლის 7 ივნისს განაჩენი და *Loizidou v. Turkey*, 1995 წლის 23 მარტის განაჩენი, სერია A № 310.

16. იხ. საქმეზე *Loizidou v. Turkey* 1995 წლის 23 მარტს გამოტანილი განაჩენი, პუნქტი 75 (2).

17. Philip Leach, *Taking a Case to the European Court of Human Rights*, Blackstone Press Limited, 2001 წ., გვ. 4.

18. უზენაესი სასამართლო: საქმის № 1/5/193, 2003 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თან, რომლის თანახმადაც, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილებაში გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი და დაეყრდნო ამ მუხლის თანახმად განვითარებულ პრეცედენტულ სამართალს – *Winterwerp v. Netherlands*.¹⁹

საკონსტიტუციო სასამართლო სამართლიანად უსვამს ხაზს ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის იმპერატიულ მოთხოვნას თავისუფლების პრეზუმაციის შესახებ, რომლის თანახმადაც, თავისუფლების აღკვეთა იმაზე მეტხანს არ უნდა გრძელდებოდეს, რაც აბსოლუტურად აუცილებელია და შესაძლებელი უნდა იყოს თავისუფლების მყისიერი აღდგენა, როდესაც აღკვეთა გამართლებული არ არის.

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების მნიშვნელობა ევროპულმა სასამართლომ მრავალ საქმეზე ხაზგასმით აღნიშნა, მათ შორის, საქმეზე - *Kurt v. Turkey*, რომელშიც დაადგინა,

„...რომ კონვენციის ავტორებმა თავისუფლების თვითნებური აღკვეთისა-გან პირის დაცვა იმ მატერიალურ უფლებათა კორპუსის გარანტირებით განამტკიცეს, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის აქტის დამოუკიდებელ სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებისა და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის გზით თვითნებობის მინიმუმამდე დაყვანას ისახავს მიზნად. [...] საუბარია როგორც პირის ფიზიკური თავისუფლების, ისე მათი პირადი უსაფრთხოების დაცვაზე იმ კონტექსტში, რომ გარანტიების არარსებობამ შესაძლოა, კანონის უზინაესობას ძირი გამოუთხაროს და თავისუფლებააღკვეთილი პირები სამართლებრივი დაცვის ელემენტარული საშუალებების გარეშე დატოვოს.“²⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ, ევროპული კონვენციით, სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, უზრუნველყოს, რათა ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა არ გასცდეს გონივრულ ვადებს. უნდა აღნიშნოს, რომ წინასწარი პატიმრობის გონივრულ ვადასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელშიც აღნიშნულია:

„ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დებულებების მიხედვით, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელების კისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა

19. 1979 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

20. *Kurt v. Turkey*, 1998 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, 123-ე პუნქტი.

ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.“

ხოლო რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოყვანილ *Winterwerp*-ის საქმეს, რომელშიც განმცხადებელი ბურგომისტრის მიერ მოთავსებულ იქნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წინასწარი სამედიცინო რეკომენდაციის გარეშე მას შემდეგ, რაც იგი სრულიად შიშველი იხილეს პოლიციის საკანში, მნოლიარე მდგომარეობაში, სტარასბურგის სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა და მიიჩნია, რომ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი არ იყო დარღვეული.

2) წინამდებარე საქმეში²¹ სადავოა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და 293-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის მოთხოვნა და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის მე-7 ნაწილის დებულება: „ხოლო მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილება არ გასაჩივრდება“, და 293-ე მუხლის მე-2 ნაწილი მთლიანად საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან სამართლწარმოებისას მხარეების მიერ გამოყენებულ იქნა როგორც ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, ისე სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ისეთ მნიშვნელოვან საქმეებზე, როგორებიცაა: *Albert and Le Compte v. Belgium, Golder v. the United Kingdom, Delcourt v. Belgium* და *Deweerd v. Belgium*. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა ევროპული სასამართლოს მიერ 2004 წლის 6 აპრილს არსებით განხილვაზე დაშვებულ საქმეზე ნიდერლადების სამეფოს წინააღმდეგ – *Marpa Zeeland B.V. and Metal Welding Service B.V.*²²

წინამდებარე საქმეში მოსარჩელე აცხადებდა, რომ სადავო აქტები სარჩელის ავტორს ართმევდა უფლებას, აღნიშნული ბრძანების კანონიერების

21. საქმის № 2/6/264, 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება.

22. საქმეზე - *Marpa Zeeland B.V. and Metal Welding B.V. v. the Netherlands* - ევროპულმა სასამართლომ 2004 წლის 9 ნოემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელშიც ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა ცნო როგორც გონივრულ ვადებში სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების კუთხით, ასევე სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობასთან მიმართებით.

დასადგენად მიემართა სასამართლოსთვის და დაეცვა თავისი კანონიერი ინტერესები. მოსარჩევლის აზრით, გასაჩივრების მექანიზმის არარსებობა ენინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის არსებითი განხილვის დროს მოსარჩევლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული უფლება არის პირის აბსოლუტური უფლება, რომლის შეზღუდვა დაუშვებელია. ნებისმიერი პირის უფლება - საკუთარ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, აღიარებული და გარანტირებული უფლებაა არა მხოლოდ ქვეყნის შიდაკანონმდებლობით, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლითაც. მოსარჩევე მხარემ, ევროპულ კონვენციასთან ერთად, მიმართა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალსაც.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მხარეებს უფლებას აძლევს, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე თავიანთი არგუმენტები ევროპული კონვენციის ნორმებით გაამყარონ და დასძინა, რომ ხსენებული ასევე ვრცელდება ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა²³ და ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე, რომლითაც დაზუსტებულია ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შინაარსი და მოცულობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და მანამდე ევროპულმა კომისიამ კონვენციის მე-6 მუხლის დებულებები განვრცობითად განმარტეს იმ საფუძველზე, რომ აღნიშნულ მუხლს დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. „მართლმაჯულების სამართლიან განხორციელებაზე უფლებას იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კონვენციის მნიშვნელობით დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომ მე-6 მუხლის შეზღუდვითი განმარტება მისი დებულებების მიზნებსა და დანიშნულებასთან შეუსაბამო იქნებოდა“ (იხ. 1970 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე - *Delcourt v. Belgium*, სერია A № 11, 25-ე პუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლებას ყველა უფლებასთან მიმართებით არ უზრუნველყოფს. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან წაყენებული ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებე-

23. ადრემოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და სასამართლო შეიცვალა 1998 წელს კონვენციის მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შედეგად.

ლი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე.“ აღნიშნული ფორმულირებიდან ცხადია, რომ მე-6 მუხლი არ მოიცავს ყველა სახის სამართალნარმოებას, რომლის მხარეც პირი შეიძლება იყოს, არამედ შემოიფარგლება იმ განხილვით, რომელიც ეხება სამოქალაქო უფლება-მოვალეობების განსაზღვრას ან სისხლის სამართლის ბრალდების დადგენას.

სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლების განხილვამდე საკონსტიტუციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, გაერკვია, ვრცელდებოდა თუ არა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედება სისხლის სამართლის საქმის აღმდეგ ჩატარებულ ამოღების საგამოძიებო მოქმედებაზე. იქიდან გამომდინარე, რომ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები მე-6 მუხლის მნიშვნელობით განიმარტება როგორც კერძოსამართლებრივი უფლება-მოვალეობები, საკონსტიტუციო სასამართლომ წინამდებარე საქმეში სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე სამოქალაქო უფლებათა შესახებ დავის გადაწყვეტის კონტექსტში ვერ იმსჯელა.

რაც შეეხება მოსარჩელის სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლებას სისხლისამართალნარმოების კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-6 მუხლში გათვალისწინებული გარანტიები ვრცელდება არა მხოლოდ სასამართლო განხილვაზე, არამედ როგორც მანამდე, ისე მის შემდგომ არსებულ სტადიებზე. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-6 მუხლის დაცვით სისხლის სამართლის პროცესში სარგებლობენ აგრეთვე იურიდიული პირები.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „ბრალდება“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მნიშვნელობით ავტონომიური კონცეფციაა, რომელიც არ არის დამოკიდებული შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არსებულ განსაზღვრებაზე. საქმეზე - *Deweert v. Belgium* - ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სიტყვა „ბრალდებას“ უნდა მიეცეს არსებითი და არა ფორმალური მნიშვნელობა, სასამართლომ სამართალნარმოების რეალური ასპექტები უნდა განიხილოს. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, „ბრალდება“ განისაზღვრება, როგორც : ა) უფლებამოსილი ორგანოს მიერ პირისთვის მიცემული ოფიციალური შეტყობინება მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ვარაუდის თაობაზე; ან ბ) რამე აქტი, რომელიც გულისხმობს ასეთი ვარაუდის არსებობას და მნიშვნელოვნად აუარესებს ეჭვმიტანილის მდგომარეობას (იხ. 1980 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე - *Deweert v. Belgium*, სერია A № 35, 42-ე-46-ე პუნქტები).

უარესდება თუ არა პირის მდგომარეობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად, როცა ამოღებულია სრული საფინანსო-სამეურნეო დოკუმენტაცია დედნების სახით ისე, რომ ამან ევროპული კონვენციის მნიშვნელობით „ბრალის“ წარდგენა შეადგინოს, თუნდაც ფორმალურად სისხლის

სამართლის საქმე აღძრული არ იყოს? კონსტიტუციური სარჩელის მიზნებისთვის საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა სტრასბურგის სასამართლოს მიდგომა და მიიჩნია, რომ დადებითი პასუხი დასმულ კითხვაზე შესაბამისი იქნებოდა „ბრალის“ არსებით და არა ფორმალურ გაგებასთან და *Delcourt*-ის საქმეზე დადგენილ განვირცობითი განმარტების ზემოაღნიშნულ პრინციპთან. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციურ სარჩელზე მე-6 მუხლის მოქმედება ვრცელდება.

მას შემდეგ, რაც დადასტურებულად მიიჩნია კონსტიტუციურ სარჩელ-თან მე-6 მუხლის შემხებლობა, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული მუხლის მნიშვნელობით სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლება განიხილა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიუთითა, რომ უფლება სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კანონით შექმნილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე უფლების ერთ-ერთ შემადგენელი ასპექტია და გულისხმობს პირის უფლებას, სამართალწარმოების დაწყების მიზნით სასამართლოს მიმართოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება აბსოლუტური არ არის. ეს უფლება თავისი ბუნებით სახელმწიფო რეგლამენტაციას საჭიროებს და შეიძლება დაექვემდებაროს გარევეულ შეზღუდვებს, რომლებიც აღნიშნული უფლების შინაარსა და კონვენციით გათვალისწინებულ სხვა უფლებებს არ უნდა ლახავდეს.

მეორე კოლეგიის აზრით, სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლების შეზღუდვა გამართლებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონიერ მიზანს ემსახურება და დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის გონივრული თანაბარზომიერება არის დაცული (1975 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე - *Golder v. the United Kingdom*, სერია A № 18).

საკონსტიტუციო სასამართლომ დასკვნა, რომ სადაცო ნორმები ეწინააღმდეგებოდა არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლსაც.

საკონსტიტუციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილების ჭრილში უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიხედვით, უფლება ხელმისაწვდომობაზე აბსოლუტური არ არის,²⁴ საქმეზე - *Ashingdane v. the United Kingdom* - სასამართლომ დამატებით დაადგინა, რომ შეფარდებული შეზღუდვები არ უნდა ზღუდავდეს ან ამცირებდეს პირისათვის ნებადართულ ხელმისაწვდომობას იმ ზღვრამდე, რომ თავად უფლების არის შეიღაბოს. ამასთან, შეზღუდვა არ არის მე-6 მუხლის 1-ლ

24. იხ. საქმეზე - *Golder v. the United Kingdom* - 1975 წლის 21 თებერვალს გამოტანილი გადაწყვეტილება, Series A no. 18, 38-ე პუნქტი.

პუნქტთან შესაბამისი, თუ იგი კანონიერ ინტერესს არ ისახავს მიზნად და თუ აღნიშნულ მიზანსა და გამოყენებულ ზომებს შორის გონივრული თანაფარდობა არ არსებობს.²⁵

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სახელმწიფოებისათვის მინიჭებული დისკრეციის საფუძველზე სასამართლოზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით დადგენილი შეზღუდვები კონვენციის მე-6 მუხლთან შესაბამისად რომ ჩაითვალოს, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს;
- შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს პროპორციულობის პრინციპს;
- შეზღუდვა ზიანს არ უნდა აყენებდეს სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების ძირითად არსს²⁶.

3) წინამდებარე საქმეში²⁷ დავის საგანია საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 26 ივნისის კანონის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს კანონის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

2003 წლის 23 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა მოქ. აკაკი გოგიჩაიშვილმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი ეწინააღმდეგობოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილს.

კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოსარჩელეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაეკისრა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „60 წუთში“ საჯაროდ გავრცელებული ცნობების უარყოფა. უზენაესმა სასამართლომ გადაწყეტილების გამოტანისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, „პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერებიან“. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოკვეყნებისათვის, თუკი ამით ილახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია“. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლით, დაირღვა კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-

25. 1985 წლის მაისი, Series A no. 93, 57-ე პუნქტი.

26. n.b. *Winterwerp v. the Netherlands*, 1979 წლის 24 ოქტომბერის გადაწყვეტილება.

27. საქმის № 2/1/241, 2004 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება.

2 პუნქტი, რომლის თანახმად, „დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმისარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამო-თქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ“.

კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ აზრის გამოხა-ტვის თავისუფლება მოიცავდა არა მხოლოდ უფლებას, თავისუფლად გა-მოხატო საკუთარი აზრი, არამედ უფლებასაც, შეიკავო თავი ნებისმიერი შენთვის არასასურველი აზრის გამოხატვისაგან. ის ინფორმაცია, რომლის უარყოფაც დაევალა პირს, შეიძლება მისთვის კვლავ ერთადერთ ჭეშმარი-ტებად ითვლებოდა. სადავო ნორმა კი, კონსტიტუციის მე-19 მუხლის სა-პირისპიროდ, ავალებდა მას, მისი ნების საწინააღმდეგოდ გაევრცელებინა ინფორმაცია, და/ან გამოხატა აზრი.

მოსარჩელე მოითხოვდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას.

მოპასუხე, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი, მიიჩნე-ვდა, საქართველოს კონსტიტუცია არ იძლეოდა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ პირის ღირსებისა და აზრის თავისუფლებას განსაკუთრე-ბული ადგილი მინიჭებოდა სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს შორის. მისი აზრით, მათი თანაბარი სტატუსი საფუძვლად უნდა დაედოს, მათ შორის კოლიზისას, სასამართლოებში შესაბამისი საქმეების განხილვას. ამდენად, მოპასუხე აცხადებდა, რომ ამ კოლიზის გადაწყვეტას ხელს უწ-ყობდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც საშუალებას აძლევს პირს, სასამართლო წესით დაიცვას შელახული პატივი და ღირსება.

მოპასუხე აცხადებდა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი არ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-19 მუხლსა და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს.

საქმეზე გერმანიიდან სპეციალისტად მოწვეულმა ბრემენის უნივერსი-ტეტის პროფესორმა, დოქტორმა კნიპერმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო კო-დექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი პირს უფლებას ანიჭებს, მოითხოვოს იმ ცნობის საჯაროდ უარყოფა, რომელიც ლახავს პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, მის პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუ-ტაციას. უარყოფის ვალდებულება არ არსებობს, თუ ინფორმაციის წარ-მომდეგნს მიაჩნია, რომ ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება. მისი შეხე-დულებით, ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ იგულისხმება ისეთი გამონათქვა-მები, რომლებითაც ხდება ფაქტების მტკიცება. მხოლოდ ეს უკანასკნელი შეიძლება გადამოწმდეს მისი ნამდვილობის თვალსაზრისით. ნამდვილობის მტკიცება შეიძლება მხოლოდ ფაქტებთან და არა შეფასებით გამონათქვა-მებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ქართველმა კანონმდებელმა შეგ-ნებულად შეიტანა სამოქალაქო კოდექსში პატივის, ღირსებისა და პირადი ხელშეუხებლობის ასეთი დაცვა, რათა გამიჯვნოდა საბჭოთა პერიოდში გა-ვრცელებულ პრაქტიკას, როდესაც მიღებული იყო მაკომპრომიტირებელი

ფაქტების, რომელთა ნამდვილობა არც კი მტკიცდებოდა, განსაკუთრებით მასმედიაში გავრცელების გზით, პირთა პირად ცხოვრებაში შეჭრა.

გერმანელმა სპეციალისტმა ასევე მიუთითა, რომ სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებას, იგი იზღუდება „სხვათა უფლებებითა და თავისუფლებებით“, რაც ზოგადი პრინციპის სახით ჩამოყალბებულია საქართველოს კონსტიტუციაში. გერმანელი სპეციალისტის აზრი წერილობით დასკვნებში გაიზიარეს საქმეზე სპეციალისტებად მოწვეულმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა კონსტანტინე კორკელიამ, საკონსტიტუციო სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრმა, ადვოკატმა როინ მიგრიაულმა და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ცოლიკარპე მონიავამ.

საქმეზე სპეციალისტად მოწვეულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ კ. კორკელიას აზრით, თუ სასამართლომ დაადგინა, რომ პირმა გაავრცელა ფაქტები (ცნობები), რომლებიც ლაბავს სხვა პირის პატივსა და ლირსებას, მან უნდა დაამტკიცოს მათი სინამდვილე, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, უარყოს გავრცელებული ინფორმაცია. პირისათვის ვალდებულების დაკისრება, უარყოს გავრცელებული ცნობები, არ არის აზრის თავისუფლების შეზღუდვა, ვინაიდან გავრცელებული ცნობა არის არა აზრი (მსჯელობის შედეგი), არამედ პასუხისმგებლობის ფორმაა მცდარი ფაქტობრივი ცნობების გავრცელებისათვის.

გერმანელი სპეციალისტის თანახმად, აზრისა და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება და ადამიანის პატივი და ლირსება ერთმანეთის საპირონეა და ისინი ერთმანეთს უნდა აბალანსებდნენ. ამის გადაწყვეტა ზოგადი ფორმულირებით შეუძლებელია. იგი მოითხოვს, განსაკუთრებით სასამართლოსაგან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გულმოდგინე აწონდანვას, რასაც ახდენს სადაცო ნორმა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში საუბარია პატივისა და ლირსების შემლახველი „ცნობების“ უარყოფის ვალდებულებაზე, მაგრამ მხოლოდ იმ აუცილებელი პირობების დაცვით, რომ ამ ცნობების გამავრცელებელი „არ დაამტკიცებს“ მათ სისწორეს, სინამდვილესთან შესაბამისობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან სადვაო ნორმა ცნობების გამავრცელებლისათვის ადგენს ამ ცნობების ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას, ეს გარემოება სასამართლოს იმის თქმის უფლებას აძლევდა, რომ ტერმინში - „ცნობები“ - მოიაზროს ფაქტები, ანუ სადაცო ნორმა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაზე, როდესაც პირი ავრცელებს პატივისა და ლირსე-

ბის შემლახველ ფაქტებს და არა უბრალოდ გამოთქვამს, მოსაზრებებს, თუნდაც შეურაცხმყოფელს, რომელთა სისწორის შემოწმება ან მტკიცება შეუძლებელია.

საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის რედაქცია, მართალია, კონსტიტუციასთან შეუსაბამო რაიმე შინაარსს არ შეიცავდა, მაგრამ მითითება პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფაზე გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევდა პრაქტიკაში, რაც იმითაც დადასტურდა, რომ საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ „ცნობები“ ფართო ცნებაა, იგი ბოლომდე არ გამიჯნავს ფაქტებსა და აზრს (შეხედულება, მოსაზრება), რასაც სხვადასხვა სამართლებრივი შედეგის დადგომა შეიძლება მოჰყვეს.

1976 წლის დეკემბერში ევროპულმა სასამართლომ *Handyside*-ს საქმეში საზი გაუსვა დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას:

„გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი საფუძველია, მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იგი გამოიყენება არა მარტო „ინფორმაციისა“ და „მოსაზრებების“ მიმართ, რომლებსაც ბევრი იზიარებს, ან გულგრილად ეკიდება, არა-მედ იმათ მიმართაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, თავზარდამცემი ან შემაშფოთებელია სახელმწიფოს ან მოსახლეობის ნაწილისთვის. ამგვარია მოთხოვნები პლურალიზმისა, შემწყნარებლობისა და ფართო თვალთახედვისა, რომელთა გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა“.²⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება აბსოლუტური არ არის. სახელმწიფოს უფლება აქვს, განახორციელოს მართლზომიერი ჩარევა გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებაში (მიუხედავად იმ საშუალებისა, რომლითაც შეხედულება, ინფორმაცია და მოსაზრებებია გამოხატული), მხოლოდ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისად.

თუკი ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებული პირობები არ არის შესრულებული, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვა ჩაითვლება კონვენციის დარღვევად. მართლზომიერი შეზღუდვის შემთხვევები ზუსტად უნდა იქნეს განსაზღვრული კანონში და დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი მიჩნეულია აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში.

28. *Handyside v. the United Kingdom*, განაცხადი № 5493/72, სერია A № 24.

მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით ნებადართული შეზღუდვები, რომელთა დაწესებაც შესაძლებელია მოხდეს გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების განხორციელებაზე, იყოფა 3 კატეგორიად:

- შეზღუდვები, რომელთა დანიშნულებაა საზოგადოებრივი ინტერესების (ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის ან ზნეობის) დაცვა;
- შეზღუდვები, რომელთა დანიშნულებაა სხვა პირად უფლებათა დაცვა (სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვა, საიდუმლო ინფორმაციის გამუღავნების თავიდან აცილება);
- შეზღუდვები, რომლებიც აუცილებელია სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის.

ზემოხსენებული ჩამონათვალი შესაძლებელია საკმაოდ ვრცლად გამოიყერებოდეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იმისათვის, რათა დასაშვებად ჩაითვალოს, ნებისმიერი შეზღუდვა კანონით უნდა იყოს განსაზღვრული და აუცილებელი „დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

ევროპულმა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ:

„ჩარევის აუცილებლობის დადგენისას ხელშემკვრული სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების ზღვრით, მაგრამ აღნიშნული ზღვარი ექვემდებარება ევროპულ ზედამხედველობას და გამომდინარეობს თითოეული შემთხვევიდან. იქ, სადაც აღინიშნა მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით უზრუნველყოფილ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებაში ჩარევა, კონტროლი უნდა იყოს მკაცრი, მოცემული უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე; ამ უფლებათა მნიშვნელობა მრავალჯერ იქნა ხაზვასმული სასამართლოს მიერ. მათი შეზღუდვის აუცილებლობა დამაჯერებლად უნდა იქნეს დასაბუთებული“.²⁹

წინამდებარე გადაწყვეტილებაში³⁰ დავის საგანი იყო „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-2 და მე-8 პუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან, 39-ე მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის კონსტიტუციური სარჩელი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლება-

29. Autronic AG-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, 1990 წლის 22 მაისი, სერია A №178, 61-ე პუნქტი.

30. საქმის № 1/5/224, 2004 წლის 16 ნოემბერის გადაწყვეტილება.

თა დაცვის ევროპის კონვენციის „პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის N1243-რს დადგენილების მე-2 და მე-8 პუნქტების კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

მოსარჩელე აფხაზეთიდან დევნილია. იგი აფხაზეთში მომხდარი ცნობილი მოვლენების შემდეგ იძულებული გახდა, დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი. მოქმედი კანონმდებლობით, მას მიენიჭა დევნილის სტატუსი. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის“ პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-2 და მე-8 პუნქტები არღვევენ მის უფლებებს და ენიანალმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციის დებულებებს. ეს წინააღმდეგობა გამოიხატება იმით, რომ სადავო ნორმების თანახმად, ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მოქმედება დევნილებზე არ ვრცელდება. ამის გამოა, რომ სამართლებრივად დაუცველი რჩება მუდმივ საცხოვრებელ ადგილას არსებული მათი საკუთრება. სახელმწიფო ამ საკუთრების დაცვის პასუხისმგებლობას კისრულობს მხოლოდ მას შემდეგ, როცა აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და, შესაბამისად, აფხაზეთზე გავრცელდება ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია. თუ სადავო დადგენილების მე-2 პუნქტით დევნილების კონსტიტუციური უფლებები იღავის მიხედვით, მე-8 პუნქტი ითვალისწინებს კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვას ტერიტორიული ნიშნით. მოსარჩელის მტკიცებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არასწორად მიიჩნევს ევროპული კონვენციის მიმართ ტერიტორიული დათქმის იმ სახით გაკეთებას, როგორც ეს პარლამენტის დადგენილების მე-8 პუნქტია მოცემული. ამის ერთ-ერთი მტკიცებულებაა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „იღაშეული და სხვები მოლდოვისა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“. სასამართლომ მოლდოვის მიერ დნესტრისპირეთის მიმართ გაკეთებული ტერიტორიული დათქმა კონვენციასთან შეუსაბამოდ ჩათვალა. რატიფიკაციის ფაქტიდან გამომდინარე, საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს კონსტიტუციის 39-ე და 42-ე მუხლებზე დაყრდნობით და ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე აქვს საკუთრების უფლების დარღვევის საკითხზე სტრასბურგის სასამართლოსადმი განაცხადით მიმართვის უფლება. კონსტიტუციის 42-ე მუხლში იგულისხმება როგორც საქართველოს სასამართლოსადმი, ასევე ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. სადავო დებულებით კი დევნილის სტატუსის მქონე პირებს ეს უფლება დისკრიმინაციულად აქვთ შეზღუდული.

საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მოსამართლები უნდა აცნობიერებდნენ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად გამოცხადება გულისხმობს, რომ მათ, როგორც მოსამართლეებს, ხშირი შეხება ექნებათ ინდივიდუალური, რომელიც მათ წინაშე მოახდენენ კონვენციის მუხლებით გარანტირებული უფლებების წარდგენას.

აღნიშნულის ნათელი მაგალითია სწორედ წინამდებარე საქმე, რომელშიც მოსარჩევე მოითხოვდა სადაც ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას და ძალადაკარგულად გამოცხადებას. ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა არა მარტო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის კონკრეტული დებულებები, არამედ ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც. კერძოდ კი ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, როგორებიცაა: *Assanidze v. Georgia*³¹, *Ilascu and others v. Moldova and the Russian Federation*³², *Loizidou v. Turkey*³³ და *Matthews v. the United Kingdom*³⁴.

ვინაიდან დნესტრისპირეთში შექმნილი პოლიტიკური და სამართლებრივი მდგრამარეობა წააგავს საქართველოში არსებულს აფხაზეთთან მიმართებით, საქმარისი საფუძველი არის ვივარაუდოთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ შეტანილ მსგავს საქმეებზე ევროპულ სასამართლოს ანალოგიური მიდგომა ექნება. შესაბამისად, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ზემოთ ხსენებულ საქმეებთან ერთად, სიღრმისეულად განიხილა საქმეზე - *Ilascu and others v. Moldova and the Russian Federation* - სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. კერძოდ კი ამ გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ სადაც ნორმების შეფასებისას მხედველობაშია მისაღები სტრასბურგის სასამართლოს აზრი ილაშქუსა და სხვების განაცხადთან დაკავშირებით მოლდოვისა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და მოიშველია კიდეც ხსენებულ გადაწყვეტილებაში ევროპული სასამართლოს მიდგომა.

ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხორციელებული შეფასებითი მსჯელობები საქმეზე - *Assanidze v. Georgia* - გამოტანილ გადაწყვეტილებაზე, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი პირველი გადაწყვეტილებაა. აღნიშნულ საქმეში, სხვა საკითხებთან ერთად, ევრო-

31. განაცხადის № 71503/01, 2004 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება.

32. განაცხადის № 48787/99, 2001 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება.

33. 1995 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება, სერია A № 310.

34. განაცხადის № 24833/94, 1999 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება, ECHR 1999-I.

პულ სასამართლოს უნდა ემსჯელა იმაზეც, ეკისრებოდა თუ არა პასუხისმგებლობა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას იმის გამო, რომ, მიუხედავად მის მიერ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა და არაერთი ცდისა – უკანონო პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა განმცხადებელი (პრეზიდენტის 1998 წლის 1 ოქტომბრის შეწყალება, თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება, უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 11 ივლისისა და 2001 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილები, რომელთა საფუძველზეც განმცხადებელი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო), მას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება მაინც პატიმრობაში ტოვებდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ განაცხადა, რომ „კონვენციის 1-ლი მუხლი მოითხოვს, წევრმა სახელმწიფოებმა „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველა-სათვის უზრუნველყონ კონვენციის | ნაწილში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“. აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოები პასუხს აგებენ ნებისმიერი პირის დაცული უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერ დარღვევაზე თავიანთი „იურისდიქციის“ ან კომპეტენციის ფარგლებში დარღვევის ჩადენის დროს.

ასევე მისასალმებელია წინამდებარე გადაწყვეტილებაში ისეთი მნიშვნელოვანი საქმის განხილვა, *Loizidou v. Turkey*, რომელმაც, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, სერიოზული პრეცედენტი შექმნა და ერთ-ერთი პირველი იყო, სადაც ევროპულმა სასამართლომ ასეთი გამონაკლისის არსებობა დაადგინა. ევროპულმა სასამართლომ თურქეთს დააკისრა პასუხისმგებლობა ჩრდილოეთ კვიპროსში განხორციელებული მოქმედებისათვის იმიტომ, რომ სამხედრო ოპერაციის შედეგად³⁵ (მნიშვნელობა არა აქვს, ეს ოპერაცია კანონიერი იყო თუ უკანონო) იგი ეფექტიან კონტროლს ახორციელებდა ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე. პასუხისმგებლობა – უზრუნველყონ ამ ტერიტორიაზე კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა – სახელმწიფოს დაეკისრებოდა ნებისმიერ შემთხვევაში, თუ კონტროლს განახორციელებდნენ მისი შეიარაღებული ძალები ან მისდამი დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაცია.³⁶

4) წინამდებარე საქმეში³⁷ დავის საგანია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 371-ე მუხლისა და 41-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, მე-2 თავისა და 22-ე

35. სახელმწიფო პასუხისმგებელია როგორც კანონიერი, ისე უკანონო სამხედრო ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში.

36. *Loizidou v. Turkey*, 1995 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება, A 310, გვ. 24.

37. საქმის № 2/5/309,310,311, 2005 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება.

მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, 21-ე მუხლთან, მე-40 მუხლის პირველ, მეორე და მესამე პუნქტებთან და 42-ე მუხლის მეორე და მეხუთე პუნქტებთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეების კონსტიტუციური სარჩელები და გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის 1-ლი მუხლი და კონვენციის მე-6 მუხლი, არამედ ადამიანის უფლებათა საყველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლი. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლი: *Raimondo v. Italy*,³⁸ *Agosi v. the United Kingdom* და *Reinhardt and Slimane-Kaïd v. France*.³⁹

უნდა ითქვას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სამართლიანად აღნიშნა, რომ ევროპული კონვენციის პირველი ოქმის 1-ლი მუხლი არ კრძალავს ქონების ჩამორთმევას და, ამასთან, ნათლად ჩამოაყალიბა ის პირობები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ღონისძიება, თუმცა, მიზანშეწილად მიგვაჩნია, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე, უფრო ფართოდ ჩამოვაყალიბოთ ეს საკითხები.

ნიშანდობლივია, რომ, თუ დადგინდება ქონების ხელყოფის ფაქტი, რომელზეც ვრცელდება პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სამი წესიდან რომელიმე, შემდეგ უნდა მოხდეს იმის დადგენა, შეიძლება თუ არა ამგვარი ხელყოფა დასაბუთდეს სახელმწიფოს მიერ. თუ დასაბუთება შესაძლებელია (დასაბუთების ტვირთი სახელმწიფოს აწევს), მაშინ პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა არ დადასტურდება.

დასაბუთების მიზნით, საკუთრების უფლების ნებისმიერი ხელყოფა უნდა ემსახურებოდეს საჯარო ან საერთო ინტერესით განპირობებულ კანონიერ მიზნებს.⁴⁰

ამასთან, საკმარისი არ არის, რომ ხელყოფა კანონიერ მიზანს ემსახურება, ასევე დაცული უნდა იყოს პროპორციულობა. საქმეში - *Sporrong and Lönnroth v. Sweden*⁴¹ - ევროპულმა სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განცხადება ხელყოფის დასაბუთების პრინციპთან დაკავშირებით:

„...სასამართლომ უნდა დაადგინოს, შენარჩუნებულ იქნა თუ არა სამართლიანი ბალანსი საზოგადოების საერთო ინტერესებსა და პირის ფუნდაცენტურ უფლებათა დაცვის მოთხოვნებს შორის. ...ამგვარი ბალანსის დად-

38. 1994 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება.

39. *Reinhardt and Slimane-Kaïd v. France (No1)*, 2000 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება, *Reinhardt and Slimane-Kaïd v. France (No2)*, 2003 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება და *Reinhardt and Slimane-Kaïd v. France (No3)* 2004 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევაც ცნო.

40. *James and others v. the United Kingdom*, 1986 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება.

41. 1982 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება.

გენა კონვენციის განუყოფელი ნაწილია და ასევე ასახულია [პირველი და-მატებითი ოქმის] პირველ მუხლში⁴².

აღნიშნული სტანდარტის გამოყენებით, ევროპულმა სასამართლომ და-ადგინა, რომ ამ კონკრეტულ საქმეში აღინიშნა სამართლიანი ბალანსის და-რღვევა. სასამართლომ გააკეთა კიდევ ერთი პრინციპულად მნიშვნელოვანი განცხადება, რომელიც მრავალჯერ იქნა ციტირებული მის მომდევნო გა-დაწყვეტილებებში:

„ზომათა ამ ორი სახის კომბინირებამ გამოიწვია საკუთრების დაცვის უფლებასა და ზოგადი ინტერესის მოთხოვნათა შორის არსებული სავალ-დებულო სამართლიანი ბალანსის ხელყოფა: სპორონგის სამფლობელოს და ქ-ნ ლონორთს დაეკისრათ ინდივიდუალური და განსაკუთრებული ტვირთი, რომელიც შეიძლება კანონიერი ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებოდათ ვადების შემცირების ან კომპენსაციის მოთხოვნის უფლე-ბა. შევდეთის კანონმდებლობა გამორიცხავს ამ შესაძლებლობებს დავის არსებობის დროს“⁴³.

შესაბამისად, საკუთრების ნებისმიერი ხელყოფის დროს გათვალისწინე-ბულ უნდა იქნეს საკუთრების უფლების დაცვასა და ზოგადი ინტერესის მოთხოვნას შორის სამართლიანი ბალანსის არსებობის საკითხი. ამგვარი სამართლიანი ბალანსი ვერ იარსებებს, როდესაც ინდივიდუალური ქონების მესაკუთრეს ეკისრება „ინდივიდუალური და განსაკუთრებული ტვირთი“⁴⁴.

საკუთრების ხელყოფა ასევე უნდა ეპასუხებოდეს კანონის გასაგები ფორმით არსებობის (ანუ კანონიერების) პრინციპის. ეს პრინციპი გარკვე-ვითაა ჩამოყალიბებული პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებაში, რომელიც მოითხოვს, რომ ქო-ნების ჩამორთმევა უნდა იყოს „კანონით დადგენილი პირობების შესაბამი-სი“. ამასთან, კანონიერების პრინციპი ევროპული კონვენციის მთლიანი და განუყოფელი ნაწილია და უნდა გამოიყენებოდეს პირველი მუხლის სამივე წესის მიმართ.

კანონის გასაგები ფორმით არსებობის პრინციპი მოითხოვს ეროვნული კანონმდებლობის სათანადოდ გასაგები და საკმარისად ზუსტი დებულებე-ბის არსებობასა და შესრულებას; ეს დებულებები უნდა აკმაყოფილებდეს „სამართლის“ ცნების არსებით მოთხოვნებს, ანუ ფორმულირება – „კანო-ნით დადგენილი პირობების შესაბამისად“ – არ არის შეზღუდული მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით. ადამიანის უფლებათა ევროპუ-ლი კონვენცია მოითხოვს იმის უზრუნველყოფას, რომ თვით შიდასახელ-

42. Sporrong and Lönnroth v. Sweden, 69-ე პუნქტი.

43. იქვე, 73-ე პუნქტი.

44. იქვე.

მწიფოებრივი სამართალი შეესაბამებოდეს „სამართლის“ არსებით მოთხოვნებს. ეს მოიცავს სამართლიან და სათანადო პროცესს. კერძოდ, მოცემული ზომა მიღებული და გატარებული უნდა იქნეს შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს მიერ და არ უნდა იყოს თვითნებური.⁴⁵ ასევე, უნდა არსებობდეს პროცესუალური გარანტიები სახელმწიფოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლების დარღვევის არსებობის დასადგენად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- (I) ხვდება თუ არა საკუთრების უფლება ან ქონება პირველი მუხლის ფარგლებში?
- (II) აღინიშნა თუ არა ამ ქონების ხელყოფა?
- (III) პირველი მუხლით გათვალისწინებული სამი წესიდან რომლის ფარგლებში ხვდება ამგვარი ხელყოფა?
- (IV) ემსახურება თუ არა ხელყოფა საჯარო ან საერთო ინტერესით განპირობებულ კანონიერ მიზანს?
- (V) პროპორციულია თუ არა ხელყოფა? ანუ ადგენს თუ არა ის სამართლიან ბალანსს საზოგადოების საერთო ინტერესსა და პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის?
- (VI) შეესაბამება თუ არა ხელყოფა კანონის გასაგები ფორმით არსებობის (კანონიერების) პრინციპს?⁴⁶

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, როცა ხდება ქონებით სარგებლობის უფლების ხელყოფა, ამგვარი ხელყოფა წინააღმდეგობრივია პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლისა, თუკი პასუხი რომელიმე კითხვაზე „IV“-დან „VI“-მდე უარყოფითია.

სასამართლო პრაქტიკაში პროპორციულობის სტანდარტის გამოყენების კარგი მაგალითია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოყენებული გადაწყვეტილება საქმეზე - *Agosi v. the United Kingdom*.⁴⁷ *Agosi*-ს საქმეში განმცხადებელი წარმოადგენდა გერმანულ კომპანიას სახელწოდებით - სს „აგოსი“, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა ლითონის გადამუშავების ინდუსტრიაში და, ასევე, ოქრო-

45. *Winterwerp v. the Netherlands*, 1979 წლის 24 ოქტომბერის გადაწყვეტილება.

46. 1999 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებაში - *Iatridis v. Greece* - ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ამ მოთხოვნის განსაკუთრებული მნიშვნელობა და განაცხადა, რომ ეს არის პირველი კითხა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, ვინაიდან, თუ ხელყოფა უკანონო იყო, ის თავისთვად შეუსაბამის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლისა (გადაწყვეტილების 58-ე პუნქტი). ამასთან, ეს მოთხოვნა ზემოთ მოყვანილ სიაში ბოლო ადგილასაა, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ საქმეთა უმტკესობაში, უპირველეს ყოვლისა, დაისმის ხელყოფის კანონიერი მიზნით განხორციელებისა და პროპორციულობის სკოთხი.

47. 1986 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სა და ვერცხლის მონეტების პაზარზე. ერთ შაბათ დღეს ბ-ნმა X-მა და ქ-ნმა Y-მა მიაკითხეს კომპანიის ქარხანას გერმანიაში და მოითხოვეს 1500 კრუგერანდის (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მოჭრილი ოქროს მონეტები) დაუყოვნებლივ შეძენა. მონეტების ღირებულება იყო 120 000 გირვანქა სტერლინგი. დაიდო ნასყიდობის შეთანხმება და მონეტები ჩაიტვირთა ბრიტანული ნომრების მქონე ავტომანქანაში. ანგარიშსწორება მოხდა ბრიტანული ბანკის ანგარიშზე გამოწერილი საბანკო ჩეკის ფორმით. სს „აგოსმა“ სცადა ჩეკის განადლება, მაგრამ ვერ შეძლო. ოქროს მონეტების ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებით, სს „აგოსი“ ინარჩუნებდა მონეტებს თავის საკუთრებაში მანამ, სანამ ანაზღაურებას სრული ოდენობით არ მიიღებდა.

ამავე დროს, მყიდველებმა მონეტების გაერთიანებულ სამეფოში შემოტანა ავტომანქანის ცარიელ საბურავში დამალვის გზით სცადეს. მონეტები აღმოჩენილ და დაყადაღებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს საბაზო სამსახურის მიერ. რამდენიმე თვით ადრე ოქროს მონეტების იმპორტი აიკრძალა ვაჭრობისა და ინდუსტრიის მინისტრის განკარგულებით. მონეტების მყიდველებს, ბ-ნ X-ს და ქ-ნ Y-ს, წარედგინათ ბრალდება ოქროს მონეტების იმპორტის აკრძალვისადმი თაღლითურად თავის არიდებაში (კონტრაბანდა).

ამის შემდეგ სს „აგოსმა“ მოითხოვა მონეტების დაბრუნება იმ საფუძვლით, რომ, ვინაიდან ანაზღაურება არ მომხდარა, ის მონეტების კანონიერ მესაკუთრედ რჩებოდა. საბაზო სამსახურის ორგანოებმა უარი თქვეს მონეტების დაბრუნებაზე. ბ-ნი X და ქ-ნი Y მსჯავრდებულ იქნენ სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ. ამ სტადიაზეც კი საბაზო სამსახურმა უარი თქვა სს „აგოსისთვის“ მონეტების დაბრუნებაზე. კომპანიამ სარჩელი შეიტანა ინგლისურ სასამართლოში მონეტების დაბრუნების მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე სს „აგოსმა“ გაასაჩივრა, *inter alia*, საბაზო სამსახურის უარი მისთვის მონეტების დაბრუნებაზე. კომპანიის მტკიცებით, ის იყო მონეტების კანონიერი მესაკუთრე და არ მიუძღვიდა არავითარი ბრალი რაიმე სამართალდარღვევაში. ასევე, მას არ მისცემია თავისი საქმის ბრიტანული სასამართლოს წინაშე წარდგენის სათანადო შესაძლებლობა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მონეტების კონფისკაცია უდავოდ იყო ქონების მშვიდობიანად გამოყენების ხელყოფა, პირველი მუხლის პირველი წინადადების შინაარსით. ამის შემდეგ სასამართლოს უნდა დაედგინა, გამოიყენებოდა თუ არა პირველი წაწილის მეორე წინადადება ან მეორე წაწილი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ოქროს მონეტების იმპორტის აკრძალვა უდავოდ აწესებდა კონტროლს ქონებით სარგებლობაზე, მონეტების დაყადაღება და კონფისკაცია კი იყო ამ აკრძალვის უზრუნველმყოფელი

ზომა. მან ასევე აღნიშნა, რომ მონეტების კონფისკაცია უდავოდ იყო ქონების ჩამორთმევა, მაგრამ საქმის კონკრეტულ გარემოებებში ჩამორთმევა გაერთიანებულ სამეფოში ოქროს კრუგერანდებით სარგებლობაზე არსებული კონტროლის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. შესაბამისად, გამოიყენებოდა მესამე – სარგებლობის კონტროლთან დაკავშირებული წესი.

რაც შეეხება ზომების გამოყენების დასაბუთებულობას, სასამართლომ აღნიშნა, რომ კრუგერანდების იმპორტის აკრძალვა უდავოდ შესაბამისობაში მოდიოდა პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან. ის ემსახურებოდა საჯარო ინტერესით განპირობებულ კანონიერ მიზანს. ამასთან, აუცილებელი იყო გონივრული პროპორციულობის არსებობის დადგენა აკრძალვის ალსრულების უზრუნველყოფის საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის. სასამართლოს უნდა დაედგინა აუცილებელი სამართლიანი ბალანსის არსებობა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ:

„სახელმწიფოს აქვს შეფასების ფართო ზღვარი როგორც ალსრულების ზომების არჩევისას, ისე იმის დადგენისას – გამართლებულია თუ არა ალსრულების შედეგები საჯარო ინტერესით შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად“.⁴⁸

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ყველა მონაწილე სახელმწიფოში, აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, კონტრაბანდით შემოგრანილი საქონელი შეიძლება კონფისკაციას დაექვემდებაროს. ამის საპირისპიროდ, სს „აგოსმა“ აღნიშნა, რომ ეს წესი არ გამოიყენებოდა „უდანაშაულო“ მესაკუთრის მიმართ (რასაც ევროპული კომისიაც დაეთანხმა). სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლიანი ბალანსის არსებობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და ქონების მესაკუთრის ქცევა (კონტრაბანდასთან დაკავშირებით), მათ შორის, მისი ბრალისა და მონაწილეობის ხარისხი, მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია მხედველობაში მისაღებ გარემოებათა ერთობლიობაში (სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მონაწილე სახელმწიფოებში არ არსებობდა ერთიანი პრაქტიკა, აუცილებელი იყო თუ არა ბრალის არსებობა კონფისკაციის განსახორციელებლად).

შესაბამისად, იმისდა მიუხედავად, რომ ეს პირდაპირი ფორმით არ არის აღნიშნული პირველ მუხლში, სასამართლოს უნდა დაედგინა, არსებობდა თუ არა შესაბამისი პროცედურები მოსარჩევის ბრალის ან მონაწილეობის დასადგენად. აგრეთვე, შეემოწმებინა, აძლევდა თუ არა შესაბამისი პროცედურები განმცხადებელს გონივრულ შესაძლებლობას, მისი საქმე განხილულიყო პასუხისმგებელი ხელისუფლების ორგანოს წინაშე. სტრას-

48. Agosi v. the United Kingdom, 52-ე პუნქტი.

ბურგის სასამართლომ შეისწავლა ინგლისის სასამართლო გადასინჯვის პროცედურა და დაადგინა, რომ ის საკმარისი იყო პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის. შესაბამისად, სა „აგოსის“ საკუთრების უფლება არ დარღვეულა.

5) წინამდებარე საქმეში⁴⁹ დავის საგანია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს 1999 წლის 16 აპრილის კანონის მე-2 მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩლეების კონსტიტუციური სარჩელი და გამოიყენა არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის 1-ლი მუხლი და კონვენციის მე-6 მუხლი, არამედ კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად განვითარებული პრეცედენტული სამართალი.

საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა მოთხოვნის უფლებაზე საკუთრებას, რომელიც აღიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. *Tre Traktörer Aktiebolag*-ის საქმეში ევროპულმა სასამართლომ კვლავაც გაიმეორა, რომ პირველი ოქმის პირველი მუხლის მიხედვით, ქონების ცნებას აქვს ავტონომიური მნიშვნელობა, რომელიც უდავოდ არ იყო შეზღუდული მხოლოდ ფიზიკური ნივთების მფლობელობით; სხვა გარკვეული უფლებები და ინტერესები, რაც ეხება ნივთებს, შეიძლება, ასევე, ჩაითვალოს საკუთრების უფლებად და, შესაბამისად, ქონებად პირველი მუხლის მიზნებისათვის.⁵⁰

- *Pressos Compania Naviera S.A. and others v. Belgium*⁵¹ - გარკვეულწილად მსგავსი საქმეა, რომელიც, ასევე, ცხადყოფს საკუთრების, ან ამავე მიზნით, „ქონების“ ცნების ფართო ხასიათს. აღნიშნული საქმე, ასევე, სამართლებრივ მოთხოვნას ეხებოდა. განმცხადებლები იყვნენ ხომალდის მფლობელები, რომელთა გემმაც ბელგიის ტერიტორიულ წყლებში ავარია განიცადა. მათი აზრით, შეჯახება მოხდა ბელგიელი ლოცმანების ბრალით (რომელთა ქმედებებისათვის, ბელგიური სამართლის მიხედვით, პასუხისმგებელია სახელმწიფო) და, შესაბამისად, შეიტანეს სარჩელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. 1988 წლის 30 აგვისტოს კანონით, ბელგიის საკანონმდებლო ორგანომ ამ საქმეში ზარალის ანაზღაურების საფუძველი გააუქმა.

საზღვაო ხომალდის მფლობელებმა, პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული საკუთრების უფლების დარღვევის საფუძვე-

49. საქმის № 1/4/184,228, 2005 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება.

50. *Tre Traktorer Aktiebolag v. Sweden*, 1989 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება, 54-ე პუნქტი.

51. 1995 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ლზე, საჩივრით მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. სახელმწიფომ სადაცოდ გახადა ამ საქმეში განმცხადებელთა ქონების რაიმე სახით არსებობა; მისი მტკიცებით, განმცხადებლებს არ გააჩნდათ საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული და აღიარებული სასარჩელო მოთხოვნა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ქონების ცნება ავტონომიურია, უპრიანი იქნებოდა მისი განმარტების ეროვნული (ბელგიური) სამართლის მიხედვით დადგენა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ბელგიის სამართლით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს უჩნდებოდა ზიანის მიყენებისთანავე. ამგვარი მოთხოვნის უფლება ეხება ნივთს და, მაშასადამე, ეხება ქონებას, პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად. დამატებით, 1988 წლის კანონის მიღებამდე არსებული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, განმცხადებლებს შეეძლოთ იმის მტკიცება, რომ ჰქონდათ მათი სარჩელის გადაწყვეტის კანონიერი მოლოდინი, ზიანის ანაზღაურების ზოგადი სამართლის თანახმად.

ხოლო რაც შეეხება გადაწყვეტილებაში დაყენებულ მეორე საკითხს, საკონსტიტუციო სასამართლო სამართლიანად აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) გარანტირებული უფლება ვრცელდება არა მარტო სასამართლო განხილვასა და მის წინმსწრებ ეტაპებზე, არამედ თანმდევ ეტაპებზეც (როგორიც არის სასამართლო განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება). აღნიშნული მიდგომა სტრასბურგის სასამართლომ პირველად დააფიქსირა სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით საქმეში - *Hornsby v. Greece*,⁵² ხოლო 2005 წელს საქართველოსთან მიმართებით სამოქალაქო საქმეებში – “*Amat-G Ltd and Mebaghishvili v. Georgia*⁵³ და *Iza Ltd and Makrakhidze*.⁵⁴

ანალოგიური მიდგომა სისხლისსამართლებრივ საქმესთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ პირველად გამოამჟღავნა საქმეზე - *Assanidze v. Georgia*⁵⁵, რომელიც ეხებოდა ქვეყნის უზენაესი სასამართლოს მიერ სისხლის სამართალწარმოების საქმეზე გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის აღუსრულებლობას თითქმის 3 წლის მანძილზე. აღნიშნულ საქმეში ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ:

52. 1997 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება.

53. 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, 47-ე პუნქტი.

54. 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, 42-ე პუნქტი.

55. 2004 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება.

„...გამოტანილი განაჩენის აღსრულება აღქმულ უნდა იქნეს როგორც სასამართლო განხილვის განუყოფელი ნაწილი მე-6 მუხლის მიზნებისათვის (იხ. *mutatis mutandis*, ზემოხსენებული საქმე *Hornsby v. Greece*, მე-40 პუნქტი; *Burdro v. Russia*, № 59498/00, 34-ე-35-ე პუნქტები, *ECHR 2002-III*; და *Jasiuniene v. Lithuania*, № 41510/98, 27-ე პუნქტი, 2003 წლის 6 მარტი).

კონვენციის მე-6 მუხლით მინიჭებული გარანტიები ილუზიური იქნებოდა, თუკი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული სისტემა მისცემდა იმის შესაძლებლობას, რომ გამამართლებელი სასამართლო გადაწყვეტილება გამართლებული პირის საზიანოდ განუხორციელებელი დარჩენილიყო. დაუჯერებელი იქნებოდა, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, ამავე მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად აღებული, მოითხოვდეს ხელშემკვრელი სახელმწიფოსაგან პოზიტიური ნაბიჯების გადადგმას ყველა იმ პირთან მიმართებით, რომელსაც ბრალი ნაეყენათ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში (სხვა მაგალითებთან ერთად იხ. *Barberà, Messegué and Jabardo v. Spain*, 1988 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია № 146, გვ. 33-34, 78-ე პუნქტი) და დეტალურად განსაზღვრავდეს პროცესში მონაწილე მხარის გარანტიებს (სამართალნარმოება, რომელიც არის სამართლიანი, საჯარო და სწრაფი), ამავე დროს, არ იცავდეს გამამართლებელი გადაწყვეტილების განხორციელებას, რომელიც გამოტანილ იქნა ასეთი სამართალნარმოების შედეგად. სისხლის სამართალნარმოება შეადგენს ერთ მთლიან ნაწილს და მე-6 მუხლით გარანტირებული დაცვა არ წყვეტს მოქმედებას პირველ ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ (იხ. *mutatis mutandis, Belziuk v. Poland*, 1998 წლის 25 მარტის განაჩენი, მოხსენებები 1998-II, გვ. 570, 37-ე პუნქტი).⁵⁶

6) წინამდებარე გადაწყვეტილებასთან⁵⁷ დაკავშირებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა არა მხოლოდ საერთაშორისოსამართლებრივი აქტის დებულებები – სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებები, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიც.

საკონსტიტუციო სასამართლო დაეყრდნო საქმეში - *W v. Switzerland*⁵⁸

56. *Assanidze v. Georgia*, 182-ე პუნქტი.

57. საქმის № 2/3/182, 185, 191, 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება.

58. 1993 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება. აუცილებელად ყოველთვის გვახსოვდეს კომპარატივისტული (მედარებითი) გამოკვლევებით დადგენილი საშუალო ვადები, რომელსაც დაეყრდნო მოსამართლე პეტიტი თავის განსხვავებულ აზრში საქმეზე - *W v. Switzerland*. ჩეულებრივი საქმეე-

- გამოყენებულ მიღებობას და გამოძიების ინტერესებში პირის 4 წელზე მეტ ხანს პატიმრობაში ყოფნა და გათავისუფლების მოთხოვნათა დაკავყოფილებაზე უარი გონივრულად მიიჩნია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სისხლის სამართლის ბრალდებით დაკავებულ ან დაპატიმრებულ ყოველ პირს უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული საქმე - *Koné v. Senegal (386/89)*, რომელშიც კომიტეტმა აღნიშნა, რომ

„გონივრული ვადა“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით, უნდა შეფასდეს თითოეულ კონკრეტულ საქმეში, მაშინ, როდესაც არ არსებობს სპეციალური გარემოებები, რომელიც გააძლიერებდა ოთხი წლითა და ოთხი თვით ხანგრძლივ პატიმრობას... ხსენებული არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.⁵⁹

Koné-ს საქმე ადასტურებს, რომ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არ არსებობს წინასწარი პატიმრობის მკაცრად განსაზღვრული ხანგრძლივობა. თუმცა, ოთხწლიანი წინასწარი პატიმრობის გამართლების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დადგეს. მეორე მხრივ, საქმეში - *Wolf v. Panama (289/88)*, რომელშიც თაღლითობის გამო დაკავებასა და განაჩენის გამოტანამდე ოთხ წლითად - ნახევარი გავიდა, კომიტეტმა გაივალისწინა საქმის სირთულე და არ დაადგინა საერთაშორისო პაქტის დარღვევა.⁶⁰

ბისთვის გათვალისწინებული იყო ორ ან სამ ოვეზე ნაკლები პერიოდი, ხოლო ერთ წელზე ნაკლები - ეკონომიკური დანაშაულისა და გაკოტრების საქმეებისთვის. ეს შეიძლება ზუსტი ციფრები არ იყოს გაფართოებული ევროპის საბჭოსთვის, მაგრამ ისინი, შესაძლოა, ევლავ რჩებოდნენ ამოსავალ წერტილად იმის განხილვისას, არსებობს თუ არა საქმეზე ისეთი ფაქტორები, რაც წინასწარი პატიმრობის გასანგრძლივებას სადაც არ ხდის. უფრო მეტიც, რამდენადც მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებული გონივრულობის გარანტიის მხოლოდ თავისუფლებააღექტილ პირთა მიმართ გამოიყენება, მნიშვნელოვანია იმის მხედველობაში მიღება, რომ ევროპული სასამართლოს მითითებები სისხლის სამართალნარმოების ხანგრძლივობის გონივრულობასთან დაკავშირებით, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, რომელიც ყეველა სახის სამართალნარმოებისას გამოიყენება, სახელმძღვანელოდ არ უნდა იქნეს მიჩნეული, რამდენადც განმცხადებლები, რომლებიც მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევაზე ჩივიან, იმიტომ, რომ მათ მიმართ სამართალნარმოების ხანგრძლივობა გონივრული არ იყო, ყოველთვის არ არიან დაპატიმრებულნი და ამდენად, შესაძლებელია, მე-6 მუხლის კონტექსტში გაფანურება უფრო ლმობერად განიხილებოდეს. საქმეებზე: *I.A. v. France, B. v. Austria* ევროპულმა სასამართლომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის და არა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა დაადგინა.

59. Sarah Joseph, Jenny Schultz, and Melissa Castan, *The International Covenant on Civil and Political Rights, Cases, Materials, and Commentary*, Second Edition, Oxford Press, 2004, 330.

60. იქვე, გვ. 432.

„გონივრულობის“ განსაზღვრისას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არასოდეს გამოუთქვამს აზრი, რომ არსებობს წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ხანგრძლივობა, რომლის გადაცილებაც არ შეიძლება, რამდენადაც ეს *in abstracto* შეფასება იქნებოდა, გადაწყვეტილება კი ყოველთვის თითოეული საქმის კონკრეტულ გარემოებებს უნდა ითვა-ლისწინებდეს. გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებაზე ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Stögmüller v. Austria* - შემდეგი დაადგინა:

„ყველა მხრივ აღიარებულია, რომ შეუძლებელია ამ ცნების დღეების, კვირების, თვეებისა თუ წლების მიხედვით, ან კიდევ დროის სხვადასხვა მონაკვეთში გადათარგმნა დანაშაულის სიმძიმის მიხედვით“.⁶¹

არსებობს უმნიშვნელოვანესი სამი ფაქტორი, რომელთაც ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს. ესენია: საქმის სირთულე, თავისუფლე-ბაალკვეთილი პირის ქცევა და ხელისუფალთა ქმედითობა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საქმის - *W. v. Switzerland* - მსგავსად, საქმეში - *Scott v. Spain*⁶² - 4 წლზე მეტი ხნის პერიოდით ხანგრძლივი პატი-მრობა იყო, მაგრამ, ვინაიდან ეს უკანასკნელი უფრო იოლი იყო პირველთან შედარებით, სტრასბურგის სასამართლომ გახანგრძლივებულ პატიმრობას-თან მიმართებით ჩათვალა, რომ გონივრული დროის ფარგლებს სცილდე-ბოდა და, შესაბამისად, დაადგინა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა.

ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში ასახული გარანტია დაპატიმრებული პირის მიმართ მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ ამტკიცოს „განსაკუთრებული მონდომება საქმის წარმოებისას“.⁶³

გადაწყვეტილების გამოტანისას საკონსტიტუციო სასამართლომ ასე-ვე განაცხადა: გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მოპასუხე მხარის ეროვნული კანონმდებლობა უშევებდა სასამართლო განხილვის მიმდინა-რეობის პერიოდში პირის ამ ხანგრძლივობით პატიმრობაში ყოფნას, ვი-ნაიდან სტრასბურგის სასამართლო თავდაპირელად იხილავს შიდასახელ-მწიფოებრივი სტანდარტების დაცვას და შემდგომ ამ სტანდარტების ევრო-პულ კონვენციასა და პრეცედენტულ სამართალთან შესაბამისობას.

ხსენებულთან დაკავშირებით დამატებით შეიძლება ითქვას, რომ სტრას-ბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც წინასწარი პატიმრობის მაქსიმალურ ვადას ითვალისწინებს, კონვენციის შესაბამისობასთან დაკავშირებით პრო-

61. 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A №9.

62. 1996 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება.

63. მრავალ სხვა გადაწყვეტილებას შორის იხ.: *Herczegfalvy v. Austria*, 1992 წლის 24 სექტემ-ბერი, სერია A № 244, 71-ე პუნქტი.

ბლემებს არ წამოჭრის. თუმცა, ცხადია, მაქსიმალური ვალისთვის გადა-
მწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება შეცდომა იქნებოდა, რამდენადაც სწორედ
საქმის კონკრეტული გარემოებები განსაზღვრავს, არის თუ არა გონივრუ-
ლი ვადის მოთხოვნა დაცული.

7) წინამდებარე საქმეში⁶⁴ საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ
დააკმაყოფილა მოსარჩევეთა მოთხოვნა და არაკონსტიტუციურად ცნო
შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-8
მუხლის მე-5 პუნქტი, აგრეთვე მე-14 მუხლის პირველი პუნქტის დებულე-
ბა: „ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი წარმომადგენე-
ლი“.

საკონსტიტუციო სასამართლომ იხელმძღვანელა გაერთიანებული ერე-
ბის ორგანიზაციის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორი-
სო 21-ე მუხლით და აღნიშნა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა
საერთაშორისო პაქტი იცავს მშვიდობიანი შეკრების უფლებას, თუმცა შე-
კრების თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება.

პირველ რიგში, ეს თავისუფლება მოიცავს მხოლოდ მშვიდობიან შე-
კრებებს და შეკრებები არ უნდა ატარებდეს ძალადობრივ ხასიათს. თუმ-
ცა ხსენებულიდან არ გამომდინარეობს, რომ ხელისუფლების ორგანოები
გათავისუფლებული არიან ადამიანის უფლებათა ვალდებულებისაგან
ძალადობრივი შეკრებების კონტროლირებისას. დანის სახელმწიფოს-
თან მიმართებით ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ გამოცემული
მიმოხილვებიდან⁶⁵ შეიძლება დავასკვნათ, რომ ძალადობრივ შეკრებებ-
ში მშვიდობიანი მონაწილეობა შეიძლება მოხვდეს 21-ე მუხლის დაცვის
სფეროში.⁶⁶

საერთაშორისო პაქტის 21-ე მუხლის მნიშვნელობით მშვიდობიანი შე-
კრებები „შეიძლება“ („ne peut faire l'objet que“) შეიზღუდოს მხოლოდ წარ-
მოდგენილი მუხლის მე-2 წინადადებაში ჩამოთვლილი პირობების თანახმად
და შეზღუდვები

- განხორციელებული უნდა იყოს კანონის შესაბამისად;
- უნდა ემსახურებოდეს ერთ-ერთ დასახულ მიზანს;
- აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში დასახულ
მიზნის მისაღწევად.⁶⁷

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 21-ე

64. საქმის № 2/2/180-183, 2002 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება.

65. (1997) UN Doc. CCPR/C/79/Add. 68, მე-14 პუნქტი.

66. Sarah Joseph, Jenny Schultz, and Melissa Castan, *The International Covenant on Civil and Political Rights, Cases, Materials, and Commentary*, Second Edition, Oxford Press, 2004, გვ. 569.

67. M. Nowak, *UN Covenant on Civil and Political Rights: CCPR Commentary*, (N.P. Engel, Kehl, 1993), გვ. 377.

მუხლზე არსებული ერთადერთი საქმეა *Kivenmaa v. Finland (412/90)*.⁶⁸

აღნიშნული უფლება ასევე გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით, რომელიც აცხადებს შემდეგს:

„1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა, აგრეთვე სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოს, დააწესოს კანონიერი შეზღუდვები ამ უფლებათა განხორციელებაზე შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ.“

ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი უზრუნველყოფს ისეთ ღირებულებას, როგორიცაა ადამიანთა შეკრებისა და გაერთიანების უფლება. როგორც მუხლის შინაარსიდან ნათლად ჩანს, იგი მოიცავს და აერთიანებს ორ, ერთი შეხედვით, მარტივ და ერთგვაროვან უფლებას შეკრებასა და გაერთიანებაზე. მაგრამ მე-11 მუხლი არ უზრუნველყოფს შეკრების თავისუფლებას *per se*, იგი მხოლოდ მშვიდობიანი შეკრების უფლებას გულისხმობს.⁶⁹

მე-11 მუხლით უზრუნველყოფილი უფლება მშვიდობიან შეკრებასა და გაერთიანებაზე მჭიდროდაა დაკავშირებული აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან (რომელიც დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით) და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებასთან, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილია კონვენციის მე-9 მუხლით. ევროპულმა სასამართლომ რამდენჯერმე აღნიშნა ხაზგასმით, რომ მე-9 და მე-10 მუხლების მოქმედების ფარგლები ძალიან შეზღუდული იქნებოდა, თუ არ იარსებებდა აზრთა და შეხედულებათა გაცვლის გარანტია სხვებთან ერთობლიობაში, კერძოდ, გაერთიანების საშუალებით, რომელიც მოიცავს ერთნაირი შეხედულებების, ინტერესებისა და რწმენის მქონე ადამიანებს.⁷⁰ მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების ერთ-ერთ მიზანი, შესაძლოა, იყოს აზრის ქონა და ინფორმაციისა და მოსაზრებების მიღება ან გავრცელება.⁷¹

68. Sarah Joseph, Jenny Schultz, and Melissa Castan, *The International Covenant on Civil and Political Rights, Cases, Materials, and Commentary*, Second Edition, Oxford Press, 2004, გვ. 570.

69. G. v. Federal Republic of Germany, DR 60/256 და ასევე იბ. H. v. Austria.

70. Chassagnou and others v. France (2000) 29 EHRR.

71. Ahmed and others v. U.K.

ამიტომაც, როდესაც სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი განაცხადი ეხება მე-9, მე-10 და/ან მე-11 მუხლებს, სასამართლომ შესაძლოა შესაბამისი განაცხადი განიხილოს მხოლოდ ერთ-ერთი მუხლის ჭრილში როგორც *lex specialis*. შესაბამისი საქმის ცალკეული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოს ასევე შეუძლია, დაადგინოს მე-9-მე-11 მუხლებიდან ერთზე მეტის დარღვევა.

მე-11 მუხლთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო განსაკუთრებული და დეტალურად განიხილავს განაცხადებს, რომლებიც ეხება პოლიტიკური ხასიათის მქონე შეკრებებს, ვიდრე სხვა სახის შეკრებებთან დაკავშირებულ საქმეებს. ეს აიხსნება იმით, რომ პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვისა და პოლიტიკური გაერთიანებების თავისუფლებას სტრასბურგის ორგანო მიიჩნევს როგორც დემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და ფუნქციონირების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წინაპირობას.

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლება ითვლება ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წინაპირობად დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის. შეკრება აუცილებლად უნდა იყოს მშვიდობიანი, რათა მოხვდეს მე-11 მუხლის დაცვის სფეროში. მე-11 მუხლი არ იცავს შეკრებას, რომელსაც აქვს ძალადობრივი ან დანაშაულებრივი მიზნები, რაც შემდგომში გადაიზრდება საზოგადო არეულობაში.⁷² თუმცა მე-11 მუხლი იცავს შეკრებას, რომლის დროსაც არსებობს შეკრების მოწინააღმდეგ დემონსტრაცითა მიერ ჩაშლის რეალური რისკი და მოსალოდნელი ძალადობის კონტროლს ვერ განახორციელებენ შეკრების ორგანიზატორები.⁷³

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 21-ე მუხლისაგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის ჭრილში პრეცედენტულ სამართალში მრავლად მოიპოვება სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები. სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, რომ კონვენცია არა მარტო ავალდებულებს ხელშეკრულების მონაბილე სახელმწიფოთა ხელისუფლების ორგანოებს, პატივი სცენ კონვენციით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ ასევე მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა უზრუნველყონ უფლებათა და თავისუფლებათა ნებისმიერი დარღვევის აღკვეთა და დარღვევის შედეგად გამოწვეული შედეგების გამოსწორება. სწორედ ამიტომ კონვენციის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის ვალდებულება შესაძლოა, სახელმწიფოს აკისრებდეს პოზიტიურ ვალდებულებას კონკრეტული ღონისძიების გატარების თვალსაზრისით, თუნდაც კერძო პირების ურთიერთობასთან მიმართებით. აღნიშნულის საფუძველზე

72. *G v. Germany*.

73. *Christians against Racism and Fascism v. the United Kingdom*.

სასამართლომ განსაზღვრა, რომ უფლება მშვიდობიანი შეკრების თავი-სუფლებისა მოიცავს დემონსტრაციის მოწინააღმდეგებისაგან დაცვის უფლებასაც, რადგან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი უფლების ეფექტიანად განხორციელება იმ ჯგუფების მიერ, რომლებსაც სურთ, გამართონ დემონსტრაცია მეტად სადაც საკითხებთან დაკავშირებით:

„მშვიდობიანი შეკრების ეფექტიანი განხორციელება არ შეიძლება შემოიფარგლოს სახელმწიფოს მხოლოდ იმ ვალდებულებით, რომ არ ჩაერიოს უფლების განხორციელებაში: მხოლოდ ნეგატიური კონცეფცია არ იქნებოდა მე-11 მუხლის მოთხოვნების შესაბამისი. მე-8 მუხლის მსგავსად, მე-11 მუხლი ზოგჯერ მოითხოვს პოზიტიურ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს თუნდაც კერძო პირებთან მიმართებით, რა თქმა უნდა, თუ ამის საჭიროება წარმოიშობა.“⁷⁴

იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების ორგანოების მიერ უზრუნველყოფილი დაცვის ღონისძიები არ აღმოჩნდება საკმარისი, რათა შესაბამის ჯგუფს მიეცეს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა, აღნიშნული ფაქტი იქნება უფლების შეზღუდვა, რომელიც გამართლებისათვის განხილულ უნდა იქნეს მე-2 პუნქტი მოცემულ შეზღუდვათა თვალსაზრისით.

სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში - *Plattform "Arzte fur das Leben" v. Austria* - მშვიდობიანი მსვლელობა შეაჩერეს და დაშალეს მოწინააღმდეგებმა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ორგანოებს განთავსებული ჰყავდათ პოლიციის ძალები დემონსტრაციის ჩატარების ადგილას. მართალია, მსვლელობის მონაწილე პირებს მიაყენეს შეურაცხყოფა, დაუშინეს კვერცხები და ბალაზის ბლუჯები, მაგრამ არცერთი მონაწილე არ დაშავებულა. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათ არასაკმარისად იცავდა პოლიცია დემონსტრაციის მოწინააღმდეგებისაგან. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ, მართალია, სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, განახორციელონ გონივრული და შესაბამისი ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყონ კანონიერი დემონსტრაციების გამართვას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოები ვალდებული იყვნენ, ეს განეხორციელებინათ აპსოლუტურ ფორმებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპული სასამართლოს განმარტებით, ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, მხოლოდ გონივრულ ფარგლებში და საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე განახორციელონ მშვიდობიანი შეკრების უზრუნველყოფის ღონისძიებები. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ არ მომხდარა მე-11 მუხლით განსაზღვრული პოზიტიური ვალდებულების დარღვევა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან.

74. საქმეზე - *Plattform - "Arzte fur das Leben" v. Austria* - გამოტანილი გადაწყვეტილება, 1988 წლის 21 ივნისი.

4. უზენაესი სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა

8) წინამდებარე საქმეში⁷⁵ მოსარჩელე მოითხოვდა საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას. გადაწყვეტილების გამოტანისას უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით და აღნიშნა, რომ, ვინაიდან პოლიციელის მიერ ეჭვმიტანილის სიცოცხლის განზრას მოსპობა მატერიალური სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მცდელობის ჩადენისას დაკავების მიზნით, იმ ვითარებაში, როდესაც ამ პირისაგან სხვა პიროვნებას არავითარი საფრთხე არ ემუქრება, საყოველთაოდ აღიარებული სიცოცხლის უფლების ხელყოფა და აშკარად ეწინააღმდეგება სამართლებრივი სიკეთის დაცვის სისხლისსამართლებრივ კონცეფციას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად:

„1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრას იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

ა) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;

ბ) კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

გ) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.“

სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფლება არის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათაგან „ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი და ფუნდამენტური ღირებულება დემოკრატიული საზოგადოებისათვის, რომელსაც ემყარება თვით ევროპის

75. უზენაესი სასამართლო: საქმის № 8¹, 2001 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

საბჭო⁷⁶. სიცოცხლის უფლების ფუნდამენტურ მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ ამ მუხლით დაცული უფლება აბსოლუტური ხასიათისაა და, კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის (გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს) თანახმად, დაუშვებელია მისგან გადახვევა ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის არსებობისას.

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ვალდებულებებს. ნეგატიური ვალდებულება გულისხმობს, რომ სახელმწიფომ და ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებმა არ უნდა წაართვან არავის სიცოცხლე, გარდა კონკრეტული, ამავე მუხლში ჩამოთვლილი გამონაკლისი შემთხვევებისა. თუმცა დღევანდელ ეტაპზე იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის მე-6 დამატებითი ოქმის რატიფიცირება,⁷⁷ ეკრძალებათ სიკვდილით დასჯა მშვიდობიან პერიოდში. კონვენციის მე-13 დამატებითმა ოქმმა კიდევ უფრო აბსოლუტური გახადა სიცოცხლის უფლება და აკრძალა სიკვდილით დასჯა ომიანობის პერიოდშიც კი. რაც შეეხება სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებას, იგი გულისხმობს სიცოცხლის დაცვას და ავალდებულებს ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლებს, წარმართონ ადეკვატური, ჯეროვანი და სრულყოფილი გამოძიება ფატალური შემთხვევების არსებობისას.

თუმცა ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სიცოცხლის უფლება გარანტიას აძლევს ნებისმიერ პირს, დაცული იყოს სიკვდილის ყველა საფრთხო-საგან. როგორც ამას ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოჩენილი მკვლევარი აცხადებდა:

„კანონით დაცული უნდა იქნეს არა თვით სიცოცხლე, არამედ სიცოცხლის უფლება“⁷⁸

უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმის - *W. v. the United Kingdom*⁷⁹ - განხილვისას განაცხადა, რომ კონკრეტული სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების პოზიტიური ვალდებულება – დაიცვან სიცოცხლე, რა თქმა უნდა, იმას კი არ გულისხმობს, რომ სახელმწიფო ყველა ადამიანი უზრუნველყოს პირადი მცველით, არამედ გულისხმობს ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებას, აღძრან სამართლწარ-

76. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 1995 წლის 27 სექტემბერს გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეზე - *McCann and others v. the United Kingdom* (განაცხადი №18984/91).

77. საქართველომ მე-6 დამატებითი ოქმის რატიფიცირება მოახდინა 2000 წლის 1 მაისს, ხოლო მე-13 ოქმისა – 2003 წლის 1 სექტემბერს.

78. J.E.C. Fawcett, *The Application of the European Convention on Human Rights*, მე-2 გამოცემა, Oxford, 1987, გვ. 37.

79. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1983 წლის გადაწყვეტილება (განაცხადი №9348/81) და საქმე X. v. the United Kingdom and Ireland (განაცხადი №9829/82).

მოება, ჯეროვნად და სრულყოფილად გამოიძიონ კონკრეტული შემთხვევები და მოიძიონ პირი, რომელმაც ჩაიდინა მკვლელობა, რათა წარუდგინონ იგი მართლმსაჯულებას.

წინამდებარე გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია პოლიციის მიერ ჩატარებულ ოპერაციებთან სტრასტურგის სასამართლოს მიდგომის განხილვა. ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით, იყო - *McCann and others v. the United Kingdom*⁸⁰. აღნიშნული საქმე ეხებოდა გაერთიანებული სამეფოს ჯარისკაცების მიერ ირლანდიის განმათავისუფლებელი არმიის (IRA) წევრთა სასიკვდილოდ დაჭრას, რათა თავიდან აეცილებინათ ბომბის დამონტაჟება და მისი აფეთქება გიბრალტარის ცენტრში. აღნიშნული მოქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით გაერთიანებული სამეფოს ჯარისკაცებს ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია. ევროპულმა სასამართლომ, სანამ საქმის კონკრეტულ ფაქტებს განაზოგადებდა და საკუთარ შეფასებაზე გადავიდოდა, მე-2 მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ასეთი ზოგადი კომენტარები გააკეთა:

„სასამართლო აცხადებს, რომ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული გამონაკლიის ვრცელდება, მაგრამ არა განზრას მკვლელობაზე. მთლიანობაში, მე-2 მუხლის ტექსტი გულისხმობს, რომ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, უპირველესად, იმ გარემოებებსა და შემთხვევებს კი არ ადგენს, რომელთა არსებობისასაც ნებადართულია პირის განზრას მკვლელობა, არამედ აღნერს იმ შემთხვევებს, როცა ნებადართულია „ძალის გამოყენება“, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს გაუფრთხილებელი შედეგი, ანუ ადამიანისათვის სიცოცხლის წართმევა. თუმცა ძალის გამოყენება უნდა იყოს „აბსოლუტურად აუცილებელი“.⁸¹

ტერმინ „აბსოლუტურად აუცილებელთან“ დაკავშირებით, რომელიც მოცემულია მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ეს უკანასკნელი ავალდებულებს სახელმწიფოებს და ხელისუფლების ორგანოებს, რომ მათ უფრო მკაცრად და ჯეროვნად გამოიკვლიონ ძალის გამოყენების „აუცილებლობის“ არსებობა, ვიდრე ეს ხორციელდება იმ დროს, როდესაც ევროპული კონვენციის მე-8 – მე-11 მუხლების მე-2 ნაწილების თანახმად, განისაზღვრება – რამდენად „აუცილებელია ამის განხორციელება დემოკრატიულ საზოგადოებაში“. შესაბამისად, გამოყენებული ძალა უმკაცრესად პროპორციული უნდა იყოს და უნდა შეესაბამებოდეს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ქვეპუნქტებ-

80. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 1995 წლის 27 სექტემბერს გამოტანილი გადაწყვეტილება (განაცხადი №18984/91).

81. იქვე.

ში მოცემულ კანონიერ მიზნებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებულ საქმეებს სტრასბურგის სასამართლო განიხილავს განსაკუთრებული გულმოდგინებით და ყურადღებით, მხედველობაში იღებს საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემობას, მათ შორის იმას, თუ როგორ დაგეგმეს და განახორციელეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ის ოპერაცია, რომლის შედეგადაც პირს წაერთვა სიცოცხლე.

ხსენებულ *McCann*-ის საქმეში, მართალია, სტრასბურგის სასამართლომ დაუშვა ის მოსაზრება, რომ ბრიტანელი ჯარისკაცები მიღებული ოპერატორული ინფორმაციის საფუძველზე კეთილსინდისიერად ვარაუდობდნენ, და რომ აბსოლუტურად აუცილებელი იყო ეჭვმიტანილი პირების მიმართულებით ცეცხლის გახსნა ბომბის აფეთქების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ რამდენიმე ფაქტორმა მაინც მოახდინა სასამართლოზე ზეგავლენა და საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა სიცოცხლის უფლების დარღვევა, კერძოდ: სტრასბურგის სასამართლომ, პირველ რიგში, ხაზგას-მით აღნიშნა ის, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ნება მისცეს ეჭვმიტანილებს, შესულიყვნენ გიბრალტარში, რათა ეთვალთვალათ მათი მოქმედებებისათვის, მაშინ როცა თავისუფლად შეეძლოთ მათი დაკავება საზღვრის გადალახვისას; მეორე მხრივ, ხელისუფლების ორგანოებს არ დაუშვიათ ის შესაძლებლობა, რომ მათი დაზვერვის მიერ მოპოვებული ინფორმაცია შესაძლოა, მცდარი ყოფილიყო; მესამე, ჯარისკაცებმა ავტომატურად გახსნეს სასიკვდილო ცეცხლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა არაჯეროვნად დაგეგმეს და განახორციელეს ოპერაცია, რომლის შედეგადაც ეჭვმიტანილები დახოცეს.

ასევე, კონვენციის მე-2 მუხლთან პოლიციის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ოპერაციის შეუსაბამობას ასაჩივრებდნენ განმცხადებლები ევროპის სასამართლოს წინაშე საქმეში - *Andronicou and Constantinou v. Cyprus*.⁸² აღნიშნულ საქმეში მამაკაცმა თავისი დანიშნული საცოლე სახლში მძევლად აიყვანა. მას შემდეგ, რაც პოლიციამ რამდენიმე საათის განმავლობაში უშედეგოდ სცადა მოლაპარაკება გამტაცებელთან, რომელიც შეიირალებული იყო ცეცხლსასროლი იარაღით, განხორციელდა ბინის შტურმი, რის შედეგადაც გამტაცებელიც და მძევალიც დაიღუპნენ. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოყენებულ ძალას არ გადაუჭარბებია იმ მოცულობისათვის, რომელიც „აბსოლუტურად აუცილებელი“ იყო მოცემულ ვითარებაში. სასამართლოს აზრით, პოლიციის მიერ განხორციელებული ოპერაცია ადეკვატურად იყო დაგეგმილი. ასეთ ვითარებაში სასამართლოს მიერ გამოყენებული ტესტი ისაა, რომ ოპერაციის დროს მაქსიმალურად შესაძლებელ ფარ-

82. 1997 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება; 25 E.H.R.R. 491.

გლებში უნდა შემცირდეს პირის სიცოცხლის წართმევის საფრთხე.

1990-იანი წლებიდან ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და კომისიამ⁸³ განიხილეს განაცხადთა მთელი წელი წყება, რომლებიც ეხებოდა სიკვდილის შემთხვევებს სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში. მაგალითად, საქმეში - *Ogur v. Turkey*⁸⁴ - სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი დაირღვა, რადგან თურქეთის უშიშროების ძალები მა არაჯეროვნად დაგეგმეს და განახორციელეს ოპერაცია, რომელსაც შედეგად მოჰყვა მუსა ოგურის სასიკვდილოდ დაჭრა. ასევე, მე-2 მუხლის დარღვევად მიიჩნიეს აღნიშნულ საქმეში ის გარემოება, რომ ხელისუფლების ორგანოებმა არ ჩაატარეს ჯეროვანი, ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიება უშიშროების ძალების მიერ განხორციელებულ მოქმედებებთან დაკავშირებით.

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ საქმეში - *Ergi v. Turkey*⁸⁵, რომელშიც სასამართლომ ისევ და ისევ მე-2 მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ ცნო უშიშროების ძალების მიერ დაგეგმილი და ჩატარებული ოპერაცია და, ამასთანავე, ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანოებმა არ აწარმოეს ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიება. თუმცა ამავე საქმეში სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ მის წინაშე არ ყოფილა წარდგენილი საკმარისი მტკიცებულებები, რათა გონივრულ ეჭვს მიღმა დაედგინა ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების მიერ განგებ განხორციელებული მკვლელობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს როგორც ნეგატიურ ვალდებულებას (არ ხელყონ პირის სიცოცხლე), ისე პოზიტიურ ვალდებულებასაც (გონივრულ ფარგლებში ეფექტიანად დაიცვან პირის სიცოცხლე და სიცოცხლის უფლების სავარაუდო დარღვევის შემთხვევაში აწარმოონ ეფექტიანი და სრულყოფილი გამოძიება), ანუ სიცოცხლის უფლება მოიცავს როგორც არსებით უფლებას, ისე პროცედურულ ვალდებულებებსაც.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 1990-იან წლებში საქმეთა მთელ რიგში თურქეთის წინააღმდეგ, რომლებიც ეხებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში უშიშროების ძალების მიერ განხორციელებულ ოპერაციებს, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთის ხელისუფლების ორგანოებმა დაარღვიეს მე-2 მუხლით მოცული პროცედურული ვალდებულებები. საქმეში - *Tanrikulu v. Turkey*⁸⁶ - სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთის ხელისუფლების ორგანოებმა არსებულ გარემოებებში

83. ადრემოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია და სასამართლო შეიცვალა 1998 წელს კონვენციის მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შედეგად და ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

84. იხ. 1999 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება (განაცხადი №21594/93).

85. იხ. 1998 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება (განაცხადი №23818/94).

86. იხ. 1999 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება (განაცხადი №26763/94).

განმცხადებლის მეუღლის მკვლელობასთან დაკავშირებით ვერ აწარმოეს ჯეროვანი, სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიება.

და ბოლოს, სასიკვდილო შემთხვევების აღკვეთა და ეფექტიანი გამოძიება ეხება არა მარტო იმ სასიკვდილო შემთხვევებს, რომლებიც განხორციელდა იმ მომენტში, როცა მსხვერპლი იმყოფებოდა ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლების ზედამხედველობაში (საპატიმროში, სასჯელადსრულებით დაწესებულებაში, პოლიციის განყოფილებაში), არამედ მაშინაც, როცა ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდათ ინფორმაცია სასიკვდილო შემთხვევასთან ან მის საფრთხესთან დაკავშირებით.⁸⁷

9) წინამდებარე საქმეში⁸⁸ სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის სარჩელი და აღნიშნა: არასწორია მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნები. ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, არავინ შეიძლება გახდეს წამების, არა-ადამიანური მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი. პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს ასე არ მოპყრობიან. დამატებით, სასამართლოს შეხედულებით, ასევე არასწორია მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა და დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის მოთხოვნები. ამ მუხლის შესაბამისად, კონვენციაში ჩამოთვლილი უფლებებით სარგებლობა შეუძლია ყველას ყოველგვარი სახის სქესობრივი, რასობრივი, კანის ფერის, ენის, რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა მრნამსის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა გარემოების გამო დისკრიმინაციის გარეშე.

წარმოდგენილი გადაწყვეტილების ჭრილში უნდა ითქვას შემდეგი: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ირგვლივ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ იგი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური ღირებულებაა. მე-3 მუხლის თანახმად, არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. წინამდებარე გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხეთა მხრიდან ასეთი ქმედება ანუ წამება, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობა ან

87. იხ. *Ergi v. Turkey*, 1998 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება (განაცხადი № 23818/94) და 1999 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე – *Tanrikulu v. Turkey*, განაცხადი № 26763/94.

88. უზენაესი სასამართლო: საქმის № 3კ-606-02, 2002 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

დასჯა არ განხორციელებულა.

ცხრა სიტყვით ფორმულირებული მე-3 მუხლი კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე მოკლე დებულებაა.⁸⁹ თუმცა მუხლის მოცულობა არ მოქმედებს მის სიღრმესა და მნიშვნელობაზე. საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მოსამართლები და ზოგადად ხელისუფლების ეროვნული ორგანოები არ შეიძლება იყვნენ მშვიდად, თუკი სათანადოდ აცნობიერებენ ამ დებულების პატივისცემისა და განხორციელების მნიშვნელობას.

საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მოსამართლები ასევე უნდა აცნობიერებდნენ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად გამოცხადება გულისხმობს, რომ მათ, როგორც მოსამართლეებს, ხშირი შეხება ექნებათ ინდივიდებთან, რომელიც მათ წინაშე მოახდენენ კონვენციის მუხლებით გარანტირებული უფლებების წარდგენას.

აღნიშნულის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია სწორედ წინამდებარე საქმე, რომელშიც მოსარჩელე უთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნები.

წამებას, როგორც იურიდიულ ტერმინს, აქვს საკუთარი განცალკევებული სამართლებრივი მნიშვნელობა. ევროპული სასამართლოს აზრით, ორივე ტერმინის – „წამების“ და „არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის“ – გამოყენებისას კონვენციის ავტორთა მიზანი მათი ცალსახა გამიჯვნა იყო.⁹⁰

უფრო კონკრეტულად, სტრასბურგის სასამართლომ ჩათვალა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა განსაკუთრებული სტიგმის მინიჭება განზრახ არა-ადამიანური მოპყრობის დროს, რომელიც იწვევს სერიოზულ და საშინელ ტანჯვას.⁹¹ სასამართლომ მიუთითა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1975 წლის 9 დეკემბრის № 3452 რეზოლუციის 1-ლ მუხლზე, რომლის თანახმადაც:

„წამება წარმოადგენს სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამწვავებულ და განზრახ ფორმას“.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა ის ელემენტები, რომლებიც ახასიათებს მოპყრობას ან სასჯელს, როგორც წამებას, მას არ განუსაზღვრავს ზუსტად ეს ტერმინი,

89. კონვენციის მე-2 ოქმის მე-4 მუხლის თანახმად, „აკრძალულია უცხოელთა კოლექტიური გაძევება.“ ეს დებულება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და თანდართული ოქმების ყველაზე მოკლე მუხლია.

90. იქვე, გვ. 186. იხ. უახლესი საქმე *Dikme v.Turkey*, 2000 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება, 93-ე პუნქტი.

91. იქვე, 167-ე პუნქტი.

თუმცა ევროპულმა სასამართლომ ნაწილობრივ მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების საწინააღმდეგო კონვენციაში მოცემული განსაზღვრება. ეს კონვენცია ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს.⁹² სწორედ ამ კონვენციაში ჩამოყალიბებულ განსაზღვრებას იყენებს უზენაესი სასამართლო და ამბობს, რომ წამება არის ისეთი ქმედება, როცა პირს განზრას მიეყენება ფიზიკური ან ზეობრივი ტკივილი, ან ტანჯვა იმ მიზნით, რომ მისგან ან მესამე პირისაგან მიღებულ იქნეს ცნობები ან აღიარება, რათა დაისაჯოს იმ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე, დაშინებული ან იძულებული გახდეს თვითონ ან მესამე პირი, რაც ემყარება ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას, ამასთან, ზემოაღნიშნულ ქმედებას უნდა ჩადიოდეს სახელმწიფო თანამდებობის პირი, ან სხვა პირი, რომელიც სახელმწიფოს რანგში გამოდის.

როგორც უკვე აღინიშნა, ევროპულმა სასამართლომ ნაწილობრივ მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების საწინააღმდეგო კონვენციაში მოცემული და, შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მიერ გამოყენებული წამების განსაზღვრება.

ევროპული კონვენციის 1-ლი და მე-3 მუხლები აკისრებს სახელმწიფოებს მთელ რიგს პოზიტიურ ვალდებულებათა, რომელთა დანიშნულებაა წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ფორმების აღკვეთა და შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველყოფა. საქმეში - *Asenov and Others v. Bulgaria*⁹³- ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: რომ, როდესაც პირი წარმოადგენს საფუძვლიან საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მასზე უკანონოდ და მე-3 მუხლის დარღვევით სერიოზულად განხორციელდა არასათანადო მოპყრობა პოლიციის ან სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლების მიერ, ხსენებული დებულება, სახელმწიფოებზე კონვენციის 1-ლი მუხლით დაკისრებულ ზოგად ვალდებულებასთან ერთად, რომლის შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, „თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ყველასათვის უზრუნველყონ [კონვენციაში] განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“, მოითხოვს, წარიმართოს ოფიციალური გამოძიება. გამოძიების შედეგად შესაძლებელი უნდა იყოს პასუხისმგებელ პირთა დადგენა და დასჯა. თუმცა ყოველ საქმეში სახელმწიფოს ვალდებულება მხოლოდ და მხოლოდ წარმოიშობა იმ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, რომელიც, სავარაუდოდ, ჩადენილია მის იურისდიქციიაში.

საქმეში - *Labita v. Italy*⁹⁴ - სასამართლომ დაადასტურა ხსენებული ვალდებულება, რადგანაც სხვაგვარად წამებისა და არაადამიანური და დამა-

92. იხ. განსაკუთრებით, საქმე - *Akkoç v. Turkey*, 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, 115-ე პუნქტი; საქმე *Salman v. Turkey*, 2000 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, 114-ე პუნქტი.

93. 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მოხსენები 1998-VIII, 94-ე პუნქტი.

94. იხ. საქმე *Labita v. Italy*, განაცხადი № 26772/95, 121-ე პუნქტი, ECHR 2000-IV.

მცირებელი მოპყრობის ზოგადი აკრძალვა, მისი ფუნდამენტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, პრაქტიკაში არაეფექტიანი იქნებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფოს წარმომადგენლებს შეეძლებოდათ იმ პირთა უფლებების დარღვევა, რომლებიც მათი კონტროლის ქვეშ იქნებოდნენ ვირტუალური დაუსჯელობით.

წამების აკრძალვა მოითხოვს სიფხიზლის მაღალ დონეს სასამართლო ორგანოების მხრიდან და სასამართლო ორგანოებს აყენებს რისკის წინაშე, რომ შეურიგდენენ მე-3 მუხლის დარღვევას, ისევე როგორც საკუთარი ქმედებებით განაპირობონ დისკრეციული დარღვევები.

prima facie ვალდებულების გარდა, რომლის თანახმადაც, სასამართლო ორგანოები არ უნდა ჩაერთონ აკრძალულ ქმედებებში, როგორიცაა უკანონო სასჯელის დაწესება, სასამართლო ორგანოებს ეკისრებათ უმნიშვნელოვანესი ვალდებულება, გამოიძიონ მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული პრეტენზიები. რადგანაც წინამდებარე მუხლის დარღვევა ადამიანის უმნიშვნელოვანესი და ფუნდამენტური უფლებების გარანტიების დარღვევაა, ხსენებულ პრეტენზიებთან დაკავშირებული გამოძიება უნდა წარიმართოს მაღალ დონეზე – გამოძიება უნდა იყოს ჯეროვანი, ეფექტური, სრულყოფილი, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება ნებისმიერი დამნაშავის აღმოჩენა და დასჯა.

აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად სასამართლო ორგანოებს უნდა შეეძლოთ, გამოავლინონ და სწორად გააანალიზონ, როდესაც ქმედება ხელყოფს მე-3 მუხლში მოხსენიებულ აკრძალვას, ხოლო, დარღვევის შემთხვევაში, უნდა შეძლონ შესაბამისი ანაზღაურების მინიჭება.

პრეტენზიებთან დაკავშირებით ადეკვატური საპასუხო ღონისძიებების გაუტარებლობამ შესაძლოა, წამოჭრას მე-3 მუხლის ცალკეული და დისკრეციული დარღვევა სასამართლო ორგანოების მხრიდან. იგი შეიძლება მოხდეს, როდესაც მე-3 მუხლის პროცესუალური ასპექტები არ შესრულებულა, ან რადგანაც სასამართლო ორგანოების მხრიდან მოქმედებამ თუ უმოქმედობამ თავად გამოიწვია ასეთი ტანჯვა იმ პირებში, რომლებიც ცდილობდნენ კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის საშუალებების მოპოვებას.

სასამართლო ორგანოებს უნდა ჰქონდეთ საშუალებები, რათა პირებს შესთავაზონ და განსახორციელონ ეფექტიანი დაცვა აკრძალული ქმედებებისაგან. ეს ნიშნავს, რომ საკანონმდებლო სისტემა ადეკვატურად უნდა იყოს მოწყობილი და გამოყენებული ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად. საკანონმდებლო სისტემაში არსებული ხარვეზები განაპირობებს სასამართლო ორგანოების მიერ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის პოტენციურ დარღვევას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ საქმეში მოსარჩელე ასევე უთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა და დაარღვია ევროპული კონვენ-

ციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) მოთხოვნები. ამის საწინააღმდეგოდ უზენაესი სასამართლოს პალატა არ დაეთანხმა მოსარჩელის მითითებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა და დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებს, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.

მე-13 მუხლის (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) მსგავსად, მე-14 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივარი, შესაძლოა, ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილ იქნეს მხოლოდ კონვენციის მე-2-მე-12 მუხლებსა და დამატებით ოქმებში მოცემულ რომელიმე სუბსტანციურ უფლებასთან ერთობლიობაში. მე-14 მუხლი მოითხოვს, რომ სუბსტანციური უფლებების განხორციელებისას არ იქნეს დაშვებული დისკრიმინაცია. მე-13 მუხლისაგან განსხვავებით, საქმეში ჩართვამდე იგი არ მოითხოვს სუბსტანციური უფლების დარღვევასთან დაკავშირებულ მტკიცებულებას. ამასთან, დისკრიმინაციის შესაძლო ფორმები, რომლებიც ჩამოთვლილია მე-14 მუხლში, ამომწურავი არ არის.

დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ერთ-ერთი პირველი საქმე გახლდათ *Belgian Linguistics v. Belgium*.⁹⁵ საქმე ეხებოდა ფრანგულად მოლაპარაკე ბელგიელებს, რომლებიც ცხოვრობდნენ პოლანდიურად მოლაპარაკე მუნიციპალიტეტებში და მოითხოვდნენ უფლებას, თავიანთი შვილებისათვის უზრუნველეყოთ განათლება ფრანგულ ენაზე. საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლო ჩამოაყალიბა პრინციპები და მიღვიმები მე-14 მუხლთან დაკავშირებით:

„თანასწორობის პრინციპი ირღვევა, როდესაც განსხვავებას არ გააჩნია ობიექტური და გონივრული გამართლება. გამართლების არსებობა უნდა შეფასდეს ღონისძიების მიზნებთან და შედეგებთან მიმართებით, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის პრინციპები, რომლებიც პრევალირებები დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოპყრობის განსხვავება კონვენციით განსაზღვრული უფლების განხორციელებისას არა მარტო უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს, მე-14 მუხლის დარღვევა იკვეთება მაშინაც, როცა დადგინდება, რომ პროპორციულობის პრინციპი იყო დარღვეული მისაღწევი მიზნის განხორციელებასა და გამოყენებულ საშუალებას შორის.⁹⁶

მაშინ, როდესაც მე-14 მუხლის დარღვევის დადგენა შესაძლებელია

95. 1975 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

96. იხ. საქმე *Belgian Linguistics v. Belgium*.

სასამართლოს მიერ სხვა სუბსტანციური მუხლის დარღვევის აღიარების გარეშე, აუცილებელია იმის დამტკიცება, რომ დისკრიმინაციული მოპყრობა კონვენციით გარანტირებული უფლების ფარგლებს გარეთ არ ხვდება.

აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენციისაგან განსხვავებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებათა საერთაშორისო პაქტი მოიცავს ზოგად დებულებას დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. ხსენებული დებულების დარღვევა, შესაძლებელია, გასაჩივრებულ იქნეს ხელშემკვრელი სახელმწიფოების წინააღმდეგ, როდესაც განსხვავებული მოპყრობა არანაირად არ არღვევს და ზეგავლენას არ ახდენს საერთაშორისო პაქტის სხვა უფლებაზე.

10) წინამდებარე საქმეში⁹⁷ მოსარჩელე მოითხოვდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს პრძანების კონკრეტული პუნქტების ბათილად ცნობას. ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატამ დააკმაყოფილა მოსარჩელის სარჩელი. ამასთან, პალატამ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით და აღნიშნა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ დაარღვია აღნიშნული მუხლით უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს უფლება, ვინაიდან სასამართლო პროცესზე მხარეები უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები და მტკიცებულებები.

ხსენებულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამართლებრივ საშუალებათა თანასწორობის დაცვა სამართლიანი სასამართლო უფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა. სამართლებრივ საშუალებათა თანასწორობის პრინციპის თანახმად, სამართალწარმოების თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, რათა საქმესთან დაკავშირებით თავისი არგუმენტაცია წარმოადგინოს სასამართლოს წინაშე ისე, რომ არსებითი უთანასწორობა არ განიცადოს მეორე მხარესთან მიმართებით.

სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნული პრინციპის დარღვევა დაადგინა სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საქმეში *Foucher v. France*⁹⁸ მოპასუხე, რომელსაც სურდა, საკუთარი ინტერესები თვითონ წარმოედგინა, უარი ეთქვა პროკურორის მიერ, საქმის მასალებზე ხელმი-

97. უზენაშე სასამართლო: საქმის № 3გ/ად-82-კ-01, 2001 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა.

98. 1997 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება.

საწვდომობის განხორციელების ფაქტორის გამო მან ვერ შეძლო, მოეპოვებინა დოკუმენტაცია, რომელიც მის საქმესთან იქნებოდა დაკავშირებული და, შესაბამისად, ვერ შეძლო, მოემზადებინა საკუთარი არგუმენტაცია ჯეროვნად და ადეკვატურად.

თანასწორობის პრინციპი ასევე გამოიყენება სამოქალაქო სამართალწარმოებასთან მიმართებით და დარღვეულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც, მაგალითად, განმცხადებლებს არ ეძლევათ საშუალება, პასუხი გასცენ წერილობით არგუმენტაციას, რომელიც წარმოდგენილია სასამართლოს წინაშე სახელმწიფო წარმომადგენლის, ადვოკატის მიერ.⁹⁹ საქმეში - *Ankerl v. Switzerland*¹⁰⁰ - სასამართლომ არ დაადგინა თანასწორობის პრინციპის დარღვევა, როდესაც შვეიცარიის სასამართლომ უარი განუცხადა განმცხადებლის მეუღლეს, ფიცის ქვეშ მიეცა ჩვენება სასამართლოსათვის განმცხადებლის საჩივრის მხარდასაჭერად.

თანასწორობის პრინციპი დაირღვევა ასევე მაშინაც, თუკი კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სამართალწარმოების მხარეებს, როცა ეს მიმართულია განმცხადებლის სამოქალაქო სარჩელის შედეგად წარმოებული სამართლწარმოების შედეგის მის წინააღმდეგ წარმართვისაკენ.

საქმეში - *Jespers v. Belgium* - ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ თანასწორობის პრინციპი, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტთან ერთად, აკისრებს ვალდებულებას საგამოძიებო ორგანოებს, ბრალდებულს გააცნონ ნებისმიერი მასალა, რომელიც მათ ხელთ აქვთ, ან რომელზეც მათ შეიძლება ხელი მიუწვდებოდეთ – იმის გათვალისწინებით, რომ ამ მასალის ან ინფორმაციის მეშვეობით ბრალდებულს შეეძლება თავის გამართლება ან მისთვის დაკისრებული სასჯელის შესუბუქება. აღნიშნული წესი ასევე ვრცელდება მასალებსა თუ ინფორმაციაზე, რომელსაც შეუძლია გამოძიების მოწმის მიერ მიცემული ჩვენების გაბათილება.

11) წარმოდგენილ საქმეებში¹⁰¹ მოსარჩელეები ითხოვენ ქ. ბათუმის მერიის მიერ საგარანტიო წერილით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, მოსარჩელეების ბინებით უზრუნველყოფას ან შესაბამისი ღირებულების თანხების გადახდას.

გადაწყვეტილებების გამოტანისას უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის

99. *Ruiz Mateos v. Spain*.

100. 1996 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

101. უზენაეს სასამართლო: საქმის № 3გ/ად-24-კ, 2000 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება და საქმის № 3გ/ად-170-კ, 2000 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა.

მე-8 მუხლით და აღნიშნა, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, საცხოვრებელს.... სახელმწიფო ორგანოების მხრივ არავითარ შემთხვევაში ხელი არ უნდა შეეძალოს ამ უფლების განხორციელებას....

ორივე საქმეში მოსარჩელეები ოჯახებთან ერთად ცხოვრობდნენ ქ. ბათუმში, კომუნალურ საცხოვრებელ სახლში, სადაც ეჭირათ სამოთახიანი და ოთხოთახიანი ბინები. ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, მოხდა ხსენებული საცხოვრებელი სახლების აღება, ხოლო ხსენებულ პირებზე გაიცა საგარანტიო წერილები, რომლებითაც საქალაქო საბჭოს აღმასკომმა იკისრა ვალდებულება, კონკრეტულ მრავალსართულიან ასაშენებელ საცხოვრებელ სახლებში გამოეყო შესაბამისი ფართის ბინები.

საგარანტიო წერილის მიღების შემდეგ მოსარჩელეებმა გაათავისუფლეს კომუნალურ საცხოვრებელ სახლში დაკავებული ბინები და დროებით საცხოვრებლად გადავიდნენ ქ. ბათუმის მერიის სამანევრო ფონდის კეთილმოუწყობელ სახლში.

ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა (ამჟამად მერია) ვერ შეასრულა საგარანტიო წერილით ნაკისრი ვალდებულებები და ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო აღნიშნული საცხოვრებელი სახლი ვერ ააშენა.

შესაბამისად, მოსარჩელეებმა ქ. ბათუმის სასამართლოს სხვადასხვა დროს მიმართეს სარჩელებით, რომლებშიც ქ. ბათუმის მერიისაგან მოითხოვდნენ საგარანტიო წერილით გათვალისწინებული პირობების დაცვით სხვა ბინებით უზრუნველყოფას ან შესაბამისი ლირებულების გადახდას.

უზენაესი სასამართლო ორივე საქმეში დაეყრდნო საქართველოს კონსტიტუციასა და ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს და ჩათვალა, რომ მოსარჩელეების მიმართ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებები.

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი აცხადებს, რომ

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეენის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

შესაბამისად, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ჩამოყალიბებულია ორ პუნქტად: პირველი ნაწილი, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი, ნათლად ადგენს განსაზღვრულ უფლებებს, რომლებიც გარანტირებულ უნდა იქნეს ინდივიდისთვის სახელმწიფოს მიერ – პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემის უფლება; მეორე ნაწილი, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, აცხადებს, რომ ხსენებული უფლებები არ არის აბსოლუტური, რაც იმით გამოიხატება, რომ გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა დასაშვები გახდეს საჯარო ხელისუფლების მიერ მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ასევე ადგენს პირობებს, როდესაც საჯარო ხელისუფლებას მართლზომიერად შეუძლია ჩაერიოს მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ უფლებებში. უფლებაში ჩარევა მუდმივად ექვემდებარება ევროპულ მეთვალყურეობას. სახელმწიფოს მიერ მე-8 მუხლით გაცხადებული ინდივიდის უფლებების დასაშვებ შეზღუდვად ჩაითვლება მხოლოდ და მხოლოდ იმგვარი შეზღუდვები, რომლებიც განხორციელებულია კანონის შესაბამისად, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ანუ არსებობს უფლების შეზღუდვის მწვავე საზოგადოებრივი აუცილებლობა და გამოყენებული შეზღუდვის ღონისძიება ემსახურება მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებული ერთი ან მეტი კანონიერი მიზნის მიღწევას. გამოყენებული ღონისძიების მე-8 მუხლთან შესაბამისობის საკითხის განსაზღვრისას სახელმწიფოები უზრუნველყოფილი არიან დისკრეციის გარკვეული ხარისხით, რომელიც ცნობილია როგორც შეფასების ზღვარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ზემოთ აღნიშნულ ორ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება სადაც გახდეს, ხვდება თუ არა ზემოხსნებულ ორ საქმეში წარმოდგენილი საჩივრები ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში. მე-8 მუხლის დაცვის საკითხი წამოიჭრება იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოდგენილი საჩივარი ხვდება კონკრეტული დებულების მოქმედების ფარგლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ის უნდა ეხებოდეს ამ დებულებით დაცულ ერთ ან რამდენიმე პირად ინტერესს, კერძოდ, პირად ცხოვრებას, ოჯახურ ცხოვრებას, საცხოვრებელსა და მიმოწერას.

ასევე ნიშანდობლივია, რომ მომჩივანის შეუძლია განსაზღვროს ის ინტერესი, რომლის დაცვასაც იგი მოითხოვს, და წარუდგინოს ის სასამართლოს მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის ქრილში. უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის სასურველია, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან კონკრეტული საქმის მოყვანა. ასე მაგალითად, საქმეში - *Gaskin v. the United Kingdom*, რომელიც ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს ეხებოდა, განმცხადებელმა დაარწმუნა ევროპული სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობა, რომ მისი ინტერესი, რომელიც სახელმწიფო მზრუნველობის

ქვეშ მისი აღზრდის შესახებ ადგილობრივი ხელისუფლების ხელთ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან იყო დაკავშირებული, ეხებოდა მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას და არა ზოგად ინტერესს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რომელიც სცდება მე-8 მუხლის მოქმედების ფარგლებს.¹⁰²

მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული ოთხი კონცეფციის მნიშვნელობა არ ატარებს განმარტებით ხასიათს და ევროპული სასამართლო თავს არიდებს წესების დადგენას დაცული უფლებების მნიშვნელობის განმარტებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლოს მიდგომა მე-8 მუხლის გამოყენების განსაზღვრაა, ინდივიდუალური საჩივარი ხვდება თუ არა მე-8 მუხლით დაცული ერთ-ერთი უფლების მოქმედების ფარგლებში თითოეული კონკრეტული საქმის საფუძველზე, რადგან კონცეფციებს ავტონომიური კონვენციის მნიშვნელობას ვანიჭებთ. მაშინ, როდესაც ევროპული სასამართლოს მობილური მიდგომა ნებას რთავს მას, გაითვალისწინოს სოციალური, სამართლებრივი და ტექნოლოგიური მიღწევები ევროპის საბჭოს სივრცეში, ეს მიდგომა რთულს ხდის, გადაჭრით განვსაზღვროთ, თუ რა არის პირადი ცხოვრება, ოჯახური ცხოვრება, საცხოვრებელი ან მიმოწერა. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ კონცეფციები დინამიურია, რაც იმით გამოიხატება, რომ მათი მნიშვნელობა ცვალებადია და ასევე შეუძლია მოიცვას საკითხთა ფართო სპექტრი, რომელთაგან ნაწილი ერთმანეთთან დაკავშირებულია, ზოგიერთი კი თანმხვედრია.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როდესაც პირი სარგებლობს საკუთრების უფლებით სახლთან დაკავშირებით, ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვა წარმოქრის საკითხს ევროპული კონვენციის პირველი ოქმის 1-ლი პუნქტის ჭრილში, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლებას.

12) წინამდებარე საქმეში¹⁰³ დავის საგანია პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფა, რომელშიც უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი და აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლების უფლება მოიცავს პიროვნების თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები, როგორც ამას ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადება ითვალისწინებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატა არა მხოლოდ კონვენ-

102. *Gaskin v. the United Kingdom*, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A № 160.

103. უზენაესი სასამართლო: საქმის № 3კ/376-01, 2001 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

ციის ტექსტით შემოიფარგლა, არამედ მან სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლი გამოიყენა, კერძოდ კი *Castells*-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება მოიშველია.

1992 წლის აპრილში *Castells*-ის საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. განაცხადი ეხებოდა განმცხადებლის, ბასკი სამხედროსა და ესპანეთის პარლამენტის წევრის, მსჯავრდებას მთავრობის შეურაცხყოფისათვის იმ სტატიის გამოქვეყნების გამო, რომელშიც იგი ბრალს სდებდა მთავრობას შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ ბასკებზე განხორციელებული თავდასხმების მხარდაჭერასა და შემწყნარებლობაში. ამასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ გააკეთა შემდეგი განმარტებები:

„სახელმწიფოში, რომელშიც აღიარებულია კანონის უზენაესობა, არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი პრესის უპირატესი როლი. [...] პრესის თავისუფლება საზოგადოებას ანიჭებს ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო საშუალებას, ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება იმ იდეებსა და მიდგომებთან დაკავშირებით, რომლებიც აქვთ პოლიტიკურ ლიდერებს. კერძოდ, პრესა პოლიტიკოსებს საშუალებას აძლევს, კომენტარები გაუკეთონ საზოგადოებრივ აზრს. ამრიგად, პრესა ყველას აძლევს საშუალებას, მონაწილეობა მიიღონ თავისუფალ პოლიტიკურ დებატებში, რაც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს კონცეფციას წარმოადგენს“.¹⁰⁴

შემდგომ უზენაესი სასამართლოს პალატამ ხაზი გაუსვა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრინციპს, რომლის თანახმადაც, დასაშვები კრიტიკის ფარგლები მთავრობის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქეების მიმართ.

სენებულთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ ევროპული სასამართლოს მიერ მრავალ გადაწყვეტილებაში არაერთხელ დადასტურებული, რომ „კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მცირე საზღვრებია დატოვებული სიტყვის შეზღუდვებისათვის“ და რომ დასაშვები კრიტიკის ზღვარი უფრო ფართოა მთავრობასთან, ვიდრე კერძო პირთან ან თუნდაც პოლიტიკოსთან მიმართებით“.¹⁰⁵

104. *Castells v. Spain*, 1992 წლის 23 აპრილი, სერია A №236, 43-ე პუნქტი.

105. სხვა საქმეებთან ერთად იხ.: *Castells*-ის საქმეზე გამოტანილი ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილება, *Arslan*-ის საქმეზე 1999 წლის 8 ივლისს გამოტანილი გადაწყვეტილება, *Polat*-ის საქმეზე 1999 წლის 8 ივლისს გამოტანილი გადაწყვეტილება და *Gerger*-ის საქმეზე 1999 წლის 8 ივლისს გამოტანილი გადაწყვეტილება.

13) წინამდებარე საქმეში¹⁰⁶ დავის საგანია პირის პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება. ამ საქმეში სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით და აღნიშნა, გამოხატვის თავისუფლების უფლება მოიცავს პიროვნების თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი, მიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები. დამატებით პალატამ დასძინა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებში: *Lingens v. Austria; Oberschlick v. Austria* და *Oberschlick (N 2) v. Austria* მიუთითა, რომ მისალები კრიტიკის ფარგლები პოლიტიკოსისა და, ზოგადად, სახელმწიფო ხელისუფალის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე კერძო ფიზიკური პირის მიმართ. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, პოლიტიკური მოღვაწე აუცილებლად და შეგნებულად თავად აყენებს მის თითოეულ სიტყვას და საქმეს შურნალისტების, ასევე მთლიანი საზოგადოების მეთვალყურეობის ქვეშ. მართალია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი საშუალებას იძლევა, დაცულ იქნეს სხვათა რეპუტაცია, მათ შორის პოლიტიკოსებისაც, მაგრამ ამ შემთხვევაში, ამგვარი დაცვის მოთხოვნა უნდა გაწონასწორდეს პოლიტიკურ საკითხზე დისკუსიებთან მიმართებით.

ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ გამოიყენა არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიც. სასამართლო დაეყრდნო საქმეებზე : *Lingens v. Austria, Oberschlick v. Austria* და *Oberschlick v. Austria (N 2)* გამოტანილ გადაწყვეტილებებს.

პრესის, როგორც საზოგადოებრივი დარაჯის, როლზე პირველად ხაზგასმით მიუთითა სასამართლომ *Lingens*-ის საქმეში.¹⁰⁷ ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ პრესის თავისუფლება დაუპირისპირა მაღალი საჯარო მოხელის რეპუტაციაზე უფლებას. საგაზითო სტატიაში შურნალისტმა გააკრიტიკა ავსტრიის ფედერალური კანცლერი პოლიტიკური ნაბიჯისათვის, კონკრეტულად, განცხადებისათვის კოალიციის თაობაზე იმ პარტიასთან, რომელსაც მართავდა ნაცისტური წარსულის მქონე პირი. შურნალისტმა (ბ-ნმა ლინგენსმა) კანცლერის საქციილ უწოდა „ამორალური“, „ულირსი“, რითაც განასახიერებდა „დაბალი ხარისხის ოპორტუნიზმს“.

1986 წლის ივლისში *Lingens*-ის საქმეში სასამართლომ ხსენებული პრინციპების ფარგლები პრესასთან დაკავშირებით შემდეგნაირად განმარტა:

106. უზენაესი სასამართლო: საქმის № 3/754-01, 2001 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

107. განცხადი № 9815/82, 1986 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება, სერია A № 103.

„მიუხედავად იმისა, რომ პრესამ არ უნდა გადალახოს ის ზღვარი, რომელიც დადგენილია, *inter alia*, „სხვათა რეპუტაციის დასაცავად“, ამავე დროს, პრესას აკისრია ვალდებულება, გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხებზე. ამასთან, არა მარტო პრესას აქვს ასეთი ინფორმაციისა და მოსაზრებების გავრცელების ამოცანა, არამედ საზოგადოებას ასევე აქვს მათი მიღების უფლება“¹⁰⁸.

ევროპული სასამართლოს მტკიცებით, „პრესის თავისუფლება საზოგადოებას ანიჭებს ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო საშუალებას, რათა მან აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრება იმ იდეებსა და მიდგომებთან დაკავშირებით, რომლებიც აქვთ პოლიტიკურ ლიდერებს“. ამიტომაც არის, რომ მოცემულ კონტექსტში

„დასაშვები კრიტიკის ზღვარი პოლიტიკოსთან მიმართებით უფრო ფართოა, ვიდრე – კერძო პირთან. კერძო პირისგან განსხვავებით, პოლიტიკოსი განზრახ და შეგნებულად თითოეულ საკუთარ სიტყვასა და ქმედებას უურნალისტებისა და საზოგადოებისათვის განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქცევს და, შესაბამისად, მან უფრო მეტი მოთმინება უნდა გამოამჟღავნოს“¹⁰⁹.

აღნიშნულის საფუძველზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ფულადი ჯარიმა, რომელიც დაეკისრა განმცხადებელს საგაზეთო სტატიაში პოლიტიკოსის ცილისწამებისათვის, იყო გაუმართლებელი ჩარევა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილ გამოხატვის თავისუფლებაში.

1991 წლის მაისში *Oberschlick*-ის საქმეზე ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დაირღვა მე-10 მუხლი. საქმე ეხებოდა განმცხადებლის წინააღმდეგ ავსტრიის პოლიტიკოსის მიერ ცილისწამების ბრალდებით აღძრულ საქმეს და განმცხადებლის მსჯავრდებას. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ მე-10 მუხლი დარღვა, რადგანაც განმცხადებლის მიერ გაკეთებული განცხადებები იყო შეფასებითი მსჯელობები და, ამდენად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.¹¹⁰

Oberschlick (N2)-ის საქმეში სიტყვა „იდიოტის“ გამოყენება პოლიტიკო-

108. *Lingens*-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, 1986 წლის 8 ივლისი, სერია A №103, 41-ე პუნქტი.

109. იქვე, 42-ე პუნქტი.

110. *Oberschlick* (N1)-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, 1991 წლის 23 მაისი, სერია A №204.

სის საქციელის აღსაწერად დასაშვებად იქნა მიჩნეული.¹¹¹ ამ საქმეში უურნალისტი მსჯავრდებულ იქნა შეურაცხყოფისათვის. სტატიაში, რომელშიც იგი კომენტარებს უკეთებდა პოლიტიკოსის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, განმცხადებელმა მოიხსენია „იდიოტად“. სტრასბურგის სასამართლოს აზრით, პოლიტიკოსმა „თავად განიზრახა, ყოფილიყო პროვოკაციული და მძაფრი რეაცია გამოწვია საზოგადოების მხრიდან“.¹¹²

შესაბამისად, „განმცხადებლის სიტყვები [...] შესაძლებელია აშკარად ჩაითვალოს პოლემიკურად, მაგრამ ამ საფუძველზე ისინი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უმიზეზო პიროვნულ აგრესიად, რადგანაც ავტორმა წარმოადგინა საკუთარი მოსაზრების ობიექტური და გასაგები ახსნა-განმარტება, რომელიც გამომდინარეობდა პოლიტიკოსის სიტყვებიდან [...]“¹¹³. სასამართლომ დაადგინა, რომ სიტყვა „იდიოტი“, „შეესაბამება იმ აღმფოთებას, რომელიც განზრახ იქნა გამოწვეული“¹¹⁴ პოლიტიკოსის სიტყვით. ამიტომაც, მიიჩნია რომ უურნალისტის მსჯავრდება იყო ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

14) წინამდებარე საქმეში¹¹⁵ დავის საგანია პირის პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელშიც სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით და აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლების უფლება მოიცავს პიროვნების თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები. პალატა უთითებს, რომ ეს უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრესისათვის.

ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ზოგადად გამოიყენა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უზენაეს სასამართლოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად განვითარებული პრეცედენტი სამართლისათვის არ მიუმართავს. პალატა შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი დებულებით და მიუთითა, რომ ეს უფლება პრესისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

წინამდებარე გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლოს პალატის მიერ

111. *Oberschlick v. Austria (N2)*, 1997 წლის 1 ივნისს გამოტანილი გადაწყვეტილება.

112. იქვე, 31-ე პუნქტი.

113. იქვე, 33-ე პუნქტი.

114. იქვე, 34-ე პუნქტი.

115. უზენაეს სასამართლო: საქმის № 3კ-1044, 2002 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

ხაზი გაუსვა გამოხატვის თავისუფლების როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში და აღინიშნა, რომ იგი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი საფუძველია და რომ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პრესი-სათვის მინიჭებული დაცვა. ხსენებული სტრასბურგის სასამართლომ შემდეგნაირად განმარტა:

„ურნალისტის ინფორმაციის წყაროების დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები წინაპირობაა პრესის თავისუფლებისათვის, როგორც ეს ასახულია მრავალი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობასა და პროფესიული ქცევის კოდექსებში და განმტკიცებულია ურნალისტური წყაროების შესახებ რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტით [...]. ამგვარი დაცვის გარეშე წყაროებს შეიძლება ხელი შეეშალოთ, დაეხმარონ პრესის საზოგადოების ინფორმირებაში საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე. შედეგად, პრესის, როგორც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი დარაჯის, როლი შეიძლება დაკნინდეს და ხელყოფილ იქნეს პრესის უნარი, უზრუნველყოს ზუსტი და სანდო ინფორმაცია.“¹⁶

დამატებით, ზემოხსენებულ *Lingens*-ის საქმეში ურნალისტის მსჯავრების საფუძვლების შეფასებისას სასამართლომ ხაზი გაუსვა პოლიტიკური დებატების დროს პრესის თავისუფლების მნიშვნელობას:

„... ეს პრინციპები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რამდენადაც საკითხი პრესას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ პრესამ არ უნდა გადალახოს ის ზღვარი, რომელიც დადგენილია, *inter alia*, „სხვათა რეპუტაციის დასაცავად“, ამავე დროს, პრესას აკისრია ვალდებულება, გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხებზე. ამასთან, არა მარტო პრესას აქვს ასეთი ინფორმაციისა და მოსაზრებების გავრცელების ამოცანა, არამედ საზოგადოებას ასევე აქვს მათი მიღების უფლება [...]“.¹⁷

იმავე გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პრესის თავისუფლება საზოგადოებას აძლევს პოლიტიკური ლიდერების შესახებ მოსაზრებისა და დამოკიდებულების გამოვლენისა და ჩამოყალიბების ერთ-ერთ საუკეთესო სამუალებას და, შესაბამისად, პოლიტიკური დებატების თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ბირთვად გვევლინება. სწორედ ამიტომ სასამართლო პრესისათვის ითვალისწინებს მე-10 მუხლით გარანტირებულ ძალიან ძლიერ დაცვას პოლიტიკური დებატებისას.

116. *Goodwin v. the United Kingdom*, 1996 წ.

117. *Lingens*-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, 1986 წლის 8 ივლისი, სერია A №103, 41-ე პუნქტი.

პრესის თავისუფლება აგრეთვე სარგებლობს სპეციალური სტატუსით, როდესაც სახეზეა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სხვა საკითხები. *Thorgeirson*-ის საქმეში¹¹⁸ განმცხადებელმა (ბ-ნმა თორგეირსონმა) პრესი გააკეთა რამდენიმე განცხადება პოლიციაში ფართოდ გავრცელებული სისასტიკის შესახებ ისლანდიაში. მან პოლიციის მოხელეები მოიხსენია „ფორმიან მხეცებად“, „ადამიანებად, რომლებიც დაქვეითებული არიან ახალშობილი ბავშვის გონიერივ დონემდე მუდმივად ყელში წაჭერით, რასაც პოლიციელები და დამრტყმელები სწავლობენ და იყენებენ სასტიკი თვითნებობით,“ ხოლო პოლიციის ძალები, რომლებიც თავს იცავდნენ, დაადანაშაულა იმაში, რომ მათი ქმედებები ეფუძნებოდა „დაშინებას, თაღლითობას, კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს, ცრურწმენებს, მოუფიქრებლობასა და სისულელეს“. შიდა სამართლებრივ დონეზე ბ-ნი თორგეირსონი გასამართლებულ იქნა და დაეკისრა ჯარიმა პოლიციის დაუკონკრეტებელი წევრების ცილისწამებისათვის. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა წამოჭრა პოლიციის სისასტიკის საკითხი თავის ქვეყანაში და, რომ

„... პრესას აკისრია ვალდებულება, გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებთან დაკავშირებით“.¹¹⁹

15) წინამდებარე საქმეში¹²⁰ დავის საგანია პირის პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება. ამ საქმეში არა მარტო უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ გამოიყენა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი და ამ მუხლის თანახმად განვითარებული პრეცედენტული სამართლი, არამედ ქვედა ინსტანციის სასამართლომაც. მართალია, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა არ დაეთანხმა ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას და მიიჩნია, რომ საოლქო სასამართლოს კოლეგიამ არასწორად განმარტა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, მაინც მისასალმებელია საოლქო სასამართლოს მიერ ზემოხსენებული *Castells*-ისა და *Lingens*-ის საქმეების გამოყენება.

საოლქო სასამართლომ, რომელიც დაეყრდნო სტრასბურგის სასამართლოს მიერ *Castells*-ისა და *Lingens*-ის გადაწყვეტილებებში განვითარებულ პრეცედენტულ სამართალს, აღნიშნა, რომ პოლიტიკურმა თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და სხვა მასობრივი

118. *Thorgeir Thorgeirson v. Iceland*, 1992 წლის 25 ივნისი, სერია A №239.

119. იქვე, 59-ე - 70-ე პუნქტები.

120. უზენაესი სასამართლო: საქმის № 3კ-337-02, 2002 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით გამოთქმულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ სხვანაირი შეფასება მისცა ევროპული სასამართლოს ინტეპრეტაციას და აღნიშნა, რომ საოლქო სასამართლოს კოლეგიამ არასწორად განმარტა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და მითითებული ციტატა სრულად არ გადმოსცა. კერძოდ კი, უზენაესი სასამართლოს მიხედვით, *Castells*-ის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ, მართალია, დასაშვები კრიტიკის ფარგლები მთავრობის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქეების მიმართ, მაგრამ პოლიტიკური დისკუსიის ფარგლები არ არის აბსოლუტური; ხოლო *Lingens*-ის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით გამოთქმულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ, თუკი ინფორმაცია შეეხება პოლიტიკურ შეხედულებებს და ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს პირის პატივსა და ღირსებას.

დამატებით უნდა აღინიშნოს, უზენაესი სასამართლოს პალატამ იხელმძღვანელა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით და აღნიშნა: მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს, რომ უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამუღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

ხსენებულიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს პალატა ასკვინის, რომ პიროვნება, რომელიც აზრს გამოხატავს, იღებს გარკვეულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება საკითხს, პოლიტიკურმა თანამდებობის პირებმა და სახელმწიფო მოხელეებმა პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით გამოთქმულ დებატებში დასაშვებ ზღვარზე მეტი კრიტიკა უნდა ითმინონ თუ არა, - თუკი ინფორმაცია შეეხება პოლიტიკურ შეხედულებებს და ეს კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს პირის პატივსა და ღირსებას, სახელმწიფოები ვალდებული არიან, გაამართლონ ნებისმიერი

ჩარევა გამოხატვის ნებისმიერ ფორმაში. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოცულობა, რომლის ფარგლებშიც გამოხატვის კონკრეტული ფორმა უნდა იქნეს დაცული, სასამართლო განიხილავს გამოხატვის ტიპს (პოლიტიკური, კომერციული, შემოქმედებითი და სხვა), გამოხატვის გავრცელების საშუალებებს (პერსონალური, ბეჭდითი მედია, ტელევიზია და ა.შ.) და მის აუდიტორიას (უფროსები, ბავშვები, მთელი საზოგადოება, კონკრეტული ჯგუფი). ამ კრიტერიუმების თანახმად, გამოხატვის „სიმართლესაც“ კი სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს.

მთავრობის კრიტიკის თავისუფლება აშკარად იქნა ხაზგასმული ევროპული სასამართლოს მიერ:

„პრესას აკისრია ვალდებულება, გავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხებზე. ამასთან, არა მარტო პრესას აქვს ასეთი ინფორმაციისა და მოსაზრებების გავრცელების ამოცანა, არამედ საზოგადოებას ასევე გააჩნია მათი მიღების უფლება.“¹²¹

ნიშანდობლივია, რომ თვითონ პრესის თავისუფლებაც არ არის აბსოლუტური. *Tammer*-ის საქმე სასამართლომ გადაწყვიტა პირადი ცხოვრების სასარგებლოდ. სადაცო განცხადებები ეხებოდა ქ-ნ ლაანარუს პირადი ცხოვრების ასპექტებს, რომლებიც მან აღწერა თავის მემუარებში. ქ-ნი ლაანარუ იყო შინაგან საქმეთა მინისტრის (მისი მეუღლის, რომელიც მანამდე იყო პრემიერ-მინისტრი) თანაშემწერი. სადაცო განცხადებები შეეხებოდა მის დედობასა და იმას, თუ როგორ დაუნგრია ქმარს პირველი ოჯახი. ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა და აღნიშნა:

„პოლიტიკურ პარტიაში ქ-ნ ლაანარუს ხანგრძლივი მონაწილეობის მიუხედავად, სასამართლო არ მიიჩნევს დადგენილად, რომ სადაცო ტერმინების გამოყენება მის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით გამართლებული იყო საზოგადოებრივი მნიშვნელობით ან იმ ფაქტით, რომ ისინი წარმოადგენდნენ ზოგადი მნიშვნელობის საკითხებს“.¹²²

სასამართლოს პრინციპების შესაბამისად, ნებისმიერი შიდა კანონმდებლობა, რომელიც იცავს პოლიტიკოსებს და, ზოგადად, მაღალი თანამდებობის პირებს (როგორებიცაა: პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მინისტრები,

121. სხვა მრავალ გადაწყვეტილებასთან ერთად ის. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები შემდეგ საქმეებზე: *Lingens v. Austria*, 1986 წ.; *Sener v. Turkey*, 2000 წ.; *Thoma v. Luxembourg*, 2001 წ.; *Dichand and Others v. Austria*, 2002 წ. და სხვა.

122. *Tammer v. Estonia*, 2001 წ.

პარლამენტის წევრები და ა.შ.) სპეციალური ან უფრო მძიმე სასჯელით შეურაცხყოფის ან ცილისწამების წინააღმდეგ, და კერძოდ, პრესის მიერ, შეუთავსებელია ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან. როდესაც ასეთი დებულებები არსებობს და მათზე მიუთითებენ პოლიტიკოსები, ეროვნულმა სასამართლოებმა თავი უნდა შეიკავონ მათი გამოყენებისაგან. ნაცვლად ამისა, ისინი უნდა დაეყრდნონ ზოგადსამართლებრივ დებულებებს შეურაცხყოფისა და ცილისწამების შესახებ.

უფრო მეტიც, როდესაც პოლიტიკოსების პატივი და რეპუტაცია ეწინააღმდეგება პრესის თავისუფლებას, ეროვნულმა სასამართლოებმა ფრთხილად უნდა გამოყენონ პროპორციულობის პრინციპი და გადაწყვიტონ, უურნალისტის მსჯავრდება არის თუ არა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და გათვალისწინონ სტრასბურგის სასამართლოს მიერ *Lingens*-ისა და სხვა საქმეებში ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო პრინციპები. ანალოგიურად, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს შეურაცხმყოფელი გამონათქვამების სიმართლის დამტკიცებას, ეროვნულმა სასამართლოებმა თავი უნდა შეიკავონ ამგვარი მტკიცებულების მოთხოვნისაგან, გამომდინარე ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებული განსხვავებიდან ფაქტებსა და მოსაზრებებს შორის. გარდა ამისა, კეთილსინდისიერი დაცვა დასაშვები უნდა იყოს ცილისწამების შემთხვევებში, რაც არსებითად ეხება ფაქტებს. თუ გამოქვეყნების დროს უურნალისტს საკმარისი საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ინფორმაცია სწორი იყო, იგი არ უნდა იქნეს დასჯილი. გასათვალისწინებელია ასევე შემდეგი, რომ

„ინფორმაცია „მალფუჭებადი საქონელია“ და მისი გამოქვეყნების შეყოვნებას, თუნდაც მცირე ხნით, შეუძლია ხელყოს მისი ღირებულება და მის-დამი ინტერესი“.¹²³

სწორედ ამიტომ უურნალისტს მხოლოდ უნდა მოეთხოვოს, გონივრულად შეამოწმოს და კეთილსინდისიერად დარწმუნდეს ინფორმაციის სანდოობაში. ამ თვალსაზრისით მეორე არგუმენტი ეხება უურნალისტის მხრიდან განზრახვის არარსებობას, ცილი დასწამოს სავარაუდო მსხვერპლს. თუ უურნალისტი დარწმუნებულია ინფორმაციის სისწორეში, მაშინ განზრახვა არ არსებობს და, ამდენად, უურნალისტის საქციელი არ შეიძლება სანქცირებული იყოს იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც კრძალავს განზრას ცილისწამებას; მხოლოდ განზრას ცილისწამებისათვის დასჯას ითვალისწინებს ყველა სისხლის სამართლის კანონი.

ეროვნულმა სასამართლოებმა აგრეთვე თავი უნდა შეიკავონ სისხლისამართლებრივი სასჯელების და, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისაგან. ამგვარი სასჯელები საფრთხეს უქმნის გამოხატვის თავისუ-

123. *Sunday Times (N 2) v. the United Kingdom*, 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A №217.

ფლების არსს და ცენზურაა მთლიანი მედიისათვის, რაც ხელყოფს პრესის, როგორც საზოგადოებრივი დარაჯის, როლს.

ყველა ზემოხსენებული სახელმძღვანელო მითითება, რომელიც ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ეროვნული სასამართლოებისათვის, გამოიყენება თანაბრად საჯარო მოხელეების კრიტიკასა თუ ნებისმიერ სხვა კრიტიკასთან მიმართებით, რაც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხების საჯარო განხილვას.

16) წინამდებარე საქმეში¹²⁴ დავის საგანისა პირის პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელშიც უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით და აღნიშნა, რომ ამ მუხლის თანახმად, ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ამასთან, დასძნა, რომ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულია არა მარტო პრესის თავისუფლება, რომ ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას, არამედ საზოგადოების უფლებაც, იყოს სათანადო დონეზე ინფორმირებული. დამატებით, პალატამ მე-10 მუხლის დებულებათა განმარტებისას გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებანი.

მისასალმებელია, რომ უზენაესი სასამართლოს პალატამ არა მხოლოდ კონვენციის ტექსტი გამოიყენა, არამედ დაეყრდნო კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად განვითარებულ პრეცედენტულ სამართალს საქმეებზე: *Lingens v. Austria, Oberschlick v. Austria* და *Sunday Times v. the United Kingdom*.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 1986 წლის ივლისში *Lingens*-ის საქმეში სტრასბურგის სასამართლო ხსენებული პრინციპების ფარგლები პრესისთან დაკავშირებით შემდეგნაირად განმარტა:

„მიუხედავად იმისა, რომ პრესამ არ უნდა გადაღახოს ის ზღვარი, რომელიც დადგენილია, *inter alia*, „სხვათა რეპუტაციის დასაცავად“, ამავე დროს, პრესას აკისრია ვალდებულება, გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვა საკითხებზე. ამასთან, არა მარტო პრესას აქვს ასეთი ინფორმაციისა და მოსაზრებების გავრცელების ამოცანა, არამედ საზოგადოებას ასევე გააჩნია მათი მიღების უფლება“¹²⁵

124. უზენაესი სასამართლო: საქმის № 3კ-390-02, 2002 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

125. *Lingens*-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, 1986 წლის 8 ივლისი, სერია A №103, 41-ე პუნქტი.

პრესაში გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული პირველი განაცხადი, რომლის შესახებ სასამართლოს არსებით განხილვაზე უნდა მიეღო გადაწყვეტილება, იყო *Sunday Times*-ის საქმე, რომელიც ეხებოდა გაერთიანებულ სამეფოს.¹²⁶

Sunday Times-ის საქმეში მთავრობა საგაზითო სტატიის გამოქვეყნების წინააღმდეგ მიღებულ აკრძალვებს ასაბუთებდა სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობისა და სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნების ინტერესის დაცვის მიზნით. 1959-1962 წლებში დასამშვიდებელი წამლის, „ტალიდომიდის“, გამოყენების შემდეგ ბევრი ბავშვი დაიბადა მწვავე ფუნქციური დარღვევებით. წამლის მწარმოებელი და გამავრცელებელი იყო შპს „Distillers Company“, რომელმაც 1961 წელს ბაზრიდან ამოილო იგი. მშობლებმა უჩივლეს კომპანიას და მოითხოვეს სამოქალაქო ზიანის ანაზღაურება; მოლაპარაკებები მხარეებს შორის წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. მხარეთა მიერ დავაზე მორიგება სასამართლოების მიერ მოწონებულ იქნა. ყველა გაზეთში, მათ შორის *Sunday Times*-მა, ფართოდ გააშუქა ხსენებული საკითხი. 1971 წელს მხარეებმა დაიწყეს მოლაპარაკებები საქველმოქმედო ფონდის დასაარსებლად იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც აღენიშნებოდათ ფუნქციური დარღვევები. 1972 წლის სექტემბერში *Sunday Times*-მა გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „ჩვენი ტალიდომიდი ბავშვები: ეროვნული სირცხვილის მიზეზი“, რომელშიც აკრიტიკებდა კომპანიას დაზარალებულებისათვის საკომპენსაციო თანხისა და იმ თანხის შემცირების გამო, რომელიც უნდა ჩაერიცხა საქველმოქმედო ფონდში. *Sunday Times*-მა განაცხადა, რომ იგი მომდევნო სტატიაში აღნირდა ტრაგედიის გარემოებებს.

კომპანიის თხოვნის საფუძველზე გენერალურმა პროკურორმა სთხოვა ეროვნულ სასამართლოს, რომ აეკრძალა გაზითის გამოქვეყნება იმ მოტივით, რომ იგი ხელს შეუშლიდა მართლმსაჯულების განხორციელებას. ქვეყნის სასამართლოს ბრძანებით, *Sunday Times*-ს აეკრძალა გამოქვეყნება.

ევროპული სასამართლოს წინაშე *Sunday Times*-ი ამტკიცებდა, რომ დაირღვა მე-10 მუხლი. მთავრობა აკრძალვას ამართლებდა „სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის“ შენარჩუნების აუცილებლობით, რამდენადაც ეროვნულ სასამართლოებში კვლავ მიმდინარეობდა ტალიდომიდთან დაკავშირებული საქმისწარმოება. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა:

„ზოგადად აღიარებულია ის ფაქტი, რომ სასამართლოებს არ შეუძლიათ ვაკუუმში ფუნქციონირება. მართალია, ისინი გვევლინებიან დავების გადაწყვეტის ფორუმად, ეს არ ნიშნავს, რომ არ უნდა არსებობდეს დავების

126. *Sunday Times v. the United Kingdom*, 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A №30.

წინასწარი განხილვა, იქნება ეს სპეციალიზებული ურნალის, ზოგადი პრე-სისა თუ მთლიანი საზოგადოების მიერ. უფრო მეტიც, მედიამ არ უნდა გა-დააბიჯოს მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების ინტერესების დასაცავად დაწესებულ საზღვრებს. მას ევალება, გავრცელოს ინფორმა-ცია და მოსაზრებები იმ საკითხებზე, რომლებსაც განიხილავს სასამარ-თლო, ისევე როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვა საკითხებზე. მედიას არა მარტო აქვს ამგვარი ინფორმაციისა და მოსაზრებების გავრცე-ლების ამოცანა: საზოგადოებას აქვს აგრეთვე მათი მიღების უფლება!“¹²⁷

საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ „ტალიდომიდის უბედურება“ უდავოდ ინვევდა საზოგადო-ების შეშფოთებას. გარდა ამისა, ოჯახებს, რომლებსაც შეეხო ეს ტრა-გედია, ისევე როგორც მთლიან საზოგადოებას, ჰქონდათ ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების უფლება. სასამართლომ დაასკვნა, რომ გაზრდის წინააღმდეგ აკრძალვა „არ შეესაბამებოდა საკმარისად მწვა-ვე სოციალურ საჭიროებას, რაც გადაწონიდა გამოხატვის თავისუფლების საზოგადოებრივ ინტერესს კონვენციის მნიშვნელობისათვის.“

17) წარმოდგენილ საქმეში¹²⁸ მოსარჩელე მოითხოვს ქ. თბილისის გლდა-ნის რაიონის პოლიციის სამმართველოს მიერ შეკრებებისა და მანიფესტა-ციების შესახებ კანონის დარღვევის ფაქტისა და პოლიციის თანამდებობის პირთა მოქმედების არაკანონიერად აღიარებას.

სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ აღნიშნა, ვი-ნაიდან ეს მუხლი აღიარებს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებას, მიუთი-თებს, რომ ამ უფლების განხორციელება შეუზღუდულია, გარდა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, რომლებიც აუცილებელია დემოკრა-ტიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დასაცავად, უწესრიგობათა ან დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად, მო-სახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად, ან სხვა პირთა უფლე-ბათა და თავისუფლებათა დასაცავად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი აცხადებს შემდეგს:

„1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა, აგრეთვე სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინ-ტერესების დასაცავად.

127. იქვე.

128. უზენაესი სასამართლო: საქმის № 33/413, 2000 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება, სამოქა-ლაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დაწესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა ისეთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნერიგობის ან დანამაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. ეს მუხლი ხელს არ უქმნის სახელმწიფოს, დააწესოს კანონიერი შეზღუდვები ამ უფლებათა განხორციელებაზე შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის ნარმომადგენლების მიმართ.“

სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ დამატებით მიუთითა, რომ, როგორც ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი, ისე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მშვიდობიანი შეკრების, მანიფესტაციის შენყვეტას იმ შემთხვევაში, თუ შეიმჩნევა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, მოსალოდნელია ძალისმიერი ქმედებები კონტრდემონსტრაციის გამოვლენისას. ასეთ შემთხვევაში შეკრების, მანიფესტაციის ორგანიზატორებს არა აქვთ შესაძლებლობა, თვითონ აღკვეთონ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამომწვევი ფაქტორები, ეს უფლება კანონით მინიჭებული აქვს პოლიციას, მოცემულ შემთხვევაში გლდანის რაიონის პოლიციამ სწორედ ეს უფლება გამოიყენა.

ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი უზრუნველყოფს ისეთ ლირებულებას, როგორიცაა ადამიანთა შეკრებისა და გაერთიანების უფლება. როგორც მუხლის შინაარსიდან ნათლად ჩანს, იგი მოიცავს და აერთიანებს ორ, ერთი შეხედვით მარტივ და ერთგვაროვან, უფლებას შეკრებასა და გაერთიანებაზე. მაგრამ მე-11 მუხლი არ უზრუნველყოფს შეკრების თავისუფლებას *per se*, იგი მხოლოდ მშვიდობიანი შეკრების უფლებას გულისხმობს.¹²⁹

მე-11 მუხლით უზრუნველყოფილი უფლება მშვიდობიან შეკრებასა და გაერთიანებაზე მჭიდროდაა დაკავშირებული გამოხატვის თავისუფლებასთან (რომელიც დაცულია კონვენციის მე-10 მუხლით) და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებასთან, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილია კონვენციის მე-9 მუხლით. ევროპულმა სასამართლომ რამდენჯერმე აღნიშნა ხაზგასმით, რომ მე-9 და მე-10 მუხლების მოქმედების ფარგლები ძალიან შეზღუდული იქნებოდა, თუ არ იარსებებდა აზრთა და შეხედულებათა გაცვლის გარანტია სხვებთან ერთობლიობაში, კერძოდ, გაერთიანების საშუალებით, რომელიც მოიცავს ერთნაირი შეხედულებების, ინტერესებისა და რწმენის მქონე ადამიანებს.¹³⁰ მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების ერთ-ერთი მიზანი, შესაძლოა, იყოს აზრის ქონა და ინფორ-

129. *G. v. Federal Republic of Germany*, DR 60/256 და ასევე იხ. *H. v. Austria*.

130. *Chassagnou and others v. France* (2000) 29 EHRR.

მაციისა და მოსაზრებების მიღება ან გავრცელება.¹³¹ ამიტომაც, როდესაც სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი განაცხადი ეხება მე-9, მე-10 და/ან მე-11 მუხლებს, სასამართლომ შესაძლოა შესაბამისი განაცხადი განიხილოს მხოლოდ ერთ-ერთი მუხლის ჭრილში, როგორც *lex specialis*. შესაბამისი საქმის ცალკეული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოს ასევე შეუძლია, დაადგინოს მე-9–მე-11 მუხლებიდან ერთზე მეტის დარღვევა.

მე-11 მუხლთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო განსაკუთრებული და დაწვრილებით განიხილავს განაცხადებს, რომლებიც ეხება პოლიტიკურ გაერთიანებებსა და პოლიტიკური ხასიათის მქონე შეკრებებს, ვიდრე სხვა სახის შეკრებებსა თუ გაერთიანებებთან დაკავშირებულ საქმეებს. ეს აიხსნება იმით, რომ პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვისა და პოლიტიკური გაერთიანებების თავისუფლებას სტრასბურგის ორგანო მიიჩნევს როგორც დემოკრატიული საზოგადოების არსებობის და ფუნქციონირების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წინაპირობად დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის. შეკრება აუცილებლად უნდა იყოს მშვიდობიანი, რათა მოხვდეს მე-11 მუხლის დაცვის სფეროში. მე-11 მუხლი არ იცავს შეკრებას, რომელსაც აქვს ძალადობრივი ან დანაშაულებრივი მიზნები, რაც შემდგომში გადაიზრდება საზოგადო არეულობაში¹³², თუმცა მე-11 მუხლი იცავს შეკრებას, რომლის დროსაც არსებობს შეკრების მოწინააღმდეგე დემონსტრანტთა მიერ ჩაშლის რეალური რისკი და მოსალოდნელი ძალადობის კონტროლს ვერ განახორციელებენ შეკრების ორგანიზატორები.¹³³

18) წარმოდგენილ საქმეში¹³⁴ მოსარჩევე მოითხოვდა ცსკო-ს განკარგულების ბათილად ცნობასა და დაბა ხარაგაულის საარჩევნო ოლქში საკრებულოს ხელახალი არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით ცსკო-სათვის ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლით და მიუთითა, რომ აღნიშნული მუხლი აღიარებს თავისუფალი არჩევნების უფლებას და მიუთითებს, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას იღებენ, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები. დამატებით პალატამ აღნიშნა, რომ თავისუფალი არჩევნების ჩატარება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა

131. *Ahmed and others v. U.K.*

132. *G v. Germany.*

133. *Christians against Racism and Fascism v. the United Kingdom.*

134. უზენაესი სასამართლო: საქმის № 3გ-ად-462-კ-02, 2002 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა.

დაცვის ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულებაა და რადგან სახელმწიფომ, კომპეტენტური ორგანოების – საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების – გამო, დაბა ხარაგაულის საარჩევნო ოლქში ვერ უზრუნველყო საკრებულოს თავისუფალი არჩევნების ჩატარება, შესაბამისად, არც მოსარჩელეს მიეცა კონსტიტუციით აღიარებული საყველთაო არჩევნების უფლების რეალიზების საშუალება.

თავისუფალ არჩევნებთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია სულ ახლახან გამოტანილი გადაწყვეტილებები საქმეებზე: *Hirst v. the United Kingdom (N2)*¹³⁵ და *Ždanoka v. Latvia*,¹³⁶ რომლებშიც ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ევროპული კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა ცნო.

Hirst-ის საქმეში ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ თავისუფალ არჩევნებთან დაკავშირებით ზოგადი პრინციპები ჩამოაყალიბა. სასამართლომ აღნიშნა: მართალია, პირველი ოქმის მე-3 მუხლი განსხვავდება კონვენციითა და თანდართული ოქმებით გარანტირებული უფლებებისაგან, რადგან იგი ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ჩატარონ თავისუფალი არჩევნები, რომლებიც უზრუნველყოფს ხალხის შეხედულების თავისუფალ გამოხატვას და კონკრეტულ უფლებასა თუ თავისუფლებას არ ითვალისწინებს, თუმცა პირველი ოქმის მე-3 მუხლის შემუშავებასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოებისა და კონვენციის ამ დებულების ინტერპრეტაციის გათვალისწინებით, ხსენებული მუხლი ახდენს ინდივიდუალური უფლებების, მათ შორის ხმის მიცემისა და არჩევნებში მონაწილეობის მიღების გარანტირებას.¹³⁷ სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ხსენებული მუხლის უნიკალური ფორმა მიზნად ისახავდა წევრი სახელმწიფოების ვალდებულებისათვის უფრო დიდი მნიშვნელობის მინიჭებას და ხაზი გაუსვა პოზიტიურ ვალდებულებას, რომელიც სახელმწიფოებს ეკისრებათ.

მართალია, ევროპულ სასამართლოს წარსულშიც არაერთხელ ჰქონდა შესაძლებლობა, ხაზი გაესვა იმ დემოკრატიული პრინციპების მნიშვნელობისათვის, რომლებიც ახდენენ კონვენციის ინტერპრეტაციასა და გამოყენებას,¹³⁸ წინამდებარე საქმეშიც აღნიშნა, რომ პირველი ოქმის მე-3 მუხლით გარანტირებულ უფლებებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა კანონის უზენაესობის პრინციპით განსაზღვრული ეფექტიანი და ღირებული დემოკრატიის საფუძვლების დადგენისა და შენარჩუნებისათვის.¹³⁹

135. 2005 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

136. 2006 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება.

137. *Hirst v. the United Kingdom (N2)*, 57-ე პუნქტი და *Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium* 1987 წლის 2 მარტს გამოტანილი გადაწყვეტილება, სერია A № 113, გვ. 22-23, 46-ე–51-ე პუნქტები.

138. სხვა საქმეებთან ერთად იხ. *United Communist Party of Turkey and Others v. Turkey*, 1998 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions* 1998-I, 45-ე პუნქტი.

139. *Hirst v. the United Kingdom (N2)*, 58-ე პუნქტი.

დამატებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხმის მიცემის უფლება არ არის პრივილეგია. XXI საუკუნეში პრეზუმიცია დემოკრატიულ სახელმწიფოში უნდა იყოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების სასარგებლოდ და საყოველთაო არჩევნების უფლება ძირითადი პრინციპია.¹⁴⁰

ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ამ მუხლით გარანტირებული უფლებები არ არის აბსოლუტური ხასიათის და არსებობს გარკვეული შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობა. შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შეფასების ზღვრით ამ სფეროში. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ შეფასების ზღვარი ამ სფეროში ფართოა¹⁴¹ და ევროპის ისტორიული განვითარების, კულტურული მრავალსახეობისა და პოლიტიკურ შეხედულებებში არსებული განსხვავებების მრავალფეროვნება შესაძლებლობას აძლევს წევრ სახელმწიფოებს, შეიმუშაონ საკუთარი დემოკრატიული ვერსია.

თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას პირველი ოქმის მე-3 მუხლთან შესაბამისობის შესახებ მაინც ევროპული სასამართლო იღებს. სასამართლო თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს, რომ პირობებმა ისე არ შეზღუდოს პირველი ოქმის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლებები, ზიანი მიაყენოს მათ და ჩამოართვას ეფუძნილობა; რომ ისინი განხორციელებულია კანონიერი მიზნის შესაბამისად; და რომ გამოყენებული საშუალებები პროპორციულია.¹⁴²

Ždanoka-ს საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ გამოიტანა დასკვნები პირველი ოქმის მე-3 მუხლთან შესაბამისობის განხილვისთან დაკავშირებით:

თუმცა პირველი ოქმის მე-3 მუხლი ენათესავება კონვენციის იმ დებულებებს, რომლებიც იცავენ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სხვადასხვა ფორმას, მაშინ როდესაც სახეზეა პირველი ოქმის მე-3 მუხლის შეზღუდვა, ევროპული სასამართლო ავტომატურად არ იცავს იმ კრიტირიუმებს, რომლებიც გამოიყენება მე-8-მე-11 მუხლების მე-2 პუნქტებით დაშვებულ შეზღუდვებთან მიმართებით და პირველი ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანისას არ არის აუცილებელი, სასამართლომ გამოიყენოს კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებიდან გამომდინარე პრინციპები.¹⁴³

140. იბ. საქმე *Hirst v. the United Kingdom* (N2), 59-ე პუნქტი და ასევე *Mathieu-Mohin*-ის საქმის 51-ე პუნქტი, რომელშიც მოყვანილია საქმე *X. v. Germany*, განაცხადის № 2728/66, Commission decision of 6 October 1967, Collection 25, გვ. 38-41.

141. იბ. საქმე *Hirst v. the United Kingdom* (N2), 61-ე პუნქტი და ასევე *Mathieu-Mohin*-ის საქმე, 52-ე პუნქტი და ასევე საქმეები: *Matthews v. United Kingdom* [GC], no. 24833/94, § 63, ECHR 1999-I; *Labita v. Italy* [GC], no. 26772/95, § 201, ECHR 2000-IV, და *Podkolzina v. Latvia*, no. 46726/99, § 33, ECHR 2002-II.

142. *Hirst v. the United Kingdom* (N2), 62-ე პუნქტი.

143. *Ždanoka v. Latvia*, 2006 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება, 115-ე პუნქტი.

ევროპულმა სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ „გამოყენებული შეზღუდვების“ კონცეფციას, პირველი ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ დებულებით გარანტირებული უფლებების შეზღუდვისათვის დასახული მიზნების შესაბამისობის განსაზღვრისას. გამომდინარე იქიდან, რომ პირველი ოქმის მე-3 მუხლი არ არის შეზღუდული კონვენციის მე-8-მე-11 მუხლებში გათვალისწინებული „კანონიერი მიზნების“ ნუსხით, წევრი სახელმწიფოები შეზღუდვის გამართლების მიზნით უფლებამოსილნი არიან, დაეყრდნონ იმ მიზანს, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხსენებულ ნუსხაში, ვინაიდან კანონის უზენაესობის პრინციპთან და კონვენციის ზოგად მიზნებთან ამ მიზნის შესაბამისობა გათვალისწინებულია საქმეზე არსებულ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებში.¹⁴⁴

„გამოყენებული შეზღუდვების“ კონცეფცია, პირველი ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, ასევე გულისხმობს, რომ ევროპული სასამართლო არ გამოიყენებს მე-8-მე-11 მუხლების კონტექსტში გამოყენებულ „აუცილებელობისა“ და „მნვავე საზოგადოებრივი საჭიროების“ ტრადიციულ ტესტებს. პირველი ოქმის მე-3 მუხლთან შესაბამისობის საკითხის დადგენისას ევროპული სასამართლო ძირითადად აქცენტს აკეთებს შემდეგ ორ კრიტერიუმზე: იყო თუ არა თვითნებობა და პროპორციულობის პრინციპის არარსებობა, და შეზღუდვამ გამოიწვია თუ არა საზოგადოების შეხედულების თავისუფალი გამოხატვის შეზღუდვა.¹⁴⁵

19) წარმოდგენილ საქმეში¹⁴⁶ უზენაესმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან ერთად იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლითა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლით.

სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ჩათვალა, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლის შესაბამისად, არ შეიძლება თვითნებური ხელყოფა პირის კორესპონდენციის საიდუმლოებებისა და მოსარჩევის მიერ მოპოვებული მოპასუხის პირადი კორესპონდენცია (წერილები) კანონის დარღვევით მოპოვებულად მიიჩნია; საკასაციო პალატა ასევე მსჯელობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, პატივი სცენ მის კორესპონდენციას; პალატის აზრით, არასწორია კასატორის

144. იქვე.

145. იქვე.

146. უზენაესი სასამართლო: საქმის № 3კ/1188-02, 2002 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

მითითება იმის შესახებ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი¹⁴⁷ გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია ინდივიდის დაცვაზე სახელმწიფოსაგან და არა ერთი კერძო პირის მოქმედებისას მეორე კერძო პირის მიმართ.

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პატიოს მე-17 მუხლის პირველი პუნქტისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აკეთებს დასკვნას, რომ დაუშვებელია პირადი უფლებების როგორც კანონსაწინააღმდეგო, ისე თვითნებური ხელყოფა. აღსანიშნავია, რომ ჩარევა შეიძლება იყოს კანონიერი, მაგრამ თვითნებური, რაც ასევე დაუშვებელია.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლის თანახმად:

„არავინ უნდა განიცადოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინისა და კორესპონდენციის, ასევე მისი პატივისა და ღირსების თვითნებური ხელყოფა. ყოველ ადამიანს უფლება აქვს, დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.“

როდესაც ვსაუბრობთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლზე, აღსანიშნავია, რომ პირადი ხელშეუხებლობის უფლება დანახულ უნდა იქნეს როგორც „ქოლგა“ - ტერმინი, რომელიც დაკავშირებულია ოჯახთან, ოჯახურ ცხოვრებასთან, საცხოვრებელ ადგილთან, მიმოწერასთან, სატელეფონო კომუნიკაციებთან, ელ. ფოსტასა თუ კომუნიკაციების სხვა ელექტრონულ საშუალებებთან, ისევე როგორც ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობასთან.¹⁴⁸

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი ჩამოყალიბებულია ორ პუნქტად. პირველი ნაწილი, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი, ნათლად ადგენს განსაზღვრულ უფლებებს, რომლებიც გარანტირებულ უნდა იქნეს ინდივიდისთვის სახელმწიფოს მიერ – პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემის უფლება; მეორე ნაწილი, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, აცხადებს, რომ სსენებული უფლებები არ არის აბსოლუტური, რაც იმით გამოიხატება, რომ გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა დასაშვები გახდეს საჯარო ხელისუფლების მიერ მე-8 მუხლით გა-

147. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინებაში მითითებულია ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი (პზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება), მაგრამ ლოგიკურია, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) იგულისხმება.

148. Lars Adam Rehof, in G. Alfredsson, A. Eide, ed., *The Universal Declaration of Human Rights. A Common Standard of Achievement*, Martinus Nijhoff Publishers, 1999, გვ. 251-252.

თვალისწინებული უფლებების შეზღუდვა. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ასე-ვე ადგენს პირობებს, როდესაც საჯარო ხელისუფლებას მართლზომიერად შეუძლია ჩაერიოს მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ უფლებებში. უფლებაში ჩარევა მუდმივად ექვემდებარება ევროპულ მეთვალყურეობას. სახელმწიფოს მიერ მე-8 მუხლით გაცხადებული ინდივიდის უფლებების დასაშვებ შეზღუდვად ჩაითვლება მხოლოდ და მხოლოდ იმგვარი შეზღუდვები, რომლებიც განხორციელებულია კანონის შესაბამისად, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ანუ არსებობს უფლების შეზღუდვის მწვავე საზოგადოებრივი აუცილებლობა და გამოყენებული შეზღუდვის ღონისძიება ემსახურება მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებული ერთი ან მეტი კანონიერი მიზნის მიღწევას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდივიდის მიერ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად შეტანილი საჩივრის განხილვის პროცესი მოიცავს რამდენიმე საფეხურიან ტესტს. ამ ტესტის გამოყენებას ახდენს სტრასბურგის სასამართლო, როდესაც საქმე ეხება მე-8 მუხლს. საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლო ახდენს ტესტის თითოეული საფეხურის გამოყენებას :

1. საჩივარი ხვდება თუ არა მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული ერთოւ უფლების მოქმედების ფარგლებში?

მე-8 მუხლის დაცვის საკითხი წამოიჭრება იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოდგენილი საჩივარი ხვდება კონკრეტული დებულების მოქმედების ფარგლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ის უნდა ეხებოდეს ამ დებულებით დაცულ ერთ ან რამდენიმე პირად ინტერესს, კერძოდ: პირად ცხოვრებას, ოჯახურ ცხოვრებას, საცხოვრებელსა თუ მიმოწერას.

2. მოხდა თუ არა მე-8 მუხლის შეზღუდვა?

სასამართლო როცა ერთხელ დაადგენს, რომ დავა ეხება პირად ან ოჯახურ ცხოვრებას, საცხოვრებელს ან მიმოწერას, საჩივარს არსებითად განიხილავს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ჭრილში, ანუ არკვევს, ზღუდავს თუ არა გასაჩივრებული ღონისძიება მე-8 მუხლით განმტკიცებულ უფლებას.

3. აღნიშნული შეზღუდვა/ჩარევა განხორციელდა თუ არა ხელისუფლების ორგანოს მხრიდან?

ამ უფლებაში ჩარევა უნდა მოხდეს ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან უფლებამოსილების განხორციელებისას.

4. არის თუ არა კანონის შესაბამისად?

ღონისძიება, რომელიც იწვევს მე-8 მუხლის შეზღუდვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაბამისი ამ დებულებასთან, თუ განხორციელებულია

კანონის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრებული ღონისძიება არ აკმაყოფილებს „კანონის“ ხსენებულ მოთხოვნას, მაშინ იგი გამოიწვევს მე-8 მუხლის დარღვევასა და საქმის იქვე დასრულებას.

იმისათვის, რომ „იყოს კანონის შესაბამისად“, გასაჩივრებულ შეზღუდვას უნდა ჰქონდეს **სამართლებრივი საფუძველი**, შესაბამისი კანონი უნდა იყოს **საკმარისად ზუსტი და შეიცავდეს საჯარო ხელისუფლების მხრიდან თვითნებობისაგან დაცვის მექანიზმს.**

ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ დააფიქსირა თავისი შეხედულება, რომ ფრაზა „კანონის შესაბამისად“ არა მხოლოდ შიდა კანონმდებლობაზე უთითებს, არამედ ასევე ეხება კანონის ხარისხს, რომელიც მოითხოვს, რომ კანონის უზენაესობის პრინციპს შეესაბამებოდეს, რაც ნათლად არის ჩამოყალიბებული კონვენციის პრეამბულაში (იხ. *mutatis mutandis, Silver and Others*-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, გვ. 34, პუნქტი 90, და *Golder*-ის საქმეზე 1975 წლის 21 თებერვალს გამოტანილი გადაწყვეტილება, სერია A № 18, გვ. 17, პუნქტი 34). ამგვარად, ფრაზა გულისხმობს, რომ – და იგი გამომდინარეობს მე-8 მუხლის ობიექტიდან და მიზნიდან – შიდა კანონმდებლობაში უნდა არსებობდეს სამართლებრივი დაცვის ზომები საჯარო ხელისუფლების მხრიდან მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცულ უფლებებში. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება საიდუმლოდ, თვითნებობის საფრთხე აშკარაა (იხ. *Klass and Others*-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, სერია A № 28, გვ. 21 და 23, პუნქტები 42-ე და 49-ე).

ღონისძიებები პრობლემატური იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არ არის **ნებადართული კანონის მიერ და სანაცვლოდ რეგულირდება ადმინისტრაციული პრაქტიკით, ან სხვა არასავალებულო ხასიათის სახელმძღვანელო პრინციპით. ადმინისტრაციული პრაქტიკა, თუმცა კარგად დამკვიდრებული, მანც არ უზრუნველყოფს „კანონით“ მოთხოვნილ გარანტიას.**

5. ემსახურება თუ არა კანონიერ მიზანს?

მაშინ, როდესაც შეზღუდვა კანონის შესაბამისად დადგინდება, ევროპული სასამართლო გადავა იმ საკითხის განხილვაზე, - ემსახურება თუ არა იგი კანონიერ მიზანს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ჭრილში. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი მოიცავს მიზანთა ჩამონათვალს, რომელსაც სახელმწიფო შეიძლება დაეყრდნოს, შეზღუდვასთან დაკავშირებით.

6. აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში?

მე-8 მუხლის ტესტის ბოლო საფეხურია, განისაზღვროს, არის თუ არა შეზღუდვა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.“

სასამართლომ საქმეში - *Olsson v. Sweden*¹⁴⁹ - დაადგინა:

149. 1988 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება.

„... აუცილებლობის ცნება გულისხმობს, რომ შეზღუდვას უნდა მოითხოვდეს მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება და, განსაკუთრებით კი, პროპორციული იყოს დასახულ კანონიერ მიზანთან.“

ვინაიდან ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის არსებითი მიზანი „საჯარო ხელისუფლების მხრიდან უკანონო ქმედებისაგან ინდივიდის დაცვაა“, სასამართლომ დაადგინა, რომ დამატებით შეიძლება არსებობდეს განუყოფელი პოზიტიური ვალდებულებები იმ ღირებულებების ეფექტიანი პატივისცემისათვის, რომლებსაც იგი შეიცავს.¹⁵⁰ ხსენებულიდან გამომდინარე, პირის ოჯახურ და პირად ცხოვრებაში, საცხოვრებელსა და მიმოწერაში უკანონოდ ჩაურევლობის ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, სახელმწიფოს ასევე შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, განახორციელოს პოზიტიური ქმედებები ამ დებულებაში ჩამოყალიბებული პირადი ინტერესების ფართო დიაპაზონის პატივისცემის მიზნით. მე-8 მუხლის ინტერპრეტაციის საფუძველია მუხლში აღნიშნული მითითება ინდივიდის უფლებაზე - პატივი სცენ მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას, რამაც ნება დართო სასამართლოს, გასცდენოდა სახელმწიფოების მარტივ ვალდებულებას, რომელიც სახელმწიფოების მხრიდან მხოლოდ უფლებაში ჩაურევლობას გულისხმობდა. საქმეში - *X & Y v. the Netherlands*¹⁵¹ - სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ:

„[მე-8 მუხლი] არა მხოლოდ ავალდებულებს სახელმწიფოს, თავი შეიკავოს შეზღუდვისაგან: ამ ძირითად ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, შეიძლება არსებობდეს პოზიტიური პირადი და ოჯახური ცხოვრების ეფექტიანი პატივისცემის ვალდებულება. ... ასეთმა ვალდებულებამ შეიძლება საჭირო გახადოს ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას, თუნდაც ინდივიდებს შორის ურთიერთობათა სფეროში.“

ხსენებულიდან გამომდინარე, გარკვეულ გარემოებებში კონვენცია მოითხოვს სახელმწიფოსაგან, ამ უკანასკნელმა გადადგას ნაბიჯები ინდივიდუალური პირებისათვის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებების უზრუნველყოფის მიზნით. კონვენციამ ასევე შეიძლება მოსთხოვოს სახელმწიფოებს, დაიცვას პირები სხვა კერძო ინდივიდების ქმედებებისაგან, რომლებიც ახდენენ ამ პირების უფლებათა ეფექტიანი სარგებლობის შეზღუდვას.

ნიშანდობლივია, რომ სირთულესთან არის დაკავშირებული იმ გარემოებების გამოვლენა, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მე-8 მუხლი

150. *Kroon v. the Netherlands*, 1994 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი, 31-ე პუნქტი.

151. *X & Y v. the Netherlands*, 1985 წლის 26 მარტის განაჩენი.

მოითხოვს პოზიტიურ ქმედებებს. სასამართლომ დაადგინა, რომ „პატივისუფების“ ცნება არ არის ნათლად განსაზღვრული და, ვინაიდან მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებში პირობები და გარემოებები სხვადასხვაგვარია, ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უზრუნველყოფისათვის არსებული მოთხოვნა საგრძნობლად განსხვავდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ამიტომაც აღიარებულია, რომ შეფასების ფართო ზღვარი სახელმწიფოებს უფლებამოსილებას ანიჭებს, თავად გადაწყვიტონ, თუ რა სახის „პატივისუფება“ მოითხოვება კონკრეტული განაცხადის გარემოებებისას. სასამართლოს თანახმად, სახელმწიფომ, განსაზღვრისას, არსებობს თუ არა პოზიტიური ვალდებულება, ყურადღება უნდა მიაქციოს საკითხს, დადგინდება თუ არა სამართლიანი ბალანსი საზოგადოების ზოგად ინტერესებსა და ინდივიდის ინტერესებს შორის. დაცული უფლების შინაარსის განსაზღვრისას სასამართლომ დაადგინა, რომ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მიზნები შეიძლება რელევანტური იყოს და ტესტებიც განსხვავებულია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სადაც აუცილებელია ბალანსის დადგენა უკვე დაფუძნებულ უფლებასა და თანაფარდობის ინტერესებს შორის, რომლის დაცვასაც მიზნად ისახავს სახელმწიფო. ხშირ შემთხვევაში განსხვავება პოზიტიური ვალდებულებების განხორციელებასა და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ჭრილში საქმის ნორმალური გზით განხილვას შორის ნათელი გახდება საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ ნარმოდებილი არგუმენტაციით და არა დასკვნით.¹⁵² პრაქტიკული თვალსაზრისით, ზოგადად საზოგადოების ინტერესები გადაწონის ბალანსის მხრივ ინდივიდუალურ ინტერესებს და ინდივიდუალურ პირს გარკვეულ ტვირთს აკისრებს, რათა მან დაამტკიცოს, რომ მისი ინტერესი ნათლად აღმატება საზოგადოებრივ ინტერესებს. მაგალითად, პრეცედენტული სამართალი მიუთითებს, რომ, როდესაც საქმე გვაქვს მნიშვნელოვან ინდივიდუალურ უფლებასთან და განმცხადებელი ანყდება დიდ არახელსაყრელ მდგომარეობას, პოზიტიური ვალდებულება შესაძლოა წამოიქრას; მეორე მხრივ, როდესაც ეს არახელსაყრელი მდგომარეობა არცთუ ისე დიდია ან მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესთან გვაქვს საქმე, მაშინ ხსენებული ნაკლებად მოსალოდნელია.

მაგალითად, საქმეში *Marckx v. Belgium* სასამართლომ დაადგინა, რომ დაუქორწინებულ დედასა და მის შვილს შორის არსებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებდა, რაც ბავშვის დაბადების მომენტიდან მისი ოჯახში ინტეგრაციის უზრუნველყოფისათვის ზომების მიღებას გულისხმობდა.¹⁵³ ამ საქმეში არახელსაყრელი მდგომარეობა, რომელსაც განიცდიდნენ გაუთხოვარი დედა და მისი ქალიშვილი, უფრო დიდი იყო, ვიდრე სახელმწიფოს ინტერესი, რაც მისი

152. მაგალითისთვის იხ. *Gaskin v. the United Kingdom*, 1989 წლის 7 ივნისის განაჩენი, 42-ე პუნქტი.

153. *Marckx v. Belgium*, 1979 წლის 13 ივნისის განაჩენი.

მხრიდან ქორწინებაზე დაფუძნებული ოჯახის დაცვით გამოიხატებოდა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების ზღვარი, რომლითაც სახელმწიფო სარგებლობს, იყო ვიწრო, რადგან მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებში არსებული სამართლებრივი და სოციალური პირობები ასახავდა დაუქორწინებული დედებისა და მათი შვილებისადმი უთანასწორო მოპყრობის აღმოფხვრისკენ ზოგად მიმართულებას. ხსენებულზე აისახა ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივი სტატუსის შესახებ ევროპული კონვენციის მიღება.¹⁵⁴ ოჯახური ცხოვრების პატივისცემის პოზიტიური ვალდებულებისათვის აუცილებელი აღმოჩნდა, ბავშვის მისსავე ოჯახში ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, ზომების მიღება.

თუმცა სასამართლომ გამოიტანა განსხვავებული გადაწყვეტილება საქმეში - *X, Y & Z v. the United Kingdom*. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, სასამართლო დადგენილებით, კონვენციის მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ამ სფეროში საერთო მიდგომის არარსებობა გულისხმობდა, რომ სახელმწიფო შესაბამისი მხარეების – დონორის მიერ ხელოვნური განაყოფიერების გზით (AID) დაბადებული ბავშვი და მისი ტრანსსექსუალი მამა – ოჯახური ცხოვრების პატივისცემის გამოვლენისას აღჭურვილი იყო შეფასების ფართო ზღვრით. შედეგად, ოჯახური ცხოვრების პატივისცემის პოზიტიური ვალდებულების შინაარსი განსხვავდებოდა *Marckx*-ის საქმეში არსებულისგან და მე-8 მუხლის დასაკამაყოფილებლად, მისი შესრულების მიზნით, ნაკლებ ქმედებას საჭიროებდა. უფრო კონკრეტულად, სასამართლომ უარყო, რომ მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემა სახელმწიფო-საგან ბავშვის დაბადების მოწმობაში ტრანსსექსუალის, როგორც ბავშვის მამისა, გვარის დაფიქსირებას მოითხოვდა.¹⁵⁵ თუმცა დადგინდა, რომ AID-ით დაბადებული ბავშვის მამობის ცნობა ენინააღმდეგებოდა საზოგადოების ინტერესებს და არც აუცილებელი იყო ბავშვის კეთილდღეობისათვის.

20) წარმოდგენილ საქმეში¹⁵⁶ უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ გაითვალისწინა მოსარჩელისა და მისი ადვოკატის მოსაზრება, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივი აქტების მიხედვით, არავინ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ, ანდა ლირსების შემლახველ მოპყრობას ან სასკელს და, რომ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ თავის სამართლებრივ სისტემაში უნდა უზრუნველყოს, რომ წამების მსხვერპლმა მიიღოს ანაზღაურება

154. ევროპული ხელშემკვრულებების სერია (ETS) № 85.

155. *X, Y & Z*-ის საქმეზე 1985 წლის 26 მარტს გამოტანილი გადაწყვეტილება.

156. უზენაესი სასამართლო: საქმის № 107კოლ, 2004 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება, დიდი პალატა.

და ჰქონდეს შესაბამისი კომპენსაციის მიღების ხელშეუვალი უფლება.

წინამდებარე გადაწყვეტილება მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მას-ში გამოყენებულია როგორც საერთაშორისოსამართლებრივი აქტები, ასევე საუბარია საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა კომიტეტის წინაშე წარდგენილ პირველ განაცხადზე, რომელშიც ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ჩათვალა, რომ განმცხადებლების მიერ კომიტეტის წინაშე წარდგენილი ფაქტებიდან გამომდინარე, განმცხადებლები დაექვემდებარენ წამებასა და სასტიკ და არაადამიანურ მოპყრობას, რამაც გამოიწვია საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის დარღვევა.

მე-2 მსოფლიო ომის პერიოდში ჩადენილ შემაძრნუნებელ ქმედებათა შემდგომ საერთაშორისო საზოგადოება და ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის საერთაშორისო დონეზე. მსოფლიო საზოგადოებისათვის იმდენად დიდი იყო წამების აკრძალვის მნიშვნელობა, რომ იგი მიჩნეულ იქნა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილად და ითვლება *jus cogens*-ად¹⁵⁷. წამების აკრძალვის ფუნდამენტურ მნიშვნელობას ასევე მოწმობს ის მრავალი საერთაშორისო აქტი, რომლებიც გმობს არასათანადო მოპყრობასა და სასჯელს:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მე-5 მუხლი);
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მე-3 მუხლი);
- ჟენევის 1949 წლის ოთხი კონვენცია;
- 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ არაადამიანურ, ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს“;
- წამების და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის საწინააღმდეგო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1984 წლის კონვენცია (CAT);
- წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვის 1987 წლის ევროპული კონვენცია.

დაწყებული 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლიდან, რომლის თანახმადაც, „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს,“ დამთავრებული 1998 წლის საერთაშორისო სისხლის სამართლის რომის სტატუტამდე, რომლის თანახმადაც, წამება, რომელიც არის მოქალაქეთა წინააღმდეგ ჩადენილი და გავრცელებული ან სისტემატურ ქმედებათა ნაწილი, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. წამება ასევე აკრძალულია უმეტესი შიდასამართლებრივი სისტემით.

წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის ასახვა კონსტიტუციურ დონეზე მნიშვნელოვანი ელემენტია იმის უზრუნ-

157. *jus cogens* – საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმები.

ველსაყოფად, რომ ამგვარი აკრძალული ქმედება არ მოხდეს წევრი სახელმწიფოს იურისადიქციის ფარგლებში. თუმცა მარტომდენ აკრძალვის არსებობა არ არის თავისითავად კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების საფუძველი. არაერთხელ დადგინდა მე-3 მუხლის დარღვევა, მიუხედავად წევრ სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემებში ასეთ დებულებათა არსებობისა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის საწინააღმდეგო კონვენცია (CAT) მიღებულ იქნა 1984 წლის 10 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1987 წლის 27 ივნისს. აღნიშნული კონვენციის უზრუნველყოფის მექანიზმი და საზედამხედველო ორგანოა წამების საწინააღმდეგო კომიტეტი.

გაერთიანებული ერების წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საწინააღმდეგო კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად:

„კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც პირს განზრას მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, სულერთია, ეს იქნება ფიზიკური თუ სულიერი ხასიათის, ისეთი მიზნით, როგორიცაა მისგან ან მესამე პირისაგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა იმ ქმედებისათვის, რომელიც ჩაიდინა მან ან მესამე პირმა, ან იმ მიზნით, რომელიც ეფუძნება ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას, როდესაც ასეთი ტკივილი ან ტანჯვა პირს მიეყენება ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის ან თანამდებობის პირის მიერ, მისი წაეჭირებით, ან მისი თანხმობით ან დუმილით გამოხატული მისი თანხმობით. აღნიშნული არ გულისხმობს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც თან სდევს კანონიერ სანქციებს.“

ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი, წამების საწინააღმდეგო კონვენცია და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი, გარდა ნეგატიური ვალდებულებისა, რომელიც სახელმწიფოებსა და მისი ხელისუფლების წარმომადგენლებს უკრძალავს წამების, სასტიკი და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის განხორციელებას, მრავალი სახის პოზიტიურ ვალდებულებებს აკისრებს კონვენციის ხელშემკვრელ წევრ სახელმწიფოებს. წამების საწინააღმდეგო კონვენცია და საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი მოიაზრებს ისეთი სახის პოზიტიურ ვალდებულებებსაც, რომლებიც ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებულ პრეცედენტულ სამართალში ჯერჯერობით არ შეგვხვედრია.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი არ მოიცავს მე-7 მუხლით მოცული ტერმინების განმარტებას. ტერმინთა განმარტება არ გვხვდება არც საერთაშორისო პაქტის საზედამხედველო ორგანოს, ადამიანის უფლებათა კომიტეტის, იურისპრუდენციაში. განსხვავებები

ტერმინებს შორის დამოკიდებულია გამოყენებული ქმედების ხასიათზე, მიზანსა და სიძლიერეზე. აღნიშნული მკვეთრად განსხვავდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისაგან, რომელშიც სტრასბურგის სასამართლო მე-3 მუხლთან დაკავშირებულ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განმარტავს, თუ დაირღვა მე-3 მუხლით დაცული რომელიმე დებულება. ადამიანის უფლებათა კომიტეტი კი მხოლოდ ზოგადად აღნიშნავს და აფიქსირებს მე-7 მუხლის დარღვევას და არ უთითებს, ხსენებული მუხლით მოცული რომელი კონკრეტული დებულების დარღვევა მოხდა ცალკეულ შემთხვევაში. ზოგად მოხსენებაში ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გააკეთა ზოგადი განცხადება საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით აკრძალულ ქმედებებთან დაკავშირებით:

„სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის დებულებათა მიზანია დაცვა როგორც ინდივიდის ღირსებისა, ასევე მისი ფიზიკური და სულიერი ხელშეუხებლობისა. სახელმწიფოს მოვალეობაა, უზრუნველყოს ყოველი პირის დაცვა საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებათა საშუალებით, რომლებიც შესაძლოა აუცილებელი იყოს მე-7 მუხლით აკრძალული იმ ქმედებების აღმოსაფხვრელად და საწინააღმდეგოდ, რომლებიც განხორციელდულ იქნა როგორც თანამდებობის პირების, ასევე იმ პირების მიერ, რომლებიც არ ასრულებენ თანამდებობრივ მოვალეობებს და კერძო პირების მიერაც. მე-7 მუხლით დადგენილი აკრძალვა ასევე გამყარებულია პაქტის მე-10 მუხლში წარმოდგენილი პოზიტიური მოთხოვნებით, რომელთა თანახმადაც, „ყველა პირს, ვისაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, უნდა მოეპყრონ ადამიანურად და ადამიანისათვის შესაფერისი ღირსებით“.

ადამიანის უფლებათა ზოგადი მოხსენების თანახმად, მე-7 მუხლი არ უშვებს რაიმე სახის გამონაკლისა არც ერთ შემთხვევაში. კომიტეტის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ისეთ სიტუაციებშიც კი, როგორიცაა საგანგებო მდგომარეობა ან საომარი მოქმედებები, არანაირი სახის გადახვევა არ არის ნებადართული მე-7 მუხლის დებულებებიდან. კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ დაუშვებელია მე-7 მუხლის დებულებათა დარღვევის გამართლება ისეთი მიზეზითაც კი, როგორიც არის ზემდგომი თანამდებობის პირის ან ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის მიერ მიღებული ბრძანება.

ანალოგიური დებულებები გვხვდება წამების საწინააღმდეგო გაეროს კონვენციის მე-2 მუხლშიც, რომლის თანახმადაც:

„არანაირი სახის გამონაკლისი გარემოებები, თუნდაც ეს იყოს საომარი მდგომარეობა ან ომის საშიშროება, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა სახის საგანგებო მდგომარეობა, არ შეიძლება იქნეს მოყვანილი წამების გასამართლებლად.“

ზემოხსენებულიდან ნათლად ჩანს, რომ არანაირი სახის პროპორციულობაზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ, როდესაც ვსაუბრობთ პაქტის მე-7 მუხლზე და წამების საწინააღმდეგო კონვენციაზე. მაგრამ მსოფლიო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი მაგალითიც, რომელიც არათუ დაშვებულია სახელმწიფოში, არამედ საკანონმდებლო დონეზეც კი არის გამართლებული კონკრეტულ შემთხვევებში. მაგალითად, ისრაელში კანონმდებლობა ნებას რთავს ხელისუფლების წარმომადგენლებს, გამოიყენონ „თანამედროვე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზენოლა“ ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაკითხვის პროცესში. 1997 წელს ისრაელმა განაცხადა, რომ ხსენებული მეთოდების გამოყენების შედეგად თავიდან იქნა აცილებული დაახლოებით 90-მდე ტერორისტული აქტი, რის შედეგადაც გადარჩენილ იქნა უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე.¹⁵⁸ მიუხედავად ხსენებული სტატისტიკისა და ისრაელის მთავრობის მიერ წარდგენილი არგუმენტაციისა, წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა მაინც დააკვალიფიცირა ზოგიერთი დაკითხვის მეთოდი როგორც წამება და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.¹⁵⁹ დაკითხვის მეთოდები მიჩნეულ იქნა წამებად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მიმართული იყო მოსახლეობის დასაცავად სასიკვდილო ტერორისტული აქტებისაგან. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის განცხადების თანახმად:

„კომიტეტი აღიარებს და ითვალისწინებს იმ საშინელ დილემას, რომელსაც ისრაელი აწყდება ტერორისტული აქტების საშიშროებასთან დაკავშირებით, მაგრამ, როგორც კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფო მხარეს, ისრაელს არ შეუძლია კომიტეტის წინაშე თავი იმართლოს განსაჯუთობული გარემოებებით და განაცხადოს, რომ ეს გარემოებები ამართლებს კონვენციის 1-ლი მუხლით აკრძალულ ქმედებებს. აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად და ნათლად არის დაგმობილი კონვენციის მე-2 მუხლით“.¹⁶⁰

რაც შეეხება საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა კომიტეტის წინაშე წარდგენილ პირველსავე განაცხადს - *Domukhovski v. Georgia*, რომელიც კომიტეტმა არსებით განხილვაზე დაუშვა და განიხილა, უმთავრესად სწორედ ეხებოდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის დარღვევას საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან. აღნიშნულ განაცხადში განმცხადებლები (მათ შორის საქართვე-

158. იბ. ისრაელის მე-2 პერიოდული მოხსენება, რომელიც წარდგინა წამების საწინააღმდეგო კომიტეტს, CAT/C/33/add. 2/Rev.1. მე-2 — მე-3 და 24-ე პუნქტები.

159. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნითი კომიტარები ისრაელთან მიმართებით, 1997 წ.

160. სხვათა შორის, თვით ისრაელის უზენაესმა სასამართლომ, რომელიც გვევლინება მართლმსაჯულების უმაღლეს თრგანოდ ისრაელში, საქმეზე - *The Public Committee Against Torture in Israel v. The Government of Israel* - გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილთა მოპყრობის მეთოდები არაკონსტიტუციური იყო 1999 წლის 6 სექტემბერს.

ლოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატისა და დიდი პალატის მიერ მოხსენიებული ბ-ნი ი.დ.) ჩიოდნენ, რომ ისინი დაუქვემდებარნენ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, მათ შორის სასტიკ ცემას, ფიზიკურ და მორალურ ზეწოლას, რამაც ბ-ნ დომუხოვსკის შემთხვევაში გამოიწვია კონტუზია, ბ-ნ წილაურის შემთხვევაში – კონტუზია, ძვლების მოტეხილობა, მრავალი ჭრილობა და დამწვრობითი ხასიათის იარა, ბ-ნ გელბახიანის შემთხვევაში – იარები, ხოლო ბ-ნ დოკვაძის შემთხვევაში განხორციელებული ქმედებები მოიცავდა როგორც წამებას, ასევე მუქარებს მისი ოჯახის მიმართ. საქართველოს მთავრობამ ვერ წარუდგინა ადამიანის უფლებათა კომიტეტს რაიმე სახის დამაჯერებელი არგუმენტაცია, რომელიც გააქარწყლებდა განმცხადებლების მიერ წარდგენილ ფაქტებს. შესაბამისად, „ხსენებულ გარემოებებში ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ჩათვალა, რომ განმცხადებლების მიერ კომიტეტის წინაშე წარდგენილი ფაქტებიდან გამომდინარე, განმცხადებლები დაუქვემდებარნენ წამებასა და სასტიკ, არაადამიანურ მოპყრობას, რაც არღვევს საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლსა და მე-10 მუხლის 1-ლ პუნქტს.“

21) წინამდებარე საქმეში¹⁶¹ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლითა და ამავე კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლით, ასევე გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლით და აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის ადვოკატებმა კერძო საჩივარსა და საკასაციო პალატის სხდომაზე განაჩენის გასაჩივრების საფუძვლად სწორად მიუთითეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლზე, ისევე როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტზე და ამ საფუძვლით სწორად მოითხოვეს რაიონული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების უფლება. პალატამ ასევე აღნიშნა, რომ ქვემდგომ სასამართლოებს, როცა იხილავდნენ პიროვნებისათვის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მინიჭების საკითხს, უნდა ეხელმძღვანელათ აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებით და არა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით,

„1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი

161. უზენაესი სასამართლო: საქმის № 438/აპ, 2005 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უძიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაფრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.

2. ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

ა) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს ნარდეგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

ბ) ჰერიტეიტორიული საკუთარი და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკუთარი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

დ) დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;

ე) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე.“

კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე მხოლოდ სამოქალაქო და სისხლის სამართალნარმოებისას. აღნიშნული უფლების დიდ მნიშვნელობასა და მის ფუნდამენტურობას ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა სწორედ სამართლიანი სასამართლო უფლების დარღვევას ეხება. კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიები უფრო ყოვლისმომცველია სისხლის სამართალნარმოებისას, ვიდრე სამოქალაქო სამართალნარმოებისას. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ზოგადი უფლება სამართლიან სასამართლო უფლებაზე, რომელიც მოცულია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით, განმტკიცებულია კონკრეტული გარანტიებით, რომლებიც მოცემულია მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი არ მოიაზრებს და არ უზრუნველყოფს აპელაციის უფლებას როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართალნარმოებასთან დაკავშირებულ საქმეებში.¹⁶² თუმცა, როდესაც სახელმწიფო უზრუნველყოფს აპელაციის უფლებას, მაღალი ინსტანციის სასამართლოს წინაშე გამართული სამართალნარმოება შესაბამისობაში უნდა იყოს კონვენციის მე-6 მუხლთან.

ხოლო ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 პუნქტი აცხადებს, რომ:

„1. ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადაასინჯვინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. ამ უფლების განხორციელება, იმ საფუძვლების ჩათვლით, რომელებზე დაყრდნობითაც ის შეიძლება განხორციელდეს, მოწესრიგებულია კანონით.

2. ამ ნესიდან გამონაკლისი დასაშვებია მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა მიმართ, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით, ან როდესაც შესაბამისი პირი პირველი ინსტანციის წესით გაასამართლა უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ, ან მსჯავრი დაედო მის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გადასინჯვის შედეგად.“

კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლი (სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება) კონვენციის მე-6 მუხლის დამატებით გარანტიას ითვალისწინებს. მე-7 ოქმის განმარტებითი ანგარიშის მიხედვით, ეს ნორმა არ ეხება დანაშაულს, განსჯილს იმ ორგანოს მიერ, რომელიც არ წარმოადგენს სასამართლოს, კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით. სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიები დაცული უნდა იქნეს ზემდგომი სასამართლოს მიერ ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვისას. კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის 1-ლი წინადადება ითვალისწინებს, რომ ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს „მსჯავრდების ან განაჩენის“ გადასინჯვა. ეს არ ნიშნავს, რომ პირს ყველა შემთხვევაში აქვს უფლება როგორც მსჯავრდების, ისე განაჩენის გასაჩივრებაზე.¹⁶³

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი, რომელიც სამართლიან სასამართლო განხილვასა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობას უზრუნველყოფს, აფუძნებს უფლებათა სერიას, რომლებიც გამოიყენება როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართალნარმოებაში. ხსენებული მუხლი მიზნად ისახავს მართლმსაჯულების ჯეროვანად განხორციელებას.¹⁶⁴ მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი ითვა-

162. სისხლის სამართლის საქმეებში აპელაციის უფლება უზრუნველყოფილია კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლით.

163. განმარტებითი ანგარიშის მე-17 პუნქტი.

164. მე-13 ზოგადი კომენტარის 1-ლი პუნქტი.

ლისნინებს ზოგად გარანტიას, მაშინ როდესაც მე-14 მუხლის მე-2 – მე-7 პუნქტები სისხლისსამართალწარმოებასთან დაკავშირებით სპეციალურ გარანტიებს აყალიბებს.¹⁶⁵

საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ყოველ მსჯავრდებულ პირს უფლება აქვს, მისი ბრალდება და განაჩენი კანონის შესაბამისად გადასინჯოს ზემდგომმა სასამართლომ. საქმეში - *Reid v. Jamaica* (355/89) - ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ:

„მართალია, წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებში გასაჩივრების მოდალურობა შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, წევრი სახელმწიფო ვალდებულია, არსებითად გადასინჯოს პირის ბრალდება და განაჩენი“.¹⁶⁶

საქმეში - *Perera v. Australia* (536/93) - ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიიჩნია, რომ:

„მე-14 მუხლის მე-5 პუნქტი მოითხოვს, სააპელაციო სასამართლომ კი არ განახორციელოს საქმის ფაქტობრივი გარემოებების გადასინჯვა, არა-მედ ხსენებულმა სასამართლომ მოახდინოს სასამართლოს წინაშე წარდგენილი მტკიცებულებებისა და სამართალწარმოების შეფასება“.¹⁶⁷

ზემოთ ხსენებულ საქმეში - *Domukhovski v. Georgia* (623-4, 626-7/95) - ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მის წინაშე წარდგენილი ინფორმაციის თანახმად აღნიშნა, რომ:

„მომჩივნებს არ ჰქონდათ მათი ბრალდებისა თუ განაჩენის გასაჩივრების უფლება, ხოლო ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო გადასინჯვის უფლებას, რომელიც ტარდებოდა საქმის სასამართლო განხილვის გარეშე და ეხებოდა სამართლებრივ საკითხებს. კომიტეტმა დაასკვნა, რომ გადასინჯვის ამგვარი პროცედურა არ აქმაყოფილებდა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნას და დაადგინა ხსენებული მუხლის დარღვევა თითოეულ მომჩივნათან მიმართებით“.¹⁶⁸

165. საქმეში - *Gerardus Srtick v. Netherladns* (1001/01) -, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ მე-14 მუხლის მე-2-მე-7 პუნქტები ეხება მხოლოდ და მხოლოდ სისხლისსამართლებრივ ბრალდებას.

166. Sarah Joseph, Jenny Schultz, and Melissa Castan, *The International Covenant on Civil and Political Rights, Cases, Materials, and Commentary*, Second Edition, Oxford Press, 2004 ტ., გვ. 452.

167. იქვე, გვ. 453.

168. იქვე.

საქმეში - Gómez Varquez v. Spain (701/96) - წევრი სახლმწიფოს მიერ წარდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტები ვერ აქარწყლებდნენ მომჩივანის საჩივარს, რომ მისი ბრალდება და განაჩენი არ იყო სრულყოფილად გადასინჯული. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაასკვნა, რომ:

„მომჩივნის ბრალდებისა და განაჩენის არასრულყოფილად გადასინჯვა გულისხმობს, რომ მე-14 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები არ იქნა შესრულებული. შესაბამისად, კომიტეტმა დაადგინა, რომ მომჩივანის ბრალდებისა და განაჩენის გადასინჯვის უფლება შელახულ იქნა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საწინააღმდეგოდ“.¹⁶⁹

22) წინამდებარე საქმეში¹⁷⁰ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლითა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლით. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღმკვეთი ღონისძიება არ ზღუდავს პარლამენტის წევრობის კანდიდატის უფლებას იმ ხარისხამდე, რომ მას დაეკარგოს პასიური საარჩევნო უფლების რეალური განხორციელების შესაძლებლობა. ამასთან, დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლს - *Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium* - და აღნიშნა, რომ ასეთი შეზღუდვა არ გამორიცხავს ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვის შესაძლებლობას, თავისი შეხედულებით აირჩიოს საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები.

წარმოდგენილ საქმესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლის თანახმად, „თითოეულ მოქალაქეს მე-2 მუხლში ნახსენები რაიმე დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელ შეზღუდვათა გარეშე უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა... ბ) მისცეს ხმა და არჩეულ იქნეს საყოველთაო პერიოდულ არჩევნებში, რომლებიც წარმოებს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით და უზრუნველყოფს ამომრჩევლების სურვილის გამოვლინებას...“.

25-ე ზოგადი კომენტარის მე-4 პუნქტში ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლით დაცული უფლებების განხორციელების ნებისმიერი შეზღუდვა გამართლებული უნდა იყოს ობიექტური და გონივრული კრიტერიუმით.¹⁷¹

169. იქვე.

170. უზენაესი სასამართლო: საქმის № 33-შ, 2001 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

171. Sarah Joseph, Jenny Schultz, and Melissa Castan, *The International Covenant on Civil and Political Rights, Cases, Materials, and Commentary*, Second Edition, Oxford Press, 2004, გვ. 659.

ხოლო რაც შეეხება სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციას ამ საკითხან დაკავშირებით, საქმეზე - *Labita v. Italy*¹⁷² - ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა:

„[ევროპული კონვენციის] 1-ლი ოქმის მე-3 მუხლი მოიაზრებს, რომ „თავისუფალი“ არჩევნები „გონივრულ ინტერვალებში“ „ფარული კენჭისყრითა“ და „იმ პირობების შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის შეხედულების თავისუფალ გამოხატვას“, ექვემდებარება ხმის მიცემისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლებები მნიშვნელოვანია, ისინი აბსოლუტური არ არის. რადგანაც მე-3 მუხლი აღიარებს მათ აშკარა გამონათქვამების გარეშე, მხოლოდ მათი განსაზღვრით, შესაძლებელია ასევე მათი შეზღუდვაც, რომელიც მოიაზრება (იხ. საქმეზე - *Mathieu-Mohin and Clerfayt v. Belgium* - 1987 წლის 2 მარტს გამოტანილი გადაწყვეტილება, სერია A №113, გვ. 23, 52-ე პუნქტი). ეროვნულ კანონმდებლობაში ხელშემკვრელი სახელმწიფოები ხმის მიცემის უფლებასა და არჩევნებში მონაწილეობის უფლებას უქვემდებარებენ პირობებს, რომლებიც არსებითად აკრძალული არ არის მე-3 მუხლში. მათ აქვთ ფართო შეფასების ზღვარი ამ სფეროში, მაგრამ მხოლოდ ევროპული სასამართლოა უფლებამოსილი, საბოლოოდ განსაზღვროს, დაკმაყოფილებულ იქნა თუ არა 1-ლი ოქმის მოთხოვნები; სასამართლო უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რომ პირობები არ ამცირებს შესაბამის უფლებებს იმ დონემდე, რომ დააზიანოს მისი ნამდვილი მნიშვნელობა და არაფეხტური გახადოს ის; რომ ხსენებული დაწესებულია კანონიერი მიზნის მისაღწევად და გამოყენებული საშუალებები არ არის არაპროპორციული (იხ. საქმეზე - *Gitonas and Others v. Greece* - 1997 წლის 1 ივლისს გამოტანილი გადაწყვეტილება, მოხსენებები: 1997-IV, გვ. 1233-34, 39-ე პუნქტი, და საქმე *Matthews v. the United Kingdom [GC]*, №24833/94, 63-ე პუნქტი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ЕЧР) 1999-І)“¹⁷³

5. საოლქო და რაიონული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და პრეცედენტული სამართლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა

23) წინამდებარე საქმეში¹⁷⁴ მოსარჩელეები მოითხოვდნენ აღმასრულებლის მიერ შედგენილი საჯარო ვაჭრობის აქტის, ნოტარიუსის მიერ დამოწმებული აქტის ბათილად ცნობას, საცხოვრებელი სახლის მათ სახელზე აღრიცხვასა და მათი ბინიდან გატაცებული ქონების ღირებულების ანაზღაურებას.

172. 2001 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება.

173. *Labita v. Italy*, 201-ე პუნქტი.

174. ქუთაისის საოლქო სასამართლო: 2002 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილების გამოტანისას ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით და აღნიშნა, რომ სასამართლოს განჩინების ადრესატისათვის ჩაუბარებლობით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარებს წაართვა დავის უფლება, რითაც უხეშად დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც განმარტავს, რომ ყველას აქვს უფლება, საკუთარი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ან მისთვის წაყენებული ბრალდების დასადგენად განიხილოს მისი საქმე კანონის შესაბამისად შექმნილმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ სამართლიანად, საჯაროდ და გონივრულ ვადაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - *Martinie v. France*,¹⁷⁵ რომელშიც სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.

Martinie-ს საქმეში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მომხსენებელი მოსამართლის მოხსენების მისთვის და მისი ადვოკატისათვის (მაშინ როდესაც სახელმწიფოს ინტერესების დამცველს გაეგზავნა) ჩაუბარებლობით, განმცხადებელს წაერთვა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპით სარგებლობის უფლება. მან იხელმძღვანელა საქმეზე - *Guisset v. France* (განაცხადის №33933/96, 72-ე-74-ე პუნქტები, ECHR 2000-IX), გამოტანილი გადაწყვეტილებით და აღნიშნა, რომ საქმის განხილვაზე გამოუძახებლობამ და სასამართლოს წინაშე მიმოხილვების წარდგენის შესაძლებლობის დაკარგვამ, ასევე საქმის განხილვის თარიღის შესახებაც შეტყობინების არგაგზავნამ, გამოიწვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა.

ევროპულმა სასამართლომ ხელისულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი აღნიშნა:

„სახელმწიფოს ინტერესების დამცველისათვის მომხსენებელი მოსამართლის მოხსენების გამუდავნება და, ამავდროულად, განმცხადებლისათვის არმინოდება პრობლემატურია, ვინაიდან მოხსენება ეხებოდა საქმის არსებით მხარეს. განმცხადებელს არ მიეცა საქმის მოსმენაზე დასწრების შესაძლებლობა და, შესაბამისად, არ მიეცა მომხსენებელი მოსამართლის მოხსენებაზე საქმეთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა (მაგალითოსათვის იხ. *mutatis mutandis*, საქმე *Reinhardt and Slimane-Kaïd*)“.¹⁷⁶

175. 2006 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება.

176. *Martinie v. France*, 48-ე პუნქტი.

24) წინამდებარე საქმეში¹⁷⁷ მოსარჩეულე ითხოვდა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების საჯაროდ უარყოფას.

ამ გადაწყვეტილებაში ჭიათურის რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით და ასევე გამოიყენა კონვენციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით *Castells*-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელშიც ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ისეთი განცხადებებისა და აზრების გამოთქმის უფლებას, რომლებიც შეურაცხმყოფელი, აღმაშფოთებელი და შემანუხებელია. რაიონული სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ *Castells*-ის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ყურადღებაა გამახვილებული მთავრობის მიმართ დასაშვები კრიტიკის ზღვარზე, რომელიც უფრო ფართოა, ვიდრე რიგითი მოქალაქეების მიმართ.

დასკვნის სახით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-10 მუხლზე განვითარებულ პრეცედენტულ სამართლაზე შეიძლება ითქვას, სტრასბურგის სასამართლო ყოველთვის იცავდა იმ მოსაზრებას, რომ გამოხატვის თავისუფლება არსებით როლს ასრულებს დემოკრატიულ საზოგადოებაში, რამდენადაც ის ხელს უწყობს იმ ღია, ტოლერანტული საზოგადოების განვითარებას, რომელშიც აღიარებულია ადამიანის უფლებები. მიუხედავად ამისა, გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და უპირობო; არსებობს მთელი რიგი შეზღუდვებისა, რომლებიც ალიარებულ უნდა იქნეს.

ანალოგიურად, ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილებებიდან მიღებული გაკვეთილების შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გააცნობიერონ, რომ, თუმცა პრინციპულად სამართლებრივი დაუმორჩილებლობისაკენ წაქეზება დასჯადია, მოსამართლეები კანონის ამ აკრძალვას არ უნდა იყენებდნენ ავტომატურად. მოსამართლეებმა უნდა შეაფასონ კონფლიქტური ინტერესები და გამოიყენონ პროპორციულობის პრინციპი გადაწყვეტილების მიღებამდე, - გამოხატვის თავისუფლების განხორციელების კონკრეტული შემთხვევის დასჯა არის თუ არა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. უფრო მეტიც, როგორც გამომდინარეობს *Castells*-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებიდან, ეროვნულმა სასამართლოებმა თავი უნდა შეიკავონ სახელმწიფო ხელისუფლების კრიტიკის სანქცირებისაგან. ამგვარი კრიტიკა, თუნდაც ძალიან მყაცრი ფორმით, არის პოლიტიკური პლურალიზმისა და მოსაზრებათა პლურალიზმის ნაწილი.

177. ჭიათურის რაიონული სასამართლო: საქმის № 2/64, 2002 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება.

6. დასკვნა

როგორც წინამდებარე ნაშრომი ცხადყოფს, საერთაშორისოსამართლებრივი აქტების, მათ შორის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს მიერ განვითარებული პრეცედენტული სამართლის გამოყენებას ძირითადად საკონსტიტუციო სასამართლო ახდენს. თუმცა ნაშრომში მრავლად მოიპოვება საკასაციო და სააპელაციო სასამართლოების მიერ მისი გამოყენების მაგალითები, ამასთან, საქართველოს საერთო სასამართლოების პირველი ინსტანციისათვისაც არ არის უცნობი ევროპული კონვენციისა და კონვენციით გარანტირებული უფლებების თანახმად განვითარებული პრეცედენტული სამართლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა.

ჩვენ ვხედავთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსაგან განსხვავებით საერთო სასამართლოების მიერ ძირითადად გამოყენებულია საერთაშორისოსამართლებრივი აქტები, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. მართალია, მისასალმებელია საერთო სასამართლოების მიერ საერთაშორისოსამართლებრივი აქტების გამოყენების სასამართლო პრაქტიკა, თუმცა აღსანიშნავია, რომ, როგორც 2006 წლის პირველ ნახევარში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში გაკეთებულმა ზემოთ ხსენებულმა კვლევამ ცხადყო, უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში¹⁷⁸ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი მოიხსენია როგორც „სამოქალაქო და პოლიტიკურ ურთიერთობათა საერთაშორისო აქტი“, ხოლო სხვა გადაწყვეტილებაში¹⁷⁹ – „მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“. ამასთან, გადაწყვეტილებებში უზენაესმა სასამართლომ არათუ საერთაშორისო აქტის სათაურის არასწორი ფორმულირება მოახდინა, არამედ იგი მხოლოდ და მხოლოდ შემოიფარგლა პაქტით გათვალისწინებული ზოგადი ნორმის ხსენებით და მასში არ გამოუყენებია კონკრეტული მუხლი.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს მიერ განვითარებული პრეცედენტული სამართლის ჯეროვნად და ეფექტურად გამოყენება არა მხოლოდ ეროვნული სასამართლოების მიერ, არამედ პრაქტიკოსი იურისტების მხრიდანაც, რაც ნამდვილად შეუწყობს ხელს ქვეყანაში სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ზოგადად კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრებას.

178. უზენაესი სასამართლო: საქმის №3კ/515-02, 2002 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტების საქმეთა პალატა.

179. უზენაესი სასამართლო: 2002 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება, სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტების საქმეთა პალატა.

ავტორთა შესახებ

მაია პითაძე — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი; საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მთავარი სპეციალისტი.

ბესარიონ ბოხაშვილი — სახელმწიფო წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

გაგა გაბრიჩიძე — ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ); ევროპის სამართლის მაგისტრი (ზაარბაიუკენი, გერმანია).

ევა გოცირიძე — საქართველოს უზენაესი სასამართლოს მრჩეველი ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში.

შალვა კვინიხიძე — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის საბჭოს სამმართველოს მრჩეველი.

იენს მაიერ-ლადევიგი — იურისტი; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

თინათინ უფლისაშვილი — უფროსი თანაშემწე ადამიანის უფლებათა საკითხებში, ეუთოს მისია საქართველოში.

სიმონ პაპუაშვილი — იურისტი; ლონდონის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის მაგისტრანტი.

ლაშა ჭელიძე — იურისტი.